

მე ვხედავ მზეს

mamida

კახაბაძის ხმელ ტოტზე მამალი ჩხართვი იჯდა და ისე გალობდა, მამიდამ საქმეს თავი დაანება, სამფეხა სკამი ეზოში გამოიტანა, დაჯდა და სმენად იქცა, მე კონინდარზე დავწექი და თვალები დავხუჭე. ჩხართვი გალობდა სულმოუთქმელად, გულში ხმას ვაყოლებდი და ვცდილობდი, არ მესუნთქა, ვიდრე ჩხართვი სულს არ მოითქვამდა, მაგრამ სუნთქვა არ მყოფნიდა. ჩხართვი გაბმულად სტვენდა. იშვიათად თუ შეჩერდებოდა, ჩამავალი მზისკენ გაიხედავდა და ისევ განაგრძობდა სტვენას. სპილენძის ლანგარით წითელი უზარმაზარი მზე ზანტად ჩადიოდა და სუფსის ჭალაში დაბნეულ სოფლებს ცეცხლს უკიდებდა.

– ქეთო! – მოადგა ვიღაცა ჭიშკარს. ჩხართვმა სტვენა შეწყვიტა.

– სოსო, სოსოია, ბიჭო! – ახლა მე დამიძახა სტუმარმა.

– მობრძანდი! – გავძახე უკმაყოფილომ და წამოვჯექი.

ეზოში ჩვენი ბრიგადირი დათიკო ჩამოვიდა.

– გამარჯობათ თქვენი! – მოგვესალმა იგი.

– გაგიმარჯოს! – უპასუხა მამიდამ, მერე ადგა და სტუმარს სამზარეულოში შეუძღვა.

კონინდარზე წამოვწექი და დაველოდე, როდის დაიწყებდა ჩხართვი გალობას ისევ, მაგრამ აღარ გალობდა. ავდექი და სამზარეულოში შევედი. ბრიგადირი რაღაცას ეუბნებოდა მამიდას, მე რომ შევედი, გაჩუმდა. მამიდა უხმოდ იჯდა, მუხლებზე ხელი შემოესალტა და ბუნარში ჩაფერვლილ ნაკვერჩხლებს ჩასცქეროდა. ბრიგადირმა ქისა ამოიღო ჯიბიდან, თუთუნის გახვია, ბუნარისკენ დაიხარა, ცეცხლმოკიდებული ფიჩხი აიღო, თამბაქოს მოუკიდა და გააბოლა. ოთახში მყრალი თუთუნის სუნი დატრიალდა.

– სოსოია, წყალი დამალევიე, შენს გაზრდას. – მთხოვა მან. დოქთან მივედი.

– მაგი არა, ცივი მოიტანე.

დოქი ავიღე და ეზოში გავედი, როდესაც შემოვბრუნდი, ბრიგადირი რაღაცას ამბობდა, ჩემს დანახვაზე ისევ დადუმდა. წყალი მივაწოდე.

უგემურად მოსვა.

– კიდევ დავისხა?

– მადლობელი ვარ, მეტი არ მინდა.

– დაგელია კიდევ ერთი ჭიქა, შე კაცო! – შევეპატიჟე მე. მამიდას გაელიმა.

– სოსოია, გახედე ერთი, რა აყფებს იმ ძაღლს?... – მითხრა ბრიგადირმა დუმილის შემდეგ.

– თუ ვინმეა, დაიძახებს. – ვთქვი მე. ბრიგადირი უხერხულად შეიშმუნა.

– გადი, ბიჭო ერთი წუთით გარეთ, სიტყვა მაქვს სათქმელი ქეთოსთან. – შემევედრა ბრიგადირი.

– თუ რამე გაქვს სათქმელი, ჩემთან უთხარი, – ვუპასუხე და ისე მოხერხებულად დავჯექი, ვინმე სკამიანად თუ გამიტანდა გარეთ, თორემ ისე ვერაფრით ვერ ამაგლეჯდა ადგილიდან.

– უფროსი და უმცროსი, სტუმარი და მასპინძელი არ იცი, ბიჭო, შენ? – მკითხა ბრიგადირმა და ისე შემომხედა, მივხვდი: მამიდაჩემის რიდი რომ არა, სიამოვნებით ამახევედა ყურს.

– ყოველ დამე სტუმარი არ გამიგია მე!

– გაჩერდი, ბიჭო! – გამიჯავრდა მამიდა.

– მე ბრიგადირი ვარ და ყველას ოჯახში ასე დავიარები. – ამიხსნა დათიკომ.

– ჰოდა, ბრიგადირი თუ ხარ და ყველას ოჯახში თუ ასე დაიარები, გადადი ახლა სხვის ოჯახში!

– რა უნდა, ქეთო, ამ ბიჭს, რომ მჭამს ცოცხლად? – ჰკითხა ბრიგადირმა მამიდაჩემს.

– თქვი, დათიკო, რა გინდა!

დათიკო შეიშმუშნა და ხრინწიანი ხმით დაიწყო:

– ხვალ მერიაში მივდივართ ყანის სათონხარად და ბიჭი დაგვანმარე, ჩემო ქეთო. გაიგე ახლა რა საქმეზე ვარ მოსული? – შემომიღრინა მან.

– გავიგე! – შეველრინე მეც. მამიდას გაელიმა. იგი ადგა, ბუნხართან მივიდა, კეციდან ნაკვერჩხლიანი თუნუქი გადმოიღო, ჭადზე თითები დააკაკუნა, თუ გამოცხვავო, მერე არეკა, ტილოში გაახვია და მაგიდაზე დადო. ახლა დერგთან მივიდა, შიგ ხელი ჩაყო, დიდი წველა ყველი ამოარჩია, მაგრად დაწურა და ჭადს ზევიდან დაადო. ბრიგადირი მიხვდა, მამიდა საგზალს მიხაზირებდა და სახე გამოედარა.

– წადი ახლა, დათიკო, – სთხოვა მამიდამ. დათიკო კარისაკენ წავიდა, ზღურბლთან შემოტრიალდა და თქვა:

– ალიონზე ფოსტის წინ მოვიყრით თავს, იქ მოდი, ჩემო სოსოია, არ გრცხვენია, რომ მეჩხუბები?! რა გვაქვს მე და შენ გასაყოფი? შევრიგდით, ხომ?

თავი დაუქუჩნე.

– შრომადღეს, როგორც კაცებს, ისე დაუწერ, – უთხრა ახლა მამიდას.

მამიდამ თავი დაუქნია და ბრიგადირი წავიდა. ეზოში გავედი, ზღმარტლზე აყუდებული ახალმოპირული თოხი ღარზე ჩავიტანე და ყუით წყალში ჩავდე. მამიდამ ლამაზა გარეთ გამოიტანა, კარი მიიხურა, ურდულში ჯოხი გაუყარა და დასაწოლად ოდაში ავედით.

* * *

მამიდაჩემი ქართულის მასწავლებელია. იგი ყველაზე განათლებული და ლამაზი ქალია ჩვენს სოფელში. მამიდა, ბაბუაჩემის სკივრში რომ ხატი დევს, იმაზე გამოსახულ ღვთისმშობელს ჰგავს მარიამს, და ქეთევანი ჰქვია. ალბათ, ამიტომ ვერ გაუბედა ვერავინ, სიყვარული ეთქვა, და არის მამიდა გაუთხოვარი. მე ძალიან მიყვარს მამიდა და სულ მეშინია, არ გათხოვდეს. მამიდა გრძნობს ამას და, ალბათ, ამიტომ არ თხოვდება, თუ არა და, რა უშლის, აბა, ხელს?!

ვწევარ ჩემს საწოლზე გულაღმა, თვალგახელილი და მამიდას ჩურჩულით ვეკითხები:

– მამიდა!

– რა გინდა, ბიჭო?

– გძინავს, მამიდა?...

– თქვი, რა გინდა.

– რა უნდა დათიკო ბრიგადირს, ყოველ საღამოს რომ დაიარება?

– არ ვიცი, ბიჭო!

– ნუ მოდის მაგი ჩვენთან!

– ხომ არ გავაგდებ, ბიჭო?

– არ ვიცი მე, ნუ მოდის... მოვა, დაჯდება, წყალი მომიტანე, ძაღლს გახედე, გადი გარეთ, იმას მიხედე, ამას მიხედე, კი ვიცი მე, მაგას რა უნდა!

მამიდა არაფერს ამბობს.

– მამიდა, რამდენი წლის ხარ ახლა შენ? – ვეკითხები ღუმილის შემდეგ.

– დაიძინე, ბიჭო!

– მითხარი.

– ოცდათხუთმეტის.

– რატომ არ თხოვდება მერე?

მამიდა ღუმს, მესმის მისი მშვიდი სუნთქვა და ველოდები, როდის გამცემს პასუხს. იგი ხმას არ მცემს.

- ა, მამიდა?
- დაიძინე, ბიჭო, ხვალ ადრე ხარ ასადგომი!
- რატომ არ თხოვდები, მამიდა!
- არავინ მთხოულობს, ბიჭო, არავის მოსწონს მამიდაშენი!
- ტყუილია მაგი. შენ ქვეყანას მოსწონხარ, დათიკოსაც უყვარხარ.
- მერედა, გეძებები მაგისთვის?
- არა.
- ჰოდა, დაიძინე ახლა!

მე ვიძინებ და მესიზმრება: მამიდაჩემი დგას სოფლის ეკლესიის წინ, თეთრ საქორწინო კაბაში გამოწყობილი, თეთრი, მაღალი, ღვთისმშობელივით ლამაზი. მის წინ დამხობილია მთელი სოფლის კაცები, ვეხვეწები, ნუ გათხოვდები-მეთქი, და იგი არავის არ მიყვება, იხდის საქორწინო კაბას, მოდის ჩემთან, მკიდებს ხელს და ერთად მივდივართ შინ.

* * *

ალიონზე ფრთხილად ავდექი, მძინარე მამიდას ლოყაზე ვაკოცე, სამზარეულოში ჩავედი, საგზალი სკოლის ჩანთაში ჩავდე, ღარზე ჩავიბინე, პირზე წყალი შევისხი, მერე თოხი წყლიდან ამოვიღე, ტარი ჩანთის სახელურში გავუყარე და სოფლის ფოსტისკენ გავიქეცი.

მთელი ჩვენი ბრიგადა ფოსტის წინ იდგა თოხებზე დაყრდნობილი, ხალხს თავი მაღლა აეწია და ფოსტის სვეტზე გამოკიდებულ დაფლეთილ რადიოს უგდებდა ყურს. რეპროდუქტორი ცახცახებდა, ხრიალებდა და ხრინწიანი ხმით რალაცას გადმოსცემდა. ყველა ღუმდა. მე რომ მივედი, რეპროდუქტორიც დაღუმდა.

- გამარჯობათ თქვენი! – ხმა არავის გაუცია.
- გამარჯობა, ხალხო, თქვენი! – გავიმეორე გაუბედავად. არავინ არაფერი მიპასუხა.
- გერასიმე ბიძია, რა მოხდა?! – კკითხე კარის მეზობელს და შევანჯღღრე. მან უაზროდ მომხედა, მერე ფოსტის კიბეზე ჩამოჯდა, თუთუნი ამოიღო, გაახვია და ისე გააბოლა, თითქოს არც დავენახე.

– თქვი, ასალო ბიძია, რა მოხდა, კაცი არ ხარ, შე კაცი? – შევევედრე ახლა გერასიმეს გვერდით ჩამომჯდარ მეორე მეზობელს. მან თავიდან ფეხებამდე ამათვალიერ-ჩამათვალიერა, დიდხანს მიყურა თვალებში, მერე პირი ამარიდა და ისე მითხრა:

- ომია, სოსოია ბიძია, ომი!
- რა ომი, ასალო ბიძია?
- ჩხუბი, კაცის კვლა და სისხლის ღვრა, გეყურება?
- ვისთან?

ასალომ ხელი ჩაიქნია.

– ვისთან?! – გავიმეორე და გარშემო მიმოვიხედე, ხალხი იდგა გაფითრებული და შეშინებული.

- გერმანიასთან! – თქვა, როგორც იქნა, ვიღაცამ.
- რომელ გერმანიასთან?
- მწვანე გერმანიასთან! – მიპასუხა ასალომ.

მივხვდი, რომ მოხდა რალაც დიდი, საოცრად დიდი უბედურება. არასდროს არ მინახავს ამდენი ხალხი ერთად დამუნჯებული, გაფითრებული, შეშინებული და უცებ შემეშინდა, ისე როგორც შუალამით სოფლის სასაფლაოზე მარტოდ გავლა. რომ არ მეყვირა, გერასიმე ბიძიას

გვერდით ჩამოვჯექი და მუხლზე ხელი დავადე. გერასიმემ გაკვირვებული თვალებით შემომხედა, მერე თავზე ხელი დამისვა და მითხრა:

– წადი ახლა შინ და ნუ გეშინია, ბიძიკო!

ავდექი და შინისაკენ გავბრუნდი.

– ავი თოხი და საგზალი წაიდე! – დამაბრუნა გერასიმემ. თოხი და საგზალი ავიღე და წავედი.

მზე უკვე ამოსცილდა ტოლების მთებს, სუფსის ხიდთან რომ მივედი და შინისაკენ გადავუხვიე. მივიღიე თავჩალუნული...

– სოსოია მამალაძეს გაუმარჯოს!

თავი ავწიე, ჩემს წინ ზურგზე გოდორმოკიდებული ლუკაია ფოცხიშვილი იდგა. შუბლზე ოფლი ხვითქად ჩამოსდიოდა.

– ერთი ავი გოდორი ჩამომადგმევინე, თუ კაცი ხარ.

გოდორი ჩამოვადგმევინე. ლუკა გოდორს მოუჯდა, მერე ხელით მანიშნა, გვერდზე მომიჯექიო.

მიუჯექი.

– სახაჭუნე ვაშლი მიმაქვს გასაყიდად. კი იცი შენ ჩემი სახაჭუნე ვაშლი, ეზოში სალორესთან რომ მიდგას... ჩემი ღორი არ გინახავს? მაკეთაა, ძროხაც მაკეთაა. ნახე ერთი, როგორ ხაჭუნობს, ამოიღე ერთი ცალი და ნახე, ოღონდ მაგი არ ჭამო, გასაყიდად მიმაქვს. ისე, ამოდი ჩემთან და რამდენსაც გინდა, გაჭმე. თუთუნი გექნება შენ, – თუთუნი ამოვიღე ჯიბიდან და გამოწვდილ ხელისგულზე დავუყარე. ლუკაიამ თუთუნს უსუნა და განაგრძო, – კაი სამუშაო დღეა დღეს, მარა ვიფიქრე, ერთ-ორ კაპიკს გავაკეთებ-მეთქი... ქალაქშიც გექნება, – მე თამბაქოს გასახვევი ქალაქი მივაწოდე, – ჩვენს ბრიგადირს რომ ჰკითხო... ცეცხლი არ გაქვს? – ასანთიც მივაწოდე. მოუკიდა და სიამოვნებით გააბოლა, – მაგას რა ენაღვლება, შვილი არ ყავს და ძირი. ბიჭი მომასმარეო. ბიჭი უმაღლესში უნდა მოეწყოს წელს და თოხი ვაბაყუნებო ყანაში? არ გამოუვა მაგი ნომერი, ა, რას იტყვი შენ? რავა დამუნჯებულხარ, შე უპატრონო, თქვი რამე! – შემომიტია უცებ ლუკაიამ.

– ლუკა ბიძია, ომი დაიწყო!

– ვინ? – მკითხა ლუკაიამ, ისე რომ ჩემსკენ არც გამოუხედავს.

– გერმანია.

– სად?

– რუსეთში.

– ვისთან? – თქვა ისევ ლუკაიამ.

– ჩვენთან!

– ვინ ჩვენთან?

– ჩვენთან, საბჭოთა კავშირთან.

– როდის?

– დღეს!

ლუკაიას უცებ მკვდრის ფერი დაედო, კვამლი სასულეში გადასცდა და ხველება აუვარდა. დიდხანს ახველებდა, ბოლოს ჩაბჭირდა, გაშავდა და გაბჭული სტვენა ამოუშვა ფილტვებიდან. მერე ხელი ისე ჩამავლო მაჯაში, თითები გამილურჯდა, ასე იყო ერთხანს. ბოლოს გადაუარა.

– ვინ ვითხრა, ბიჭო, მაგი?

– რადიომ თქვა ამ დღით!

– გაჩერდი!

– თქვა!

– იხუმრე შენ ხომ, ბიძია? – ვედრებით მკითხა ლუკაიამ.

– არა, რადიომ თქვა ამ დღით.

ლუკაიას აღარაფერი უკითხავს. დიდხანს იჯდა და მიწას ჩასცქეროდა. მერე წელმოწვევტილი ადგა, – გოდორი მომაკიდებიეო, მთხოვა. შინისაკენ გაბრუნდა. ცოტა რომ გაიარა, შემობრუნდა და რაღაცის თქმა დააპირა, მერე, ეტყობა, გადაიფიქრა და ისე დამიწყო ყურება.

– რა იყო, ლუკა ბიძია?

ლუკაიამ არაფერი მითხრა, ხელი ჩაიქნია, შებრუნდა, თავი ჩაღუნა და უხმოდ წავიდა.

შინ რომ მივედი, მამიდა გობზე ცალი ხელით ჭადის ფქვილს ზელდა და მეორეთი თუნგიდან წყალს უზავებდა. კარი ღია იყო და ისე შევედი სამზარეულოში, ჩემი მისვლა არც გაუგია.

– მამიდა, გერმანიამ ამ დღით ომი დაგვიწყო!

მამიდამ თავი აწია და გაოცებული თვალებით შემომაჩერდა.

– რადიომ თქვა ამ დღით, გერმანიამ ომი გამოგვიცხადა.

მამიდას ცომიანი ხელი აუკანკალდა, იგი თვალს არ მაცილებდა, თუნგიდან თბილი წყალი იღვრებოდა გობში, გობი თანდათან აივსო და ახლა სქელი რძისფერი სითხე გადმოდიოდა და იღვრებოდა მამიდას ფეხებთან. მე თვალს არ ვაცილებდი მამიდას ათრთოლებულ ხელებს.

– იცი, ბიჭო, შენ რას ამბობ? – მკითხა ბოლოს მამიდამ საიდანღაც, ძალიან შორიდან.

უარყოფის ნიშნად თავი გადავაქნიე.

არ ვიცოდი, რას ვამბობდი, მაგრამ მივხვდი, რომ მოხდა რაღაც დიდი, საოცრად დიდი უბედურება, რომელიც ამ დღით ჩემთან ერთად შემოვიდა ჩვენს ოჯახში.

zRvis ukuqceva

რაიონული კლუბის ეზოში უამრავი ხალხი ირევა. იცინიან, მღერიან, ტირიან, ქვითინებენ. რაღაცას სთხოვენ და პირდებიან ერთმანეთს. მერე ეხვევიან, ჰკოცნიან, აბარებენ, უბარებენ, არიგებენ, ემუქრებიან, ეალერსებიან, ისევ პირდებიან, ისევ ჰკოცნიან ერთმანეთს და ასე გაუთავებლად.

დიდი ბჟოლის ძირში, კონდარზე ზის გერასიმე ბიძია, თუთუნს აბოლებს და თვალს არ აცილებს თავის ვაჟს, რომელიც ოპა, ოპას ძახილით მაღლა ისვრის პატარა გოგოს. გოგო ფეხს ფშეკს, კისკისებს, იჭაჭება. მის გვერდით დგას დაღლიავებული მისი ცოლი, შავი მაშკო. იგი ქვედა ტუჩს იკვნეტს და თვალებიდან ლაპალუპით ჩამოსდის ცრემლი.

ასალო გუდავაძე კლუბის კიბეზე ჩამომჯდარა, გვერდით თავისი ვაჟი მოუსვამს. ვაჟს ფერხითთ ახალგაზრდა ქალი უზის, მას ქმრის მუხლებზე უდევს თავი და გაუჩერებლად ტირის.

– აგი ქალი არ გაუშვა დედისოულს, ბაბა! – უბარებს ვაჟი ასალოს და ცოლს თავზე უსვამს ხელს.

– არა, ბაბა.

– მარგალიტა, არ მიატოვო ბაბა, ცოდვია მარტო, – ქალი ტირის.

– მე მალე დავბრუნდები, ბაბა!

– კი, ბაბა.

– გაჩერდი ქალო, ჩემს მეტი არავინ მიდის ჯარში, თუ იცი? – მარგალიტა ტირილს უმატებს. ქმარი ეფერება.

– ტყუილა-უბრალოდ თავი არ გაიფუჭო, ბიჭო, ჭკუით იყავი! – ეუბნება ასალო.

– ნუ გეშინია, ბაბა, ჰიტლერის თავს ჩამოგიტან, თუ ვყოფილვარ ბიჭი! – იღიმება ვაჟი.

– შენი თავი ჩამომიტანე, ბაბა, მე იგი მირჩენია! – ამბობს ასალო.

მარგალიტა ისევ ტირის.

- ამ ქალს მიმიხედე, ბაბა!
- კი, ბაბა, რად მინდა დარიგება!
- ბაბა!.. – ასალოს ბიჭი იშმუშნება...
- თქვი, შვილო.

– ერთ-ორ თვეს კი და, მერე წყალი არ მოატანინო, შეშა არ მოაზიდო, წისქვილზე არ გოუშვა, ყანა არ ათონინო! – ასალო თავს უქნევს თანხმობის ნიშნად.

– მაგი თვითონ არ გეტყვის და მძიმე არაფერი ააწევო... – განაგრძობს ასალოს ბიჭი. ასალო იღიმება და თავს უქნევს.

ლუკაიას თუთუნის გახვევა უნდა, მაგრამ ვერ ახვევს, უკვე მეორე ქალაღი ჩაასკდა ხელში და დაეპნა თუთუნი. ლუკაიას ხელები უკანკალებს. მე თუთუნს ვართმევ, ვუხვევ და ვაწვდი. ლუკაია მადლიერი თვალებით მიყურებს. უკიდებს და ქაჩავს, ახლა ტუჩები უკანკალებს ლუკაიას.

– სოსოია, რა ვუყო ამ ბიჭს, ა? – მეკითხება. მე არ ვიცი, რა უნდა უყოს ლუკაიამ თავის კუკურას. იგი დგას შეზარხოშებულ ტოლებში და ხმამაღლა ყვება რაღაცას, ბიჭებს კბილებს კრეჭენ და ულაცებით ხვიხვინებენ.

- მაგენს თავს გადაპარსავენ ყველას! – წუხს ლუკაია.
- თავს კლასშიც გვპარსავენ ყველას, – ვამშვიდებ მე.
- გერასიმეს რა უჭირს, ნაგრამი რჩება, მე რა მრჩება?
- დაბრუნდება მალე, ლუკა ბიძია!
- ყველა ვერ დაბრუნდება, სოსოია!

– ყველა დაბრუნდება! – ვეუბნები იმიტომ, რომ ვიცი, ყველა დაბრუნდება, სულ ყველა. მე ჯერ არ მინახავს კაცი, რომელიც ჯარში წასულიყოს და არ მობრუნებულყო. ვდგები და მივდივარ ჩემი სოფლის ბიჭებთან. ისინი მთვრალეები არიან, მიდიმიან, მკოცნიან, მეც ვუცინი მათ და ვკოცნი.

- ანზორა, მიდიხარ?
- მივდივარ, სოსოია.

– ხომ დაბრუნდები, ანზორა? – ანზორა იღიმება. მის მკერდზე ტირის მისი საცოლე მაყვალა. ახლა იგი ეკითხება:

- თქვი, ანზორა, ხომ დაბრუნდები?
- აბა, არ დავბრუნდები?
- შენ, ნიკუშა?
- მეც, სოსოია. შენ არ მოდიხარ? – მიცინის ნიკუშა.
- მაგას ვინ წაიყვანს, – ეუბნება აბიბო.
- არ მიწევს და რა ვქნა? – ვეუბნები.

– სოსოია, შეხედე, ბიჭო, რამდენ გოგოს ვიტოვებთ, მიხედე ამ თხებს, ტურამ არ შეგეჭამოს, თორემ რომ ჩამოვალთ, ოთხში ამოვიღებთ, – მეუქურება ჯუშბერა.

– რაც ტურები იყავით, ყველანი მიდიხართ და ვინ შეჭამს? – ვეკითხები. გოგოები იცინიან. მერე სხვებთან მივდივარ.

- ვის აცილებ, სოსოია? – მეკითხება მეზობელი.
- შენ არ მიდიხარ, თუ?
- მივდივარ, სოსოია.
- ჰოდა, შენ გაცილებ.

თამაზი გულში მიკრავს, მკოცნის და ჩურჩულით მეკითხება:

- მამიდაშენი ქეთო ვის აცილებს, სოსოია?

მამიდა მესერთან დგას დათიკო ბრიგადირის პირდაპირ და თვალს არ აცილებს მას. დათიკო ბრიგადირი რაღაცას ეუბნება, მამიდა ყურს უგდებს. მეც ვუყურებ დათიკოს. იგი გაფითრებულია. მერე დათიკო მკლავზე ჰკიდებს ხელს მამიდას. მამიდა არ აშვებინებს ხელს.

დათიკო ახლა მეორე მკლავზე ჰკიდებს ხელს მამიდას და ახლა ორივე მკლავი უკავია მამიდასი. მამიდა არც მეორე ხელს აშვებინებს და ისინი ახლა სულ ახლოს დგანან ერთმანეთთან. ვუყურებ მამიდაჩემს, იგი გაფითრებულია და ახლა უფრო ჰგავს ღვთისმშობელს, მაგრამ აღარ მეშინია, რომ იგი გათხოვდება, რომ მას ახლა ვინმე წამართმევს, და არ მივლივარ მათთან. მამიდა გრძნობს ჩემს მზერას და ჩემკენ იხედება. დათიკოც იხედება ჩემკენ და მეძახის:

– სოსოია, მოდი აქ, ბიჭო!

მივლივარ და მამიდას გვერდით ვდგები.

– მემღური, სოსოია? – მეკითხება დათიკო და თმას მქაჩავს.

– რა მაქვს შენთან სამღურავი?! – ვუბნები და წასვლას ვაპირებ.

– არ წახვიდე, იყავი ჩვენთან.

ვრჩები.

– მივლივარ, სოსოია, ომში!

– ყველა მიდის!

– მიხედე მამიდაშენს, შენ ვაჟკაცი ხარ ახლა!

– შენ რომ არ მითხრა, უშენოდაც მივხედავ!

– ხომ იცი, როგორ მიყვარს მამიდაშენი!!

– შენზე უფრო მე მიყვარს!

– მე მალე დაბრუნდები, სოსოია, და მერე ერთად ვიქნებით სულ!

– ყველა დაბრუნდება და ყველა ერთად ვიქნებით.

– ყველა არ დაბრუნდება!

– ნახავ, თუ არ დაბრუნდება!

კლუბის ეზოში შემოდის ასალგაზრდების მთელი ჯგუფი. შუაში ლამაზი, ცეცხლივით წითელთმიანი გოგო ჩაუყენებიათ და მთელი ხმით მღერიან:

ომში მიდის ჩემი ბიჭი,
თან მიყვები მეცო,
ვერაფერი დაგვაცილებს,
აწი ერთმანეთსო...

ნაშუადღევს სამხედრო კომისარი კლუბის აივანზე გადმოდგა და ორსაათიანი სიტყვა თქვა. პირველი მსოფლიო ომის გამომწვევი მიზეზები და შედეგები რომ ვერ გაიხსენა კარგად, უცებ მეორე მსოფლიო ომის წარმოშობა ფაქტორებზე გადავიდა და გერმანია მიწასთან გაასწორა, არც იტალიას და იაპონიას მოფერებია მაინცდამაინც. ბოლოს ჰიტლერი და მუსოლინი მონარშული კარტოფილივით შემოეფცქენენ ხელში და იმდენი ილაპარაკა ჩვენი ჯარის კონტრდარტყმებზე, ჩვენს თვითმფრინავებზე, ტანკებზე, არტილერიაზე, კავალერიაზე, რომელიც დღეს თუ ხვალ ბერლინში უნდა შესულიყო, რომ ჯარში წასასვლელად გამზადებული ამდენი ხალხი შინ კინაღამ დააბრუნა. რაიონის სასულე ორკესტრმა, რომელსაც მონუცი მაესტრო ხელმძღვანელობდა, სიტყვის დამთავრებისთანავე ტუში დაცხო. მერე უცებ ორკესტრი დადუმდა. ბიჭებმა ფრთხილად დააწყვეს ინსტრუმენტები კონინდარზე ერთმანეთის გვერდით, რიგრიგობით მივიდნენ თავჩაქინდრულ მაესტროსთან, სათითაოდ გადაკოცნეს და მანქანების ძარაზე აძვრნენ. ხალხი მანქანებს მიცვივდა:

– არ წახვიდე, ანზორა ბიჭო!

– მღუპავ, ნენა?!

– წერილის დაწერა არ დაიზარო!

– არ გამომჭრა, ბაბა, ყელი!

– არ შეაკლა, ნენა, თავი მაგ სასიკვდილეებს!

– დაქოქე აწი, შე უპატრონო, ვეღარ გავუძელი ამის ყურებას.

– ამოდი აწი მანქანაზე, ამირანა, გათავდა ომი!

და უცებ თითქოს მზე ჩავიდა, თითქოს დაღამდა, თითქოს ქვეყანა ორად გაიყო: ათ საბარგო მანქანას მიჰყავდა ჩვენი სისხლი და ხორცი, რომელსაც ითხოვდა მიწა იმ დიდი სიყვარულის ფასად, რომლითაც უყვარდა იგი ამ ხალხს. მანქანების გასწვრივ ვიდექით ჩვენ – დედები, ცოლები, დები, მამები, ბავშვები, რომლებმაც გავიღეთ ეს მსხვერპლი. კონინდარზე უპატრონოდ დარჩენილ საკრავებს შორის იღვა სახეზე ხელებაფარებული მოხუცი მანქანა და მხრები უცახცახებდა.

მანქანები ნელი გუგუნით დაიდრა. ამ დღეს პირველად დავინახე ცრემლი ამდენი ადამიანის თვალზე, ამდენი მწუხარე, შეშინებული და გაფითრებული ადამიანი, ამ დღეს პირველად ვნახე ატირებული მამიდა. ეს დღე გავდა უზარმაზარი ზღვის მოქცევას, რომელიც მოულოდნელად უკუიქცა და დაგვტოვა ნაპირზე, როგორც თევზები, ნიჟარები, ლოკოკინები და ნაფოტები.

* * *

თვალგახელილი ვწევარ ბნელ ოთახში და ჩურჩულით ვეკითხები მამიდას:

- მამიდა!
 - რა გინდა, ბიჭო?
 - გძინავს, მამიდა?
 - არ ძინავს!
 - მამიდა, დათიკო წავიდა.
 - ყველა წავიდა.
 - მეტი აღარავინ წავა?
 - კიდევ ბევრი წავა.
 - მამიდა, რომ არ დაბრუნდეს დათიკო?
 - დაიძინე, ბიჭო!
 - რომ არ დაბრუნდეს, შენ რას იზამ?
 - ბევრი არ დაბრუნდება, სოსოია, ბევრი!
 - სწავლა თუ იქნება, მამიდა?
 - იქნება!
 - ჟორჟიკას ქორწილი თუ იქნება ხვალ?
 - იქნება, ყველაფერი იქნება...
 - მამიდა!
 - დაიძინე!
- მე ვიძინებ და არაფერი არ მესიზმრება.

xatia

ომის დაწყება ყველაზე ადრე სოფლის კოოპერატივს დაეტყო, – დახლიდან ჯერ შაქარი გაქრა, მერე ასანთი, მერე ერბო და კარაქი, მერე საპონი, მერე მარილი, მერე პური, ნავთი და ბოლოს თვითონ დახლიდარი ლასა. მერე ყანაში მოხშირდა ბალახი, მერე დადგა სამთვალა წისქვილის ერთი თვალი, მერე გამოილია შეშა და მატრონა დეიდამ თავის ეზოში ვენახიანი ხე მომაჭრევინა. მერე შეუწამლავი დარჩა ჩვენი ცოლიკაური, შეწყდა ჯარობანა, კიდობანში დაილია ფქვილი, გამსხვილდა საცერი. ერთ დღეს საერთოდ გაუცრელი ჭადი

გამოაცხო მამიდამ. ერთ ღამეს განწირულმა კივილმა წამოგვეყარა საწოლებიდან და ერთი თვის თავზე პირველმა ძაძებში შემოსილმა დედაკაცმა გაიარა სოფელში.

დილდილობით აღარ გვალვიძებდა დათიკო ბრიგადირის ბლავილი:

- ანდრია, გამოდი გარეთ!
- ედემიკა, არ გამოძჭრა ყელი.
- სოსოია, გაახილე თვალი.
- მინადორა, გადაასხი შენს მუტრუქს წყალი.
- ქესკინა, უუუ...

ახლა ყოველ ცისმარე ქსენია ბრიგადირი შემოდგებოდა სოფლის ამალღებულ ადგილზე, ორივე ხელისგულს პირზე მილივით აიფარებდა და ბუდიდან აგღებულ კრუხივით კაკანებდა:

- მატრონა, გეყოფა ძილი!
- მაშიკოლო, გამოდი ჩაში!
- ქეთოლო, მოგვეხმარე დღეს!
- მარგალიტააა, ადი ფერმაში!
- სოსოიააა, დაგაყრუა ჩემმა გამჩენმა!
- გერასიმეეე, უუუ!

გვეძახდნენ ყველას, თუკი ვინმე ვიყავით სოფელში, და გავდიოდით ყველა, თუკი ვინმეს შეგვეძლო მუშაობა. არ ეძახდნენ მხოლოდ ბესარიონ შალიკაშვილის ხატისას, მას დაძახება არც უნდოდა, იგი ყველაზე ადრე ღებოდა დილით, მსხვილ, ქერა ნაწნავებს გვირგვინად იკრავდა თავზე; გამოდიოდა ჩაის პლანტაციამი, გამარჯობას იტყოდა ხმამაღლა, ისე რომ არავის გვიცქეროდა სახეში. იგი იცქირებოდა სადღაც შორს, შორს და იღიმებოდა. მერე ძალიან ფრთხილად ღებოდა კვალში და უფრო ფრთხილად არჩევდა ჩაის ფოთლის თვითოეულ ყლორტს, ლამაზი და თხელი თითებით. თუ ყანას ვთოხნიდით, იგი დაჩოქილი აცლიდა ბალახს სიმინდებს, ან იჯდა ნაპირის ბოლოში, ისევე სადღაც შორს იცქირებოდა უსასრულობაში და ისევე იღიმებოდა თავისი დიდრონი ცისფერი თვალებით.

ხატია ყველას და ყველაფერს უღიმოდა, ხატისას ყველა და ყველაფერი უყვარდა. იგი უთქმელად უგებდა ყველას სიხარულსაც და მწუხარებასაც, გულთამხილველი იყო, ზეპირად იცოდა, რას ლაპარაკობდნენ გაღმა სოფელში და რას ჩურჩულებდნენ ერთმანეთში მეზობლები, ამიტომ იგი დიდსა და პატარას ერთნაირად უყვარდა, ყველას თავისიანად მიაჩნდა და ყველა ჭკუის დარიგებას თხოვდა ამ თითისტოლა და დედაკაცივით ბრძენ გოგოს.

ხატია ჩემი ტოლი იყო, ერთად დავდიოდით სკოლაში. ერთად ვისხედით მეექვსე კლასის უკანა მერხზე, ერთად ვუცქეროდით შავ დაფაზე ცარციტ გამოყვანილ რთულ განტოლებებს. მაგრამ ხატია არასოდეს არაფერს არ იწერდა, ხატია ყველაფერი ზეპირად იცოდა, იგი დაბადებიდან ბრმა იყო და მანც ყველაზე ლამაზი და ჭკვიანი ჩვენს ჯგუფში.

* * *

კარგად გათენებული არც იყო, მე ისევე ლოგინში ვიწექი, მამიდა კი ჩემს ხალათს დილს აკერებდა. აივანზე ვიღაც ამოვიდა.

– ქეთო მასწავლებელო! – დაიძახა მან გაუბედავად.

ხატისას ხმას ყველა იცნობდა სოფელში და მამიდას არც უკითხავს, რომელი ხარო, ისე დაუძახა, შემოდო.

– დილა მშვიდობის! – თქვა ხატია და კარში დადგა.

– დილა მშვიდობის, ჩემო ხატია, რამ აგაყენა ამ ალიონზე, ქანდარაზე ხომ არ გეძინა? – ჰკითხა მამიდამ.

– სულ არ მიძინია წუხელ, ქეთო მასწავლებელო!

– რაო, რა მოხდა...

- სოსოია შინ არის?
- აგერ ვარ, გოგო, რა გინდა?
- აბა, ვერ გეტყვი, ქეთო მასწავლებელი, ადგეს მაგი და გავიდეს გარეთ. მამიდამ გაკვირვებით გადმომხედა და მანიშნა, ადექიო.
- შებრუნდი იქით! – ვუთხარი ხატიას უკმაყოფილო და შარვალს ხელი წამოვავლე. ხატიას გაელიმა და მაინც მიბრუნდა. მე გარეთ გამოვედი, კარი განგებ მაგრად მოვიხურე, ბრახუნით გავიარე აივანზე, მერე ფეხაკრეფით დავბრუნდი უკან, კარს ავეკარი და სმენად ვიქეცი.
- სოსოია, მოცილდი კარს, სუნთქვა მეყურება შენი! – მითხრა შიგნიდან ხატიამ. სხვა გზა არ მქონდა, ეზოში ჩავედი, ცოტა ხნის შემდეგ დავბრუნდი და კარი გავაღე. ქალაღვივით გაფითრებული მამიდა მაგიდასთან იჯდა, ორთავე ხელი საფეთქლებზე შემოეწყო, წინ გადაგდებულ ჩემს ხალათს დაშტერებოდა და ღუძდა. ხატია მასთან მისულიყო ზურგის მხრიდან, სულ ახლოს, მხარზე ხელი მოეხვია მამიდასათვის და მასზე უფრო გაფითრებულიყო.
- შენ, თუ იცი, რას ამბობ, ხატია? – ჰკითხა მამიდამ თავაულებლად. ხატიამ ხმა არ გასცა.
- იქნებ, შეგეშალა, ხატია? – გაუმეორა კითხვა მამიდამ.
- არ შეიძლება, მე კაცის ხმა შემეშალოს, ქეთო მასწავლებელი! – უპასუხა ხატიამ.
- როგორ შეიძლება, გოგო, ამის დაჯერება! – თქვა ისევ მამიდამ.
- წისქვილიდან რომ გამოვედი და აღმართი ამოვიარე, შევისვენე. გამოიარა და მკითხა, რომელი ხარო. ხატია ვარ-მეთქი, ვუთხარი. ამ შუალამისას რას დაეთრევიო...
- ხატია დაღუძდა...
- მერე? – ჰკითხა მამიდამ და ხატიას ახედა.
- ჩემთვის შუალამე და შუალდე ერთია-მეთქი, ვუთხარი. სახელიც ვუთხარი მისი. იმას აქ რა უნდა, სულელო, მე ტარასიე ვარ, ანთიძეო!
- ეგებ, მართლა ტარასი იყო, ხატია? – ვედრებით ჰკითხა მამიდამ.
- ვიყავი ტარასისთან ამ დილას, სანამ აქ მოვიდოდი.
- მერე?
- ავადაა ტარასი სამი დღეა!
- იქნებ, მაინც შეგეშალა, ხატია?
- ხატიას არ შეიძლება კაცის ხმა შეეშალოს, ქეთო მასწავლებელი, მოვა მაგი თქვენთან და ნახვით, თუ არ გჯერათ ჩემი, – თქვა ხატიამ და კარისკენ დაიძრა. კარი გავუღე და გზა დავუთმე. ხატია ფრთხილად გავიდა აივანზე, ფრთხილად ჩავიდა ეზოში და წავიდა.

* * *

იმ დღიდან მამიდა დამუხჯდა. თავაულებლად დადიოდა დილიდან საღამომდე. გეგონებოდათ, რაღაც ძვირფასი დაკარგა, ეძებს და ვერ პოულობსო. სამუშაოზე გაშტერდებოდა უცებ, აღარც ლაპარაკი ეყურებოდა ჩემი, აღარც დაძახება. ვიდრე არ მივიდოდი და ხელით არ შევეხებოდი, იდგა ასე მონუსხულივით. თუ ჩაის კრეფდა, ბუჩქზე შეაცივდებოდა ხელი, თუ სიმინდს თოხნიდა, მიყვებოდა ნაპირს და ჭრიდა სიმინდს პირწმინდად. – მამიდა! – დავუძახებდი მე. უცებ გამოერკვეოდა, უკან მოიხედავდა, დაინახავდა თავის ნახელავს და ღრმად ამოიოხრებდა.

ლამით იწვა თვალგახელილი. ძაღლის ყოველ დაყეფებაზე წამოხტებოდა და სულს განაბავდა, თითქოს ვიღაცას ელოდა, ის კი არ მოდიოდა, არა და არა. განდა მამიდა, ჩამოდნა, დაილია. ბოლოს ვეღარ გავუძელი მის ყურებას და ხატიასთან წავედი.

ბესარიონ შალიკაშვილი უზარმაზარ მორზე იდგა და საწნახელს თლიდა, ხატია აივანზე იჯდა, მზეს უყურებდა პირდაპირ და ილიმებოდა.

- გამარჯობა, ბესარიონ ბიძია!
- გაგიმარჯოს, ბიძია! – მიპასუხა მან ისე, რომ მუშაობა არ შეუწყვეტია.
- სოსო ხარ შენ? – მკითხა ხატია ივინიდან.
- კი სოსო ვარ!
- მზე სადაა ახლა, სოსო? – მკითხა ხატია.
- აგერაა, ბლის წვერზე, – ვთქვი მე და მზისკენ ხელი გავიშვირე.
- აბა, ბლის წვერზე თუა, მე ვხედავ მზეს, – გაუხარდა ხატია.
- კი ბლის წვერზეა.
- მამა, რა გითხრა ბათუმში ექიმმა? – მკითხა ახლა მამამისს.
- რამდენჯერ უნდა გითხრა, გოგო? – გაუჯავრდა ბესარიონი.
- თქვი, მამა, სოსოიას უთხარი, – შეეხვეწა ხატია.
- რაო და, მზეს თუ ხედავს, სინათლეს დაუბრუნებო... – თქვა ბესარიონმა.
- გესმის, სოსოია?
- ხატია, ჩამოდი ერთი წუთით, საქმე მაქვს შენთან, – ვთხოვე ხატიას. ხატია ჩამოვიდა ეზოში, სულ ახლოს მოვიდა და გაჩერდა.
- ვიცი, რაზე მოხვედი, სოსოია.
- რა უთხარი, გოგო, ისეთი მამიდაჩემს, რომ კვდება ქალი?
- ხატია არაფერი მიპასუხა. გვერდით ჩამიარა, ჭიშკარი გააღო და ეზოდან გადავიდა. მე გავეყვი, ჩვენ სახლთან რომ მივედი, ჭიშკარი გავაღე.
- ხატია შევიდა, შუა ეზოში დადგა და მკითხა:
- სადაა ქეთო მასწავლებელი?
- მამიდა! – დავიძახე მე. მამიდა ოთახიდან გამოვიდა.
- ხატიაა მოსული, შენ უნდიხარ! – მამიდა ჩამოვიდა ეზოში, შემინებული მოგვიანლოვდა და ხატიას წინ დადგა.
- გამარჯობა, ქეთო მასწავლებელო, – თქვა ხატია.
- რა იყო, ხატია, რა მოხდა? – მკითხა ხატია ხმის კანკალით მამიდა.
- არაფერი, ქეთო მასწავლებელო, ისე მოვედი, მომენატრეთ.
- მამიდამ გაუღიმა ხატიას, მხარზე მოხვია ხელი და ოთახისაკენ წაიყვანა.
- საქმე მაქვს ეგება რამე, მასწავლებელო, მოგეხმარები! – თქვა ხატია და გაჩერდა.
- არა, ჩემო ხატია, საშენო საქმე არაფერი მაქვს, – უთხრა მამიდა.
- სიმინდი გექნება დასაფშენელი!
- ნეტავი იყოს, ჩემო ხატია, და ეს ბიჭი რას მიკეთებს მეტს, – ამოიოხრა მამიდა.
- სოსოიე ზარმაცია, – თქვა ხატია.
- მე გაკვირვებული ვუყურებდი.
- ჩვენ გვაქვს სიმინდი, ქეთო მასწავლებელო, ბევრი გვაქვს, მამამ მითხრა, რომ მოვლიოდი, თუ ჭირდება, ვასესხებო, – თქვა ხატია და მოლზე დაჯდა. მე და მამიდა გვერდით მოუჯექით.
- მაღლობელი ვარ, ჩემო ხატია, თქვენ უფრო დაგჭირდებათ.
- სადამოს ჩამოგიტანთ მამა ერთ ფუტს, – ხატია დაფიქრდა, მერე ჩუმად დაიწყო: – ქეთო მასწავლებელო, იმ დღეს რომ გითხარი, ტყუილი გამოდგა.
- რა თქვი? – მკითხა ხატია ხმის კანკალით მამიდა.
- ტყუილი გამოდგა. მომეჩვენა, მომეყურა, – თქვა ხატია და გაიღიმა. მამიდამ ეჭვის თვალით შემომხედა ჯერ მე, მერე ხატია.
- მართალს ამბობ, ხატია? – ჩაეკითხა მამიდა და ფეხზე წამოდგა. პირდაღებული შევეყურებდი ხატია.

– ახლა კი ვამბობ მართალს, მაგრამ მაშინ მომეყურა. ბევრი ვიფიქრე იმ ღამით და მივხვდი, ნამდვილად მომეყურა.

– დაიფიცე, ხატია!

ხატია გაჩუმდა, ერთხანს ასე იჯდა. ღიმილი გაუქრა სახეზე. მოლოდინად ქცეულ მამიდას სუნთქვა შეეკრა. ხატია ნელ-ნელა წამოდგა და გაიმართა მამიდას წინ.

– რა დავიფიცო, ქეთო მასწავლებელო? – ჰკითხა მან უცებ.

– დედა დაიფიცე, ხატია!

– დედის საფლავს ვფიცავარ, ქეთო მასწავლებელო! – თქვა მან დიდი ხნის დუმილის შემდეგ.

– ხომ, ხატია? მოგეყურა ხომ, ხატია?.. შენ რა გითხრა, გოგო, შენ! – მოეხვია მამიდა, სახე დაუკოცნა. უცებ ხელები სახეზე აიფარა და ატირდა პატარა ბავშვივით. მერე შეტრიალდა და ოთახში შევარდა.

ხატია კი იდგა გაუნძრევლად შუა ეზოში და იღიმებოდა. იღიმებოდა ხატია, მაგრამ ამდენი ტანჯვა მის სახეზე ადრე არასოდეს მინახავს.

ase ki araa saqme

ნასადილევს კოწია ფოსტალიონმა დათვის დელეზე გადმოიარა. ჩვენ ფერდობზე ვიყავით შეფენილი და კოლექტივის ყანას ვთონხიდით.

– კაი გამარჯობა თქვენი, ქალებო! – დაიძახა მან ისე, თითქოს მე, გერასიმე ბიძია, ლუკაია ფოცხიშვილი და ბესარიონ შალიკაშვილი იქ არ ვყოფილიყავით.

– რა მოგაქვს, კოწია? – გასძახა ქსენია ბრიგადირმა და ხელი მოიჩრდილა შუბლზე.

– შაქარი, კარაქი, თეთრი პურის ფქვილი, ხიზილალა, დოში, ტარანი და თაფლი, ნავთს და საპონს ველარ მოვერიე, ხვალ გამევიძვანიებ. ახლა გაზეთს ვტოვებ აგერ ჯირკზე და ამოგზავნეთ მაგი ენაგატლეკილი ბიჭი.

– წერილები არაა?

– წერილები გზაშია!

– გახმა შენი ენა! – კოწია თავის კანტურით წავიდა, ჩავიბინე გზაზე და გაზეთი ამოვიტანე. ყველანი შემომეხვივნენ.

– წავგიკითხე, სოსოია, რა წერია მაგ დასაწვავში, – მთხოვა გერასიმე ბიძიამ და ჩემს გვერდით დაჯდა მოხერხებულად, მე დავიწყვი:

– გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ჩვენმა ჯარებმა დატოვეს ქალაქები... – კითხვა რომ დავამთავრე, ხმა არავის ამოუღია.

– მოდის ხომ, მაგი შობელძაღლი? – თქვა ბოლოს ბესარიონამ და ჩიბუხი თოხის ტარზე დაფერთხა.

– მოდის და მერე როგორ, დაუდევი კვანტი, თუ ბიჭი ხარ, – თქვა ლუკაია ფოცხიშვილმა, მერე გაზეთი მოხია, შიგ ხელისგულზე მოფშენილი თუთუნის გაახვია, ტუჩებზე მიწებებული მტკერი გამოაფურთხა და განაგრძო:

– მთელი ევროპა მაგენიზა მუშაობს, ბაბაია, ფრანცია გინდაო, ავსტრია გინდაო, იგი გინდაო... რა ქვია, ბიჭო, მაგენთან რომ სახელმწიფოა? – მკითხა მე.

– ჩეხოსლოვაკია.

– ჩეხოსლოვაკია გინდაო... ჩვენდა ვინ მუშაობს?

– ჩვენდა ჩვენ ვმუშაობთ, – თქვა გერასიმე ბიძიამ.

– ვინ ჩვენ? – ჰკითხა ლუკაიამ.

– მე, შენ, აგი ბესარიონეს უსინათლო ციცე, აგი ყაზილარი და აგი ქალები.

– იმიტომაა ჩვენი საქმე კარგად, კარზე მოგვადგა ავერ ჰიტლერი, – თქვა ლუკაიამ და ხელი ჩაიქნია.

– კვირას ბაზარზე ვიყავი... – დაიწყო კატომ.

– სავსე იყო, ალბათ, საქონელით, ამოირჩიე სულო და გულო, რაც გინდა... – ცალყბად გაიცინა ალათიმ.

– აცალე, ქალო. მერე? – გააჩუმა გერასიმე ბიძიამ.

– მერე ერთი კაცი ყვებოდა, – განაგრძო კატომ, – ისეთი იარაღი გამოუგონებია თურმე ჰიტლერს, ათ ვერსზე წვავს დედაბუდიანად ყველაფერს.

– ვინ თქვა, ქალო, მაგი? – ჰკითხა მარგალიტამ.

– მინისტრი რომ ყავს ჰიტლერს ერთი, რა ქვია?..

– გებელსი?

– ჰო, გებელსი, იმის კუბო გავიტანე მისი ოჯახიდან.

– კიდევ რა უთქვამს?

– კიდევ, რა გვარია ის, რუბენა ტრაპაიძეს, რომ მიუგავს გვარი?..

– რიბენტროპი!

– გადაშენდა მაგის გვარი, იმას უთქვამს, მოგვაქვს თეთრი ჰური და კარაქი, მოხუცებს და ბავშვებს არ ვერჩით, მარტო კომუნისტებს ამოვხდით სულსო...

– მერე, შენ რა უთხარი? – ჰკითხა ქსენიამ.

– ვის რიბენტროპს?

– რიბენტროპს კი არა, შე ძროხა, იმ ღორის გაგდებულს, მაგას რომ გეუბნებოდა და შენ რომ ყურებს უპარტყუნებდი.

– მე რა უნდა მეთქვა, ქალო, ქვეყანა ყურს უგდებდა გასუსული, მერე, რომ დაამთავრა სიტყვა – კაციჭამია ჰიტლერს მალე ჩამოვკიდებთ ბაწარზეო, გასკდა ხალხი ტაშისკვრით.

– სად იყავი, ქალო, შენ? – ჰკითხა გაკვირვებულმა ქსენიამ.

– სად ვიყავი და ბაზრობაზე, მერე მიტინგი იყო და იქ გამოვიდა ის კაცი...

– ვაი, შენს პატრონს უბედურს, – ჩაიქნია ხელი ქსენიამ.

– ქეთო, შენ ნასწავლი ქალი ხარ და გვითხარი ერთი, რა გვჭირს? – ჰკითხა ბესარიონამ მამიდას.

– ცუდი ამბავი გვჭირს, ბესარიონ, მაგრამ არა უშავს, მოვა ზამთარი და ვნახოთ... მე მგონი, ნაპოლეონით მოუვა მაგასაც.

– ზამთარში ჩვენ არ შეგვცივდება, თუ როგორაა შენი საქმე? – იკითხა ლუკაიამ.

– კი შეგვცივდება, მაგრამ ჰიტლერი არაა ზამთრისთვის მზად! – უთხრა მამიდამ.

– რა იცი შენ?

– ჰიტლერს ეგონა, ზაფხულშივე დაამთავრებდა ომს და არაა მზად ზამთრისთვის.

– აწი ვერ მოემზადება?

– აწი გვიანია, ლუკა.

– ზამთრამდე რომ მოვიდეს, რას შვები მერე? – არ ეშვებოდა ლუკაია მამიდას.

– არ უნდა მოვუშვათ!

– ვინ – მე და შენ?

– მე და შენ.

– მაგას გააჩერებ, ქალო, დღეში ხუთ ქალაქს იღებს?

– უნდა გავაჩეროთ.

– აბა, შენ იცი, გააჩერე! – ისევ ცალყბად გაიცინა ლუკაიამ.

– ჰაიბ, შე ყიამყრალო მუტრუკო, როგორ გადაუწურე წყალი ყველაფერს! – წამოხტა ქსენია ბრიგადირი, – ასე თუ დაეგდე და თავში ქვა იშინე, მოვა, აბა რას იზამს?

– რა გაყვირებს, ქალო, მეც მაგას ვჩივი, არ მოვიდეს-მეთქი, კაპუეტივით რომ მეცი თვალბში.

– კაპუეტივით კი არა, ენას ამოგბწკვნი, ლუკაია ფოცნიშვილო! – გაიქაჩა ქსენია.

– რა უნდა გელაპარაკო, შიშველი გადარეული ხარ! – თქვა ლუკაიამ და ისევ მოხია გაზეთი. ქსენია ცოტა მოლბა.

– მარტო მკვდრის ცნობა კი არ მოაქვს კოწია ფოსტალიონს, ლუკა; მარგალიტა, მოვიდა შენი კაცის წერილი? – ჰკითხა მარგალიტას.

– კი მოვიდა, ქსენია, გუშინწინ.

– კიდევ მოვა.

– რაო, რას გწერს? – ჰკითხა ლუკაიამ.

– სანგარში ვზივარ, წერილი თუ დავაგვიანო, არ შეგეშინდეთო.

– კიდევ რას გწერს? – მარგალიტა გაწითლდა და გაჩუმდა.

– თქვი, ქალო!

– კიდევ, ბიჭი თუ გეყოლა, ჩემი სახელი დაარქვიო!

– ჰოდა, დაარქვი, გოგო რომ გეყოლოს, მაინც მისი სახელი დაარქვი, – უთხრა ბესარიონმა.

– ჩემი ბიჭის წერილი არ ჩანს, – ამოიხსრა ლუკაიამ.

– შენი ბიჭის წერილიც მოვა, – უთხრა გერასიმე ბიძიამ.

– როდის?

– მოვა, გელაპარაკები მე შენ, ჩემი ბიჭის წერილი ხომ მოვიდა? შენისაც მოვა! რას იტყვი, შენ, სოსოია? – მკითხა გერასიმე ბიძიამ.

– მოვა, აბა, არ მოვა? – ვთქვი და გაუცინე.

– ასე კი არაა საქმე, – დაიწყო ბესარიონ შალიკაშვილმა, – აგერ რომ ვზივართ დათვის ღელეში და გაღმა– გამოღმა ვერაფერს ვხედავთ, გაგვისკდება გული, აბა, რა იქნება, მაგრამ აგი ღუნია პატარა ნუ გგონიათ, რამდენი ბესარიონი და ქსენია დეიარება ამ ქვეყანაზე და ურტყამს თოხს? რამდენ ლუკაიეს და გერასიმეს ბიჭს უკავია თოფი ხელში? რამდენი სოსოიე და ხატიე დარბის ამ ქვეყანაზე, იმდენი დღე და ხანი დაჭირდება ჰიტლერს, სანამ ომს მოიგებდეს, სისხლი არ ეყოფა ძარღვში და ძალი მუხლში, გეყურებათ თქვენ? – ბესარიონამ მუხლებზე დაიწყო ვეებერთელა, ძარღვიანი და დაკოჟრებული ხელები, ნელ-ნელა წამოიწია და ქვევით ჭალაში გაიხედა. – დიდია ქვეყანა, ბაბაია, დიდი, სისხლი არ ეყოფა, დაწდება, აგერ, ჰე, ხედავთ? – ხელი გაიშვირა დაბლა. დათვის ღელის გაყოლებით იწვა უზარმაზარი ჭალა, მიწის ორთქლითა და ოდის საკვამურებიდან ამოსული თეთრი, ქათქათა კვამლით სუნთქავდა, ჭალას სისხლის დედო-ძარღვივით მისდევდა სუფსა და ქვევით მიჰქონდა ამ ვეებერთელა მიწაზე დაღვრილი ოფლი და ცრემლი, რომელიც ყოველი მხრიდან უერთდებოდა მას, გროვდებოდა ერთ დიდ მდინარედ, რწყავდა ამ უსასრულო ქვეყანას, ალბობდა ამ მკერდგადმობრუნებულ ნიადაგს, მერე მიდიოდა ისევ ქვევით, ქვევით და გაუთავებელი სიცოცხლის ნაკადად შედიოდა ზღვაში. უუცქერდი ჩვენი სოფლის გორაკზე მიწებებული ერთი მტკაველა ნაკაფიდან, რომელიც უზარმაზარ კედლებში ჩატანებულ ვიწრო ფანჯარას გავდა, ამ დაუსრულებელ სიცოცხლეს, და ვხედავდი, რომ ეს ცოცხალი მიწა ჩემს გასახეზე არ თავდებოდა, რომ იგი იმის იქით ისევ იწყებოდა, მერე ისევ, მერე ისევ და ასე დაუსრულებლად, მე ვხედავდი მზეს, რომელიც ოქროს ჯიდასავით ადგა ამ ქვეყანას და ვხედავდი, რომ არავის სისხლი არ ეყოფოდა, ძალა არ ეყოფოდა, სიცოცხლე არ ეყოფოდა, რომ ეს მიწა, ზღვა და მდინარე დაეღია.

ჩვენ ყველანი ჭალას გაყურებდით და ხმას არ ვიღებდით. ვიცოდი, რომ ამ წუთში ყველა ჩემსავით ფიქრობდა, – მარგალიტაც, ქსენიაც, კატოც, მამიდაც, გერასიმეც, ლუკაც, ბესარიონიც. ხატია ჩემს გვერდით იღვა გაღიმებული, იგი ჭალას გაჰყურებდა და მე ვიცოდი, ისიც ჩემსავით ფიქრობდა და ხედავდა.

მზე ნელ-ნელა ჯდებოდა სუფსის ჭალაზე. ტყესა და მინდორში გასული სოფელი აბღავლებულ ნახირთან ერთად შინ ბრუნდებოდა.

იმ ღამით ისევ წამოგვყარა საწოლებიდან მე და მამიდა გაბმულმა და განწირულმა კვილიმა. ეზოში გავცვივდით. კვილი სოფლის ბოლოდან ისმოდა, შუკებსა და ორლობებში დაფეთებული ხალხი გარბოდა, ჩვენც გავიქეციით.

- ვისთანაა თუ იცი, გერასიმე? – ჰკითხა მამიდამ ჩვენ გვერდით მომავალ გერასიმეს.
- დაიფსო, მგონი, ქეთო, ლუკაია ფოცხიშვილის ოჯახი... – თქვა მან და ხელი ჩაიქნია.

samxedro gakveTili

დრო თავისას აკეთებდა. იენისს ივლისი მოჰყვა, ივლისს აგვისტო, აგვისტოს სექტემბერი, სექტემბერს სწავლა, სწავლას ორები, სამები, ოთხები და ხანდახან ხუთებიც. თითქოს არაფერი შეცვლილა, მამიდა ისევ ქართულს გვასწავლიდა, ხატია ისევ ჩემს გვერდით იჯდა. გეოგრაფიის მასწავლებელი ისევ ისე გვეხვეწებოდა – ოღონდ გაკვეთილს ნუ ჩამიშლით და შესვენებაზე კენჭობანას გეთამაშებითო. რუსულის მასწავლებელი ისევ „ბიროს“ მეძახდა. ერთი კი მოხდა – ყველა მასწავლებელი ერთნაირად გახდა და კიდევ ერთი, სამხედრო საქმესა და ფიზკულტურას ახლა ახალი მასწავლებელი – ხასანის ბრძოლის მონაწილე – ლევან გურიელიძე გვასწავლიდა.

პირველ გაკვეთილზე იგი კოკარდიანი ქუდით, ილღიაში პლაკატამოჩრილი, მწვანე გალიფეზე ტყავის გამაშებშემორტყმული, მხრებზე აირწინალ და მცირე ყალიბის შაშხანაგადაკიდებული შემოვიდა. მაგიდასთან დადგა, მხედრული სალამი მოგვცა და გაქვავდა. ჩვენ ჯერ ავღექით, მერე დავჯექით და მასწავლებელმა რომ პოზა არ გამოიცვალა, ისევ წამოვლაგდით.

– თავისუფლააად! – თქვა უცებ მან, ქუდი მოიხადა, მაგიდაზე დადო, ხოლო თოფი და აირწინალი დაფაზე ჩამოკიდა. პლაკატი გაშალა, ჯიბიდან ოთხი კარგი მოზრდილი ლურსმანი ამოიღო, სამი კბილებში გაირჭო, მეოთხე კედელს მიაბურღა და ბუნხართან დაგდებული აგურის ნატეხით მიჭედება დაიწყო. რომ მორჩა, გამარჯვებულის სახით შემოტრიალდა.

- რა ქნა? – მკითხა ხატია.
- პლაკატი გააკრა! – გადავუჩურჩულე.
- რაო, რა ახატია?
- არაფერი, წითელი ასოებით აწერია, ძირს გერმანელი ოკუპანტებია!
- მაგი ისე ვერ თქვა ზეპირად? – მკითხა ხატია. მე მხრები ავიჩეჩე.
- ახლა გავიცნოთ ერთმანეთი, – თქვა მასწავლებელმა, – მე ლევან გურიელიძე ვარ.
- კარგი გვარი გაქვთ, მასწავლებელო. – გაუცინა ოტია კალანდაძემ.
- ლაპარაკი! სამხედრო საქმეს უყვარს დისციპლინა!
- ბოტანიკასაც უყვარს დისციპლინა. – თქვა თამაზ ქერქაძემ.
- ვინ თქვა ეს?
- ბოტანიკის მასწავლებელმა.
- დაჯექი! – თამაზი დაჯდა, – რა მიყვარს მე? მე მიყვარს დისციპლინა, სიწყნარე, ბუნის გაფრენას რომ გავიგებ, კიდევ რა მიყვარს?
- მოხარშული წაბლი არ გიყვართ, მასწავლებელო? – ჰკითხა ხატია.
- ვინ იყო ის? – იკითხა მასწავლებელმა. ხმა არავინ გასცა.
- ერთი რამ უნდა გახსოვდეთ, მე მასწავლებლად არ დაგბადებულვარ. რა ვიყავი მე, თქვენხელა რომ ვიყავი? თქვენსავით თავქარიანი, შტერი, ბრიყვი...
- ეხლაც ახალგაზრდად გამოიყურებით, მასწ. – გაუღიმა ნოდარ კალანდაძემ, რომელსაც ნოდარა თავას ვეძახდით, მასწავლებელს ესაძიოვნა.

– მერე ჩაუჯექი წიგნს, წიგნი ადამიანის მეგობარია. ვიკითხე, ვიკითხე და გამოვედი კაცი. მე წარმოშობით ტანკისტი ვარ!

– უყურე შენ! – გაიკვირვა თამაზ ქერქაძემ.

მასწავლებელმა წარბი შეიკრა.

– მე თქვენ სხვა მასწავლებელივით არ გეგონოთ, ტყავს გაგაძრობთ! – დაარტყა ხელი მაგიდაზე.

– ყველა მასწავლებელი მასე ამბობს. – თქვა ოტიამ.

– გადავდივარ ოცეულის ფუნქციაზე თავდაცვის დროს.

– აბა, ჰე! – შეაგულიანა ვიდაცამ.

მასწავლებელი გაშრა, მაგრამ თავი შეიკავა და იკითხა:

– რა არის ოცეული?

– ათეულს მივუმატოთ ათეული, უდრის ოცეულს! – წამოიძახა უცია გოგიბერიძემ.

– ვინ იყო ის?

კლასი გაისუსა. მასწავლებელი დაფასთან მივიდა და ცარცი აიღო.

– ეს არის გერმანელების ოცეული, – თქვა მან და ოცი პატარა წრე შემოხაზა დაფის ერთ კუთხეში.

– ვაი, ჩვენს დღეს უბედურს! – შემოირტყა თამაზ ქერქაძემ თავში ხელი.

– ეს ჩვენი ოცეულია, – განაგრძო მასწავლებელმა და ახლა ჩვენი ოცეული დახატა. – გაღმა ისინი არიან, გამოღმა ჩვენ, შუაში მდინარეა...

– გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ, შუა ჩაგვიდის მდინარევე, – ჩაილიღინა ოტია კალანდაძემ.

– ვინ თქვა ეს? – იკითხა გაფითრებულმა მასწავლებელმა.

– ვაჟა-ფშაველამ, მასწავ. – წამოდგა ოტია.

– დაჯექი! – მასწავლებელმა ცარცის კაკუნი დაიწყო დაფაზე. – მე გერმანელი ვარ და რას ვაკეთებ ახლა, აბა, ვინ მეტყვის?

– ცარცს აკაკუნებთ, – თქვა იაგო ანთიძემ.

– დაჯექი!

– წერტილებს სვამთ! – ადგა ნოდარა თავა.

– ისვრით, მასწავლებლო! – წამოვიძახე მე, ვიდრე ნოდარას დასვამდნენ.

– მაღადეც! – მითხრა მასწავლებელმა. – ვისვრი, ჩვენი ოცეული ჩაწოლილია სანგრებში და მტერს ამოძრომის საშუალებას არ აძლევს. მტერი მაშველ ძალას ითხოვს! – უცებ მან ხელი მოღუნა მტევანში, მაღლა ასწია, დაატრიალა და ღულუნი დაიწყო.

– ღულუღულუღულ... – ახლა რას ვშვრები? – მკითხა ისევ მე, როგორც წარჩინებულს.

– ახლა ხელს ატრიალებთ და ღმუით, მასწავლებლო!

– დაეგდე! – იბღავლა მასწავლებელმა. კლასში ხარხარი ატყდა. მასწავლებელი გაფითრდა.

სიცალი რომ მიწყნარდა, მან დაფაზე დახატული ოცეული ერთი ხელის მოსმით მოშალა და მაგიდასთან დაჯდა. დიდხანს იჯდა ასე თავჩაღუნული, კლასი სკასავით ზუზუნებდა. მასწავლებელმა თავი აიღო, დიდხანს გვიყურა და ჩვენ მივხვდით, რომ იგი პირველად იყო კლასში მას შემდეგ, რაც მისი კარი გაიხურა. დღეს კი შემოვიდა ჩვენთან იმ მომთვინიერებელივით, რომელსაც შინ დარჩა წვრთნის წინ მხეცებისათვის მისაცემი შაქარი და ახლა იმედგაცრუებული, ძალაგამოლეული იჯდა და ყოველ წუთს ელოდა, როდის დაგლეჯდნენ ეს ლომის ბოკვერებივით აღრენილი ბავშვები.

– დაჯექი, გოგო, შენ და ნუ იყურები სადღაც იქით, აგერ მიყურე თვალებში! – უთხრა უცებ ხატიას. ხატია დაჯდა, ოღონდ მის ლამაზ, დიდრონ ცისფერ თვალებს ღიმილი არ მოცილებია... კლასში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. მასწავლებელმა იგრძნო, რაღაც უადგილო რომ თქვა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, რაში იყო საქმე.

– რა მოხდა, ბავშვებო? – იკითხა გაბრაზებული ხმით. ჩვენ ვდუმდით.

– მე ვერ ვხედავ, მასწავლებლო! – თქვა ხატიამ და წამოდგა.

– დამცინით? – ჩაუწყდა ხმა მასწავლებელს.

– არა, მასწავლებლო, მართლა ვერ ვხედავ! – თქვა ისევ ხატიამ და დაჯდა. მასწავლებელი ადგა, ახლოს მივიდა ხატიასთან, დიდხანს უყურა თვალებში. ხატია ღინჯად აფახულებდა წამწამებს და იღიმებოდა. მასწავლებელი ნელა წავიდა უკან, ისევ მიუჯდა მაგიდას და გაჩუმდა, კლასში ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

– რა გქვია, ბიძიკო, შენ? – ჰკითხა უცებ მასწავლებელმა.

– ხატია! – თქვა ხატიამ და ისევ ადგა.

– დაჯექი, ბიძიკო, დაჯექი!

ხატია არ დაჯდა.

– ვის დაყავხარ სკოლაში, ბიძიკო?

– სოსოს, მასწავლებლო, ჩემითაც შემიძლია.

– მე განთავისუფლებ ჩემი გაკვეთილიდან, ნულარ მოხვალ დღეიდან.

– მე მინდა, დავერჩე და მოვისმინოთ.

– დარჩი, ბიძიკო, – მასწავლებელი დადუმდა. მე ყელში რაღაც მაწვებოდა და ტირილი მინდოდა.

– დედა და მამა ხომ გყავს, ხატია? – ჰკითხა ღუმილის შემდეგ მასწავლებელმა.

– მამა მყავს.

– ვერაფერს ვერ ხედავ?

– ვერაფერს.

– სულ ვერაფერს, ბიძიკო?

– მზეს ვხედავ, მასწავლებლო, ექიმმა უთხრა მამას ბათუმში, თუ მზეს ხედავს, სინათლეს დაგუბრუნებო.

– კი დაგობრუნებს, ბიძიკო, კი. მეც დავბრმავდი ხასანის ტბასთან. ვერაფერს ვერ ვხედავდი.

– მზეს ხედავდით, მასწავლებლო? – ჰკითხა ახლა ხატიამ.

– მზეს ვხედავდი და დამიბრუნეს სინათლე...

– აბა, მეც ვხედავ მზეს.

მასწავლებელი ისევ დუმდა. იგი თვალს არ აცილებდა ხატიას დიდრონ, ცისფერ და გაღიმებულ ლამაზ თვალებს. ძნელი, ძალიან ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს თვალები ვერ ხედავდნენ დღის სინათლეს, მისი კლასის ამხანაგებს და ამ პატარა, ჩია და ტრაბახა მასწავლებელს, რომელსაც ლოყებზე ორი დიდი კურცხალი ეკიდა და არც მაღავდა, რომ ტიროდა.

ზარი დაირეკა. მასწავლებელი ადგა და უხმოდ გავიდა კლასიდან. ჩვენც არ გაუნძრეულვართ. მხოლოდ მაშინ ამოვიღეთ ხმა, როდესაც ზარი დაირეკა, ქართულის მასწავლებელი შემოვიდა და სიის ამოკითხვა დაიწყო.

– რამ დაგამუნჯათ, ბავშვებო? – გაუკვირდა მამიდაჩემს, ასეთი სიწყინარე რომ დახვდა.

– ახალი მასწავლებელი გყავდა სამხედროში, – უთხრა ხატიამ.

– რაო, მერე, მოგეწონათ?

– ნეტავ, ყველა მასეთები იყოთ. – ვუთხარი მამიდას.

იმ დღეს ქართულის გაკვეთილი უკულმა ჩატარდა, ჩვენ ვლაპარაკობდით და მასწავლებელი ყურს გვიგდებდა.

შუალამისას აივანზე რაღაცა გაბრაზუნდა. მე გამეღვიძა, მამიდას უკვე გაღვიძებოდა, საწოლზე წამომჯდარიყო და შეშინებული თვალებით უმზერდა კარს, რომელსაც ვილაც მძიმედ აწვეებოდა. სახელურში სარგაყრილი კარი არ იღებოდა. მერე ფანჯარაზე დააკაკუნეს ფრთხილად.

– სოსოია, მოდი ჩემთან! – ჩურჩულით მითხრა მამიდამ, ავლექი, მამიდასთან მივედი და ხელი მოვხვიე. იგი ცივი იყო და ცახცახებდა. კაკუნი განმეორდა.

– რომელი ხარ? – იკითხა ხმის კანკალით მამიდამ.

– ქეთო, გამიღე კარი! – მოისმა გარედან.

– ვინა ხარ? – ძლივს ამოიღო ხმა მამიდამ.

– მე ვარ, დათიკო! – მამიდამ ყურებზე ხელები აიფარა და თვალები დახუჭა.

– ქეთევან, გამიღე კარი, დათიკო ვარ! – მამიდას არაფერი ესმოდა.

– ქეთო! – კარი მაგრად შეინჯღრა. მამიდამ ხელები მოიცილა ყურებიდან, თვალები გაახილა და კარს მიაშტერდა, რომელიც ახლა განუწყვეტლივ ინჯღრეოდა.

– ქეთო, დათიკო ვარ!

– რომელი დათიკო? – იკითხა მამიდამ.

– დათიკო, ვერ მიცანი? სიტყვა მაქვს შენთან სათქმელი!

– დათიკო ჯარშია! – თქვა მამიდამ.

– გამიღე კარი, თორემ ჩამოვიღებ! – თქვა დათიკომ და კარი ისევ შეანჯღრია.

– სოსოია, ანთე ლამპა! – მითხრა მამიდამ.

ავლექი, ლამპა ავანთე და მამიდას შევხვედი. მამიდამ ხალათი გადაიცვა, წამოდგა, ბუნხართან მივიდა და კუთხეში დადგა.

– გააღე კარი, სოსოია!

სახელურიდან სარი გამოვადგე, უკან-უკან დავიხიე და მამიდას გვერდით დავდექი. კარი ფრთხილად გაიღო. ჩვენს წინ იდგა გულგაღელილი, თმაგაბურძენული, სუფთად წვერგაპარსული, ქამარში რევოლვერგაჩრილი, მხრებზე ჯვარედინად ფალასგადაკიდებული დათიკო ბრიგადირი, ხელში მოკლედ გადაჭრილი შაშხანა ეჭირა და ფეხზე ქალამნები ეცვა.

– გამარჯობა თქვენი! – თქვა მან და სულელივით გაიღიმა. – შეგაშინეთ?

ხმა არ ამოგვიღია. დათიკო ჩვენკენ წამოვიდა.

– მანდ იდექი და ისე მელაპარაკე! – უთხრა მამიდამ.

დათიკო გაჩერდა.

– ქეთო, რა მოხდა, შე ქალო, მთელი ცხოვრება გავიდა არ მინახავხარ, – დათიკო ისევ წამოვიდა.

– მანდ გაჩერდი! – გააფრთხილა მამიდამ. დათიკომ უკან დაიხია.

– რამ შეგაშინათ, ხომ დაგპირდით, მალე დავბრუნდები-მეთქი?

არაფერი ვუპასუხეთ. დათიკომ ისევ დააპირა მამიდასთან მოახლოება.

– გეუბნები, გაჩერდი, თორემ შევყრი მეზობლებს! – დათიკო გაჩერდა.

– იკივლე და შეყარე ქვეყანა, მე არავისი არ მეშინია, შენი გულისთვის დავბრუნდი მე და არავისი არ მრცხვენია, გესმის, შენ?

– შიშის გულისთვის დაბრუნდი.

– შენი გულისთვის, შენ დამაბრუნე.

– შიშმა დაგაბრუნა!

– მე არავისი არ მეშინია.

– რად გინდა, აბა, თოფი, რას იძალბები ტყეში?

– სულ არ დავიძალბები, მალე გამოვალ ტყიდან.

– რას ელოდები?

– ქეთო, შენ ჭკვიანი ქალი ხარ, აგენის საქმე წასულია ხელიდან...

– ამას ელოდები?

– მე ყველასათვის მიმიფურთხებია, ვისი გულისთვის მოვკვდე, მე არავინ არაფერს მერჩის. ჩემი საქმე მიწის მუშაობაა, სად უნდა წავიდე, სად უნდა დავიქცე, რატომ, რისთვის. მე ჩემი სიკვდილით მინდა მოვკვდე და შენთან მინდა სიკვდილი. შენ თავს ვერავინ წამართმევს აწი, გეყურება?

მამიდა ყურს უგდებდა დათიკოს და თვალს არ აცილებდა.

დათიკო სკამზე დაჯდა, თოფი ლაჯებშუა ამოიღო, ჯიბიდან თამბაქო ამოიღო, გაახვია, მოუკიდა, გააბოლა და თქვა:

– ჩემი შიში არავის უთქვამს, ტყუილა სიკვდილის ყველას ეშინია. კარგი, წავედი და მომკლეს, რა გამოვიდა მერე? ამით ეშველება საქმეს? ვის გავახსენებდი მერე, რა ვიყავი, ვინ ვიყავი.

– ახლა რა ხარ? – ჰკითხა მამიდა; დათიკო ასეთ კითხვას არ მოელოდა.

– ახლა... ახლა... პოლიტიკური ფირალი ვარ... – თქვა მან ენის ბორძიკით.

– მათხოვარი ხარ შენ, დეზერტირი! – ვუთხარი და მამიდას მივეკარი.

დათიკო გაფითრდა, ფეხზე წამოდგა და ისევ დაჯდა.

– მაგ სიტყვებისთვის სხვას ცხელ ტყვიას დავალევივინ... – თქვა მან თავისთვის, მერე მომიბრუნდა და ნიშნის მოგებით მითხრა:

– დაგავიწყდა, რა უქნეს მამაშენს და დედაშენს? მე დაგავდე უპატრონოდ?

– მაგი არაა შენი საქმე!

– შენ რა იცი, ლლაპი ხარ, მამაშენი ტყუილა იყო ტროცკისტი?

– შენ თვითონ ხარ ტროცკისტი და ვირიშვილი. მამაჩემი ვისაც ახსოვს, ყველა ასე მეუბნება, კაცური კაცი იყოო...

დათიკომ ხელი ჩაიქნია აგდებულად, ამასთან ლაპარაკი არ ღირსო და მამიდას მიუბრუნდა:

– ქალო, სიცოცხლესავით ველოდი შენს ნახვას და გამიცინე ერთი. – მამიდას სახეზე ძარღვი არ შეტოკებულა. – მე ვიცი, ქეთო, შენ გიყვარვარ. მაგრამ შინსახკომის გეშინია, ჩემი დაბრუნება გაიგეს უკვე და მღევენ, ალბათ. თქვენ უნდა შემიწყოთ ახლა ხელი, ვინ მყავს თქვენს გარდა? ერთხანს ვიქნები კიდე ტყეში და მერე ვნახოთ, ვინ ვის სდევს...

ვიდექი ბუნხართან და ყურს ვუგდებდი იმ პირუტყვად ქცეულ კაცს, რომელსაც ლაპარაკი ჯერ არ დავიწყებოდა. უცებ ღიად დარჩენილი კარი გაჭრიალდა. დათიკო დამდულრულივით წამოვარდა, თოფს სტაცა ხელი და დაფეთებული თვალებით დაგვიწყო ყურება ხან ჩვენ, ხან კარს. როდესაც დარწმუნდა, კარში არავინ იყო, დაშვიდდა და დაჯდა.

– შშია ახლა მე და მაჭამეთ რამე! – თქვა უცებ დათიკომ და გაგვიღიმა.

– ჩვენც გვშია. – ვუთხარი მე.

– არ გემეტებათ ჩემთვის ჭადი?

– შენი საჭმელი ჭადი კი არა, ძალღი შიმშილით გვიკვდება.

– მამიდაშენს უმადლოდეს, შე დალეულო, თორემ მიგასხმევენებდი ბუნხარზე ტვინს.

– მაგი თუ შეგეძლო, რას გარბოდი ტყეში მგელივით?

– შენისთანა გველი წესით არ უნდა გაიზარდოს, მაგრამ თუ გელირსა გაზრდა, ვნახავ ერთი, როგორ წახვალ ჯარში.

– არა, შენსავით ვივლი ღამდამობით და ჭადს ვიმათხოვრებ.

– სოსოია, მოთმინებიდან არ გამომიყვანო!..

– წადი აქედან, რაზე მოდი?

– შენთან არ მოვსულვარ მე!

– აბა, მამიდას არ უყვარხარ, წადი!

– მამიდაშენს კი ვუყვარვარ, შენ არ გიყვარვარ, არც წინათ გყვარებივარ.

– ვიცოდი, რა მთხლეც იყავი და იმიტომ.

დათიკოს სახე აუფაკლდა და წარბი აუთამაშდა, წამოდგა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა ჩვენსკენ. ჩვენ კედელს ავეკართით.

– არ მოგვეკარო, თორემ ვიკივლებ! – გააფრთხილა მამილამ.

– არ იკივლებ. – თქვა დათიკომ, იგი სულ ახლოს მოვიდა ჩვენთან და მამილამ არ იკივლა. დათიკომ მხრებში წაავლო მამილას ხელი და უცებ დაიწყო:

– იკივლე, რატომ არ კივი? გეშინია? ნუ გეშინია, იკივლე, შეყარე ქვეყანა, დააჭერე ჩემი თავი, ახლა არ გინდვიარ? დამღუპე კაცი და ახლა მაგდებ? თქვი... თქვი, თორემ მოვიკლავ თავს ახლა და შენზე იქნება ჩემი ცოდვა, თქვი...

მთელი ძალით ანჯღრევდა მამილას. მამილა იდგა გაფითრებული და თვალს არ აცილებდა გაგიჟებულ დათიკოს, რომელსაც სიფრთხილე დავიწყებოდა და დაჭრილი დათვივით ღრიალებდა, უცებ საფეთქლებში სტაცა ხელი მამილას და გიჟივით დაუწყო კოცნა ლოყებზე, შუბლზე, ყელზე, მკლავებზე, თვალბეჭებში. მამილა წინააღმდეგობას არ უწევდა, იდგა და თვალბეჭებიდან დაპალუპით გადმოსდიოდა ცრემლი. მე შემეშინდა, ზურგიდან მივვარდი დათიკოს და ისე მაგრა ვუკბინე ბეჭზე, ტუჩებზე სისველე ვიგრძენი. დათიკომ ყრუდ დაიკვნესა, ცივად გაუშვა ხელი მამილას, ჩემკენ შემოტრიალდა და ხელუკუღმა ისეთი სილა გამაწნა, ბუხრის ერთი კუთხიდან მეორეში გადავვარდი, კედელს თავი მივანარცხე და თვალთ დამიბნელდა. გონს რომ მოვედი, მამილა ჩემს წინ იყო დაჩოქილი და სახეს მისრესდა. დათიკო მოშორებით იდგა, ნაკბენზე ხელს ისვამდა და მიყურებდა.

– მოკალი? – მიუბრუნდა დათიკოს მამილა.

– ნუ გეშინია, არ მოკვდება, – თქვა დათიკომ.

– რა უქენი ჩემს სოსოიას? – ჩურჩულით ჰკითხა მამილამ და ფეხზე წამოდგა. მივიდა ბუხართან და კუთხეში აყუდებული ნაჯახისკენ დაიხარა. დათიკო გაფითრდა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა მისკენ. მამილამ ნაჯახი ხელში აიღო.

– ქეთო, დადევი ნაჯახი! – თქვა დათიკომ და გაჩერდა. მამილამ ნაჯახს მეორე ხელიც მოჰკიდა და თავს ზევით ასწია.

– რას შეები, ქეთო, გავიფიდი? – ჰკითხა მამილას გოცნებულმა დათიკომ და უკან დაიხია. მამილა მიყვა.

– ქეთევან!

– გადი გარეთ! – მამილა დათიკოს უახლოვდებოდა, დათიკო კიბოსავით იხევდა უკან-უკან და მამილას თავზე აღმართულ ნაჯახის პირს თვალს არ აცილებდა. იგი ასე მივიდა მაგიდასთან, თოფი ისე აიღო, მისკენ არც გაუხედავს, ზურგით გავიდა გარეთ და კარი ღიად დატოვა. მამილამ ნაჯახი ჩამოუშვა, კარი მოიხურა, სახელურში სარის მაგივრად ნაჯახის ტარი გაუყარა; დაბრუნდა, საწოლთან მივიდა და ზედ დავარდა. მეც წამოვდექი, ჩემს საწოლთან მივედი და დავწექი. ასე ვიყავით მე და მამილა უხმოდ მთელი საათი...

– სოსოია! – ძლივს გავიგონე მამილას სუსტი ხმა.

– რა მამილა?

– გძინავს?

– არა, მამილა!

– მოდი ჩემთან, სოსოია!

ავდექი, მამილასთან მივედი, დავიხარე და ლოყაზე ვაკოცე, ყინულივით ცივი იყო და ტუჩები უთრთოდა.

ბეჟანა ესაბეს საფეთქლები შევერცხლილი აქვს უკვე, მაგრამ რაც უბედურება სჭირს, ყმაწვილობაში მოუვიდა, კესარიას საივანობო მსხალს რომ იპარავდა, თურმე ტოტი მოხლეჩია, ორი საყენი სიმაღლიდან კისრით წამოსულა და მსხლის ძირში თავით დარჭობილა. მიცვენია ხალხი ბეჟანას, საფეთქლები უზელიათ, ათი ღოქი წყალი გადუმხიათ თავზე მისთვის და ფეხზე წამოუყენებიათ. გონს მოსულა, თვალი გაუხელია, ერთი დაუსლოკინებია, გაუღიძია და მას შემდეგ ბეჟანა მოწყენილი აღარავის უნახავს. დადის ახლა ბეჟანა სოფელში ფეხშიშველი, ყურებაძღე გაღიმებული, მღერის საყვარელ სიმღერას:

მინადორა შავთვალაო,
რა ეშმაკმა გავთვალაო...

ერთი იჯრა ლობიოსთვის და ერთი ჭიქა ღვინისათვის დილიდან საღამომდე ეხმარება ყველას, ვინც კი დაუძახებს, სანაძლეოზე კავში ებმება და კვალი გაჰყავს, თავით ტეხს ნიგოზს. შიშველი ფეხებით არჩევს წაბლის ბურძღვას და სიმინდით სავსე ტომარა ააქვს კანტორიდან ეკლესიაზე დაუსვენებლად. ღონიერია ბეჟანა, ხარივით ღონიერი და უწყინარი, მტერს მოხვდა ბეჟანას უროსავით მჯილი, მაგრამ ძნელია ბეჟანას წონასწორობიდან გამოყვანა. ერთი რამ წყინს ბეჟანას მარტო ამ ქვეყანაზე – მინადორა გაგითხოვდა, ბეჟანაო, თუ უთხარი, გახელდება მაშინ ბეჟანა, გაცოფდება, შემოიხვევს ტანზე და მტრისას, თუ მაშინ რამეს ხელი დაავლო, მივარდება, მისი მკლავის სიმსხო ნოლას იღლიაში ამოიჩრის და სანამ ფესვებიანად არ ამობღვინის, არ მოეშვება. ეს არის და ეს, კაცს არ ერჩის ბეჟანა. რამდენს უსარგებლია ბეჟანას ამ უცნაური ზნით. აფრასიონა ჭანტურიამ ერთხელ, ხელი რომ ვერ გაანძრევია ბეჟანას, – მინადორა გაგითხოვდაო, უთხრა. გახელდა მაშინ ბეჟანა, დატრიალდა ბღავილით ჭიალოურაში და ნახევარი ქცევა ნოღნარი, აფრასიონას რომ სავენახედ უნდოდა, დედაბუდიანად ამოაბრუნა. ენაგადმოგდებული და გახვითქული რომ დავარდა გულადმა, მერე მიხვდა, რა ოინიც უყო აფრასიონამ. იმ დღიდან შეიძულა ბეჟანამ აფრასიონა, მაგრამ ბავშვები უყვარს ბეჟანას ძალიან. მივა ვინმესთან, დაუჯდება ალაგეზე და თხოვს:

– მათხოვე, მაკა, შენი ბაღანე...
– სად გინდა წაიყვანო, ბეჟანა?
– არსად, შე ქალო, აგერ შენს ეზოში მეყოლება. აჩუკუდა არ გინდა, ტარიელა?
– კი მინდა, ბეჟანა!
– აგერ, აბა, უნაგირი, აგერ ლაგამი, აგერ ჯოხი და მომაჯექი კისერში. აჩუკუდა, ტარიელა, აჩუ... ჯოხი არ დამარტყა, ბიჭო! – ბეჟანა დაიოთხებს, კისერზე შეისვამს პატარას და არის დიდი ჯირითი.

– აჩუ, ტარიელა!..
– აჩუ, ბეჟანა!..
არავის არ ეშინია, ბეჟანამ ბავშვს რამე მოუწიოსო, არავინ არ უშლის ბეჟანას, განხარებულმა ირბინოს სახლის გარშემო კისერზე მსუბუქი ტვირთითა და აჩუ-აჩუს ძახილით, მაგრამ ბეჟანა თვითონ გრძნობს თავის უბედურებას. ამიტომ ყოველთვის მორიდებით მიდის და პირზე მოუცილებელი ღიმილით კითხულობს:

– მათხოვებ შენს ბაღანეს, მაშკო?
მე ქვეყანას ვურჩევნივარ, მე ვარ მთელ სოფელში მისი ერთადერთი მესაიდუმლე და ის არის მთელ სოფელში ერთადერთი, რომელსაც ყველაზე ჭკვიან კაცად მივაჩნევარ. ამიტომ მეც ძალიან მიყვარს ბეჟანა.

კვირა დილით იგი ჩვენს ეზოში ჩამოვიდა და დამიძახა:
– სოსოია! – მე და მამიდამ ერთად გამოვიხვედით.
– მოდი, ბეჟანა, მოდი! – დაუძახა მამიდამ.
– აგერ გამომიტანე, თუ რამე გაქვს საჭმელი! – თქვა ბეჟანამ და კახამბალის ძირში წამოგორდა. მამიდა ოთახში შებრუნდა, ყველი, პურის პატარა ნაჭერი, ერთი ჭიქა ღვინო გამოიტანა და ბეჟანას წაუღო. მეც გავყვივი.

– გამარჯობა თქვენი! – გვითხრა ბეჟანამ, მამიდას საჭმელი ჩამოართვა, მაღიანად ჩაკბინა, ღვინო მოსვა და იკითხა:

– შეშა არ გაქვს, ქეთო, დასაპობი?

– არა, ბეჟანა!

– ნამეტარი კაი. წისქვილზე ხომ არ ხარ წასასვლელი?

– არა, ბეჟანა, – გაელიმა მამიდას.

– მაგი თლად უკეთესი.

– ძროხა ან თხა ხომ არაა საბალახოზე წასაყვანი?

– არა, ბეჟანა!

– მაგიც ნამეტანი კაი! – თქვა ბეჟანამ. ისევ მოსვა ღვინო და პური ჩაკბინა. – არც ამ პურს და არც ამ ყველს მარილი არა აქვს, ქეთო. – დაიწუნა პურ-მარილი ბეჟანამ.

– არ იშოვება მარილი, ჩემო ბეჟანა.

– მაგას არ ვჩივი მეც? მე შტერის სახელი მაქვს სოფელში გავარდნილი და ამ თქვენ აბღალა თავმჯდომარე ქიშვარდიას ჭკვიან კაცს უძახიან.

– რაშია, ბეჟანა, საქმე? – ჰკითხა გაკვირვებულმა მამიდამ.

– რავა რაშია, შე ქალო, რომ თესავს ამ ცოცხსა და ყვითელ სიმინდს, დათესოს მარილი, ან შაქარი და მოითქვამს ხალხი სულს. მართალს არ ვჩივი, სოსოია?

– მართალს ჩივი, ბეჟანა, მაგრამ შენ რატომ არ თესავ?

– რაც კაი მიწებია, კოლექტივს აქვს და მე რა ვქნა? დავთესე იმ ჩემს ფშუტურო მიწაზე შარშან ერთი ფუთი და არ იხარა. გინდაც ეხარა, მე ვუშველი ამდენ მშვიერსა და პირდაფრენილ ხალხს?! – მამიდამ ამოიხსრა და წავიდა.

– რას შვება, ბიჭო, მამიდაშენი, არ მიყვება დათიკო ბრიგადირს? – მკითხა ბეჟანამ და თვალი გააყოლა მამიდაჩემს.

– რომელ დათიკოს, ბეჟანა? – კკითხე გაკვირვებულმა.

– დათიკოს, შე აბღალა, სათაფლიაზე ვნახე ამას წინათ, სტრაჟნიკით გაჩაჩხული იყო იარაღში, აქ გადმომიყვანეს სამუშაოთო, აქაც ფრონტია, მთავრობის დავალებას ვასრულებ, ნამეტანი საიდუმლოა და არ თქვა არსად, თორემ შენც დაგიჭერენ და მეცო.

– მერე?

– მერე რა? ერთ-ორ სანდო კაცს ვუთხარი, თავმჯდომარეს და ბადრიას, მილიციაში რომ მუშაობს, მაგენი ხომა პარტიულები? არსად არ იტყვიან. არადა, რა ჩემი საქმეა, მთავრობამ მისი საქმე უკეთესად იცის. ახლა მე შენთან სხვა საქმე მაქვს, სოსოია. კაცი მყავს ეგერ ჩაიში და არ ვიცი, დავტოვო თუ მოვიყვანო?

– ვინ კაცი, ბეჟანა, რას ამბობ?

– სოსოია აბღალა, ქართული არ გეყურება? კაცი მყავს ჩაიშიი, – გააგრძელა ბეჟანამ.

– ვინაა?

– რა ვიცი მე.

– ვინ ვარო, არ თქვა?

– კკითხე და არ ჩივა. დოუხუჭავს თვალები, დოუკრეფია გულზე ხელები და იცინის ჩემსავით, – თქვა ბეჟანამ და გაიღიმა.

– სუნთქავს?

– რა ვიცი მე.

– გული უცემს?

– რა ვიცი მე.

– მკვდარია?

– გაცინებული მკვდარი სად გაგონილა, შე აბღალა! – გამიჯავრდა ბეჟანა.

– რა ჭირს აბა?

– რა ვიცი მე.

- აბა, რა იცი, შე უბედურო? – ახლა მე გავუჯავრდი ბეჟანას.
- დღეს კვირაა და თუ კაი ამინდი დეიჭირა, ორშაბათი იქნება ხვალ, – თქვა ბეჟანამ და გაიღიმა.
- ვაი, შენს პატრონს, წამოდი, მაჩვენე სადაა! – წამოვაცენე ძალით ბეჟანა და წინ გავივლე.

მინაღორა შავთვალაო,
 რა ეშმაკმა გათვალაო...
 ვარდი ვნახე შენს ხელშიო,
 ჩამოგყობი ქვესკნელშიო... –

წაიღილინა ბეჟანამ და წინ გამიძღვა. გადავედით ეზოდან, ორღობე ავათავეთ და ჩაიში გადავუხვიეთ. ჩაის ტუნგოს ნარგავების მწკრივი გასდევდა თავიდან ბოლომდე. ბეჟანა შეჩერდა, ფერდობს ჩახედა, ხელი გაიშვირა ქვევით და მითხრა:

– ეგერ, ეეე, ბოლოში რომ ტუნგოა, იმის ძირშია!

სირბილით დავეშვი. მივირბინე ტუნგოსთან და გაჩერდი, ცხენის სიმაღლე გვიმრაში გულაღმა იწვა საოცრად გამხდარი, მკვდრისფერი და ოღნავ ლოყებშეფაკლული რუსი. გულზე ხელი დაეკრიფა და იღიმებოდა. სუნთქავდა თუ არა, ვერ მიხვდებოდა კაცი. დავიჩოქე და მკერდზე ყური დავადე. გული ძალიან სუსტად უცემდა. ლოყაზე დავადე ხელი ღადარივით ცხელი იყო.

– როდის ნახე, ბეჟანა?

– დღეს უთენია.

– მერე სად იყავი ამდენ ხანს?

– იმ წუთში წამოვედი, სოსოიას ვენაცვალე, მაგრამ გზაში ქე გადამავიწყდა, გულმავიწყი გავხდი ამ ბოლო დროს, ძან დეეტყო ხალხს უმაქრობა, ამ დილით აკვირინე შემხვდა და გამარჯობის თქმა დაავიწყდა. ხალხს რომ კითხო...

– კარგი, გეყოფა, ახლა მომეხმარე და ამაწვიე, ვერ ხედავ, რომ კვდება კაცი? – ბეჟანამ გონებადაკარგული რუსი ხელში ბავშვივით აიტაცა.

– სად წვილო? – მკითხა უცებ.

– სახლში.

– ბიჭო, მკვდარი სახლიდან გააქეთ და მე სახლში შევიტანო? – მისაცვედურა ბეჟანამ.

– ჩემს სახლში მიმაცვანიე.

ბეჟანამ ერთი-ორჯერ შეათამაშა ხელში რუსი, თითქოს წონას უსინჯავსო, მერე უფრო მოხერხებულად მოხვია ხელი და აჩუ-აჩუს ძახილით შეუყვია აღმართს.

– აჩუ... აჩუ... რა ქვია, თუ იცი? – მკითხა ბეჟანამ და მომხედა.

– რა ვიცი მე?

– აჩუ, აჩუ, სოსოიეს რუსო, აჩუ, აჩუ, სოსოიეს რუსო! – უპოვა სახელი ბეჟანამ.

– ოღაში აიყვანე! – ვუთხარი მე. ბეჟანამ ოღაში აიყვანა და ჩემ საწოლზე დაასვენა. მამიდა გაოცებული შეგვეყურებდა ხან მე, ხან ბეჟანას.

– ბეჟანა საცოდავო, რა არის ეს? – ჰკითხა მამიდამ ბეჟანას.

– სოსოიეს რუსია, ქეთო! – უპასუხა განარებულმა ბეჟანამ.

– ჩაიში ვიპოვეთ, მამიდა, კვდება მგონი, უშველე რამე. – ვუთხარი მამიდას.

– ვინაა ეს საცოდავი? – თქვა მამიდამ, შუბლზე ხელი დაადო და თავი გადაიქნია. – წადი, სოსოია, ძმარი ამომიტანე!

ძმრის ამოსატანად ჩავედი სამზარეულოში.

რომ ამოვედი, მამიდა სიცხეს უზომავდა ავადმყოფს. ღილი რომ შეხსნა სამხედრო ხალათზე და მკერდი გადაუღელა, გაკვირვებით დააშტერდა. მუშტისხელა წითელი, ახლადშეხორცებული ჭრილობა აჩნდა მარჯვენა ძუძუს ძირში, მამიდამ სიცხის საზომი

გაუკეთა. ძმარი ჩამომართვა, ღრმა საინზე დაასხა, წყალი გაურია, მერე თავზე წაკრული ტილო მოიძრო, დაასველა გაზავებულ ძმარში, გაწურა და ავადმყოფს შუბლზე დაადო.

– მაგას ძმარი კი არა, ქეთო, პატარა ღვინო დააღვევი და თუ გაქვს, საჭმელი აჭამე, სანამ სული უდგას. შიშხილით კვდება, ვერ ხედავ, ჭიპი ხერხემალზე რომ აქვს აწებებული? – უთხრა ბეჟანამ.

– სოსოია უდღეურო, რა დღეში ჩამაგდე თუ იცი, რომ ჩამაკვდეს ეს უცხო კაცი ხელში, სად წავიდე მერე? – მკითხა მამილამ და ავადმყოფს სიცხის საზომი ამოუღო. – ორმოცი და ექვსი ხაზი! – დაიკვნესა მამილამ. – წადი ახლავე და ექიმი მოიყვანე.

– ექიმი არ უნდა მაგას, საჭმელი უნდა, ქეთო, მაგი ბეჟანას ჰკითხე შენ.

– წადი, ბიჭო! – შემომიტია მამილამ.

გავიქეცი ექიმის მოსაყვანად. საექიმო პუნქტში არ დამხვდა. დამლაგებელმა თქვა, რაიონშია გამოძახებული და დღეს არ დაბრუნდებაო. მაშინ ხატიასთან გავიქეცი. გზაში ყველაფერი მოუყევი. ხატია მითხრა, აკვირინე ბებია წავიყვანოთო. გავუარეთ აკვირინე ბებიას, ახლა იმას მოუყევი ყველაფერი. აკვირინე ბებია აფთიაქის პატარა ბოთლებით რაღაცა ბალახის ნახარშები წამოიღო და გამოგვეყვა.

– რუსია!.. – თქვა აკვირინე ბებია, ავადმყოფს რომ დახედა.

– რუსია! – უთხრა მამილამ. აკვირინე ბებია ავადმყოფის საწოლზე ჩამოვდა. იგი ახლა ღრმად სუნთქავდა და ილიმებოდა.

– რავა იცინის აი აბდალი, სასაცილოდ აქვს ახლა მაგას საქმე, აკვირინე? რატომ არ მითხარი ამ დილას გამარჯობა? – უსაყვედურა ბეჟანამ.

– გაიწიე იქით, ბეჟანა გადაარეულო, ხელს ნუ მიშლი, მთელი საათი არ მელაპარაკე ამ დილას? – ბეჟანა საწოლს არ მოცილდა.

აკვირინე ბებია თვალი ჩამოუქანა ავადმყოფს და შიგ ჩახედა.

– სოსოია, ერთი ჭიქა ადესა მოიტანე, – მითხრა აკვირინე ბებია.

ღვინო დავასხი და მივუტანე. აკვირინემ ბამბა ღვინით დაასველა, მერე ცხელ ტუჩებზე გაუსვ-გამოუსვა ავადმყოფს და დაელოდა. ცოტა ხნის შემდეგ ავადმყოფმა ტუჩები ააცმაცუნა, აკვირინე ბებია ბამბა ისევ დაასველა და ტუჩებზე დააწურა, ავადმყოფმა სცადა ღვინო გადაეყლაპა, მაგრამ ეტყობა, ამომშრალი ყელი აეწვა და დაიკვნესა.

– მე მომეცი, აკვირინე, მაგი ღვინო, მაგას თუ არ უნდა, – თქვა ბეჟანამ.

– შე ჩემი ცოდვით სავსე, შტერი კი ხარ, მაგრამ ავადმყოფს და კარგად მყოფს ვერ არჩევ? – გაუჯავრდა აკვირინე ბებია ბეჟანას და ავადმყოფს ისევ დააწურა ბამბა ტუჩებზე. ავადმყოფმა, როგორც იქნა, მოსვა ერთი ყლოუბი, მერე მეორე, მესამე, აკვირინე ბებია ახლა ჭიქა მიაყუდა პირზე, ჭიქა რომ გამოსცადა, ავადმყოფს ხველება აუვარდა. დიდხანს ყრუდ ახველებდა, უცებ გალურჯდა, აკვირინე ბებია თავი აუწია და მკერდზე მიისვენა. ავადმყოფმა ცოტა სული მოითქვა, მერე სახე დაუწყნარდა და ფერი დაუბრუნდა. აკვირინემ თავი ისევ ბალიშზე დაუსვენა. ავადმყოფი აწრიალდა და კვნესა დაიწყო.

– გადით, ქალებო, გარეთ, – თქვა აკვირინე ბებია.

– კვდება? – ჰკითხა შემინებულმა მამილამ.

– არა, დავზილო უნდა.

მამილა გავიდა გარეთ, ხატია დარჩა. იგი კუთხეში იდგა და დუმდა, აკვირინე ბებია მთლიანად გააშიშვლა ავადმყოფი, პატარა ბოთლი გასხნა. ხელისგულზე დაისხა რაღაც ზეთი, მერე მეორე ხელისგული გაუსვა ზედ, დაიხარა ავადმყოფის მკერდზე და ნელა დაუწყო მკერდის ზელა. დინჯად და მძიმედ უსვამდა დაკოჟრილ ხელს მკერდზე ავადმყოფს.

– არ ელუტუნება მაგ შეჩვენებულს? – იკითხა ბეჟანამ და ბავშვით გადაიკისკისა.

– გადააბრუნეთ! – თქვა აკვირინე ბებია. ავადმყოფი გადავაბრუნეთ, ახლა ზურგი და წელი დაუზილა აკვირინემ, ისევ რომ გადმოვაბრუნეთ, მე ხატიასაკენ გავიხედე, გაუნძრევლად იდგა ოთახის კუთხეში.

– გადი, გოგო, გარეთ! ვერ ხედავ, შიშველია კაცი, – ვუთხარი ხატისას.

– რა გინდა, ბიჭო, ვიქნები! – მითხრა ხატამ და გაიღიმა. გულთან რაღაც ამეწვა, მერე შემრცხვა და გავწითლდი.

– გადი, გოგო, გარეთ! – ვუღრიალე ხატისას. გაკვირვებული ბეჟანა და აკვირინე ბებია ჩემსკენ შემობრუნდნენ.

– შენ არ იცი, ბიჭო, მაგი ციცი ბრმაი რომაა? – მკითხა ბეჟანამ, მერე მიუბრუნდა ხატისას და უთხრა: – იყავი, ცავ, მაგას უყურებ?

ხატია შეტრიალდა და უხმოდ გავიდა ოთახიდან.

კარგად რომ დავზილეთ ავადმყოფი, აკვირინე ბებიამ სასთუმალი გაუსწორა და ბალიშზე დაასვენა, ღვინო დაასხა და ისევ მოასმევინა ცოტა. ხატია და მამიდა ოთახში შემოვიდნენ.

– უნდა ჩავაცვათ რამე, იგი ნამეტანი გაზინთულია, – თქვა აკვირინე ბებიამ.

მამიდა მეორე ოთახში გავიდა, ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოვიდა ოთახში და ავადმყოფის საწოლზე ბაბუას ნაქონი საცვლები დააწყო.

– რავა ჩვენი ძალაზიის თაროებივით აქვს გამოფხეკილი ჯიბეები ამ გაჭირვებულს, – თქვა უცებ ბეჟანამ. გაკვირვებულმა გავხედე ბეჟანას. მას ავადმყოფის შარვლისა და ხალათის ჯიბეები ამოეტრიალებინა და უკმაყოფილოდ უყურებდა ავადმყოფს.

– რაღა ვქნათ ახლა, არაფერი საბუთი არა აქვს, რა ქვია ან რა გვარია? – თქვა იმედდაკარგულმა მამიდამ.

– სოსოიეს რუსია მაგი! – თქვა ბეჟანამ.

– სულაც უკრაინელია ეგება? – ვთქვი მე.

– სულ ერთია, უკრაინელია თუ რუსი, მაგის გვარს და სახელს მე მაინც ვერ დავიძახსოვრებდი, სოსოიეს რუსია მაგი, – თქვა ისევ ბეჟანამ.

– აკვირინე, გადარჩება, თუ იცი? – ჰკითხა მამიდამ აკვირინეს და უიმედოდ გადახედა ავადმყოფს.

– გადარჩენილია და ესაა, ჩემო ქეთო. ამ უბედურს უნდა უმადლოდეს. შენი გადარჩენილია მაგი რუსი, ბეჟანა.

ბეჟანას ბავშვით გაუხარდა, რომ ეს კაცი, რომელიც ჩემს საწოლზე იწვა და სულს ღაფავდა, მისი გადარჩენილი იყო. იგი მივიდა ავადმყოფთან, საწოლზე ჩამოუჯდა, მხრებში ხელი მოჰკიდა, შეანჯღრია და დაუძახა:

– სოსოიეს რუსო! – ავადმყოფი შეიმშუმუნა.

– სოსოიეს რუსო, არ გეყურება, ჩემი? გამარჯობა შენი, ადე ახლა ზედ! – ისევ შეანჯღრია ავადმყოფი.

– დაანებე თავი, ბეჟანა! – ვეცი ხელში.

– ხომ გადავარჩინე მე აგი კაცი, აკვირინე? – ჰკითხა ბეჟანამ აკვირინეს. აკვირინემ თავი დაუქნია თანხმობის ნიშნად. – ჰოდა, მაცალეთ ახლა. ადე ზედ, სოსოიეს რუსო, – და უცებ, თითქოს შეისმინაო ბეჟანას თხოვნა, ავადმყოფმა თვალები გაახილა.

– ე, ხომ ვთქვი მე, თუ მიცნო ნეტაი? – გაუხარდა ბეჟანას. ავადმყოფი დიდხანს უყურებდა ბეჟანას, მერე მზერა ჩვენზე გადმოიტანა, სათითაოდ გვიმზერდა ყველას. დიდი თაფლისფერი თვალები სიცხისაგან უპრიალებდა.

– ო, თქვე ძაღლისშვილებო!.. – შეგვიკურთხა ბოლოს წყნარად და ცალკეად გაიღიმა.

– რაიო? – გაუკვირდა ბეჟანას.

– გერმანელები ვკონივართ, – ვუთხარი მე.

– ბეჟანა ვარ მე, შე აბდალა, – უთხრა ბეჟანამ ავადმყოფს, მერე გაუცინა და ლოყაზე მოუთათუნა ხელი. ავადმყოფმა ისევ დახუჭა თვალები.

– მაგი ამელამ იბოლებს, ქეთოს შემოვევლე, და აგი წამალი დააღვევი. – უთხრა აკვირინე ბებიამ მამიდას. თან წამალი გადასცა. – მერე ფაფა მოუღლე და აჭამე პატარ-პატარა. სიცხე

თუ არ დაუკლოს, კიდე დაზილოს ამ ბიჭმა. წამოდი ახლა, ბეჟანა, აგი რუსი არსად არ გაგექცევა, ხვალაც აქ იქნება, – თქვა აკვირინე ბებია და ადგა.

– ზღრასტი, რუსო – აუღო მხედრული სალამი ბეჟანამ და ღიმილით გაყვა აკვირინე ბებია.

* * *

მთელი ღამე ვუთით ავადმყოფს მე, ხატია და მამიდაჩემმა. შუალამისას იგი საწოლზე წამოჯდა, მთვარეულივით დიდხანს გვიყურა სამივეს, მერე კარისაკენ გაიხედა უაზროდ და სუსტი ხმით დაიძახა:

– დაო! – ჩვენ სულგანაბული ვუგდებდით ყურს.

– დაო! – გაიმეორა მან და უღონოდ გადავარდა ბალიშზე.

– რა გინდა? – ჰკითხა მამიდამ რუსულადვე.

– რა გახდა, დაო, ერთი ყოუბი დარიშხანი? – თავის წრიალით ამოიკენესა მან.

მამიდამ ისევ ღვინო დააღვინა და სასთუმალთან დაუჯდა.

ნაშუალამეკს ისევ დავზილე აკვირინე ბებია დატოვებული წამლით. მამიდა ტახტზე წამოწვა და ჩაეძინა, მე და ხატია კი ისევ ვდარაჯობდით მომაკვდავს.

– სოსოია, ბიჭო, რა ეშველება მაგ კაცს? – მკითხა ხატია.

– ხომ თქვა აკვირინე ბებია, გადარჩება?

– თუ არ გადარჩა?

– გადარჩება. ომშია მაგი ნამყოფი. არ ნახე ძუძუს ქვეშ რამხელა ჭრილობა აქვს? იმას გაუძლო და სიცხეს ვერ გაუძლებს?

– სადა აქვს ჭრილობა?

საბანი გადავამერე მკერდზე, პერანგი გადავუღლე, ხატიას ხელი ავიღე და მარჯვენა ძუძუს ქვეშ ამოგლეჯილ ღრმა ჭრილობაზე დავადებინე.

– მარცხნივ რომ მოხვედროდა, მოკლავდა, ხომ, სოსოია? – მკითხა ხატია.

– კი!..

ხატია ახლა ორივე ხელი ფრთხილად ჩამოუსვა სახეზე ავადმყოფს, მერე მხრებზე და მკლავამდე ჩამოყვა.

– ლამაზია?

– რა ვიცი, ალბათ, ლამაზია. ამ წვერში რას შეატყობ.

– გამხდარია! – თქვა ხატია.

– მისმინე, დიშკა!.. – დაიწყო უცებ ავადმყოფმა, – ა, დიშკა, არ გეყურება?.. – მე და ხატია სმენად ვიქცეთ.

– შენ გეუბნები, გესმის?

– მესმის! – ვუთხარი გაუბედავად.

– მისმინე, ახლა ყველას ძინავს... დილაზე გერმანელები მოვლენ, ყველას გაყვანას ვერ მოასწრებენ... მე და შენ სიარული შეგვიძლია, შენ რა, ამ ლოგინში გინდა დალპე? თუ ბალღინჯომ და კბენარმა გინდა შეგჭამონ? – ავადმყოფი დაჟინებით დამაშტერდა.

– რას ამბობს?

– ჰოდა, ადექი... ევაკუაცია ჩემი საქმე არ არის... ეგ შობელმალლი ექიმი თვითონ წავიდეს, თუ ეშინია... რას გაჩუმიდი, გეშინია? აქ ჩემი სახლია, შენი სახლიც აქ არის... ახლა ყველას ძინავს, არც არავინ მორიგეობს, ნახე!.. – ავადმყოფი ლოგინზე წამოიწია...

– დაო, დაო! – დაიძახა მან სუსტი ხმით. ხმა არ გავეცი. – აი, ხომ ხედავ, ახიკე შენი ძონძები... აბა, ცოცხლად... ავადმყოფი სწრაფად წამოჯდა საწოლზე და მაჯაში ხელი ჩამავლო.

- მოიცა! – ვუთხარი მე და მხარზე ხელი მოვხვიე, – მოიცა, გათენდეს!
- მე მივდივარ, – მითხრა მან, ხელი მკრა და წამოდგა ლოგინიდან.
- სად მიდინარ, კაცო!

ვეცი წელში. იგი გამიძალიანდა.

– ხატია, მიშველე! – ვიყვირე მე. ხატია ხელის ფათურით მოვიდა ჩვენთან, ავადმყოფს ზურგიდან მოუარა და რაც ძალა ჰქონდა, მოეხვია.

– გამიშვით! – იღრიალა ავადმყოფმა და ისე გაიქაჩა, სამთავენი იატაკს დავენარცხეთ. შეშინებული მამიდა ლოგინიდან წამოხტა და ჩვენთან მოვარდა.

– გამიშვით... – ამოგვიტრიალა სანათესაო და დედულეთი ავადმყოფმა, მაგრამ ჩვენ არ ვეშვებოდით, ნახევარი საათი ფართხალებდა იგი ჭოროხზე ამოგდებული კალმახივით. ნახევარი საათი ვებრძოდით სამნი ამ შიშშილითა და სიცხით მილეულ და რაღაცის შიშით ლომად ქცეულ კაცს. თანდათან მისუსტდა, მიიღია, მისავათდა და ტირილი დაიწყო.

– დაო, გამიშვი, დაო, დაგიმახსოვრებ, დაგიფასებ... – მაგრამ ჩვენ არ ვუშვებდით.

ბოლოს ავადმყოფი შეურიგდა თავის მდგომარეობას, მკლავები უღონოდ ჩამოუშვა და დაგვენებდა. საწოლზე დავასვენეთ და მკვდარივით დაიძინა.

მე იატაკზე ვიწეკი, ბუნართან, ხატია და მამიდა კი ერთად...

– მამიდა!..

– რა გინდა, ბიჭო?

– გძინავს, მამიდა?

– ჰო, ძინავს!

– შენ რომ არ გეწყინოს, მამიდა, ხვალ წავალ სოფსაბჭოში და ვეტყვი, რომ წაიყვანონ.

– დაიძინე, ბიჭო, ნუ ლაპარაკობ ბევრს, ხატია არ გააღვიძო!

– არც მე ძინავს! – თქვა ხატიამ.

– ხვალვე წაგიყვანოთ, ხომ, ხატია?

– სად მივბოლა ნეტავი საწყალი? – კითხვაზე კითხვით მიპასუხა ხატიამ.

– დაიძინეთ ახლა, ხვალ სკოლაში არ მიდინართ?

– რა ვქნათ, ა, მამიდა?

– რა უნდა ვქნათ, თუ მოვიყვანეთ, მოვეუაროთ უნდა, სოფსაბჭო რა შუაშია.

– რა ვაჭამოთ?

– რასაც ჩვენ ვჭამთ, ის ვაჭამოთ!

– მაგას რძე უნდა ახლა, გამხდარია! – თქვა ხატიამ.

– არც ჭადი და ყველი აწყენს! – ვთქვი მე.

– საიდან გაჩნდა აქ ნეტავი? – იკითხა ხატიამ.

– ასე იცის ომმა! – თქვა მამიდამ.

– მამიდა!

– რა გინდა, ბიჭო?

– აბა, ჩვენთან დატოვებ ამ კაცს?

– ჯერ მოვარჩინოთ, სოსოია, დაიძინე ახლა.

ძინავს და მესიზმრება: ჩვენი სოფლის ეკლესიის წინ დგას მამიდაჩემი, თეთრი, მაღალი ღვთისმშობელივით ლამაზი და საქორწინო კაბაში გამოწყობილი, მის ფერხთით დამხობილია მთელი ჩვენი სოფლის კაცობა და მათ შორის ჩემი რუსიც. ყველანი დუმან, დუმს ჩემი მამიდაც. მხოლოდ ჩემი რუსი ქცეულა ვედრებად: იგი ხელაპყრობილი ემუდარება მამიდას:

– დაო, გამიშვი, დაო, დაგიმახსოვრებ, დაგიფასებ!

მე ვეხვეწები მამიდას, არ გაუშვა-მეთქი. მამიდა მიდის ჩემს რუსთან, ჰკიდებს ხელს, მერე მოდის ჩემთან და ჩვენ სამთავენი ერთად მივდივართ სახლში.

ერთი კვირა ებრძოდა სიკვდილს ჩემი რუსი, ღამით ისევ ბოდავდა, დღისით კი იწვა განაბული და აპრიალებულ თვალებს ჭერს არ აცილებდა. ყოველდღე ნახულობდა ავადმყოფს ბეჟანა, მიუჯდებოდა სასთუმალს და ძველი მეგობარივით ემუსაიფებოდა:

– აღარ ადგები, სოსოიეს რუსო, აწი? ხომ ხედავ, დადნა აგი ქალი! რაო? ქართული არ ვიციო! არც მე ვიცი რუსული, მაგრამ გამეჯიბრე თუ გინდა. თუ გინდა ჭამაში გამეჯიბრე, რაშიც გინდა, ღონეში, სიმღერაში. რაო? რუსულად ვიმღერო? რუსული არ ვიცი, თუ გინდა ჩვენებურს ვიმღერებ... ბანი მითხარი შენ... ვერ მეტყვი? ვერც მეორეს? კარგი, აბა, მარტო ვიმღერებ...

და ბეჟანა მღეროდა:

გოგონა შენი კოფთა
ვინ შეკერა ასე კოხტა.
იმის შემკერავი მოკვდა,
იმან ჩემი გული მოკლა...
სიყვარულმა მე კი არა,
გადარია ტარიელი,
ჩემისთანა კი არ იყო,
ჭკუა იყო ცარიელი...

– ამას წინათ ლუკაია ფოცხიშვილის ბიჭი შეიცხადეს და კი არ უნდა ვმღეროდე ახლა მე, სირცხვილია, მაგრამ მე აბდალი ვარ, მემღერება და რა ვქნა? რატომ მემღერება? შენ რატომ გეტირება? სიცილი და ტირილი ძმებია. კაცმა რომ თქვას, არც ჩვენ რადიოს აქვს სამღერლად საქმე, კი იცი შენ მაგი, მაგრამ ხომ მღერის? სიმღერა შველის კაცსაც და ყველასაც გაჭირვებაში... ასეა მაგი! – ამთავრებდა ვიზიტს ბეჟანა, მერე მოდიოდნენ მეზობლები, მოდიოდა ექიმი, ასმევდა წამლებს, უკეთებდა ნემსებს და ერთი კვირის თავზე ჩემმა რუსმა თვალი გაახილა და ლოგინზე წამოჯდა. მერე სად ვარო, იკითხა, როდესაც ვუთხარი, სადაც იყო, ადგომა დააპირა, მაგრამ ვერ ადგა და უღონოდ მიესვენა ბალიშზე. დიდხანს გვათვალიერა მე, მამიდა, ხატია და ბეჟანა, ბოლოს თვალები დახუჭა. შუბლი შეჭმუხნული ჰქონდა და სახის ყველა ნაკვთი უთრთოდა. მივხვდით, რომ არ ეძინა. რაღაც ძალიან ძნელ, მძიმედ მოსაგონარს იგონებდა და ოთახიდან გავედით.

მე და ხატია გადავედით ეზოდან და შუკას გაუყევეთ, ხელიხელჩაკიდებული მივდიოდით, თვითონ არ ვიცოდით, საით.

– რძე უნდა მაგას ახლა, თხის რძე და უცებ მოიკეთებს, – თქვა ხატიამ.

– მერე სად ვიშოვოთ რძე?

– მინასთან მივიდეთ, იმას ჰყავს თხა, – ხატიამ ხელი ჩამკიდა და ჩვენ თავქვე დავეშვით.

წელში მოხრილი მინა ეზოს ხვეტავდა, კუდში ორ წელს ქვევით ტიტლიკანა გოგო-ბიჭი დასდევდა და უცრემლოდ ტიროდნენ.

– ნენა, მურაბა გვინდააა...

– თქვენ გაწყდით, რავა შემიღონეთ სული, სიკვდილი არ გინდათ?

– მურაბა გვინდააა! – ღნაოდნენ ბავშვები.

ეზოში ჩავედით, მე ალაგესთან დავეჯექი კონდარზე, ხატია კი პირდაპირ მინასკენ წავიდა, მიუახლოვდა და წინ დაუდგა. მინას არც მოუხედავს, ხვეტას განაგრძობდა, ხატიას დანახვაზე ბავშვებმა ტირილი შეწყვიტეს და გარს შემოეხვივნენ.

– ხატია, ხატია, ნენა, ხატია მოვიდა! – მინამ წელზე დაიბჯინა ხელი, თავი მაღლა ასწია და ხატიას გაუცინა.

– რაო, ხატია, შენი ჭირიმე?

– გამარჯობა, მინა!

– იცოცხლე, ხატია! – უპასუხა მინამ, იქვე კონდარზე დაჯდა და სასმენად მოემზადა.

– მინა, რძე გვინდა მე და სოსოიას!

– რძე გინდათ? – გაუკვირდა მინას.

- ხო, თხის რძე გვინდა, ავადმყოფისთვის.
 - მოგიკვდეს ჩემი თავი, ხატია, ამ ვეშაპებს რა რძე გადაურჩებათ? ძუძუში ჩადგომას არ აცლიან. ბაწარზე გადასაკიდად გახადეს თხა. – თქვა მინამ და ბავშვებს შეუტია. – გასკდა თქვენი ფაშვი, რა ვქნა ახლა მე?
 - კარგი აბა, სხვასთან წავალ, მინა, – უთხრა ხატია და შემომბრუნდა.
 - მოიცა, ხატია, მოიცა! – წამოიძახა უცებ მინამ, წამოხტა, ახორში შეირბინა და რქით გამოათრია აპეტელბული თხა, რომელიც წინა ფეხებს სოლივით არჭობდა მიწაში და თავს აქეთ-იქით აკანტურებდა. – ა, ჩემო ხატია, ნახე, როგორაა გამოღეჭილი, მეთე ღღეს დავუკალით თიკანი, ამით რომ რძე არ მოკლებოდათ. მოდი აქ, აგერ მოკიდე ძუძუზე ხელი, როგორაა გამშრალი, ნახე, ნახე. – მინამ ძალით მიათრია თხა ხატიასთან, მერე ხელი ხელზე წაავლო და თხის დამჭკნარ ძუძუზე შეავლებია.
 - რად მინდა, მინა, ვიცი, სულ არ მიფიქრია, ბავშვები რომ გყავს.
 - არ გეწყინოს, ჩემო ხატია, ხომ იცი, შენთვის სულს არ დავიშურებ...
 - ვიცი, მინა, – ხატია ჩემსკენ წამოვიდა. – წამოდი, სოსოია! – ხელი მოკიდე და ეზოდან გავიყვანე.
- მთელი სოფელი გამოვიარეთ, თითქმის ყველა ოჯახს ჰყავდა თხა, მაგრამ რძე არავის ჰქონდა. ყველა ოჯახში იცოდნენ, რომ თხის რძე მარგებელია და გადასაქცევი რძე არავის ჰქონდა, არც გასაყიდი ჰქონდათ. ედემიკა გორდელაძემ ისიც კი გვითხრა, რძეს და სისხლს ომის დროს ერთი ფასი აქვსო, ვასასი სოსელიამ კი ჩვენ თვალწინ ჩაუფურჩხნა შვილიშვილს ჭადი თხის რძეში და ბავშვმა რომ სულმოუთქმელად ჩათქვლიფა, ასე გვითხრა:
- ხომ უყურეთ თქვენი თვალთ, ეს ბალანა ამ თხის რძით გამყავს ღლიდან ღღემდე, ავია მისი ღელაც, საუზმეც, სადილიც და ვახშამიც, სხვა საჭმელი ამისთვის არ არსებობს, მთლად გათხავდა ყაზილარი, როდის დაიპეტელებს, არ ვიცი.
- მეორე ღღეს შუადღეზე ხატია ჩამოვიდა ეზოში, გამიხმო და ჩურჩულით მითხრა:
- სოსოია, მე ვიცი სადაა თხის რძე.
 - სად, ხატია?
 - წამოიდე ჭურჭელი და წამოდი.
- სამზარეულოდან დერგი გამოვიტანე და ხატიას წაყვევი. ჩაის პლანტაცია გადავჭერით, თხილები გავიარეთ და ხრამის პირას დიდი მსხლის ძირში აღმოვჩნდით.
- გესმის? – მკითხა ხატია. ყური მივუგდე, დაბლიდან ჩანჩქერის ყრუ გუგუნე მოისმოდა.
 - გადასანჩქერა გუგუნებს!
 - კარგად დააყურე.
- სმენად ვიქეცი. ქვევიდან თუნუქის ზარის ყრუ და გაბზარული ხმა მოისმოდა დროგამოშვებით.
- მესმის...
 - შუადღეა ახლა და რაც თხებია, გადასანჩქერაზე არიან ჩასული.
 - გაგიჟდი, ხატია?
 - ცოტა გამოვწველოთ, სოსოია, რა შეეტყობა?
 - დაგვინახავს ვინმე.
 - არ გინდა, მალე მორჩეს შენი რუსი?

ერთი კვირა დავდიოდით დაბარებულებივით მე და ხატია გადასანჩქერაში, ექვსი დერგი გავტეხეთ. იყო ქაჩვა და ბლეჯელი, ძუძუების გლეჯვა, რძის დაქცევა, სირბილი და სიცილი. ჩვენს დანახვაზე თხები წივილ-კივილით გარბოდნენ, კისრით ეშვებოდნენ კლდეზე, რქებით გაჰქონდათ ბარდები, იგლეჯდნენ მუცლებსა და ჯიქნებს. ჩვენც დაღლეტილები ვბრუნდებოდით შინ, მოგვქონდა რძე და გულაჩუყებულ მამიდას მთელი საათი ვალოცვინებდით კეთილ

მეზობლებს. ამ ერთ კვირაში ისე დავოსტატდით წველაში, რომ ახლა უკვე გაქცეულ თხას მოვწვლილი. ვინ იცის, როდემდის გაგრძელდებოდა ეს ამბავი, რომ ერთ საღამოს ედემიკა გორდელაძის ბლავილს არ შეეძრა სოფელი.

- ხალხო, გამოდით, გარეთ!
- რა იყო, ედემიკა!.. - მიაკიჟინეს აქეთ-იქიდან შეშინებულმა მეზობლებმა.
- გამოდით გარეთ, თხა გამოუღეჭია ვილაცას ჩემი..
- სიკვდილმა გამოუღეჭა ფაშვი, წუსელ ჩემი იყო გამოღეჭილი. - მიაკნავლა მინამ.
- მაშეიკოს თხა ისეა გამოღეჭილი, რძე აღარ უდგება ძუძუში...
- შიგანს გამოვართმევ, თუ მოვუსწარი, რუსეთ-იაპონიის ომის დროსაც კი იყო გაჭირვება, მაგრამ თხას ვინ ლეჭდა მაშინ?
- ჩემსას დღეგამოშვებით ლეჭავენ, ედემიკა! - გასძახა ფედოსიამ.
- კი ვიცი მე, ვინ შვება მაგას, მაგრამ ჯერ არ ვჩივი, - თითი გაიქნია ჰაერში ედემიკამ.
- თქვი, თუ იცი, - მიცვივდნენ დაზარალებულები.
- ვინ და ვისაც ჭირდება თხის რძე.
- თხის რძე ვის არ ჭირდება, შე კაცო? - გაუკვირდათ მეზობლებს.
- ერთი დღე კიდევ მაცალეთ და გაგხსნი მაგ საქმეს. - დაჰპირდა ედემიკა.
- გვიშველე რამე! - თხოვეს მეზობლებმა.

შეიძრა მთელი სოფელი, თხებს საბალახოზე აღარ უშვებდნენ და თუ უშვებდნენ, მთელი ოჯახი თან მიჰყვებოდა. მე და ხატია მკვდრებივით დავდიოდით. ერთ საღამოს, როდესაც რძე უკანასკნელად მოვიტანეთ, მამიდამ მოგვიხმო მე და ხატია.

- ახლოს მოდით, ბავშვებო. მოდი, ხატია, ჩემთან.
- რა იყო, ქეთო მასწავლებელი?
- ხატია, მაჩვენე შენი ხელები. - ხატია ხელები გაუწოდა მამიდას. მამიდამ ხატიას ხელები სახეზე აიფარა და ღრმად ჩაისუნთქა. მერე ჩემთან მოვიდა და იგივე გააკეთა.
- რა მოხდა, მამიდა? - ვკითხე შეშინებულმა
- თხის სუნი გაქვთ, ბავშვებო! - მეტი მამიდას არაფერი უთქვამს.

ras gvekiTxeba amocana

კოლმეურნეობის კრება, როგორც წესი, საღამოობით იმართებოდა, ზარის რეკვა კი შუადღიდან იწყებოდა. მთელი დღის მუშაობით დაღლილ ხალხს ეზარებოდა კრებაზე მოსვლა და იყო გაუთავებელი ხვეწნა-მუდარა:

- ე, კაცო, არქიფო, ამოდი კრებაზე!
- ედემიკა, ახლა გაგიჩნდა რევმატიზმი?!
- არ გამოხვალ ხომ, დიომიდე? მიგცემ აღმასკომის პირში, თუ ვყოფილვარ ზოსიმე!
- ზოსიმე ჩიყვიანო, ნუ ბლავი და მომასვენე, თორემ გამოვიტან თოფს და ჩამოგაგდებ ჩიტივით მაგ ჯირკიდან, - ემუქრებოდა მუხის გადანაჭერზე შემდგარ და კისერზე ძარღვებდაბერილ ზოსიმეს დიომიდე.
- მარგალიტა, გამოდი გარეთ, ვიცი, შინა ხარ!
- ქსენია, წამოდი და წამოიძღვანე შენი დაფეხვილი ყაძახი.

ჩვენ, ბავშვებს, კრებაზე არავინ გვეპატიჟებოდა, თუმცა პატიჟი არც გვჭირდებოდა. ეს იყო ჩვენთვის ერთადერთი გასართობი ადგილი. კრება სკოლაში იმართებოდა ყოველთვის. არაფერი არ იყო იმაზე კარგი სანახავი, როგორ მოუხერხებლად ისხდნენ ჭადარა, სახელამწვარი და დაღარული ხალხი ჩვენს ვიწრო და პატარა მერხებზე, ერთ კლასში რამდენჯერმე ჩარჩენილი მოსწავლეებივით. ჩვენ კი იატაკზე ვისხედით, სულგანაბული ვისმენდით ამ საოცრად

საინტერესო გაკვეთილს, სადაც სიას არავინ კითხულობდა, მოსწავლეები ხელს არ იწვედნენ და ადგილიდან პასუხობდნენ, წევდნენ პაპიროსს, ლაპარაკს არ აცდიდნენ ერთმანეთს, მასწავლებელს შენობით ელაპარაკებოდნენ და ამისათვის მათ გარეთ არავინ აგდებდა. ვიჯექი და ვნატრობდი, როდის გავხდები მეც ამხელა, როდის მეღირსებოდა დაძახება – სოსოია, ამოდი კრებაზეო, როდის გავუბედავდი ზოსიმეს ჩიყვიანის დაძახებას და როდის იტყოდნენ კენჭისყრის დროს – სოსოიე თავს იკავებსო.

აი, ახლაც, მე და ხატია ვსხედვართ იატაკზე მამიდაჩემის ფეხებთან, ჩვენს უკან ბეჟანა ზის, ისიც იატაკზე და ველოდებით კრების დაწყებას. კლასი გუგუნებს, ფანჯრები ღიაა, მაგრამ მაინც საშინლად ცხელა. თამბაქოს, ოფლის და მიწის სუნი, ერთად არეული, თვალებს მწვაკვს. არის მოხუცების ჩაბყირებული ხველება და ქალების გაუთავებელი ქაქანი. ხალხი მოდის და მოდის.

– ჰე, გაივსო კლასი, დავიწყეთ ახლა! – თქვა ზოსიმემ და ენაგამომძვრალ ზარში ფანქარი გაახაკუნ-გამოახაკუნა.

– ვინ ავირჩიოთ კრების თავმჯდომარედ? – იკითხა მან სერიოზულად.

– შენ თვითონ იყავი, მაგ საქმისთვის ხარ დაბადებული, სხვად მაინც არაფრად ვარგინარ, – თქვა დიომიდემ.

– გამოდი და ნახე, როგორია კრების თავმჯდომარეობა! – მიიპატიჟა ზოსიმემ დიომიდე.

– მაგისთვის მოგინდურებ ოქროსავით მეზობელს?

– დეიქვა ის დღე, შენ რომ ჩემს მეზობლად ჩამოეთესლდი.

– წაიკითხე დღის წესრიგი, შე უპატრონო, ვერ ხედავ, რომ თენდება? – შეაწყვეტინა დისკუსია ზოსიმეს და დიომიდეს გერასიმე ბიძიამ.

ზოსიმემ ჩაახველა, სათვალე გაიკეთა, დიდი საქაღალდე გახსნა, იქიდან დიდი ქაღალდი ამოიღო, ცხვირთან მიიტანა და უცებ გაახსენდა.

– კაი მაგრამ, კრებას მდივანი არ უნდა?

– მდივანიც შენ იყავი! – უთხრა ისევ დიომიდემ.

– ვერ გაუძღვება ამდენ საქმეს! – თქვა სერიოზულად ბეჟანამ.

ზოსიმემ სათვალეების ზემოდან გახედა ბეჟანას და სერიოზული რომ დაინახა, აღარაფერი უთხრა.

– კენჭი არ ვიყარო?

– კენჭი კი არა, თუ გინდა ქვა ისროლე და თავი შეუშვირე, ოღონდ დეიწყე! – უთხრა მოთმინებიდან გამოსულმა ხატიას მამამ.

ზოსიმემ ერთხელ კიდევ ჩაახველა და დაიწყო.

– დღის წესრიგშია ერთი საკითხი, ზოგიერთი ცუდლუტის და, ასე ვთქვათ, საერთო საქმისა და სამშობლოს მოღალატის სამუშაოზე გამოუცხადებლობის შესახებ. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხანაგ ქიშვარდი სპირიდონის ძე ვაშაყმაძეს, – ქიშვარდის ხსენებაზე ერთი-ორი ტაში გავარდა გლახად დატენილი ფილთა თოფივით, ქიშვარდი ადგა, ნახევარი გრაფინი წყალი დალია, ქამარი მოიჭირა და ბოხი ხმით დაიწყო:

– ამხანაგებო, წრევანდელი წელიწადი დიდი დაზაფრული წელიწადია. დგას ორი კაცი, ორი ქვეყანა, წითელი და თეთრი, წითელი და შავი, ვარსკვლავი და არწივი, დგას და უშენს ერთმანეთს ტყვიას. ჩვენ ვინ ვართ? ჩვენ ვართ ჩაქუჩი და ნამგალი, ესე იგი, ვარსკვლავი, ისინი? ისინი ჯოჯოხეთი, სკვარამი, უკუნეთი, ბნელეთი, შავი ქვა და არგადარჩენა, რას შვება ჰიტლერი? ჰიტლერი მოდის წინ, ჰიტლერი მოსულია მყავე წყალზე, – კისლოვოდსკ! – თარგმნა მან რუსულად. – უჭირს ხალხს, უჭირს მთავრობას, უჭირს ჯარს. ჩვენ არ გვიჭირს? ჩვენც გვიჭირს, გვშია, გვწყურია, ტანზე არ გვაცვია და ფეხზე. ქისტაფორე ბასილია, თუ გიფიქრია, შენს ბიჭს რომ თოფი უჭირავს ხელში და ჰიტლერს ურტყამს, შია, წყურია და ტანშიშველია?

- მაგის ჯავრი არ მკლავს, ქიშვარდი?
- გერასიმე ჩემო, შენი ბიჭი რომ ჰოსპიტალში წევს, თუ ფიქრობ, იმის მომკვლელს, ათასი რომ ყავს მოსავლელი და საპატრონო, ჭამა რომ უნდა?
- რაჟღენ! შენი ბიჭი რომ ტანკში ზის, იმ ტანკს კორკიმელი და გულაბი მსხალი ისხამს თუ იცი?
- თქვი, ქიშვარდია, სათქმელი, – შეუძახეს ქიშვარდის.
- პური უნდა ქვეყანას, ჭადი უნდა, ლობიო უნდა, ძროხა უნდა, ხბო უნდა, რისთვის დაგვტოვა მთავრობამ შინ, თოფის სროლა არ ვიცით? გამოდით, რომელსაც გინდათ და ვისროლოთ ბეჭედში. ბანალს აგართმევთ შუბლზე მაუზერით, მაგრამ აქ ვარ საჭირო. ომს დიდი კუჭი აქვს, მშვილობაზე ათჯერ დიდი კუჭი, გეყურებათ თქვენ?
- ქიშვარდი, ა, დანა და გამოგვკვირი ყელი, არ ვმუშაობთ, თუ როგორაა შენი საქმე? – გახსნა ჯაყვა გერასიმე ბიძიამ.
- ყველაზე არ ვამბობ მე, კაცებს არ ვენდური, არც ქალებს ვენდური, მაგრამ ზოგი მარცხვენს.
- დაასახელე, ქიშვარდი, დაასახელე! – აბლავდა ხალხი. ქიშვარდის გულის ჯიბიდან ორად დაკეცილი ქალაღი ამოიღო და გაშალა. კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ქიშვარდის დიდხანს უყურა სიას და ბოლოს, როგორც იქნა, გადაწვიტა.
- სადაა ამბაკო, სადაა კირილე, სადაა კიკიტია, ფედოსი ბარამიძე და მისი რძალი მაყვალა სად არიან? – იკითხა ქიშვარდის.
- აღეკი, შაქროია, და თქვი, სად არიან დედაშენი და გოგიას ცოლი! – კრა ვილაცამ ხელი შაქრო ბარამიძეს, შაქრო წამოდგა, ხელისგული გადაუსვა მერხს, მერე ცხვირპირზე ჩამოისვა ნიჩაბივით და უგემურად თქვა:
- ბათუმში არიან წასული, შაქარზე და ქაფშიაზე.
- არქიფო, რამდენი ხანია შაქარი არ გინახავს? – ჰკითხა ქესკინემ არქიფოს.
- ნახვით როგორ არ მინახავს, არ მიჭამია თორემ!.. – უპასუხა არქიფომ.
- შაქროს ხველება აუტყდა და სახეზე ორთავე ხელი აიფარა.
- ბეგლარას ძალღივით რომ ახველებ, თქვი, რა უნდათ ბათუმში! – შესძახა შაქროს ზოსიმემ.
- რა და, ნენე და პატარა გოგიას ცოლი სპეკულანტობენ, ჩამოაქვთ ბათუმიდან ქაფშიე და ყიდიან მერე, – ამოღერდა შაქრომ.
- სადაა მდულარე, თორემ ამისთანა შვილს დღეში სამჯერ რავა არ უნდა გადაარო თავზე! – ჩამოიხოკა ლოყა შავმა მაშიკომ.
- აბა, რა გეგონა შენ, მაგათი გულისთვის მე წავალ ციხეში? – შეუღრინა შაქრომ და დაჯდა.
- არავის არ ვიჭერ მე, – თქვა ქიშვარდი თავმჯდომარემ, – ვისაც არ უნდა მუშაობა, გავიდეს ტყეში დათიკოსავით და ათიოს ღამე კვერნებთან. არავის სახვეწარი ჩვენ არ გვჭირს. ომი არ გათავებულა, ომს ახლა ვიწყებთ ჩვენ, და ჩვენ თუ არ ვუპატრონეთ ჩვენს თავს, სხვა არ მოგვხედავს. ლუკაია ფოცხიშვილო, თქვი რამე! – თქვა ქიშვარდი თავმჯდომარემ და დაჯდა.
- ლუკაია იმ ღამის შემდეგ ხმაამოღებული არავის უნახავს, იგი მზეზე ადრე ამოდიოდა კონცხოულას მთაზე, მუშაობდა ხარივით, მზეზე გვიან ჩადიოდა თავის ეზოში, წვებოდა პარმალზე, თვალებს ხუჭავდა და ქვეყანა რომ დაქვეულებოდა, თვალს არ გაახედა. ლუკაია შეცბა, გაკვირვებული ადგა, მერე ისევ დაჯდა, ადგა, მაგიდასთან გავიდა, წყალი დალია და უცებ დაიხრიალა:
- თუთუნო! – წინა მერხებზე მსხდომმა ათმა კაცმა ჩაიყო ჯიბეში ხელი და მაგიდა თუთუნით გაივსო. ათმა კაცმა მონია გაზეთი და მაგიდა ქალაღით აივსო, ათმა კაცმა ჩამოჰკრა კვესაბედი და ოთახი დამწვარი აბედის სასიამოვნო, ტკბილი და დამატრობელი

სუნით აივსო. ხელის კანკალით გაახვია ლუკაიამ ცერის სისხო სიგარა, მოქაჩა და ღრმად ჩაისუნთქა. კლასი ღუმდა სამარესავით. ლუკაიას შუბლზე ცივი ოფლი ესხა ცვარივით.

– მე რა, მე, – დაიწყო ლუკაიამ, – ჩემთვის ომი დიდი ხანია გათავებულია, მე ახლა გულზე უნდა მეკრიფოს მკლავები და სულს უნდა ვლაფავდე. მაგრამ სადაა მიქელ გაბრიელი, არც ღმერთი სწამს და არც რჯული. არ მოდის, – ლუკაიამ სიგარა შუაზე დაიყვანა და განაგრძო: – არ მოდის და ნუ მოვა. სანამ მოსულა, ვერ დავიკრეფ გულზე ხელს, რაც სისხლი მაქვს, ოფლად ვაქცევ, რაც ცრემლი შემრჩენია, იმას სისხლად ვაქცევ, იპოვის ჩემი ბიჭის ძვალს, დედამიწის გულს რომ გაიარს, აბა, რას იზამს. ან სისხლს დავლევ ჰიტლერისას, ან ასე ზეზეურად წავიქცევი მიწაზე... ავია ჩემი სიტყვა, მე ხვადაგი არ ვარ და ბალახს არ ვჭამ. ჩემ ღლეში არ ხარ შენ, ეგვენია?

– კარგი ახლა, ლუკაია, ნუ ამბობავლებ ამ მილეთის ხალხში, – თხოვა ეგვენიამ.

კრებას ჟრუანტელმა დაუარა. ხალხი აზუზუნდა, მაგრამ ჯერ არავინ არაფერს ამბობდა, ლუკაია მივიდა თავის ადგილზე, დაჯდა და თვალბზე ხელი აიფარა.

– დაწერე, ზოსიმე ჩიყვიანო! – თქვა ქსენია ბრიგადირმა და ფეხზე ადგა.

გაკვირვებულმა ზოსიმემ თავმჯდომარეს გადახედა.

– დაწერე, მე შენ გელაპარაკები, – გაუბეორა ქსენიამ. თავმჯდომარემ ზოსიმეს თავი დაუქნია.

– დაწერე, – განაგრძო ქსენიამ, – დაწერე, რომ მზემ არ ჩაიხელოს იმის ეზოში, ვინც სამუშაოს გამოაკლდეს უმიზეზოდ, ისე შეახნეს მარჯვენა, საკუთარი ვენახის სამამულე რქა ვერ მოელუნოს, სხვისი მოსახვედრი ტყვია მოხვდეს გულში...

– როგორ ტაბაკონის როკაპივით იწყევლება ეს შეჩვენებული! – თქვა ალფესი სოსელიამ.

– შენს საყურადღებოდ ვჩივი მე ამას, – შეუღრინა ქსენიამ.

– ჩემგან რა გინდა, შე აჯილდა, ხარივით ვმუშაობ და ბლავილს ვერ დავიწყებ.

– უნდა იბლავლო!

– ესეც ჩავწერო? – იკითხა ზოსიმემ.

– მაგ ქარჩხავივით წყევლას გირჩევენია ის ჩაწერო, ერთი კვირა რომ თხებს გვიღეჭავს ვილაცა, – წამოხტა ფეხზე ედემიკა გორდელაძე, – მე და ხატიას სუნთქვა შეგვეკრა.

– სამუშაოზე გამოსასვლელად ქსენიას წყევლა არ მჭირდება მე, რძე უფრო მჭირდება, ვინც არ დადის სამუშაოზე, ის არც კრებაზეა და რასაა, რომ მოგვედგომია და გვწყველის ეს შეჩვენებული.

– ჩვენც სწორედ ის გვანტერესებს, სადაა ეს ხალხი! – თქვა ქიშვარდი თავმჯდომარემ და ფეხზე წამოდგა.

– აბა, მე ის უფრო მაინტერესებს, ვინ ღეჭავს ჩემ თხას! – იკივლა ედემიკამ.

– მართალია! – მიაკივლეს მაკამ, მინამ, მაშიკომ, ვასასიმ და სხვებმა.

ხალხი აირია, აჩოქოლდა, ზოსიმემ ისევ გაახაკუნა ფანქარი ენაგამომძვრალ ზარში, მაგრამ ყური არავინ მიუგდო.

– გაჩერდით, ხალხო! – იყვირა ქიშვარდი თავმჯდომარემ და მაგიდას ხელი დაარტყა. ხალხი თანდათან დაწყნარდა.

– თქვი, ედემიკა გორდელაძე, რომელ თხაზეა ლაპარაკი.

– მე ჩემსაზე ვიტყვი.

– ჩემსაზედაც თქვი! – შეეხვეწა მინა.

– ყველამ თავის თხას მოუაროს! – იყვირა ვილაცამ.

– მართალია, სიტყვა ეძლევა ედემიკას თხას, გამოდი, ედემიკა.

– აქედან ვიტყვი!

– აბა, ჰე, დაიწყე პეტელი!

– საიდან დავიწყო, არც კი ვიცი!

– კუდიდან დაიწყე, ედემიკა, კუდიდან! – მიაძახეს აქეთ-იქიდან.

ედემიკამ ვერ კეფა მოიფხანა, ფრჩხილებზე დაიხედა, მერე ჩემსკენ გამოიხედა, მიყურა, მიყურა და, თვალი რომ ვერ გავუსწორე, თავი დაიქნია – მაცალე მე შენო, და დაიწყო.

– მეზობლებო, თხა ძროხა არ არის!

– რა იცი? – ჰკითხა ეჭვიანმა ბეჟანამ. დარბაზმა გადაიხარხარა.

– ქიშვარდი თავმჯდომარე, უთხარი ამ გადარეულს, დახუროს საყლაპავი, თორემ დავჯდები ახლა, – მიუბრუნდა პრეზიდენტს ედემიკა.

– ბეჟანა, გაგსვამ გარეთ, განაგრძე, ედემიკა! – გააფრთხილა თავმჯდომარემ. ბეჟანამ პირზე ხელი აიფარა – მუნჯი ვარო და სმენად იქცა. ედემიკამ განაგრძო:

– ჩემი თხა, კი იცი თქვენ, ცალი რქა რომ აქვს და უკანა ფეხზე რომ კოჭლობს, ორ ბოთლ რძეს იწვევლება დღეში.

– ღმერთი არ გწამს მერე, ინვალიდ თხას რომ წველი? – ჰკითხა ვილაცამ.

– მე არ მომიტეხია მისთვის ფეხი, რძე კი ერთნაირი აქვს ყველა თხას... ჰოდა, იმას გეუბნებოდი, ერთ ბოთლს დილას ვწველიდი, მეორეს საღამოთი. ახლა რა გამოვიდა? მოვწველი დილას, საღამოს მოწველილი მოდის. ერთი ბოთლი რძე ახლა, როგორც ჩვენი ექიმი ამბობს, ერთ ბოთლ სისხლს უდრის...

– ჩვენი ექიმი იმასაც ამბობს, ედემიკა, ერთი კარალიოკი ორ კვერცხს უდრისო და ორი კარალიოკი ერთ ქათამსო... – უთხრა ბესარიონმა.

– არა, თუ? – გაუჯავრდა ედემიკა.

– კი, როგორ არა, მაგი რომ მითხრა, დავრგე სახლის წინ ერთი ძირი კარალიოკი და ახლა აღარც ქათამი მჭირდება, აღარც საქათმე, ვარ მოსვენებული ჩემთვის, აწი რომ მომივა სტუმარი კარალიოკს დავუკლავ.

– მაგი არ ვიცი მე, გეუბნები, ერთი ბოთლი თხის რძე ნახევარ ბოთლ სისხლს მაინც უდრის, – დაუკლო ედემიკამ.

– კიდე დაუკელი ცოტა! – შეუძახა ედემიკას ვილაცამ.

– ვერა, ბატონო, ჩემი დადგენილი კი არაა ეს? – გაჯიუტდა ედემიკა.

– თქვი აწი, ვინ ლეჭავს იმ ერთ ლიტრა სისხლს შენ თხას, – დააჩქარა ზოსიმემ.

– თხას კი არა, მე მლეჭავს სისხლს! – დაიკენესა ედემიკამ და ისე მაგრად დაირტყა მჯიღი გულზე, თვალები მაგიდაზე კინალამ წამოუცვივდა. მერე დოქს მივარდა, პირზე მიიყუდა, გამოცალა, მაგიდაზე ხმაურით დადგა, ისევ აწია მჯიღი და ის იყო ისევ უნდა დაერტყა მკერდზე, რომ ზოსიმემ ჩამოაშვებია და კრებას კითხვით მიმართა:

– კიდევ ვინ ხართ დაზარალებული?

– მე! მე! მე! – წამოხტნენ რიგრიგობით მინა, მაკა, მაშიკო, ვასასი.

– თხის პატრონებმა პეე დაიძახეთ! – თქვა ბეჟანამ და გაიკრიჭა, დარბაზში ისევ ხარხარი ატყდა.

– დავკცინის ეს ტვინგაწყალეული? – მიუბრუნდა ედემიკა ქიშვარდი თავმჯდომარეს.

– ბეჟანა, გაგსვამ გარეთ! – ისევ დაემუქრა თავმჯდომარე ბეჟანას.

ბეჟანამ ახლა მთლად მოიძვდარუნა თავი, თავმჯდომარემ ხელით ანიშნა ზოსიმეს, განაგრძეო.

– შენი თხა რამდენ ლიტრა სისხლს იწველის, მინა?

– ჩემი – ოთხს!

– შენი, მაშიკო?

– სამს!

– შენი, მაკა?

– ჩემი მაკეთაა და ერთს!

– შენი, ვასასი?

– ჩემი ორს!

– ოთხს მივუმატოთ სამი, მივუმატოთ ერთი და მივუმატოთ ორი და კიდევ ედემიკას ორი, რამდენია?

– თორმეტი! – დაიძახა კოლმეურნეობის ბუღალტერმა.

– გაყავი ახლა მაგი შუაზე!

– ექვსი!

– შუაზე რატომ ყოფ? – გაბრაზდა ედემიკა.

– იმიტომ რომ, ნახევარს თქვენ წველით დილას და ნახევარს სხვა ღეჭავს საღამოს, – უპასუხა ზოსიმემ.

– მართალია! – გაამხნევეს იგი.

– რას გვეკითხება, ესე იგი, ამოცანა? – იკითხა ზოსიმემ.

– ამოცანა გვეკითხება, სისხლს იწველება მაგენის თხები თუ რძეს, – ამოხსნა ბეჟანამ.

– გაჩერდი, შე აბაღა, ამოცანა გვეკითხება, ვინ ღეჭავს თხებს? – დარბაზში ტაშმა იგრიალა.

– რაღაც ამ გაყვითლებულ ხალხში ვერ ვხედავ ისეთ კაცს, დღეში რომ ექვს ბოთლ რძენასვამს გავდეს, – თქვა გერასიმე ბიძიამ და ხალხს თვალი მოავლო.

– ხალხო, თქვენ მართლა ვერ ხედავთ ვინ ღეჭავს თხებს, თუ თავს ისაწყლებთ? – იკითხა ამ დრომდე გაჩუმებულმა საშურა კვაჭანტირაძემ. გაკვირვებული ხალხი საშურასკენ მიტრიალდა. მე სხვაზე უფრო გაკვირვებული მივამტერდი საშურას, იგი დინჯად ახვევდა თუთუნს და საოცარი სიმშვიდით უსობდა ენას გაზეთის ნახევზე გარდიგარდმო. ხატიამ ხელი ხელზე მომიჭირა და თვალები ააფახულა.

– ამოღეჭე, საშურა, დაილია სული! – დაუძახა ვილაკამ.

– დათიკო ღეჭავს თხებს! – თქვა საშურამ თავაულებლად და კაჟზე კვესი ჩამოჰკრა. დათიკოს ხსენებაზე კრება გაიჭრუნა. მე სისხლი გამეყინა მარღვებში და შუბლზე ცივმა ოფლმა დამასხა.

– ვინ დათიკო, საშურა? – ჰკითხა ზოსიმე ჩიყვიანმა გაბზარული ხმით.

– დათიკო... ის არ ეყო, რომ მოგვეყავა ღუნიაზე, ქვეყნის ყბაში ჩავვაგლო, დაწანწალებს ახლა ტყეში მშიერ ტურასავით და ღეჭავს თხებს, ჩემთან რომ მოვიდეს და თქვენთან, იცის, შავ ქვას ვაჭმევთ, ჰოდა, ახლა თხებს ღეჭავს, სხვა ვინ იკადრებს, აბა, მაგას?! – თქვა საშურამ და გააბოლა.

– ცოდვა არ თქვა, საშურა! – გააფრთხილა ვასასიმ.

– ნუ გეშინია, მაგ ცოდვას როგორმე მაპატიებს ღმერთი, – დაამშვიდა საშურამ.

– სისხლად შეერგოს ჩემი თხის რძე, რაკი მაგას კადრულობს, აწი სოფელში შემოგვივარდება და კეციდან ჭადს აგვირეკავს! – გაასავსავა ხელები მაშიკომ.

– არც მაგი გაგიკვირდეს! იარაღში გადაჩაჩხული უნახავს აგერ ბეჟანას. დათვისლელები უნახავს, – თქვა მაკამ.

– მაგი თუ უკულმართ საქმეს არ აპირებს, რად უნდა იარაღი? – იკითხა ზოსიმე ჩიყვიანმა და ქიშვარდის გადახედა. ქიშვარდომ თვალი აარიდა.

– დღეს ლუკმას გვართმევს პირში, ხვალ, ალბათ, სახლს დაგვიწვავს და ზეგ, შეიძლება, კაციც მოკლას! – წამოხტა ფეხზე მინა.

– არც მაგი გაგიკვირდეს! – თქვა საშურამ დინჯად.

– ვინაა მერე პატრონი! – იკითხა გერასიმე ბიძიამ.

ხალხი აგუგუნდა.

– ამოიღე, ქიშვარდი, ხმა, თუ ხარ ჩვენი პატრონი, გაგვეცი პასუხი. – უთხრა ბესარიონმა და თვალი თვალში გაუყარა ქიშვარდის.

– ვეძებთ, ბატონო, ვეძებთ, ჩვენც ვეძებთ, რაიონიც... – იყვირა შეწუხებულმა ქიშვარდომ.

– ცუდად ეძებთ, ბატონო, ცუდად! – უყვირა ქიშვარდის საშურამ და ფეხზე წამოხტა. – შენ რას მიკეთებ, ბიჭო, რომ დაგიკიდია მაგი მაუზური წელზე გოჭის ფეხივით და დაგიქაჩავს თვალები! – მიუბრუნდა იგი უცებ ბადრია გაგუას.

ბადრია გაშრა, მერე ისიც წამოხტა და პირში ეცა საშურას.

– საშურა კვაჭანტირაძე, შენი ჭკუის სწავლება არ მჭირდება მე. – თქვა ბადრიამ – ვეძებოთ და ვეძებოთ, ახლა მაგასავით ტყეში ვერ გავალ, ღათიკოს ღვენის გარდა, სხვა საქმეც მაქვს მე. მაგიც რომ არ იყოს, დამალულია კაცი, გამოვა და...

– რომ გამოვა, მერე შენი დანმარება არ გვჭირდება ჩვენ! – მოუჭრა საშურამ.

– ახლა უნდა დაგვეხმარო, სანამ გაცოფებულა, ჩემო ბადრია! – უთხრა გერასიმე ბიძიამ.

– გენმარებით, ბატონო, გენმარებით, არ შემხვდა არსად ის უპატრონო და რა ვქნა?! – შესტირა ხალხს ბადრიამ.

– შენ ხომ არ გეშინია, ჩემო ბადრია? – დაუძახა ბადრიას ვილაცამ.

– რაო? – დაიწურჩულა ბადრიამ და გაფითრდა, – ადგეს ფეხზე, რომელი იყო! – კლასში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, – ადგეს ფეხზე, რომელი იყო! – იბღავლა უცებ ბადრიამ. – ადგეს, თუ ვაჟკაცია და ტვინს გაუხვრეტავ! – ბადრიამ მაუზერზე დაიღო ხელი.

ხალხი ისევ აგუგუნდა.

– დაწყნარდით, ხალხო, მაგი მე მკითხეთ, ვინ ღეჭავს თხებს! – თქვა ელემიკამ და წამოდგა.

– თქვი, ელემიკა! – შეუძახეს აქეთ-იქიდან.

– ერთი პატიოსანი ადამიანის რომ არ მერიდებოდეს, ვიტყვოდი, – თქვა ელემიკამ და მამიდას ირიბად გახელა.

– თქვი, ელემიკა! – უთხრა გაფითრებულმა მამიდამ.

– ქეთო, შენ კი იცი, მე რომ ქვეყანას მიჩვენებინარ, – დაიწყო ელემიკამ ენის ბორძიკით, – მაგრამ თუ არ ვთქვი, უარესია შენი ბიჭისთვის.

ხალხი გაინაბა, ყველამ მე შემომხედა და უცებ კრება აგუგუნდა.

– ტყუილს ამბობ, შე მათხოვარო!

– ვინ დაგიჯერებს მაგას!

– თვითონ ღეჭავს და სხვას უჩივის.

– ელემიკა, დაჯექი, თორემ...

– ვერ დაამტკიცებ მაგას!..

– აცალეთ ხალხო, თქვი, ელემიკა, რაც იცი! – უთხრა მამიდამ წყნარად.

– მე არაფერი არ ვიცი, მე ის ვიცი, რომ დილას ჩემთან იყო სოსოიე, აგი უსინათლო ციციც ახლდა, – თქვა ელემიკამ და ხატიასკენ დაიქნია თავი, ხატია არ განძრეულა, იგი მშვიდად იჯდა და ილიმებოდა, ელემიკა კი განაგრძობდა:– ავადმყოფი სტუმრისათვის მინდაო, უარი ვუთხარი და საღამოს გამოლეჭილი თხა მომადგა ჭიშკარზე, მინასთანაც იყო იმ დღეს, მაშეიკოსთანაც, მაკასთანაც. ყველას თხა გამოლეჭილი დაბრუნდა საღამოს შინ. ასე გასტანა ერთ კვირას, მართალს ვჩივი, ქალებო? – ქალები დუმდნენ სამარესავით, დადუმდა ელემიკაც, დუმდა მთელი კლასი, ალბათ, მოულოდნელობისაგან და მამიდას ხათრით.

– ტყუილია მაგი! – თქვა ბეჟანამ და ადგილიდან წამოდგა ღიმილით, – ტყუილია მაგი! – გაიძეორა ბეჟანამ, – ელემიკა მყრალია, ვინ თქვა სოსოიას და ხატიას ქურდობა? მე გამოვლეჭე მაგი თხები.

– ამ შტერის ნალაპარაკებიც ჩავწერო? – ჰკითხა თავმჯდომარეს სასოწარკვეთილმა ზოსიმემ.

თავმჯდომარემ თავი დაუქნია.

– სულ ყველას მივადექი და გამოვლეჭე. აბა, რა? კოლექტივში მე არ ვმუშაობ, შრომადღე მე არ მაქვს, ტყუილია მაგი, ვინც არ მუშაობს, არ ჭამსო. არც მაგათი თხები მუშაობენ კოლექტივში, მაგრამ ძალიანს მიირთმევენ. ავიღე და გამოვლეჭე, ასე, ა, – ბეჟანამ

პირში ორივე ცერი ჩაიღო, გვაჩვენა როგორ გამოლეჭა და განაგრძო: – რომ გამოვიდა ჩვენი თავმჯდომარე და თქვა, ომს დიდი კუჭი აქვსო, მართალია, მეც დიდი კუჭი მაქვს, ამიტომ გამოვლეჭე, არაა უმარილო რძე მაინცდამაინც გემრიელი სასმელი, მაგრამ რას იზამ? იმ ზარს რომ კიდებ კისერში, ედემიკა, თხას, გირჩევენია, პატარა ჭადი და მარილი ჩამოკიდო და ისე გამოუშვა საბალახოზე, დავაყოლებ ქე მაინც ზედ. არ დამიწყით ახლა, რატომ გამოვლეჭეო, როდის გამოვლეჭეო, ვინ მოგცა უფლებათ, ამას გიზამთ, იმას გიზამთო, სულ ერთია, კიდევ გამოვლეჭავ, მე გიჟი ვარ და ვერაფერს ვერ მიზამთ, მაგი კი არა, არჩევნებში არ ვიღებ მონაწილეობას, გეყურებათ? ნამეტანს თუ გააჭირვებთ საქმეს, გავდელდები ახლა და მიყარეთ მერე კაკალი. ასეა მაგი და აგე ახლა, ედემიკა, პასუხი ცილისწამებისათვის! – მიუბრუნდა იგი გამშრალ ედემიკას.

– ბეჟანა, დაამთავრე? – დაარღვია სიჩუმე მამიდამ, ხალხმა სული მოითქვა.

– კი, დავამთავრე, ქეთოს შემოვევლე! – გაუცინა ბეჟანამ.

– დაჯექი, აბა, ბეჟანა, – სთხოვა მამიდამ. ბეჟანა წამოვიდა თავის კანტურით, მე და ხატიას შორის ჩაეკვეხა და თვალი ჩამიკრა. მამიდა წამოდგა ადგილიდან და ყრუდ დაიწყო.

– მაპატიეთ, მეზობლებო, ჩემი ბრალია, მე ვუშვებდი რძეზე ბავშვებს, ყოველდღე მოდიოდნენ, მოქონდათ რძე და მეუბნებოდნენ, მეზობლებმა გამოგვატანესო, ავადმყოფისათვის გვინდოდა, ჯარისკაცი იპოვა ამ უბედურმა ბეჟანამ დაჭრილი, მშვიერი, მომაკვდავი, ჩემთან მოიყვანა, თქვენი რძის წყალობით და აკვირინეს მოვლით გაახილა თვალი. მაპატიეთ, მეზობლებო, გადაგიხდით სიკეთით.

– სოსოია, მომჭერი ხომ თავი, გამათახსირე ხომ ამდენ ხალხში? დამაგდე ხომ ქადაგად? რას მემართლებოდი, ბიჭო, გეთქვა და სულ გაჩუქებდი იმ თხას. შე მამაძაღლო, ბეჟანა დამთხვეულის სასაცილოდ გამხადე? – შემომიტია ედემიკამ.

მე ავდექი. კრება ისევ გაყურდა.

– გამოდი, სოსოია მამალაძე, და უთხარი კრებას, როგორ იყო საქმე. შენ რომ ცუდს არ იზამდი, მაგი ყველამ ვიცით, – მითხრა ქიშვარდი თავმჯდომარემ და გამიცინა.

გაველი მაგიდასთან.

– ქიშვარდი ბიძია, ედემიკა ბიძია... მე და ხატიას, ედემიკა ბიძია... დედას გეფიცები... არც ერთი ყლუპი არ დაგვილევია...

მერე ყელში რალაც მომაწვა, ხალხი გაორდა, გასამდა, დარბაზი აციმციმდა, დალღვა და გაქრა. მერე ჩემთან ვილაც მოვიდა, ადგილზე მიმიყვანა, დამსვა, ხელი მომხვია, მე იმ ვილაცის მხარზე მელთავი და ჩუმი ვტიროდი.

უცებ კლასის კარს რალაც მძიმედ მოხვდა გარედან და ორთავე კარი ლაწანით გაიღო. ოთახში მხარზე ვეებერთელა ჩანთაგადაკიდებული კოწია ფოსტალიონი შემოვარდა, იგი ძლივს იდგა ფეხზე. ერთხანს კედლიდან კედელს ეხეთქებოდა, მერე ძლივს მიაგნო მაგიდას, ხელებით დაეყრდნო, ფეხები გააბოჯიყა და რაკი იპოვა საყრდენი წერტილი, დარბაზს ჩააშტერდა.

– ვერ მისწორებთ ხომ თვალს? – თქვა უცებ კოწიამ ენის ბორძიკით და კრებას გადახედა.

– გამარჯობა შენი, კოწია! – მიესალმა გერასიმე ბიძია.

– გაგიმარჯოს, თავმჯდომარე სადაა? – ჰკითხა მან მის გვერდით მდგომ ქიშვარდის.

– მე ვარ თავმჯდომარე, კოწია, ვერ მიცანი? – უთხრა ქიშვარდამ და მხარზე ხელი დაარტყა.

– ქიშვარდი ხარ შენ? გიცანი, გიცანი, შენ არ დამნიშნე ფოსტალიონად?

– კი, მე დაგნიშნე! – გაუცინა ქიშვარდამ.

– თუ დამნიშნე, გახსენი აბა, კრება.

– გახსნილია, კოწია!

– მომეცი, აბა, სიტყვა!

– სიტყვა კი არა, გადაარე თავზე ის ერთი დოქი წყალი, თვალებს რომ ნაბავს ეს უპატრონო, სად გასკდი? – გაუჯავრდა ქსენია.

– გელაპარაკები, მომეცი სიტყვა! – მიუბრუნდა კოწია თავმჯდომარეს.

– რა დროს სიტყვაა, კოწია, გათავდა კრება.

– ერთი სადღეგრძელო მათქმევინეთ, თქვე უჯიშობო! – შეეხვეწა კოწია ხალხს.

– დაუსხი, ქიშვარდი!

– მე თუ მალაპარაკეთ, მაგიც ალაპარაკეთ, ჩემი ჭკუისაა ახლა მაგი, – თქვა ბეჟანამ.

– თქვი, კოწია, – უთხრა ქიშვარდიმ და ხელით ანიშნა დარბაზს, გაჩერდითო. კოწიამ მადლობის ნიშნად თავი დაუქნია თავმჯდომარეს და ისევ დააშტერდა დარბაზს.

– ვინ დაიწყო ომი? – იკითხა მან უცებ. ხალხი გაშტერდა. – მე თქვენ გელაპარაკებით, ვინ დაიწყო ომი? – ისევ იკითხა კოწიამ.

– ომი ჰიტლერმა დაიწყო, კოწია, რაო, ჩვენ ხომ არ გვაბრალებ? – გაუბედა ვილაცამ.

– ტყუილია მაგი, ჰიტლერს არ დაუწყია ომი!

– გებელსმა!

– არა!

– გერინგმა!

– აბა, ბეჟანამ დაიწყო?

– მე დავიწყე ომი, მე, თქვე უღმერთობო, – თქვა ჩურჩულით კოწიამ და თავი სინანულით დაიქნია.

– აბა, შენ ყოფილხარ ჰიტლერი?!

– დავილუპეთ, ხალხო, რას იტყვის მთავრობა, რომ გაიგებს ჰიტლერი შუახევში მუშაობს ფოსტალიონად და ქიშვარდი შრომადღეს უწერსო! – იყვირა ბეჟანამ.

დარბაზში ხარხარი ატყდა. კოწიამ აცალა ხალხს დაწყნარება და განაგრძო:

– მე დავიწყე ომი, მეზობლებო...

– სხვა რამე დაიბრაღე, შე უბედურო, მაგაზე დახვერეტაა, – უთხრა ედემიკამ კოწიას.

– კესარია სოსელია, ადექი თუ ხარ კრებაზე... – თქვა კოწიამ და კრებას თვალი მოავლო.

– აგერ ვარ, კოწია, არ მითხრა რამე უბედურება, არ დამლუპო, – თქვა კესარიამ ვედრებით და წამოდგა, მას მიწის ფერი ელო.

– ვინ შეგხვდა პირველად სოფელში და ვინ იყო ის კაცი, რომელმაც გითხრა, ომი დაიწყო, კესარიასო, თქვი, ვინ იყო ის კაცი?...

– რა შენი ბრაღია, დალოცვილო, ვილაცას ხომ უნდა ეთქვა?

– დაჯექი, კესარია... ლუკაია ფოცხიშვილო, ვინ პირზე მიწადაყრილმა გითხრა პირველად, დაილუპა შენი ბიჭიო და ვინ დაგიფსო ოჯახი? თქვი, შე ღვთის პირიდან გადავარდნილო! ევგენია, ვინ შემოიტანა შენს ოჯახში სიკვდილის ქაღალდი? – კოწიას ხმა აუკანკალდა. დარბაზს სუნთქვა შეეკრა. ჰაერი გახურდა. გულს რაღაც საოცრად მძიმე დაეკიდა და რომ არ ჩამწყვეტოდა, ხელი მივაშველე. ყელს რაღაც კივილის თუ ღმუილის მაგვარი მოაწვა და ახლა პირზე ავიფარე ხელი და ვიგრძენი, ყველა ასე იყო.

კოწიას ხმა ჩაუწყდა, მაგრამ მაინც განაგრძო:

– რად მინდა მე თქვენც ცრემლის ყურება? რად მინდა მე სიპიტოს მყრალი არაყი? რად მინდა ცხოვრება, მეზობელს თუ ჩემი დანახვის ეშინია? არ მინდა ფოსტალიონობა, არ მინდა... გეყურებათ თქვენ?! ღმერთი არ გწამს, ქიშვარდია? ჩემი აღმასხანიც ომშია, არ გეცოდებით, ხალხო? ღმერთო, შენ მაინც არ გეცოდები? ჩამოდი ფეხად და შენ თვითონ დაურიგე ამ ხალხს აგი ცნობები, შენ ღმერთი ხარ და ყველაფერს გაუძლებ... მე კაცი ვარ, კაცი, მეტი აღარ შემიძლია, შენი გაჩენილი თუა ეს ქვეყანა, შენ თვითონ მოუარე, მე რომ მათრევივებ ამხელა ცოდვას... – კოწიამ ჩანთა მოიხსნა და ჭერისკენ აღაპყრო, – გეყურება შენ, ღმერთო?! რას დამუნჯებულხარ, ამოიღე ხმა... – კოწიამ ჩანთა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა,

მაგიდაზე დაანარცხა. ჩანთა გასკდა და მაგიდაზე სამკუთხა წერილები, გაზეთები, ჟურნალები და რამდენიმე დაბეჭდილმისამართიანი კონვერტი ამოცვივდა. კოწია დაჟინებით დააცქერდა ამ კონვერტებს, რომლებსაც სოფელს შავი ჭირით ეშინოდა, მერე დაემხო მაგიდაზე და ბავშვივით ამოუჯდა გული. მეგონა, რომ ეს უამრავი ხალხი მოწყდებოდა ადგილიდან, მისცვივდებოდა წერილებს, ყველა თავის უბედურებასა და ბედნიერებას გაიგებდა ახლავე, ამ წუთში, მერე დაინგროდა დარბაზი და გასკდებოდა გული, მაგრამ მოხდა საოცარი ამბავი: ეს უზარმაზარი შიშით გატრუნული დარბაზი ჩუმად ადგა, როგორც გასვენებაზე, ისე, თითო-თითომ მორიდებით ჩაუარა მაგიდაზე დამხობილ კოწიასა და წერილებს, თითქოს მაგიდაზე შავი ჭირით გათავებული, სახეზე სუდარაგადაფარებული მიცვალებული ესვენა, ხოლო კოწია მისი ჭირისუფალი იყო.

* * *

მზე ოდნავ ამოწვერილი იყო, ანატოლი აივანზე იჯდა და კედელზე მიყუდებულ გატეხილ სარკეში წვერს იქაფავდა, მე სვეტზე ჩამოკიდებულ ძველ ღვედზე პირს ვუწყობდი სამართებელს, მამიდა კი ღლის განმავლობაში დახეულ ჩემს შარვალს აკერებდა თეთრი ძაფით.

– დილა მშვიდობისა, ქეთო! – ეზოში მინა ჩამოვიდა.

– იცოცხლე, მინა! – მიესალმა მამიდა.

– ავია თქვენი სტუმარი? კაი გამარჯობა თქვენი, ბატონო, ხომ კარგად და მშვიდობით ბრძანდებით? – მიმართა ანატოლის მინამ. ანატოლიმ თავი დაუქნია, უხერხულად გაუღიმა და მე შემომხედა. მიშველე რამეო.

– კარგი ვაჟკაცი კი ყოფილა, – მიუბრუნდა ახლა მინა მამიდას, მერე კალათში ჩაყო ხელი, ერთი ბოთლი რძე ამოიღო და კიბეზე დადგა. – არ გეწყინოს, ჩემო ქეთო, მეტი ვერ გადავარჩინე, – თქვა მინამ და ისე წავიდა, მადლობის თქმაც ვერ მოასწრო მამიდამ. მინა ეზოდან არ იყო გადასული, რომ ეზოში გიჟივით შემოვარდა ზურგზე ჩანთაგადაკიდებული ელემიკას შვილიშვილი რომანი.

– ქეთო დეიდა, გამარჯობა შენი, ავი ბაბუამ გამოგიგზავნა, იმ ჯარისკაცს დააღვივოსო! – დადგა კიბეზე ერთი ბოთლი რძე და მოჩვენებასავით გაქრა. განცვიფრებული, სახეგაქაფული და პირდაღებული ანატოლი მთელი საათი იჯდა სამართებლით ხელში და უყურებდა, როგორ მოდიოდნენ მეზობლები, უდიდოდნენ, რაღაც თბილსა და მისთვის გაუგებარს ეკითხებოდნენ, მერე დგამდნენ ბოთლ რძეს კიბეზე და ასევე ღიმილით მიდიოდნენ. სულ ბოლოს ეზოში ბეჟანა ჩამოვიდა, მას სრულებით არ გაკვირვებია ამდენი ბოთლი რძე რომ ნახა კიბეზე, ოღონდ ის კი უთხრა მამიდას:

– ქეთო, ამის კვეთი თუ იშოვე, ო, რამხელა ყველი გამოვა?!

anatoli

ჩემს რუს მშვენიერი სახელი ერქვა – ანატოლი და გვარიც მეფური ჰქონდა – რომანოვი. მაგრამ მთელი სოფელი მაინც სოსოიეს რუსს ეძახდა. მარტო მე, ხატია და მამიდა კეპახდით სახელს.

1942 წლის დასაწყისში მახარაძეში პირველი ემელონი ჩამოდგა მძიმე დაჭრილებით. სკოლა სასწრაფოდ ჰოსპიტლად გადააკეთეს. იქ იწვა ჩემი რუსი ოთხი თუ ხუთი თვე. ცოტა რომ მოიკეთა, გამწერეთო, თხოვა ექიმებს. არ გაწერეს. ორჯერ დააპირა გაპარვა, ორივეჯერ

დააბრუნეს. ეშელონი ეშელონს მოსდევდა. აივსო სკოლა დაჭრილებით. დაჭრილები იწვნენ კორიდორებში, იატაკზე. ტევა აღარ იყო. ვისაც სიარული შეეძლო, ყველა გაწერეს, ისევ არ გაწერეს ანატოლი. მძიმე ჭრილობა ჰქონდა ბუბუს ქვეშ, ყრუდ ახველებდა და დაბალ სიციხეს აძლევდა ლამბამობით. არ დააყენა საშველი ექიმებს, თერმომეტრს ფერთხავდა ჩუმად. ძალით იყოჩალებდა თავს და გაწერეს ბოლოს. ფრონტისათვის არ ვარგინარო, უთხრეს კომისარიატში, არც სამხედრო ეშელონზე დასვეს, ფეხით წამოსულა, საჯავახოში დავედებო, ვერ გაუძლო ვერც გულმა, ვერც მუხლმა. ჩვენი სოფლის გზაზე წაქცეულა. ფორთხვით გადასულა გზიდან და გულაღმა ჩაწოლილა გვიძრაში. მერე ის იყო, ბეჟანამ იპოვა – სოსოიეს რუსი.

ერთ დილას, როგორც კი შეატყო თავს ანატოლიმ, ეზოდან გადასვლას შევძლებო, თავისი ტანსაცმელი მოითხოვა. მამიდამ გამოუტანა დაუთოვებული ტანსაცმელი და ოთახიდან გავიდა. ანატოლიმ ჩაიცვა. ერთხანს ვერ მივხვდი, რას აპირებდა, პირის დასაბანი წყალიც მიუზრებინე, კიდევაც დაუუსხი, პირსახოციც დაუუკავე, სავარცხელიც მივაწოდე, მაგრამ ლოყაზე ხელი რომ მომითათუნა და შუბლზე მაკოცა, ყველაფერს მივხვდი. ეზოში გავკარდი და მამიდას დაუუძახე.

– მამიდა, მოდი, მამიდა! – შეშინებული მამიდა ახორიდან გამოვიდა და აივანს მოადგა.

– რა მოხდა, ბიჭო?

– მიდის, მამიდა!

– ვინ?

– ანატოლი მიდის, მამიდა!

– სად მიდის? – მკითხა მამიდა და კარისკენ გაიხედა, კარში გაკრიალებული, გაპარსული და დავარცხნილი ანატოლი იღიმებოდა უხერხულად. მამიდა აივანზე ამოვიდა და ანატოლის წინ დადგა.

– დიასახლისო, უკვე კარგად ვარ, – დაიწყო მან, – უკვე შემიძლია ჩემი ძვლების თრევა; მადლობა ყველაფრისთვის, ყველასი მადლობელი ვარ, განსაკუთრებით თქვენი, არ დამავიწყდება არასდროს. დიდ ბოდიშს ვინდი, შეგაწუხეთ, ნახვამდის! – ანატოლიმ მამიდას ხელი გაუწოდა, მამიდამ ხელი ჩამოართვა. მე ხან ანატოლის ვუცქეროდი, ხან მამიდას. ისინი დიდხანს იდგნენ ასე, ბოლოს ანატოლი ჩემსკენ შემობრუნდა.

– შენ კი გამაცილე, სოსო!

იგი ჭიშკრისკენ წავიდა ნელი, მოზომილი ნაბიჯით. მე და მამიდა არ გავნძრეულვართ – ალაგესთან რომ მივიდა, სარებს წაავლო ხელი აქეთ-იქით, ფეხი შედგა ჯირკზე და ასე დარჩა ერთხანს. გაუჭირდა გადასვლა, წელი ვერ აიტანა. მერე ჩვენკენ მოტრიალდა, დამნაშავესავით გაიღიმა და ალაგეზე ჩამოჯდა. მე და მამიდა მისკენ წავედით.

– დენთი არ მეყო! – თქვა ანატოლიმ და თავი ჩალუნა.

– ჯერ სუსტად ხარ, სად უნდა წახვიდე, ვისთან უნდა მიხვიდე, იქნებ დარჩენილიყავი, ჩვენი ნუ გერიდება, რაც გვექნება, გავიყოთ. დარჩი ერთი, ორი თვე... – უთხრა მამიდამ ანატოლის.

იგი იჯდა ალაგეზე თაყნალუნული და არაფერს ამბობდა. მამიდამ ხელი მოჰკიდა და სახლისკენ წამიყვანა. აივანზე ავედით, მამიდა ოთახში შევიდა, ჭიშკრისკენ მივტრიალდი. ანატოლი ისევ იჯდა ალაგეზე, მერე ადგა და ნელი ნაბიჯით წამოვიდა.

ერთ დღეს მე და მამიდა სკოლიდან რომ დავბრუნდით, შეშა დაპობილი, წაქცეული ღობე გამართული და ვენახი სარგამოცვლილი დაგვხვდა. იმ დღიდან ანატოლიმ მიაგნო თავის საქმეს და ადგილს ჩვენს ოჯახში. ცოტა რომ მომაგრდა, კოლმეურნეობაშიც დაიწყო სიარული, ყველაფერი საქმე გამოუდიოდა ხელიდან, მაგრამ სიმინდის თოხნა ვერ იქნა და ვერ ისწავლა. სამაგიეროდ, ვენახის მოვლა ისწავლა ისე, რომ ახლა სოფელში ჩვენისთანა ვენახი არავის ჰქონდა. სოფელში სიარული უყვარდა ანატოლის. დადიოდა ჩუმად, ყველაფერს

აკვირდებოდა, ყველაფერი აინტერესებდა, უკვირდა, მეკითხებოდა, რომელი ოჯახი იყო დარჩენილი უკაცოდ, მერე ჩადიოდა ეზოში და პატრონის დაუკითხავად აკეთებდა საქმეს.

– სოსოია, რა ვუყო ახლა ამ კაცს, ფული უნდა მივცე? – მეკითხებოდა გაკვირებული პატრონი.

– მაგი არ კადრო, თორემ რაც გააკეთა, დაამტვრევს ყველაფერს, კანტუზია აქვს, – ვაშინებდი მე.

– სოსოია, არ დატოვო მარტო, შენ გახარებას, არ გადავლდეს უცებ, თორემ მაგას რა შეკრავს, – მეხვეწებოდა შეშინებული მასპინძელი. ვუთარგმნიდი ანატოლის ჩვენს ნალაპარაკებს და იგი იცინოდა ბავშვივით დიდხანს და გემრიელად. ანატოლი არასდროს მიცილებდა გვერდიდან, ფეხს არ ადგამდა უჩემოდ, რადგან ბევრთან უჭირდა ლაპარაკი და თარჯიმნად ვყავდი, თუმცა დიდი სათარგმნი არაფერი მქონდა – უენო კაცი გამოდგა ანატოლი, ვინმე თუ რამეს ჰკითხავდა, თორემ თვითონ არაფერს იტყოდა, არადა, იგი ომიდან დაბრუნებული პირველი ცოცხალი კაცი იყო ჩვენს სოფელში. დედაკაცები და მოხუცები საშველს არ აძლევდნენ ანატოლის. ეკითხებოდნენ ფრონტის, ჯარის, ჰიტლერის და მსოფლიოს შესახებ. ანატოლი უყვებოდა მათ ყოველთვის ერთსა და იმავეს, რაც ახსოვდა, იმასაც კი, რაც გლეხებმა მასზე უკეთესად იცოდნენ და მაინც სოფლელები ისე გულმოდგინედ ისმენდნენ ამ ამბებს, როგორც ახალს, გუშინ მომხდარს და ჯერ არ გაგონილს.

პირველად რომ გავატარე სოფელში, ბავშვების ჯოგი აგვეკიდა კუდში.

– სოსოია, გმირია?

– აბა, რა არი!

– რამდენი გერმანელი ყავს მოკლული?

– მილიონი!

– აუჰ!

– მართლა რუსულად ელაპარაკები, სოსოია, თუ გვატყუებ?

– გატყუებთ!

– სროლა ეცოდინება მაგას გადასარევი!

– გაფრენილ ჩიტს კლავს.

– ჭინჭრაქას გაარტყამს?

– თვალში, ოცი ნაბიჯიდან.

– ბეჭედში გააძვრენს ტყვიას?

– აბა, რას იზამს!

– ტყვიას ტყვიაში ჩასვამს?

– აბა, რას იზამს!

– აუჰ, შენი ჭირიმიე!..

ანატოლიმ ლუკაია ფოცხიშვილის სახლის აივანზე გაკრული ბრინჯაოს წარწერიანი შავი არშია რომ დაინახა პირველად, ჭიშკართან გაჩერდა, დიდხანს უყურა და ვერაფერი რომ ვერ გაიგო, მომიბრუნდა:

– რას ნიშნავს ეს, სოსო?

– შვილი დაელუპა ომში.

– მერე?

– დაესტირით უდროოდ დაღუპულ კუკურასო – წერია. ანატოლიმ არაფერი მითხრა. გზა განაგრძო, შემდეგ სულ ახალ-ახალ ოდებთან ჩერდებოდა, რომლებზედაც სამგლოვიარო აბრები იყო გაკრული, უყურებდა ამ საოცარი მონღოლებით და სიყვარულით გამოყვანილ ულამაზო ასოებს, აღარაფერს მეკითხებოდა და ისევ განაგრძობდა გზას.

გვიან საღამოთი დაებრუნდით მე და ანატოლი სახლში.

– სად იყავით მთელი დღე? – მკითხა მამიძამ, როდესაც ვახშამს მივუსხედით.

- სოფელს ვათვალისწინებდი!
- რაო, მოგეწონა, ანატოლი? – ჰკითხა მამიდამ ანატოლის.
- არა, – თქვა ანატოლიმ და თავი გაიქნია.
- სად გყავდა, ბიჭო? – მკითხა გაკვირვებულმა მამიდამ.
- არსად, დადიოდა და სამგლოვიარო განცხადებებს კითხულობდა.
- ძნელია, – თქვა მამიდამ.
- ბევრია, – თქვა ანატოლიმ.
- თქვენს სოფელში?
- ჩვენთან სხვაა. აქ ბევრია, ცამეტი ძალიან ბევრია.

bolaTi

ფერისცვალების შემდეგ სუფსაში რომ სიცივე ჩავარდება, წვერამ, ტობმა და ქაშაყმა დაბოლათება იცის. მოუნახავენ დიდ ქვას ღრუს, შეძვრებიან შიგ, მიეკვრებიან ერთმანეთს და მარტის ლანქობამდე წვანან გაუნძრევლად. ეს სოფლის ყველა ბიჭმა და გოგომ იცის. მეც ვიცი და საბოლათე ადგილიც მეგულება, აქ წყალი მეჩხერია, ჩქარია, ქვებს მხოლოდ წელამდე ურტყამს, ამ ადგილს ნაფიცარა ჰქვია. ნაფიცარას თავში ვეებერთელა ხავსმოკიდებული ლოდი აგდია. ამ ლოდს ჭინკას ქვას ეძახიან. ზაფხულობით ბიჭები დილიდან საღამომდე ამ ლოდზე ვერივართ, ამ ლოდზე ვიხრუკებით და ამ ლოდიდან ვეშვებით თავით უზარმაზარ შავ მორევში, რომელსაც ჭინკას ქვაზე შემსკდარი და უკუღმა დატრიალებული სუფსა ქმნის, მაგრამ ახლა ბანაობის დრო არ არის, ახლა ბოლათობაა.

ვუწევარ ლოდს გვერდით, კბილებს ვაკაწკაწებ, ცალი ხელით გასასვლელს ვუგმანავ, მეორე კი ღრუში მაქვს ილლიამდე. ნაპირზე ხატია, ანატოლი და ბეჟანა მელიოდებიან. ხატია ლოდზე ზის, ანატოლი ცეცხლს აჩაღებს, ბეჟანა კი მოდგომია ნაპირს და ჭკუას მარიგებს.

- სოსოია, არის რამე? – თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.
- მიდი, აბა, არ გაუმვა, წვერაა თუ ტობი?
- წვერა!

– სტაცე, აბა, წვერში ხელი, მუცელზე მოფხანე, გოჭვივით წამოგიგორდება. არ გაცივდე, ბიჭო, ამოდი ზევით,

მთლად გალურჯებული ხარ, შე უპატრონო, ჩაგეცვა რამე.

- მაცალე, ბეჟანა!
- ბევრია, სოსოია?
- ბევრია, ბევრი!

– რას იტყვი შენ, გვეყოფა? ოთხად უნდა გავყოთ, ხომ იცი? – თავს ვუქნევ. – ამას წინათ რომ თითის სიგრძე ფრიტები გამატანე, ისე არ ქნა ახლაც. ტოლად უნდა გაყო, – მაფრთხილებს ბეჟანა.

ბოლათი ტოკავს, წვერაა, მაჯის სისხო წვერა. მუცელზე ვუსობ ხელს, გოჭვივით წვება გვერდზე, თითებით ლაყუჩებს ვეძებ, არის, მომყავს და თავით პირში ვიჩრი.

ბეჟანა ბავშვივით ხტის ნაპირზე. წვერა თრთის, დგაფუნობს და კუდს მიტყლაშუნებს სახეში, მტკივა, მაგრამ ვითმენ, ამომყავს მეორე, ვისვრი ნაპირზე, ვითავისუფლებ პირს და ისევ ვწვები. ისევ ამომყავს ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე, რამდენია დალოცვილი, ერთი თუ ორი გამიბრბის, თხრის სილას ცხვირით, ქვესქნელში მიძვრება და გადის, გადის მეორე მხარეს, უნამუსო ქურდივით ვაფათურებ ხელს ცარიელ თაროში და ნაპირზე ამოვდივარ.

ხატის ყველაზე დიდი წვერა ორთავე ხელში აუყვანია, ყურთან მიუტანია და რაღაცას უსმენს დაჟინებით. წვერა ბოლოს იქნევს, პირს აბჩენს და სულს ლაფავს.

- რაო, ხატია, რას გეუბნება? – ჰკითხა ბეჟანამ და კაკვის გატყავება დაიწყო კბილით.
- გამიშვიო, ბეჟანა! – უთხრა ხატია.

– რომ ხელავე ახლა შენ, როგორ აბჩენს პირს, მაგის ცოდვაში არ ჩადგებოდი, – თქვა ბეჟანამ. ხატბამ არაფერი უპასუხა, მოტრიალდა მდინარისაკენ და სანამ ხელში ვეცემოდი, წვერა წყალში გადაისროლა.

– გაგიჟდი, გოგო? – მივევარდი ხატბას, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ხატბა ყურადღებას არ მაქცევდა, იდგა და ილიმებოდა.

– რას ილიმები? მიდი და სინჯე, როგორია ერთი საათი გაყინულ წყალში წოლა.

– მოდი ცეცხლთან. – მითხრა ანატოლიმ.

ცეცხლთან მივირბინე და ჩავცუცქედი. ხატბა მოვიდა ცეცხლთან და გვერდით მომიჯდა. მერე მომნახა და ზურგზე თბილი ხელი ჩამომისვა.

– გცივა? – მკითხა ხატბამ.

– მცივა, აბა, არ მცივა? – ვუთხარი მკვანედ და ცეცხლისაკენ მივიწვი.

მერე მივხედე ხატბას. ტუჩები წყენით აბურცვოდა და თვალებში ცრემლი ჩადგომოდა. ხმას არ იღებდა, მხოლოდ იმ ხელს, რომელიც წელან ზურგზე ჩამომისვა, ახლა კალთაზე ისვამდა და იმშრალებდა, რაღაც ამეწვა გულთან.

– კიდევ დამისვი, ხატბა, შენი ჭირიმე, თბილი იყო – ვთხოვე ხატბას. ხატბამ გაიღიმა და ჩემკენ შემობრუნდა. ზურგი მივუშვირე. მან თითები გაფშკა, ორთავე ხელი ბეჭებზე დამაწყო ღადარივით და მერე ნელა, სულ ნელა დამისვა ზურგზე ზევიდან ქვევით. მე ვიჯექი გატრუნული და ვგრძნობდი, როგორ მეღვრებოდა სხეულში თანდათან ხატბას სითბო.

– გეყოფა ახლა, ჩაიცვი, – მითხრა ხატბამ და სველი ხელები ილღიებში ამოიჩარა. მე მივტრიალდი ხატბასკენ და ისე მომიინდა მისი კოცნა, ისე მომიინდა, როგორც არასდროს, უცებ გადავიხარე მისკენ, ხელები ყვრიმალელებში მოვკიდე, ჩემკენ მოვწიე და ტუჩის კუთხეში ვაკოცე, ხატბამ ნაკოცნი ადგილი მაჯით მოიწმინდა და გაწითლდა.

– შერიგდით? აგაშენათ ღმერთმა, გავყოთ ახლა აგი! – თქვა ბეჟანამ და დაჭერილი თევზები წინ დამიყარა. სასწრაფოდ ჩავიცვი და თევზის გაყოფა დავიწყე.

– აგი შენ, ბეჟანა! – ვთქვი და ბეჟანას მაჯის სიმსხო წვერა დავუდევი წინ.

– მასე არა, ჯერ ისე გავყოთ ოთხად და მერე კენჭი ვყაროთ, რომელიც მომიწევს, იმას წავიღებ.

– არ გვინდა კენჭის ყრა, ნუ გეშინია, არ დაგჩაგრავ! – დავამშვიდე.

– კარგი, აბა, მაგრამ არ დამჩაგრო, ჩემო სოსოია, მაშინდელივით. ორი შენხელა კუჭი მაქვს, შე მამამაღლო, ჭამა არ მინდა? ხომ იცი, გადარეულს მეტი ჭამა უნდაო, მაგი ცნობილი ამბავია, – გამაფრთხილა ბეჟანამ.

– კარგი ჭკვიანი ხარ, ნუ გეშინია! – უთხრა ხატბამ.

– შენზე ჭკვიანი რომ ვარ, მაგი არ ნიშნავს იმას, აბდალა რომ არ ვარ, და შენ მაქ დაეტიე, სულ არაფერი არ გეკუთვნის, მე თუ მკითხავ, რა თევზი გადააგდო, ბიჭო?! – მომიბრუნდა ბეჟანა და თავი სინანულით გადაიქნია.

– აგი ხატბას, აგი მე, აგი ანატოლის! – ვთქვი და თევზები ჩამოვარიე.

– მაინც მიეცი, ხომ? – მკითხა ბეჟანამ და ხატბას თევზს თვალი გააყოლა.

– გაჩერდი, ბეჟანა, თორემ, რაც მოგეცი, იმასაც წაგართმევ, – დავემუქრე ბეჟანას. ბეჟანამ ორი თითით ყელი გამოიწველა, დამეჯღანა, არ დამღუპოო, და დამუნჯდა.

– აგი ბეჟანას, აგი ხატბას, აგი მე, აგი ანატოლის, – ჩამოვარიე მეორედ თევზი, – აგი ბეჟანას, აგი ხატბას, აგი მე, აგი ანატოლის!...

– ვის ატყუილებ, ბიჭო, შენ? – ველარ მოითმინა ბეჟანამ.

– რა გინდა, ბეჟანა? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– სოსოიეს რუსს რატომ ურიგებ თევზს?

– რას ქვია, რატომ ვურიგებ?

– რას ქვია და, მე, ჩემო სოსოია, გადარეული კი ვარ, მაგრამ სულელი კი არ ვარ! კარგი, აგი გოგო ცალკე ოჯახია, მე ცალკე ოჯახი ვარ, შენც ცალკე ოჯახი ხარ, მაგრამ აგი რუსი ცალკე ოჯახი ხომ არაა?

– არაა!

– ხომ ცხოვრობს შენთან?

– კი, მერე?

– მერე თქვენ ერთი წილი გერგებათ ორივეს!

– რატომ, ბეჟანა?

– კაცო, ხომ ცხოვრობს შენთან?

– ჩემთან რომ ცხოვრობს, ჰამა არ უნდა? – ვკითხე ბეჟანას.

ბეჟანა ცოტა ხნით დაფიქრდა, კეფა მოიფხანა და უცებ გაიცინა.

– მაგი კი არ გამხსენებია! – ანატოლის არ ესმოდა, რას ლაპარაკობდა ბეჟანა, მაგრამ იმას კი ხვდებოდა, რომ ბეჟანას არ მოსწონდა მისი წილში გაყვანა და იცინოდა.

– მიეცი, სოსო, მიეცი, – თქვა ანატოლიმ და თავისი თევზი ბეჟანას გადაუწყო.

– არ გრცხვენია, ბეჟანა? – ჰკითხა ხატიამ.

– კი მრცხვენია, კი! – დაიმორცხვა ბეჟანამ, მერე ანატოლის თევზი დაუბრუნა და ბეჭზე ხელი მოუტყაპუნა.

– როგორ გეკადრება, სოსოიეს რუსო, ხუმრობა არ იციან თქვენში? შენია მაგი თევზი და შენ გქონდეს. ისე იცოდე, ვისაც თევზი უნდა, ფეხიც სველი უნდაო, ნათქვამია, გაიგე? – დაარიგა ბეჟანამ. ანატოლიმ თავი დაუქნია, გავიგეო, და გაიცინა.

– აგი ბეჟანას, აგი ხატიას, აგი სოსოიას, აგი ანატოლის...

– გამარჯობა თქვენი! – თქვა უცებ ვილაცამ და ჩვენს შუაში უზარმაზარი ჩრდილი დაეცა. სამივემ თავები ავწიეთ და მოულოდნელობისაგან ფეხზე წამოვდექით. დიდ ლოდზე წვერგაუპარსავი, სახეგარუჯული, თასმიან ქალამნებსა და პიჯაკში გამოწყობილი, მხრებზე ჯვარედინად ფალასგადაკიდებული და მკლავზე თოფგადაგდებული დათიკო ბრიგადირი იდგა.

– გამარჯობა თქვენი! – გაიმეორა მან, ლოდიდან ჩამოსტა და მოგვიახლოვდა.

– დათიკო ბრიგადირს გაუმარჯოს! – გაუცინა ბეჟანამ, თევზიანი ხელი შარვალზე გაიწმინდა და დათიკოს გაუწოდა ჩამოსართმევად. დათიკომ ყურადღება არ მიაქცია.

– შენ, ბიჭო, გამარჯობის თქმა არ გეკადრება?

– გაგიმარჯოს! – ვუთხარი მე და თევზის აცმა დავიწყე კაკვზე.

– შენ, გოგო? – ჰკითხა ახლა ხატიას.

– მე ვერ გიცნობ, რა ვიცი, ვინა ხარ! – უთხრა ხატიამ და წარბები შეიკრა.

– იმ ღამით კარგად მიცანი? – ჰკითხა დათიკომ.

ხატიამ ხმა არ გასცა.

– ეს რუსი ვინაა? – მკითხა დათიკომ.

– მაგი ვერ იცანი? სოსოიეს რუსია, – გააცნო ბეჟანამ.

– ესაა ის რუსი?

– ესაა! – უთხრა ბეჟანამ, ანატოლი თვალს არ აცილებდა დათიკოს.

– რაო, სოსო, თევზაობა არ შეიძლებაო? – მკითხა ანატოლიმ, ალბათ, დათიკო ნაკრძალის მცველი ეგონა.

– არა, შენზე მეკითხება, ვინ არისო?

– თვითონ ვინ არის?

– თვითონ?... არავინ, ვინ უნდა იყოს.

– რაო, ბიჭო, რას გეკითხება? – მკითხა დათიკომ.

– ვინ არისო, შენზე მეკითხება.

– მერე, შენ რას ეუბნები?

– მე რა უნდა ვუთხრა? მითხარი და ვეტყვი, ვინ ხარ, – დათიკო დაფიქრდა, მერე მომიბრუნდა და მითხრა:

– ასე უთხარი, რომ მაგი არაა მაგის საქმე.

– უთხარი, დათიკო, მთავრობის დავალებას რომ ასრულებ, თორემ ამათ დეზერტირი გონიხარ! – გაუცინა ბეჟანამ.

– ბეჟანა უბედურო, ენას კბილი დააჭირე, თორემ ცხელ ტყვიას დაგაღვევებ ახლა, – უთხრა დათიკომ.

ბეჟანა გაჩუმდა.

– თუთუნი მომაწვევით! – თქვა მან. ჯიბე სავსე მქონდა თუთუნით, მაგრამ არ გავამხილე, და არ მაქვს-მეთქი ვუთხარი.

– რა უნდა? – მკითხა ანატოლიმ.

– თუთუნი უნდა.

– მიეცი, ხომ მაქვს?

– მაგისთვის არ მაქვს.

– მიეცი, მიეცი, – ხელი წამკრა ანატოლიმ.

– მომაწვევით, ბიჭო, თუთუნი, სანამ ძალით წამირთმევია, – თქვა დათიკომ ჩახლეჩილი ხმით და ფეხზე წამოდგა.

– მიეცი, სოსოია, – მითხრა ხატამ. ამოვიღე თუთუნი და მივეცი. დათიკომ გაახვია, ცეცხლიდან ფიჩხი ამოიღო, მოუკიდა, ღრმად დაარტყა რამდენიმე ნაფაზი ერთიმეორეზე და სიამოვნებით გააბოლა. მერე თავისთვის დაიწყო ლაპარაკი.

– აბა, ესაა ის რუსი? დარჩა? დატოვა ქეთომ? ბიძიას უძახი, ბიჭო?

– რა გინდა შენ, ვერ წახვალ შენი გზით? – ვუთხარი დათიკოს და წასასვლელად მოვემზადე.

– რა ვიცი, ასე კი ამბობენ სოფელში, მისი ზურგით მოიყვანა სოსოიამ ბიძა სახლშიო.

– ტყუილია მაგი და წადი ახლა შენ! – ვუთხარი მე და ანატოლის გავხედე. ანატოლი ცნობისმოყვარეობით გვაღვენებდა თვალყურს.

– ბულა მოუყვანა მამიდამის სოსოიამო!... – განაგრძო დათიკომ.

დათიკოს მივევარდი, დათიკომ ხელი მკრა მკერდზე და სილაზე გავიშხლართე გულადმა. ანატოლი მომვარდა და ფეხზე წამომაყენა.

– ვინ არის, სოსო, ეს კაცი?

– ქურდია, დეზერტირი, მათხოვარია, ვერ ხედავ? – ცრემლები მახრჩობდა.

– წადი აქედან! – უთხრა ანატოლიმ დათიკოს. დათიკომ ყურადღება არ მიაქცია.

– გეგონათ, ვერ გავძლებდი უთქვენოდ? არავის გინდებვართ? არც მე მინდებხართ. წადი ახლა და დამასმინე, ფეხები არ მომჭამოს თქვენმა უშიშროებამ, ვალოდია ჯაშს და ბადრია გაგუას უთხარი, მაგათ ნასახლარზე კვანს და კარტოფილს ვახარებ, ჩემს დევნას თუ არ მოეშენენ.

ცეცხლს მივცემ თქვენს ოღებსაც, კაცივით მომეპყართ, თორემ...

– მოვა ზამთარი და გამოხვალ შენც ნადირივით ტყიდან. სული ამოგხდება შიმშილით...

– ნუ გემინია, შენ ახლა წაეთრე და ქეთოს უთხარი, ან ეს რუსი გააგდოს სახლიდან, ან ღორივით დაუვუკლავ საკალანდოდ.

– რას ამბობს, სოსო? – მკითხა ანატოლიმ.

– მამიდაჩემზე ამბობს და შენზე.

– რაო, ჩემგან რა უნდა, რა საქმე მაქვს მაგასთან.

– თქვი, რას გეუბნება? – მკითხა ახლა დათიკომ.

– რაო და, მაგ ნაბიჭვარს უთხარი, ფეხები არ მომჭამოს ძირშიო და თვითონ წაეთრიოს აქედანო. – დათიკო გაფითრდა, მერე სისხლი ჩაექცა თვალებში, ფეხზე წამოდგა და ანატოლის შეხედა.

– ყური დამიგდე, შენი ზიარი ქეთო კი არა, ჰაერი არ მინდა. წადი ახლა აქედან, ჩამომეცალე გზიდან, თავი დაანებე იმ ქალს. ის ქალი ჩემია, გეყურება? ჩემი და, თუ არ წასულხარ, სუფსას შევლებავ შენი სისხლით! – ანატოლიმ მე შემომხედა.

– ამბობს, ქეთო მიყვარს, თავი დაანებე, წადიო, ნუ მეცილები ქეთოშიო, თორემ მოგკლავო, – ანატოლის გაეცინა.

– ჯერ ერთი, მე მაგ ინდაურის არ მეშინია, მეორე, ქეთევანს არავის არ ვართმევ და მესამე, არსადაც არ ვაპირებ წასვლას, ძალიან მომწონს აქაურობა, – დათიკო მშვილდივით იყო დაჭიმული და ელოდა, როდის გუთარგმნიდი ანატოლის ნათქვამს.

– მე და ქეთევანს გვიყვარს ერთმანეთიო, გესმის შენ? არსადაც არ წავალო, ქეთევანი რა შენი ტოლია, შე მათხოვარო, შენ თვითონ წაეთრე აქედანო... – დათიკო ყურს აღარ მიგდებდა, მან თოფი ფეხზე შეაყენა და ანატოლისაკენ დაიძრა. მე და ბეჟანა გავშტერდით, ანატოლი არ განძრეულა, იგი მშვიდად ელოდა დათიკოს მოახლოებას.

– დათიკო, გაჩერდი, მოგატყუე! – ვიყვირე, მაგრამ დათიკოს აღარ ესმოდა.

– გაგიჟდი, დათიკო? – ჰკითხა ბეჟანამ, დათიკო ახლოს მივიდა ანატოლისთან. იგი მიმიძღ სუნთქავდა. ნესტოებს ბერავდა, თვალები სისხლით ჰქონდა სავსე.

– ჩამოუშვი თოფი! – უთხრა წყნარად ანატოლიმ.

– გაიმეორე, რა თქვი, – უთხრა დათიკომ.

– ჩამოუშვი თოფი, – გაიმეორა ანატოლიმ.

– მოგკლავ, – თქვა დათიკომ ჩურჩულით და მე მივხვდი, რომ იგი მართლა მოჰკლავდა ანატოლის.

– ანატოლი, მოშორდი, თორემ მართლა მოგკლავს! – ვთხოვე ანატოლის.

– სოსოიეს რუსო, გამოდი აქეთ! – თხოვა ახლა ბეჟანამ. ანატოლი ადგილიდან არ იძვროდა.

– დათიკო, კაცო, რას შვრები, აგი სიმწრით გადარჩენილი და ნაპარავი თხის რძით მობრუნებული კაცი მართლა არ მომიკლა, თორემ გადავირევი, ახლა, – თქვა ბეჟანამ და ანატოლის წინ დაუდგა.

– ბეჟანა დამთხვეულო, თავი არ შემომაკლა, თორემ მერე კაცის მოკვლას დამაბრალებენ, – უთხრა დათიკომ ბეჟანას და თოფის ლულით გაწია გვერდზე. ბეჟანა შეშინდა და განზე გადაგა. დათიკო ისევ ანატოლის პირისპირ აღმოჩნდა.

– ჩამოუშვი თოფი! – თქვა ისევ ანატოლიმ, მერე უცებ თოფს ლულაზე წავალო ხელი და მარცხნივ გადაიქნია სწრაფი მოძრაობით, თოფი ზმაურით დავარდა რიყეზე. დათიკო სახტად დარჩა. ანატოლი თოფისკენ წაიწია, მაგრამ დათიკომ მკლავებში სტაცა ხელი და მაგრამ ჩაბლუჯა, თავისკენ მოზიდა, მოწურა.

ანატოლიმ გაიბრძოლა. მაგრამ დათიკო ანატოლიზე ღონიერი იყო, მან ერთი დაქნევით დაანარცხა მიწაზე ანატოლი. მკერდზე გადააჯდა და სილა გააწნა. ანატოლიმ სახეში შეაფურთხა დათიკოს, დათიკომ იბღავლა და ისევ გააწნა სილა ანატოლის. ანატოლის ცხვირიდან სისხლი წასკდა, ახლა სისხლი შეაფურთხა სახეში დათიკოს, სისხლის დანახვაზე დათიკო ნადირივით გაცოფდა, იტაცა ხელი ქამარზე და დანა ამოიღო.

– რას შვები, შე უღმერთო! – დაიღრიალა უცებ ბეჟანამ და თავისი უზარმაზარი ტორები ისე დაჰკრა ბეჭებზე დათიკოს, რომ იგი გულაღმა გადავარდა. ბეჟანა ზევიდან დააწვა და ყელში სწვდა ორთავე ხელით. დათიკოს სახე გაულურჯდა. უცებ ბეჟანამ ყრუდ დაიკვნესა. მე და ანატოლი გავშტერდით. ბეჟანას გაკვირვებისაგან პირი ღია დარჩა და თვალები გაუფართოვდა. მან ხელი გაუშვა დათიკოს, ნელა წამოდგა, მერე ორთავე ხელი მოიკიდა მუცელზე და ერთხანს ასე ეჭირა. დათიკო წამოხტა, თოფს სტაცა ხელი და სისხლიან დანას დახედა. იგი აღარ გვემუქრებოდა, გაფითრებული და დაბნეული გვიცქეროდა ხან ჩვენ, ხან ბეჟანას. ბეჟანამ მუცლიდან მოიცილა ხელები და სახესთან მიიტანა. ხელები სისხლში იყო მოსვრილი.

– მომკალი, ყაძახო? – ჰკითხა მან დათიკოს და უცნაურად გაუღიმა. დათიკო შეკრთა, უკან-უკან დაიხია, ასე იარა ერთხანს, მერე შეტრიალდა, გაიქცა და ბლავილით შევარდა ტყეში.

ბეჟანას უცებ სახე დაემანჭა. მან ისევ აიფარა ხელები მუცელზე და წელში მოიხარა. მე და ანატოლი მივცვივით აქეთ-იქიდან და მკლავებში ვტაცეთ ხელი.

– აუ, დამწვა შიგანი, სოსოია! – მითხრა ბეჟანამ.

– გვიშველე, ხატია! – ვიყვირე მე. ხატია მთელი ამ ხნის განმავლობაში გაცოცხლებული იდგა, იგი მიხვდა, რალაც დიდი უბედურება რომ მოხდა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა და არ იცოდა, რა ექნა. ხატია მოგვიახლოვდა და ჩვენს წინ დადგა.

– რა მოხდა, სოსოია? – მკითხა ხმის კანკალით.

– დაჯექი, ხატია! – ხატია სწრაფად დაჯდა. მე და ანატოლიმ ნელა წავიყვანეთ ბეჟანა, სილაზე წამოვაწვინეთ და თავი ხატიას კალთაში ჩავუდეთ.

ხატიამ ათრთოლებული ხელებით მონახა ბეჟანას სახე და სველ შუბლზე ხელი გადაუსვა. ბეჟანა ხელს არ იცილებდა მუცლიდან, მის თითებში სისხლი მოჟონავდა.

– რა მოხდა, სოსოია? – მკითხა ხატიამ ისევ. ხმას ვერ ვიღებდი, ცრემლები მახრჩობდა.

– მომკლა იმ შეჩვენებულმა, – დაიკვნესა ბეჟანამ. მკერდზე დავემხე ბეჟანას და ტირილი დავიწყე.

– გაჩერდი, შე აბდალა, გამივლის ახლა, ცოტა გამიყურდა. – თქვა ბეჟანამ.

– მომეხმარე, ზურგზე ავიკიდებ, წავიყვანოთ სოფელში, – მითხრა ბეჟანას წინ დარჩილმა ანატოლიმ.

– რაო, სოსოია, რას ჩივა შენი რუსი? – მკითხა ბეჟანამ.

– სახლში უნდა წავიყვანოს! – ვუპასუხე ტირილით.

– სამაგიეროს მიხდის? ასე უთხარი, ბეჟანასთვის სულ ერთია, აქ მოკვდება თუ სოფელში. მაცალეთ ცოტა, მომათქმევით სული, გამიაროს ტკივილმა. აი გიდი, არ მომკლა ამ უპატრონომ?.. – თქვა ბეჟანამ.

– ჩემი ბრალია, – თქვა ანატოლიმ და პერანგი შემოიხია ტანზე.

– რაო, სოსოია?

– ჩემი ბრალიაო.

– შენი რა ბრალია, სოსოიეს რუსო, თოფი და დანა იმიტომ აქვს ყაჩაღს, უნდა იხმაროს, ეშინია და იმიტომ უნდა იხმაროს, აბა, უდანოდ მაგი მათხოვარი რას წამაქცევდა მე? შენ არ იჯავრო მაგი, თუ გადავრჩი, მაგის სისხლს დაგაღვივებ, არადა, ირბინოს ტყეში ტურასავით. ჩემი სიკვდილით სოფელს ერთი დიდი მჭამელი მოაკლდება... – ბეჟანა გაჩუმდა და თვალები დახუჭა.

– ბეჟანა! – ვიყვირე, – არ მოკვლე, ბეჟანა!

– მაცალე, სოსოია, სიკვდილი.

– მე მოგკალი, ბეჟანა, მე რომ არ გამეხელებია, არაფერს არ იზამდა.

– შენ რისი მომკვლელი ხარ, ბიჭო, შენხელა პილპილს ვაჭმევ ლობიოზე. შენ გგონია, იმას უნდოდა ჩემი მოკვლა? შიშმა აქნევია... ე, გამიარა ტკივილმა, ახლა თავი მიბრუნის და ფეხები დამიბუჟდა... – ბეჟანამ ხელები მოიცილა მუცლიდან, ანატოლიმ პერანგი აუწია და თავისი პერანგით გადაუხვია ჭრილობა მაგრად.

– რას შეები, გოგო, შენ? – ჰკითხა უცებ ბეჟანამ და ხატიას ახედა.

ხატიას ცრემლი გადმოსდიოდა თვალებიდან და ბეჟანას შუბლზე ეღვრებოდა.

– სოსოია, ბიჭო, გააჩერე აგი ციცი და შენც ნუ აღვარდვალე მაგ კურცხალს, ეგერ გახედეთ იმ მზეს, გადაგორდება ახლა კონცხოულას გადაღმა და დაღამდება, ამოგორდება მერე სურებიდან და გათენდება... ყველასთვის გათენდება, იმ შობელძაღვსაც გაუთენდება! ჩემთვის აღარ გათენდება! ხედავ შენ იმ მზეს, ხატია?

– კი ვხედავ, კი, ბეჟანა! – აქვითინდა ხატია და თავი თავზე დაადო ბეჟანას.

– სუ, ბიბია, სუ, გეყოფა აწი, კარგია მზეს რომ ხედავ, ღმერთმა კარგად გამყოფოთ, მივიღივარ ახლა მე და თქვენ გიტოვებთ ჩემ წილ მზესაც და ჩემ წილ ჰაერსაც, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ. ჩემ წილ მიწას წვეილებ მართო თან, აგი ჩემი წილი თევზიც თქვენია, ტყუილა გეჩხუბებოდით, მაინც თქვენთან არ უნდა მეჭამა? ამ რუსს რაღა ატირებს, სოსოია? – ანატოლის ბეჟანას მაჯა ეკავა, – მცივა, სოსოია, მცივა და მწყურია.

– არ შეიძლება წყალი, ბეჟანა, ცოტა მოითმინე, ბეჟანა, ახლა წავიყვანთ სახლში და აკვირინე მოგარჩენს, ჩემო ბეჟანა!

– ნუ ჩამაყოლებ ჯავრად წყურვილს, სოსოიას ვენაცვალე, დამალევიე აგი სუფსის წყალი, სულ ერთია აწი ჩემთვის... – ბეჟანამ სუნთქვას მოუხშირა, შეშინებულმა შევხედე ანატოლის.

– წყალი უნდა და რა ვქნათ? – ვუთხარი მე. ანატოლი ადგა, მდინარის პირას მივიდა, დაიჩოქა და პეშვებით ამოიღო წყალი.

– რას შვრები? – ვკითხე გაკვირვებულმა ანატოლის, როდესაც მოვიდა და წყალი პირთან მიუტანა ბეჟანას. ანატოლიმ არაფერი მიპასუხა და ბეჟანას წყალი დააღევენა.

– აგაშენა ღმერთმა, – თქვა ბეჟანამ, – აგი რუსი შენზე ჭკვიანია, იცის, აღარაფერი რომ არ მეშველება.. – უცებ ბეჟანამ წამოიწია და დამაშტერდა.

– სოსოია ბიჭო, სად წადი?

– აგერ ვარ, ბეჟანა, ვერ მხედავ?

– ველარ გხედავ, სოსოია, ვკვლები, ბიჭო, მგონი... – ბეჟანა ისევ მიესვენა ხატის კალთაზე.

– არ მოკვდე, ბეჟანა, არ მოკვდე, შენი ჭირიმე, შინ რა ვთქვა. ბეჟანა, ჩემო ბეჟანა, რა ვუთხრა ხალხს, გეყურება ჩემი, ბეჟანა, არ გრცხვენია, ბიჭო, რა ვქნა ახლა მე, ბეჟანა, მიყურე აგერ, მიყურე, – ვქვითინებდი მე.

– სუ, სოსოია, სუ, ნუ გეშინია, მზე ჩავიდა? – მკითხა ბეჟანამ.

– არა, ბეჟანა, არ ჩასულა.

– ხატია, შენ ხედავ მზეს? – ხატია ტიროდა, იგი ვერაფერს ვერ ხედავდა.

– აბა, მე ვერ ვხედავ მზეს, – თქვა ბეჟანამ.

– კი ხედავ, კი, ბეჟანა, აგერაა მზე, შეხედე, ბეჟანა, შეხედე, თქვი, რომ ხედავ მზეს, ბეჟანა, თქვი... – ვეხვეწებოდი ბეჟანას და უკვე გაციებულ ხელებს ვუსრესდი.

– სოსოია, გეყურება?

– რა, ბეჟანა, რა?..

– გეყურება, ბიჭო? – ბეჟანამ რაღაცას მიუგდო ყური და მერე სუსტი ხმით აყვა ვიღაცას: „სიყვარულმა მე კი არა, გადარია ტარიელი, ჩემისთანა კი არ იყო, ჭკუა იყო ცარიელი...“ – იღიმებოდა და ღიღინებდა ბეჟანა, მერე თანდათან გაუქრა ხმა, მაგრამ მაინც ღიღინებდა, მკერდზე დავემხე ბეჟანას და ავტირდი. მას ჩემი აღარაფერი ესმოდა, ვერც მხედავდა და ვერც მგრძნობდა.

დიდხანს ვიყავი ასე, მერე ანატოლიმ მხარზე დამადო ხელი. დასავლეთისაკენ გავიხედე, მზე ჩასულიყო და მთას მეწამული ღრუბელი სწვავდა. ბეჟანა აღარ სუნთქავდა.

Tovli

დეკემბრის ბოლო რიცხვებში საშინლად აცივდა. ერთ საღამოს დაბერა ქვენაქარმა და ფანტელი ამოყარა. მშრალად მოთოვა, გაუთავებლად თოვდა, ტერფისტოლა ფანტელები ზანტად მოფარფატებდნენ და ერთმანეთზე წვებოდნენ დინჯად. დილით საქათმიდან გადმოფრენილი ქათმები თოვლმა ისე ჩაყლაპა, დაკრიახება ვერ მოასწრეს. დღისითაც ითოვა, მერე დაიწყო დაუსრულებელი და უსამელო ზამთრის ღამეები, ძაღლების გაბმული ყეფა, აივნებზე ფეხების ბრახუნი, ბუხრის ცეცხლზე მიბრაწული წვივები, შაშხი და ადესა ღვინო... გაიკვალა ეზოები პარმალიდან სამზარეულომდე, სამზარეულოდან წყარომდე, წყაროდან მარნამდე, მარნიდან მეზობლებამდე და სოფლიდან სოფლამდე. კისრამდე თოვლი დადო.

გამეჩხერდა კლასში მერხები, ბავშვები ბუნართან ისხდნენ და ელოდნენ, როდის დაჯდებოდა თოვლი. სკოლის ხარი რეკდა ყოველ დილით ყრუდ და მჭახედ. გვეძახდა, გვეძახდა, გვეძახდა...

გასწორდა მთა და ბარი. დაწვა ღობე, აქა-იქ თუ ამოეჩარა გაზაფხულზე ყოჩაღად დასობილ სარს თავი, მაგრამ ისიც მიჰქონდა შემთხვევით მგზავრს. ზოგს საბიჯგად, ზოგს შემად და ზოგს ძაღლის ან სოფელში გადმოვარდნილი მშვიერი ნადირის მოსაგერიებლად.

აბუზული ანატოლი ზის ცეცხლთან და საყვედურებით ავსებს ბუნარს.

– რამდენ შემას სჭამს ეს შეჩვენებული, კაცს და ოთახს კი არ ათბობს, მარტო წინიდან ვთბები, ზურგი მეყინება.

– ახლა ცოტა ხანს ზურვით დაჯექი. – ასწავლის მამიდა და წინდას ქსოვს.

– ე, ჩვენებური ლუმელი მომნათლავდა ახლა.

– თქვენში უფრო არ ცივა? – ვეკითხები.

– ჩვენში მშრალი ყინვა იცის, თქვენი ყინვა ძვალში და რბილში ატანს.

– ხვალ ოდა უნდა გადმოვთოვლოთ, თორემ ჩამოწვება, – ამბობს მამიდა.

გარეთ კი თოვს, თოვს გაუთავებლად.

– წადი, სოსო, შეშა ამოიტანე! – მეუბნება მამიდა. ვისხამ ქურქს და გარეთ გავდივარ.

შემომატქვს შეშა. ბუნარში ვყრი და თხის ტყავზე ვვადები. დანათოვარი წიფელი შიშინებს, მერე უცებ ალი ეკიდება და ოთახს ანათებს. ვამჩნევ, რომ ანატოლი უყურებს მამიდას, უყურებს დაჟინებით, მამიდა ზის თავდახრილი და წინდას ქსოვს, მე თვალს ვარიდებ ანატოლის, მერე ვამჩნევ, რომ მამიდაც უცქერის ანატოლის ქურდულად, ჩემგან დაფარვით. ანატოლი ქერაა, გამხდარი და ლამაზი. მამიდაზე ერთი ან ორი წლით უმცროსი გვეგონება. იგი ახლა დანაკვეთილზე ცეცხლს უცქერის და რაღაცას ფიქრობს, მერე ოხრავს და ისევ მამიდასკენ იხედება; დიდი ხანია ვხედავ ამას და მიკვირს, რატომ არ მწყინს, ალბათ, მამიდასაც უკვირს. ანატოლი მატყობს, რომ ყველაფერს ვხედავ, უხერხულად ილიმება და მხარზე ხელს მადებს. არ ვიცილებ მის ხელს და მიკვირს, რატომ მსიამოვნებს მისი ხელი მხარზე. მამიდასაც უკვირს ალბათ, მაგრამ ვატყობ, რომ უხარია. მიხარია მამიდას სიხარული და ვუღიმი ანატოლის. მერე დიდხანს ვუყურებ ლიბრგადაკრულ ნაკვეთხალს და ვაცლი ანატოლის და მამიდას ერთმანეთის ცქერას! – სოსოიამ თავისი ზურვით მიიყვანა ბიძა სახლში, მაგონდება და ცეცხლში შეშას ვუმატებ, – შენია მაგი რუსიო, მეუბნება ბეჟანა... და ვხედავ ნაფიცარზე თვალდაბნელებულ და აღიღინებულ ბეჟანას. ჯირკს ალი ლოკავს და ალში ხატია დვას. იგი მიღიმის და სულ არ მიკვირს, რომ ხატია არ იწვის. მერე ჩემამდე ყრუდ მოდის ანატოლის ხმა:

– დაწვეს, მიწასთან გაასწორეს, გერმანიაში გარეკეს, ჩვენ უკან ვიხევდით, სხვა გზა არ იყო, ქეთევან, მე წავალ, უეჭველად წავალ...

მერე აღარ ვუვლებ ყურს, თუ რას ამბობს ანატოლი, იგი ყოველდღე აპირებს წასვლას და ვერ მიდის. ანატოლის მთელი ღამეები ახველებს და ოფლი მოსდის, მე არასოდეს არ ვეუბნები ანატოლის, არ წახვიდე-მეთქი, რადგანაც ვიცი, უეჭველად წავა და მეშინია მისი წასვლის. ძალიან მიყვარს მამიდა და ამიტომ მეშინია ანატოლის წასვლის... ეშინია მამიდასაც. ვატყობ, რომ ეშინია... ალში ისევ ხატია დვას, – მე ვხედავ მზეს, სოსოია! – მიღიმის ხატია და აღარაფრის მეშინია ამ ქვეყანაზე.

kukura

– გამარჯობა, ჩემო ბეჟანა, მე ვარ შენი სოსოია, არ ვეკითხები, როგორ ხარ, ბეჟანა-მეთქი, იმიტომ, რომ ვიცი როგორც ხარ, რომც გკითხო, ვიცი, მეტყვი, არაფერი მიშავს, არაფერი მიხდაო. მაგრამ მე ხომ ვიცი, რაც გინდა? მე ყოველ ღამით გნახულობ და

ყოველდღე მოვდივარ შენთან. შენ ხომ იცი, ბეჟანა, მაგრამ ეს ერთი კვირა ვერ გნახე და მაპატიე, ბეჟანა, წელამდე თოვლი დადო, ჰკითხე ანატოლის, ახლაც გაგვიჭირდა, თხილამურებით ამოვედით, ჯერ აქ შენს წილ მიწას გადავწმენდით, სასთუმალს გაგისწორებთ და მერე ზევით ავალთ, შენი ოდა უნდა გადმოვთოვლოთ, თორემ წაიქცევა. ნუ გეშინია, ბეჟანა, სანამ დავიარები ამ ქვეყანაზე, შენს სახლს არ წავაქცევ, აქ, ნაძვის ძირში არც ისე ბევრი თოვლია, ნაძვს დაუფარავხარ, ახლავე გადავწმენდით, ჩემო ბეჟანა, წუხელ კალანდა იყო. ერთმა-ორმა კაცმა თოფიც კი გაისროლა, სიდონია ჩხაიძის ოჯახში იმდერეს კიდევაც, ქორწილი იყო, ბეჟანა, ვაჟია ჯიბუტზე გათხოვდა, სიდონია კი იცი შენ, ვაჟია ჯიბუტი ცალხელა დაბრუნდა ომიდან, ჰოდა იმას გაყვა. მე და მამიდაც კი ვიყავით მიპატიუებული, მაგრამ არ წავედით, მოსაკითხავი არ გვქონდა, არც მაინცდამაინც გვინდოდა წასვლა, მართალი რომ გითხრა, ჩემო ბეჟანა. ორმოცდასამი წელი გათენდა დღეს, ბეჟანა, აგერ ასკილი და მაისის ვარდი დაუწვენია თოვლს, მაგრამ მაგი არაფერი, გამარტებაზე ხატია მოვა და სარს დაუსობს. ამ ბალახსაც გაწმინდავს. ეს ჯვარიც წახრილა ცოტა, მაგას ახლავე გავასწორებ, არ მინდოდა ჯვრის დასობა, ჩემო ბეჟანა, მაგრამ აკვირინე ბებია არ ქნა, ქრისტიანს ყველას უნდა ჯვარიო. უბრალო არ გეგონოს, წითელი ხისაა. ჩვენი ეზოს ჭიშკარი დავშალე და იქიდან გამოვათლევით. კი იცი შენ ის ჭიშკარი, წითელი ხის რომ იყო. ახლა წავალთ ჩვენ, ბეჟანა, და შენს ოდას გადმოვთოვლავთ, ხვალ კიდევ მოვალ.

მე და ანატოლიმ ჯვარი გავასწორეთ, დათოვლილი საფლავი გადავხვეტეთ და პირდაპირ თოვლზე დავექეთ.

– ცივა, – თქვა ანატოლიმ. ჯიბიდან არყით სავსე ნახევარლიტრიანი ამოვიღე და ანატოლის მივაწოდე. ანატოლიმ ბოთლი პირზე მიიყუდა, რამდენიმე ყლუპი მოსვა და ბოთლი დამიბრუნა. მეც მოვსვი რამდენიმე ყლუპი და წამოვდექით. მერე თხილამურები მოვირგეთ ფეხზე, ნიჩბები მხარზე გავიწყვეთ და ბეჟანას ოდისკენ დავიძარით.

ბინდებოდა. უკან ვბრუნდებოდით გათოშილები. ლუკაია ფოცნიშვილის სახლთან რომ გამოვიარეთ, ანატოლი ჭიშკართან გაჩერდა, მეც გაჩერდი. ოდის სვეტები მუხლამდე იდგა თოვლში, ოდას ზემოდანაც იმხელა თოვლი ედო, უზარმაზარ სოკოს ჰგავდა. კიბის თავზე გაკრული იყო შავი არშია. ლუკაიას ძალი გადაკეტილი პარმალის წინ წკმუტუნებდა და წრიალებდა, ეტყობოდა, ოთახში შესვლა უნდოდა, მაგრამ არ უშვებდნენ. რომ დაგვინახა, ყვფით გამოვარდა ჩვენკენ, მაგრამ თოვლში შემოსვლა შეეზარა და უკან გაბრუნდა, ახლა იქიდან დაიწყო ყვფა.

– ჩავიდეთ! – მითხრა ანატოლიმ.

– რა გვინდა? – ანატოლიმ არაფერი მიპასუხა, ჭიშკარი გააღო და ეზოში ჩავიდა. მეც ჩავეყვი. ძალი გაავდა, მაგრამ თოვლში მაინც ვერ შემობედა. პირმალში ლუკაია გამოვიდა.

– რომელი ხარ? – დაიძახა და ხელი მოიჩრდილა. იგი გათეთრებული და წელში მოხრილი იყო, ვუყურებდი ლუკაია ბიძიას და მიკვირდა, როგორ მოტყდა ასე უცებ და ასე უღმერთოდ ეს კაცი.

– ჩვენ ვართ, ლუკაია ბიძია, გამარჯობა შენი! – გავძახე.

– მობრძანდით ოდაში, სოსოიას და სოსოიეს რუსს გაუმარჯოს! – გვიცნო ლუკაია ბიძიამ.

ანატოლი ოდაზე აყუდებულ მაღალ საბუხრე კიბეს მიადგა და ასვლა დაიწყო.

– სად მიდის ეს რუსი, სოსოია, აგერ მობრძანდეს! – თქვა შეწუხებულმა ლუკაიამ.

– ჯერ გადმოვთოვლავთ, ლუკაია ბიძია, და მერე, – ვუთხარი და ანატოლის მივეყვი.

– რატომ წუხნებით, შვილებო, ღმერთმა თქვენი მარჯვენა გაახაროს, აღარც მოკვდი და ვეღარც ავათრიე წელი ამ დასაწვავზე, ავაშენათ ღმერთმა. არადა, ამელამაც თუ ითოვა, სარაგველასავით დამემხობა თავზე. შენ გაიხარე, სოსოია, ავი დედაკაციც რომ კაცის შვილად აღარ ვარგა, გამოდი, ქალო, გარეთ! – გასძახა ლუკაიამ ცოლს და თვითონ შევარდა ოთახში, ძაღლმა დრო იშოვა და ისიც შეიძურწა.

ოდის გადმოთოვლას ვამთავრებდით, ხელები გამეთოშა, საკვამურთან მივედი და თეთრ ქულებად ამოსულ კვამლს ხელები მივუშვირე; ხელები ოდნავ შემითბა და უცებ სახე გამებადრა.

– ანატოლი, მოდი! – დავუძახე მუშაობაში გართულ ანატოლის.

– არ მცია! – დამიძახა მან და მუშაობა განაგრძო.

– მოდი აქ, რომ გეუბნები! – დავუქნიე ხელი.

– რა მოხდა? – მითხრა ანატოლიმ და საკვამურთან უხალისოდ მოვიდა.

– ნახე! – ვუთხარი მე, თავი დავახრევი და ცხვირი საკვამურთან მივატანინე. ანატოლიმ ღრმად ჩაისუნთქა, მერე გამიღიმა და თვალი ჩამიკრა. საკვამურიდან კვამლში შეზავებული შაშხისა და ჭადის გადამრევი სუნი ამოდიოდა.

ბუხრის წინ გაშლილ დაბალ სუფრას ვუსხედით მე, ანატოლი, ლუკაია ბიძია და ონშივარავარდნილ ჭადს ვაწებდით შაშხზე. ლუკას ცოლი, ვარვარა ბიცოლა, კედელთან იჯდა ტახტზე და თვალს არ გვაცილებდა. ლუკაია ბიძიამ არაფერი დაასხა და ანატოლის მიაწოდა.

– დალიე, სოსოიეს რუსო, მადას გაგვიხსნის.

– გმადლობთ, არ მინდა! – თქვა ანატოლიმ და ჭიქა გადმომიდგა.

– რუსი რომ არაყს არ სვამდეს, პირველად ვხედავ, ადექი, ქალო, ღვინო მოიტანე! – თქვა ლუკაიამ და მანიშნა, დალიეო. ვარვარა ბიცოლა გავიდა და დოქით ადესა ღვინო შემოიტანა და ისევ თავის ადგილას დაჯდა დაღლიავეული. ლუკაიამ დაასხა.

– მე, ჩემო ბიძიებო, – დაიწყო ლუკაიამ, – რა თამაობა უნდა გაგიწიოთ, არ დამფსებოდა თვალები, არ ჩამქრობოდა კერია და არ დამქცეოდა ოჯახი, შენ კი იცი, სოსოია, ჩემი კუკურა თამადაც იყო, სვეტიც, ჭერიცა და ყავარიც ამ ოჯახისა, მაგრამ მადლობის თქმას კი მოვახერხებ იცოცხლეთ, ნუგეშით შემოდით ჩემს ოჯახში და ნუგეში ნუ მოგიშალოთ ღმერთმა, – თქვა ლუკაიამ, კუკურას სურათს შეხედა და გადაკრა.

კედლის შუაში ეკიდა უზარმაზარი სურათი, საიდანაც გულგაღელი კუკურა იცინოდა, და ისე იცინოდა, ათასი ცნობა რომ მოსულიყო, მისი დაღუპვის ამბავს მაინც ვერ დავიჯერებდი.

– ეგ არის, ხომ? – მკითხა ანატოლიმ და სურათზე მანიშნა, თავი დავუქნიე.

ანატოლიმ უსიტყვოდ დალია ღვინო და თვითონვე შეივსო. ისევ დალია და დადგა ჭიქა.

– დალიე, ბიძია, ღმერთმა შეგარგოს, – უთხრა ანატოლის ლუკაიამ და ახლა მან შეავსო ჭიქა.

– ლუკა ბიძია, კარგად იყავით, ვარვარა ბიცოლა, თქვენ ნამდვილი რუსული სახელი გაქვთ, კარგად იყავით, – გაიღიმა ანატოლიმ და დალია.

– კარგად იყავით! – ვთქვი მეც და დავლიე. ანატოლიმ ისევ აივსო ჭიქა. მას ლოყები შეუფაკლდა, შევატყვე, თვრებოდა.

– მაცალე, შვილო, – გააჩერა უცებ ლუკაიამ ანატოლი. ჭიქა გაავსო და რამდენიმე წვეთი შავი ღვინო ჭადზე დაღვარა. – ჩემს ოჯახში ყველა პირველი სადღეგრძელო ამას ეკუთვნის. – ლუკა ბიძიამ ისევ სურათს შეხედა.

– შვილო, შვილო! – თქვა ვარვარა ბიცოლამ და მეორე ოთახში გავიდა.

– ვინც ჩემი ოჯახი დაანგრია, – განაგრძო ლუკა ბიძიამ, – იმის თვალმა არ ნახოს დღის სინათლე, იმის ცოლმა არ გაიხადოს შავი. – მეორე ოთახიდან ისმოდა ვარვარა ბიცოლას ყრუ მოთქმა, ლუკაია ბიძიამ ნერწყვი და ცრემლი ერთად გადაყლაპა, – იმის ოჯახში არ გათავდეს ზარი და მოთქმა. ჩემი კუკურას ხსოვნა იყოს... – ლუკა ბიძიამ დალია და ანატოლის შეხედა. – ანატოლიმ თვალი აარიდა. მე დავლიე.

– დალიე! – ვუთხარი ანატოლის.

– კარგად ვიყით! – თქვა ანატოლიმ და უცებ გადაკრა.

– კუკურას ხსოვნის სადღეგრძელო იყო, – ვუთხარი ანატოლის და ხელმეორედ დავუსხი.

– მაგას მე არ დავლევ! – თქვა ანატოლიმ და ჭიქა ხელით გასწია. გაოცებულმა ლუკაიამ პირი დაალო. საქციელი წამიხდა და გავიღიმე.

– ალბათ, აღარ შეუძლია!

– შემიძლია, როგორ არ შემიძლია, აი, თუ არ შემიძლია, – თქვა ანატოლიმ და ჭიქა პირში გადაიმხო. მერე გაავსო და კიდევ დალია.

– ღათვრა, – გავუღიმე ლუკაია ბიძიას, მეორე ოთახიდან ისევ ისმოდა ვარვარა ბიცოლას ყრუ მოთქმა.

– ვინ ვარ მე? – იკითხა ანატოლიმ, წამოდგა და დაბარბაცდა.

– დაჯექი, ანატოლი, – ვთხოვე.

– ვინ ვარ მე, სოსო? – მკითხა ანატოლიმ.

– ანატოლი ხარ.

– რომ მიპოვე, მაშინ ვინ ვიყავი?

– მაშინაც ანატოლი იყავი! – გავუცინე და შაშხის ნაჭერი ავიღე.

– მკვდარი ვიყავი მე მაშინ. ახლაც მკვდარი ვარ და ჩემს შესანდობარს სვამენ, მაგრამ არ მინდა, რომ მკვდარი ვიყო... იმიტომ, რომ ცოცხალი ვარ... არც ერთ ცოცხალს არ უნდა, მკვდარი რომ იყოს... ლუკა ბიძია, შენ მოხუცებული ხარ და ჩემი დაბადება გემხსოვრება... მომიყევი, თუ ღმერთი გწამს, როგორ გავჩნდი ამ ქვეყანაზე... – მე და ლუკაია ბიძიამ არ ვიცოდით, რა გვეთქვა, – თქვი ლუკა ბიძია, გაიხსენე... – არ ეშვებოდა ანატოლი.

– მე რა გითხრა, შვილო, შენზე უფროსი კი ვარ, მაგრამ შენ რუსეთში დაიბადე და...

– ხომ დავიბადე რუსეთში? ჩემი სახლი დაწვეს... ყველანი გერმანიაში გარეკეს, ჩვენ გამოვრბოდით, სხვა გზა არ იყო... ლუკა ბიძია, თუ ვარ მე ცოცხალი?... – ანატოლიმ მკერდზე დაირტყა მჯიღი.

– კი ხარ, შვილო, და ღმერთმა გაცოცხლოს!

– დედაჩემისთვის და მამაჩემისთვის ხომ ვარ მკვდარი?... ისინიც მკვდრები არიან ჩემთვის, ლუკა ბიძია... დედაჩემი ხომ ტირის ახლა ჩემზე...

– რა გაცინებს, აბა?

– მერე მე ხომ ვარ ცოცხალი? რა მჭირს სატირალი? ცნობა ქალაქია, კაცი წერს იმ ცნობას და კაცი ხევს, ქალაქი არ კლავს კაცს, კაცს ტყვია კლავს, მაჩვენე ტყვია, შენი შვილი რომ მოკლა, ის ტყვია მაჩვენე, ლუკა ბიძია... ხომ შეიძლება ისიც ჩემსავით იყოს სადმე? ხომ შეიძლება, თქვი... ეეე, არ გყვარებია შვილი! – თქვა ანატოლიმ და ხელი ჩაიქნია.

– დაჯექი, ანატოლი! – ვთხოვე ისევ. ანატოლიმ თავზე ხელი გადამისვა.

– დაასხი ღვინო! – დავასხი.

– არ გყვარებია შვილი, ლუკა ბიძია, დალიე და თქვი, რომ არ გყვარებია. დალიე, დალიე, – აღარ მოეშვა ანატოლი. იქნებ მომეშვასო და ლუკა ბიძიამ დალია ღვინო. მერე ანატოლიმაც დალია და დაჯდა.

– ადექი და ჩამოხსენი, ის შავი განცხადება რომ გაგიკრავს, – თქვა მან უცებ.

– გაგიჟდა? – მკითხა ლუკა ბიძიამ.

– ჩამოხსენი, – გაიმეორა ანატოლიმ. – ჩამოხსენი, ქალაქი მიიღე და დამარხე ბიჭი? როგორ გაიმეტე ასე უცებ ერთი შვილი სასიკვდილოდ, არ გყვარებია შვილი. ცნობა მიიღე, მოკვდაო? მე მოგცემ ას ცნობას, რომ ცოცხალია...

– გამაგიჟებს ეს კაცი! – თქვა ლუკაია ბიძიამ და ცრემლი გადაყლაპა.

– მე მოგცემ ას ცნობას, რომ ცოცხალია, არ გრცხვენია მოხუც კაცს?... ქალაქს უჯერებ და მე არა? ჩამოხსენი... – ანატოლი დადუმდა და დაჯდა.

ლუკაია ბიძიამ ისევ დაასხა ღვინო, მას ხელი უკანკალებდა და ნახევარს მაგიდაზე აქცევდა.

– სოსოია, რა ვქნა, ბიჭო? – მკითხა მან და მუდარით შემომხედა.

– ჩამოხსენი, ლუკა ბიძია, მართალს ამბობს.

– ხომ მომეჭრა თავი? – დაიკვნესა ლუკა ბიძიამ.

– თავი მაშინ მოგეჭრება, ცოცხალი თუ მობრუნდა! – ვთქვი და მივხვდი, რომ უზომოდ მთვრალი ვიყავი. მთვრალი იყო ლუკაია ბიძიაც, კედლიდან მიცინოდა კუკურა და ისე მიცინოდა, ათასი ცნობა რომ მოეტანათ სოფელში და ათასჯერ რომ შეეცხადებიათ, ვერც მე და ვერც ანატოლის ვერ დაგვაჯერებდნენ, რომ კუკურა მკვდარი იყო. ავდექი და სურათისკენ წავიდი, ჯერ მაგიდას დავეჯახე, მერე ტახტს. თავი ვეღარ შევიკავე და დავჯექი. ვეღარ ავდექი. ოთახი დატრიალდა, სურათი გაორდა, გასამდა, გაოთხდა, გაასდა და ეხლა ერთმანეთზე მიყოლებით ასი გულგაღელილი კუკურა მიცინოდა.

– გამარჯობა, კუკურა, შენი! – ვთქვი უცებ, ლუკაია ბიძია შეერთა, მერე ხელები თავზე შემოიწყო, იდაყვებით მუხლებზე დაემხო და ასე გაუნძრევლად იჯდა მთელი საათი. გაუნძრევლად ვიჯექით მეც და ანატოლიც, ოთახი ისევ ირწეოდა, მაგიდა დაფერდებული იდგა. ბუნარი ისე აყირავებულიყო, შემეშინდა, ნაკვერჩხალი არ გადმოცვივდესმეთქი, მაგრამ იგი ტკბილად ლულუნებდა და მკრთალი შუქით ანათებდა კედლებს.

მერე თანდათან ყველაფერი დამშვიდდა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და გასწორდა. თვალები დავხუჭე და როდესაც გავახილე, შევატყვე, რომ დიდმა სიმთვრალემ გაიარა.

მერე მასსოვს, როგორ ადგა ლუკაია ბიძია, როგორ წავიდა ნელი ნაბიჯით კარისაკენ, როგორ გამოვიდა მეორე ოთახიდან ვარვარა ბიცოლა, როგორ დაჯდა ჩემს გვერდით და როგორ ჩამიღო კალთაში ორი ჯანჯუხა. გაუვლიძე და დამჭკნარ ლოყაზე ვაკოცე. ცოტა ხნის შემდეგ ოთახში ლუკაია ბიძია შემოვიდა, მას ხელში დახვეული შავი განცხადება ეკავა, ბუნართან მივიდა, ორთავე მუხლზე დაიჩოქა, ერთხანს ყოყმანობდა, მერე აიღო და შავი ტილო ბუნარში შეაგდო. ოთახი უცებ დაბნელდა, გაიარა ერთმა წამმა, ორმა, სამმა, ათმა, მერე თანდათან ტილო ააღდა, განათდა და მე დავინახე, როგორ ილიმებოდა ანატოლი, როგორ ესკვენებოდა ნიკაპზე ცრემლები ვარვარა ბიცოლას და როგორ უცანცაუნებდა ხელები ლუკაია ბიძიას.

შინ გვიან ღამით მივედით, მამიდა ბუნართან იჯდა და წიგნს კითხულობდა. ანატოლი და მე თოვლში გორვისაგან თავიდან ფეხებამდე გალუმპულები ვიყავით, მაგრამ სიმთვრალის გამო სიცივეს ვერ ვგრძნობდით. მამიდამ დაგვინახა თუ არა, წიგნი გადადო, ბუნარს შეშა შეუმატა. ორი სამფეხი ცეცხლთან ახლოს მიაჩოჩა და თვითონ გვერდით დაჯდა.

– მოდით ცეცხლთან! – თქვა და ისევ აიღო წიგნი, მივბარბაცდი მამიდასთან, პირდაპირ იატაკზე დავჯექი და თავი კალთაში ჩავუდე.

– სად დალიეთ, ბიჭო? – მკითხა მამიდამ.

– მთვრალი ვარ, მამიდა!

– სად იყავით?

– ანატოლიც მთვრალია, მამიდა! – ანატოლი კედელ-კედელ გამოყვა ოთახს. ბუნართან ასე მოვიდა და ძლივს დაჯდა სამფეხაზე, მერე მამიდას ხელი აიღო ხელში და მოეფერა. მამიდამ ხელი გამოართვა და შემხედა.

– მთვრალია! – ვუთხარი და გაუვლიძე. ანატოლიმ ისევ აიღო მამიდას ხელი და მოეფერა. სითბომ ისევ დამახვია თავბრუ და სიმღერა მომინდა.

ელესია, მელესია,
გოგოები დამესია,
ვა – ჰეი,
ელესოვო – ოჰო– ჰო– ჰო...

– დაიძინე, ბიჭო, ხვალ სკოლაში ხარ წასასვლელი, – მითხრა მამიდამ.

დახეული ბატინკები,
დახეული პლაშჩი,
გაკვეთილი თუ არ იცოდი,
რას მოეთრეოდი კლასში...

წავილილინე და თვალეი დავხუჭე.

– მარია, ჩემო მარია! – თქვა ანატოლიმ უცებ. თვალეი გავახილე გაკვირვებულმა.

ანატოლი მამიდას თავზე უსვამდა ხელს:

– ჩემო კეთილო მარია, შენ მაპატიებ, მარია, მაგრამ ხომ გიპოვე, მარია... ბავშვი ვისთან დატოვე, დედასთან?... მადლობა ღმერთს, გათავდა ყველაფერი... გათავდა ეს ხეტიალი... დღეიდან სულ ერთად ვიქნებით, მარია... ჩვენს სოფელზე რომ გამოვიარეთ, უკვე დამწვარი დამხვდა, ცარიელი... ძალიც არ ყფდა. სად იყავი, ბევრი იწვალე, მარია?... დედა და ბავშვი ხომ კარგად მოაწყვე? ჰოდა, გათავდა ამდენი ხეტიალი, ჩემო მარია...

მამიდამ ჩამოილო თავიდან ანატოლის ხელი.

– მე ქეთევანი მქვია, – თქვა მან ყრუდ და გვერდზე გაიწია.

– მარია ხარ შენ და ნუ მატყუებ... თქვი, რომ მარია ხარ, აბა, რატომ ხარ ასეთი კარგი, ლამაზი და კეთილი... – თქვა ისევ ანატოლიმ.

– ქეთევანი ვარ, – გაიმეორა მამიდამ. ანატოლი მამიდას დაჟინებით დააკვირდა, დიდხანს უყურა. მერე ისევ დაიწყო:

– მე უეჭველად წავალ... მე უკვე შემიძლია სიარული, ბრძოლაც შემიძლია... ქვეყნის დასასრულამდე ვივლი და გიპოვით, მარია... – ანატოლიმ სახეზე ხელი აიფარა და აქვითინდა. მე და მამიდამ ანატოლი საწოლთან მივიყვანეთ და დავაწვინეთ, ცოტა ხანში იგი დამშვიდდა და დაიძინა.

ვწევარ გულაღმა და თვალდია, სიმთვრალემ გამიარა, სულ გამიარა და არ მეძინება.

– მამიდა! – ვეძახი. მამიდა ხმას არ მცემს.

– მამიდა, არ მეძინება.

– დაიძინე აწი, სოსოია, ბიჭო! – მითხრა მამიდამ.

– მამიდა, ვინ არის მარია?

– არ ვიცი, მამიდა, – თქვა მან და დადუმდა, – ცოლია, ალბათ, – თქვა მან ღუმილის შემდეგ.

– დაკარგული ყავს?

– ალბათ.

– მონახავს, მამიდა?

– აბა, რა ვიცი, სოსოია.

– რომ თქვა, გიპოვით?

– იპოვის, ალბათ, სოსოია.

– წავა, მამიდა, ანატოლი? – მამიდა ისევ დადუმდა.

– წავა, სოსოია, ნამდვილად წავა... – თქვა მამიდამ და მივხვდი, რომ მეტი არაფერი აღარ უნდა მეკითხა მამიდასათვის. გვერდზე გადმოვბრუნდი და ბუხარს გავხედე. ცას გავდა ბუხარი, მოღრუბლულს და ვარსკვლავიანს, დანაცრული ნაკვერჩხალი ვარსკვლავებივით ციმციმებდა აქა-იქ, მერე ნაცრის ღრუბელი ეფარებოდა და ქრებოდა. ბუხარი თანდათან დაბურულ ცას ემსგავსებოდა, თვალეი მელულებოდა და სინანულით ვუცქეროდი ბუხარში უკანასკნელი ვარსკვლავის ქრობას.

beglaras wisqvili

თუ ჩემი სოფლის წისქვილში ღამე არ გითევია, ბეგლარასთან არ გიჭორავია დილაამდე, ღადარში ჩაკრული, მისი გამომცხვარი გაუცრელი და მარილიანი კვერი არ გილოღნია, მერე ჩათვლემილს სიზმარი არ გინახავს, რომ წყურვილით კვდები, არ წამომხტარხარ, წისქვილის

ღარზე არ გადამსობილხარ და ცხენივით დიდხანს არ გისვამს სუფსის წყალი, არ თქვა, სოფელი მინახავსო.

ბეგლარაზე და მის წისქვილზე იმდენი ანდაზა და იმდენი შაირია ჩვენს სოფელში, რამდენიც მინდი აულია ბეგლარას. არც ერთ გლეხს არ შეუძლია მთელ სოფელში თხუთმეტი წუთი ილაპარაკოს და ბეგლარას წისქვილი ერთხელ მაინც არ მოიხსენიოს. შეხვდები კაცს გზაში, გამარჯობას ეტყვი, თუთუნს მოგაწვდის, ცოტა ბევრის აღება მოგიხდება და, იმწუთში:

– რა ამბავია, შე კაცო, ბეგლარას მინდი ხომ არაა?..

ვერ მოუყვები მეზობელს დალაგებით ამბავს და...

– რავა ბეგლარას წისქვილივით ღერღავ, შე უპატრონო, თქვი აწი, რა გინდა?..

შეაწუხებ კაცს ბევრი ლაპარაკით და...

– რავა ბეგლარას წისქვილის სარეკელასავით გარეკა ამ დალოცვილმა!..

დახველება რომ დახველებაა, ისიც ბეგლარასთანაა დაკავშირებული:

– რავა ბეგლარას ძაღლივით იხრჩვები, შე უბედურო? – გეტყვიან იმ წუთში.

დახველება, ბეგლარას ძაღლი, დახრჩობა და წისქვილი ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, იმიტომ რომ ბეგლარა თავის ძაღლს წისქვილში დაგროვებულ ქაჭოს აჭმევს, სწორედ ეს ქაჭო ახრჩობს ძაღლს და არის საცოდავი მთელი დღე ხველებაში. ბეგლარა თავისთავად სიტყვას არ მოაბრუნებს, თუ წისქვილი არ ახსენა, მთელი მისი ცხოვრება ამ წისქვილთანაა დაკავშირებული, იგია მისი მარჩენალიც, სახლიც, კარიც, ცოლიც, შვილიც და ნათესავიც. კოლექტივისაა წისქვილი და ბეგლარაც კოლექტივის საერთო კრებითაა არჩეული მეწისქვილედ, მაგრამ ბიჭია რომელიმე თავმჯდომარე და მოხსნას ბეგლარა, ვილა ივლის მერე წისქვილში? არავინ. რა იქნება მერე ბეგლარას წისქვილი? არაფერი. ვინ გაბედავს ბეგლარას ნაცვლად მეწისქვილეობას? ვერავინ. იცის ეს ბეგლარამ, იცის ეს მთელმა სოფელმა და ყველა თავმჯდომარემ. ჰოდა, ერქვას ამ წისქვილს კოლექტივის სახელი, რა ენადვლება ბეგლარას, ვიდრე მოკვდება, მისია მაინც წისქვილი. წისქვილში ცხოვრობს ბეგლარა, საწოლად სამინდევ სკივრი აქვს, სასთუმლად სიმინდის ფუჩქით გატენილი მუთაქა უდევს. თავთან ცალპირა ფილთა თოფი უკიდია, რომელსაც რატომღაც ზაუერს ეძახის. კედელზე რომელიღაც ჟურნალიდან ამოხეული და ოთხად გაკეცილი მიწურინის სურათი აქვს გაკრული. რომ კითხავ, – ბეგლარა, ეს ვინ არისო, გაკვირვებული გეტყვის:

– მაგი არ იცი, შე აბდალა? ესაა ის მიწურუნი, ციმბირში რომ ყურძენი და მანდარინი მოიყვანა.

ომის პირობებში ბეგლარას სამხატვრო გაღერვამ სხვა თემატური ელფერი მიიღო, მეცნიერმუშაკთა გვერდით ახლა სამხედრო პირები ჩამწკრივდნენ დამსახურების მიხედვით. პირველი ჩაბაევი იყო, მეორე ბუდიონი, მესამე ტიმოშენკო, მეოთხე პეტრე ბაგრატიონი, მესხეთე სუვოროვი და მეექვსე კიკვიძე.

წიგნებსაც კითხულობს ბეგლარა. ზოგს – ჩემს მიტანილს და ზოგს – სხვის. საკუთარი ბიბლიოთეკაც აქვს ბეგლარას. კედელზე მიკიდებულ საგანგებო თაროზე მუდამ აწყვია: „ვეფხისტყაოსანი“, სახარება, ლობიოს ქოთანნი, არყის თუნგი და ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი“.

უხარია ბეგლარას ჩემი მისვლა წისქვილში. დამიჯდება და სულ რომ არ იყოს საფუქვაკი, დილაძდე მაინც ან გამიშვებს, რიგით პირველი რომ ვიყო, იმდენს იზამს, ბოლოში მომაქცევს, მეც მიხარია ბეგლარასთან ყოფნა, მაინცდამაინც არ ვუძალიანდები და ვჭორაობთ მე და ბეგლარა დილაძდე, ვანგრევთ ქვეყნებს, ვაშენებთ სასახლეებს, ვიჭერთ და ვხვრეტთ გენერლებს, ვნიშნავთ მთავრობებს, ვიგებთ ომებს, ვიღებთ ქალაქებს, ვინევთ უკან, მერე ისევ წინ მივდივართ, ვწყვეტთ ხელოვნების გადაუჭრელ საკითხებს, ვაცხობთ კვერს ნაცარში, ვფუქავთ სიმინდს, ვიღებთ მინდს, ვაბოლებთ თუთუნს, ვაქებთ ერთმანეთს და ეს ორი ბუმბერაზი ადამიანი ვნაბავთ შუაცეცხლისგან ამომწვარ, წამწამებდაფიფქულ თვალებს სუფსის

ნაპირზე ნაფოტივით გამორიყულ წისქვილში, მაშინ როდესაც დედამიწა ინგრევა და ასე სჭირდება ქვეყანას ჩვენისთანა ხალხი.

– სოსოია უდღეურო, შენ რომ ამბობ, ომი კიდევ გასტანს რამდენიმე წელსო, მაგალითად, რისგან გამომდინარე ამბობ მაგას? – მეკითხება ბეგლარა და კოდში ახალ საფეკავს ყრის.

– იქიდან ვამბობ, ჩემო ბეგლარა, რომ ამხელა ტერიტორია რომ წაიღო ჰიტლერმა, უკან ხომ უნდა წაართვა? – ვეუბნები და ცეცხლს ფიჩხს ვუმატებ.

– კი! – მეუბნება ბეგლარა და ახლოს ჯდება ჩემთან.

– ჰოდა, ერთ-ორ წელიწადს მაგათ გარეკვას მოვუნდებით.

– ესე იგი, შენ ამბობ, რომ ომი მოგებული გვაქვს?

– ნამდვილად!

– გადაწყვეტილი გვაქვს მაგი ამბავი?

– მაგას არ უნდა ლაპარაკი.

– კარგი, ჩემო ბატონო, ახლა ის მითხარი, შენ, გადავედით მე და შენ შეტევაზე და არ დაიხია ჰიტლერმა უკან, რას შობი მერე?

– დაიხევს!

– არ დაიხია!

– დედას ვუტირებ, დავახვეიებ!

– კარგი, ბატონო, დაიხია უკან, მოითქვა სული ზაფხულში და შემოგვიტია ისევ, რას შობი მერე?

– ვერ შემომიტევს.

– დავუშვით შემოგვიტია?

– ვერ შემომიტევს.

– დავუშვით და შემოგვიტია.

– კაცო, შენ ჩემ მხარეზე ხარ თუ ჰიტლერის? – ვეკითხები ბეგლარას.

– შენ მხარეზე ვარ, შე მამაძაღლო, მაგრამ ჰიტლერი ჩემისთანა მათხოვარია? – მიჯავრდება ბეგლარა.

– უარესი.

– სოსოია. ჭკუით ილაპარაკე, თუ არა, ჩაგამხობ ამ კოდში თავით! – მემუქრება ბეგლარა.

– ა, ბატონო... – ნაცარზე საზღვარს ჯოხით ვხაზავ, – შენ ხარ გერმანია, მე ვარ საბჭოთა კავშირი. შენ დგახარ აგერ, მე ვდგავარ აგერ. ზამთარია ახლა, ზამთარი ჩემია, მე მიჩვეული ვარ ამ ზამთარს, არ მცივა, შენზე თბილად მაცვია, შენზე გამაძლარი ვარ და ჩემს სახლში ვარ.

– კარგი, ბატონო...

– შენ გცივა, შიშველი ხარ, სხვის სახლში ხარ, მასპინძელი ერთი ცხვირში გირტყამს, მეორე ზურგში.

– ზურგში რომელი?

– პარტიზანი!

– აგაშენა ღმერთმა.

– ჰოდა, რას შეები?

– წავიდე უნდა, სხვა რა გზა მაქვს? – ამბობს ბეგლარა და ხელებს შლის.

გარეთ ბეგლარას ძაღლმა დაახველა.

– დახრჩობა შენი! – თქვა ბეგლარამ, ადგა და წისქვილის კარი გააღო. წისქვილში აკვირინე ბებია, მატრონა და ფედოსი შემოვიდნენ. ისინი მოგვესალმნენ, საფეკავი კოდზე შემოაწყვეს და ცეცხლთან დასხდნენ. ბეგლარამ მეორე თვალი წისქვილი აამუშავა, ზედ აკვირინეს საფეკავი დააყარა და ისევ გვერდით მომიჯდა. აკვირინე ბებიამ, ფედოსიმ და მატრონამ გზაში დაწყებული ამბავი გააგრძელეს.

– მიხედეთ, ქალებო, თქვენს საფუძვას, მე არ მცალია! – უთხრა ბეგლარამ ქალებს და ჩემსკენ მოიწონა. ქალებმა თავი დაუქნიეს თანხმობის ნიშნად. ბეგლარამ ჯოხი გამომართვა და ახლა თვითონ გაავლო ხაზი. ახალი საზღვრიდან ძველი საზღვრისაკენ.

– კარგი, ჩემო სოსოია, დავინიე უკან და მივედი ძველ საზღვართან, რას შვები მერე? – მკითხა უცებ ბეგლარამ.

– მერე... – ვთქვი და გავჩერდი, აღარ ვიცოდი, რას ვიზამდი მერე, მაგრამ ბეგლარა არ მომეშვა.

– მე რომ ჰიტლერი ვარ, მოვედი ძველ საზღვართან და რას მიშვები მერე?

– გაგიხმეთ ენა, თქვე გლახებო! – თქვა აკვირინე ბებიამ.

– გვაცალე, ქალო! – გაუჯავრდა მას ბეგლარა.

– რას გიზამ, ჩემო ბეგლარა, და მოგაწვები იქით, – გადავწყვიტე, როგორც იქნა.

– კაი და, გითხარი მე, ჰიტლერმა, ა, ძმაო, შენი მიწა შენ და ჩემი მე, გვეყო ახლა სისხლისღვრა, შენ შენთვის, მე ჩემთვის.

– მაინც მიგაწვები, ბეგლარა! – გავეკუთდი.

– სანამდის, შე უპატრონო? – შეეშინდა ჰიტლერს.

– ბოლომდის, ჩემო ბეგლარა, ბერლინამდის!

– მერე?

– მერე დაგიჭერ შენც, შენს გენერლებსაც, შენს მთავრობასაც და რაც სიმწარე მანახე, სულ ძმრად ამოგადენ ცხვირში.

– დაგანებებს მერე ჩემს თავს ინგლისი და ამერიკა?

– არ დამანებებს და იმათაც ვადენ ძმარს ცხვირში.

– ნამეტანს ნუ იქაჩები, ბიჭო! – გამაფრთხილა ბეგლარამ.

– მაგი მე ვიცი, – ვთქვი და წამოვდექი.

– როდის ამთავრებ, ნენა, ომს? – მკითხა მატრონამ და გამიცინა.

– ორ წელიწადში!

– ცოტას ვერ დააჩქარებ, შვილო? – შემეხვეწა ფელოსი.

– არ გამოდის, ქალებო, ძალიან ვეცადეთ, ეგერ, აა, გადავთხარეთ მთელი ნაცარი, მაგრამ უფრო ადრე არ ხერხდება, – ამოიხსრა ბეგლარამ.

– ვაი, თქვენს პატრონს უბედურს! – თქვა აკვირინე ბებიამ, – კარგი, ავი ნერვია და მწვანეა ჯერ, მაგრამ შენ რამ გამოგათავყვანა ამხელა კაცი, ჰიტლერი ვარო, რომ დაგიფრენია პირი.

– ლლაპი უბახე, ჩემო აკვირინე, და ისე მომიხაზა მთელი ფრონტი, ჰიტლერს რომ ჭკუა ჰქონდეს, ახლა უნდა უყრიდეს ბაწარში თავს, – თქვა ბეგლარამ და ფქვილის ამოხვეტა დაიწყო ყუთიდან. დადგა ჩემი საფუძვას ჯერიც, ტომარას თავი მოუხსენი და კოდთან ახლოს მივაჩოჩე, მერე დავუცადე, სანამ უკანასკნელი პეშვი სიმინდი ჩახრიალდებოდა დოლაბში, საფუძვას ხელი ვკარი და კოდში გადავამხე; სიმინდი ბევრი იყო და კოდი შუამდის აივსო, დოლაბი წყლის სიმცირის გამო ძლივს დანჭალებდა, ალბათ, დილამდე არ ჩამოთავდება, გავიფიქრე, ცეცხლის პირას გადებულ ფიცარზე წამოვწექი, სასთუმლად ვილაცის საფუძვავი დავიდე და დასაძინებლად მოვემზადე.

– ბეგლარა, მე დავიძინებ ახლა. უყურე, აკვირინე ბებია, მინდი ბევრი არ აიღოს, თორემ მაგას კაცი ვერ ენდობა...

– ასე მყრალი ენა რომ გაქვს, ორ წილს ამოვიღებ ახლა, – მითხრა ბეგლარამ და ოყას მოკიდა ხელი.

– გეხუმრე, ბეგლარა, კი ვიცი მე, სულ რომ არ აიღებ მინდს, – გაუუცინე ბეგლარს.

– ვინ გითხრა, არ ავიღებო? – მკითხა ბეგლარამ.

– ომი მოვიგეთ, შე კაცო, ერთად და ახლა მინდს მიღებ საფუძვავზე?

– პოლიტიკა პოლიტიკაა, ჩემო სოსო, სიმინდი სიმინდია, აგი სახელმწიფოს არჩევია, სახელმწიფოს ლუკმა და ბოროტებას ნუ ჩამადენიებ, შენ საფქვავზე რომ არ ავილო, ამათაც უნდა ვაპატიო მაშინ, – თქვა ბეგლარამ და ქალებს გახედა, – მართალი ვარ, ქალებო? – ქალებმა თავი დაუქნიეს.

ბეგლარას აღარაფერი ვუპასუხე. იგი სარეკელას ზომაზე აყენებდა, მერე მეორე დოლაბთან მივიდა, ქალები ისევ რაღაცაზე საუბრობდნენ, ოხრავდნენ, იღიმებოდნენ, თავსაფრებს პირზე იფარებდნენ, ჩურჩულებდნენ და სველ წინდებს იშრობდნენ გაუხდელად. წისქვილი ცახცახებდა, დოლაბები გუგუნებდნენ, ქვევით წყალი შხუილით ესხმოდა ფრთებს, ორი სარეკელა სხვადასხვა ხმაზე რაკუნობდა და სიმინდი წყვეტილად, ხან კენტად, ხან წყვილ-წყვილად ცვიოდა დოლაბის გაუმაძღარ ხახაში. კვამლის, ფქვილისა და გახურებული ლოდის გემრიელი, დამატორობელი სუნი ტრიალებდა.

გუგუნებდა, მღეროდა წისქვილი, უთვალავი სხვადასხვა და მაინც ერთნაირი ხმით. კოდის თავზე, რიგის მიხედვით, ჩამწკრივებული საფქვავები წისქვილის გაუთავებელი სიმღერის ხმაზე ყვებოდნენ ჩემი სოფლის ამბებს, მეზობლების ამბებს, მოსავლის ამბებს, ომის ამბებს, – ყველაფერს, ყველაფერს. აი, ის დიდი ტომარა სავსეა სიმინდით, მაგას ქალი ვერ მოიტანდა, ვერც ბავშვი. ეს ვიღაცა ღონიერი კაცის მოტანილია, ნეტა ვისი უნდა იყოს? ალბათ, მაკარიასია, იმის მეტი ამ ტომარას ვინ ზიდავდა. სიმინდიც აქვს მაკარიას ბევრი, არც წაღება ერქარება, იმიტომაც, რომ ღამეს არ უთევს. რა აჩქარებს, ხვალ მოვა და წაიღებს. აი, ის პატარა პარკი, ლურჯი პარკი, თეთრწინწკლებიანი, სამი ოყა სიმინდი იქნება შიგ, მეტი არა... ეს ბავშვის მოტანილია, მაგას ვაჟკაცი ხელში არ დაიჭერს. დგას პარკი უზარმაზარი ტომრების გვერდით, თოჯინასავით თეთრწინწკლებიან ლურჯ პერანგში გამოწყობილი, ვისი უნდა იყოს ნეტავი, იქნება, ეს საფქვავი ლადიკოს პატარა ბიჭმა დათუნამ მოიტანა, ასეთი პერანგი მინახავს მის ტანზე მაისში. იქნებ, ეს პარკი ის პერანგიც იყოს. არც იმ პარკს არ უთევენ ღამეს, ორი, სამი გამოცხობა იქნება. რა მნიშვნელობა აქვს, დღეს შეჭამ თუ დილას, მაინც ხვალ ჭამა ჯობს, იმიტომ რომ ხვალინდელი დღე ახლოა ზეგინდელთან. დღეს კი ხვალინდელი დღის არ გეშინია, რადგან წისქვილში კოდის თავზე თეთრწინწკლებიან ლურჯ პარკში ორი თუ სამი ოყა სიმინდი გეგულება. აი ის ტომარა, მერე ისევ პარკები, დიდი თუ პატარა, მთელი და დაკერებული, სავსე და ნაკლული, – ყველა, ყველა ყვება ამ ამბავს და მე გეტყვით, თუ გინდათ, რომელი რომლისაა, ვინ მოვა და ვინ წაიღებს ხვალ დილით ამ საფქვავებს და კიდევ როდის შეეძლება ამ პარკების მოტანა ბეგლარას წისქვილში.

თვალეები მელულება, უკვე ბურანში ვარ. საოცარია წისქვილი! ხმაურობს, გუგუნებს, გრიალებს უამრავი სხვადასხვა, მაგრამ მაინც ერთნაირი ხმით, იგი რაღაცას მღერის თავისას და განუმეორებელს. მარტო წისქვილებს შეუძლიათ ასე სიმღერა, მატარებლებიც მღერიან, მაგრამ ასე ვერა. ისინი მაინც ხმაურობენ, წისქვილი კი გუგუნებს და მაინც ისეთი სამარისებური სიჩუმეა წისქვილში, რომ ბუზის გაფრენას გაიგებ, ერთი გაფაჩუნება, ერთი განძრევა, ერთი ამოსუნთქვა, რომელიც წისქვილს არ ეკუთვნის და იმ წუთში გელვიძება. ადამიანის ფეხის ხმა, ძაღლის ყეფა, ტურების კვილი, ყველაფერი გაწუსებს და გესმის გარედან. მაგრამ ბეგლარამ ქვეყანა რომ დაანგრიოს, წისქვილში არ გესმის, არ გაწუსებს. იმიტომ რომ ბეგლარა წისქვილის ნაწილია, წისქვილთან ერთად მღერის, და წისქვილი ვერ იმღერებს უბეგლაროდ. მე ვუცქერ ბეგლარას მილულული თვალებით, ბეგლარა იღებს სამინდე ჭურჭელს, ყოფს ჩემს კოდში, ავსებს და იქვე დგამს, ჯერ ქალებისკენ იცქირება ქურდულად, ქალები ყურადღებას არ აქცევენ, ახლა ჩემკენ იყურება, დაჟინებით მიყურებს, რწმუნდება, რომ მძინავს, და უკან ყრის კოდში სიმინდს.

მაგრამ მე არ მძინავს, თუნდაც მეძინოს, ვიცი, რომ ბეგლარა მაინც არ აიღებს მინდს ჩემი სიმინდიდან, არც ამ ქალების სიმინდიდან აიღებს მინდს და არც იმ პატარა თეთრწინწკლებიანი ლურჯი პარკიდან, რომელიც თოჯინასავით უდგას გვერდით მაკარიას

ვეებერთელა ტომარას. ამიტომაც მისი სამინდევ სკივრი ყოველთვის ცარიელი და ამიტომ უყვარს მთელ სოფელს ბეგლარა.

მეც მიყვარს ჩემი ბეგლარა და ვიძინებ ტკბილი ძილით.

ძილში ჩამქსმის ძაღლის გაბმული ყეფა და ღრენა. თვალს ვახელ, კარს ვიღაც ანჯღრევს მთელი ძაღლით, ბეგლარა ადგა, ბუზღუნით მივიდა კართან და ურდული გადაწია. კარები ფართოდ გაიღო და წისქვილში უზარმაზარი, დათოვლილი კაცი შემოგორდა. ბეგლარამ უკან-უკან დაიხია და ცეცხლში კინაღამ ჩავარდა, ქალები ფეხზე წამოცვივდნენ. წისქვილში დათიკო ბრიგადირი იდგა და ილიმებოდა.

– გამარჯობა თქვენი, რას წამოცვივდით ფეხზე, – თქვა მან და საფეხავი ცეცხლთან დააგდო. ხმა არ ამოგვიღია. იმ დღიდან დათიკო არ მინახავს და არც თვითონ გამოჩენილა არსად, და ახლა, როდესაც დაეინახე, დაემუნჯდი, პირი გამიშრა, ენა სასას მიეწება, მუხლები ამიკანკალდა და რომ არ წაგეცეულიყავი, ისევ დავჯექი.

დათიკო ცეცხლთან მივიდა, თოფი კუთხეში მიაყუდა, თოვლი ჩამოიფერთხა და ჩემს გვერდით დაჯდა. მე გავიწიე.

– ნუ გეშინია, ჭირიანო, არაფერი მჭირს. – მითხრა დათიკომ. არ ვუპასუხე. ქალები და ბეგლარა ისევ ფეხზე იდგნენ და თვალს არ ამორებდნენ დათიკოს.

– რას მიყურებთ, კაცი არ გინახავთ? – იკითხა დათიკომ და უზარმაზარი ტორები ცეცხლს მიუშვირა.

– კაცი რავა არ გვინახავს, – თქვა ჩუმიად ბეგლარამ და სკივრზე დაჯდა. ქალები ერთ კუთხეში მიიკუნჭნენ და ჩაცუცქნენ.

– დიდი თოვლი მოვიდა წელს, გაისად კარგი მოსავალი იქნება... – დაარღვია დათიკომ უხერხული დუმილი და თუთუნის გახვევა დაიწყო.

– შენი სიმიინდი მაინც შვიდ-შვიდ ტაროს გამოიბამს, – უთხრა აკვირინე ბებიამ.

– დამცინი, აკვირინე? – ჰკითხა დათიკომ.

– ჩემი დასაცინი რა გჭირს, ორი ფუთი სიმიინდი მოიტანე წისქვილში და მე ეს ერთი ჭაჭვი სიმიინდი გაისად წიფობისთვემდე უნდა ვიმყოფინო, – თქვა აკვირინე ბებიამ.

– შენი ზიარი ყანა არ მქონია მე, ყაჩაღვით არ დაგხვედრივარ გზაში და სიმიინდი არ წამირთმევიანა შენთვის, აკვირინე.

– კაცი ქე მოკალი, სისხლი გადაირე სინდისზე, აწი, ალბათ, დახვდები ხალხს და მაგასაც იკადრებ, – უთხრა აკვირინე ბებიამ.

– კაცი რომ იყო, აკვირინე, მაგ სიტყვებს ენასთან ერთად გადაგაყლაპინებდი, – დათიკომ ისეთი ნაფაზი დაარტყა, სიგარა ბოლომდე ჩაიყვანა.

– კაცი რომ ვიყო, ფეხქვეშ დაგიდებდი და იმდენს გირტყამდი, გობით სარაქავ სისხლს შეგიყენებდი, შე უგვანო და ხვადაგო შენ, – თქვა აკვირინე ბებიამ და ცეცხლში ჩააფურთხა.

დათიკო გაფითრდა, მაგრამ არაფერი უპასუხა აკვირინე ბებიას და ბეგლარას მიუბრუნდა:

– ბეგლარა, ძალიან მეჩქარება და ეს რომ ჩამოთავდება, ჩემი სიმიინდი დააყარე, – მიუთითა იმ დოლაბზე, რომელზედაც ჩემი სიმიინდი ეყარა.

– მაგის მერე მაკარიას საფეხავია რიგში.

– მაკარია მოიცდის.

– მოვაკითხავო, თქვა.

– მოიცდის მაკარია, მე მეჩქარება, – უთხრა დათიკომ. ბეგლარა გაჩუმდა, დათიკო ადგა და კოდზე თავისი საფეხავი შემოღო.

– შენი გამომცხვარი კვერი მენატრება, ბეგლარა! – გაუღიმა დათიკომ.

– ფეხის დათბილვა არ გინდა? – ჰკითხა ბეგლარამ. დათიკო გაშრა.

– ბეგლარა, ნუ მიჩიჩხინებთ მუგუზაღს, თორემ ცოდვა ჩადენილი მაქვს უკვე! – თქვა მან და თოფისკენ გაიხედა. ბეგლარამაც გახედა თავის ფილთას და ახლოს მიუჩოჩდა. დათიკო ადგა, მივიდა კედელთან. ბეგლარას ფილთა ჩამოიღო, ხელში შეათამაშა, მერე ლულაში

წავალო ხელი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, კონდახით მიწაზე დაარტყა. მერე კარი გააღო, ლულა თოვლში ისროლა, კონდახი კი ცეცხლში შეაგდო. ბეგლარა ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ ნერწყვი გადაეყლაპა. დათიკომ თავისი თოფი აიღო და ადგილზე დაჯდა.

– ხედავ? – ჰკითხა მან ბეგლარას და ფილთას კონდახზე მიუთითა.

– შენ დაგინახა სიკვდილმა და შენ დაგეყარა მიწა გულზე, შენ არ გაინარე ამ ქვეყანაზე, როგორც ჩემმა ბიჭმა არ გაინარა და წვეს ახლა გულზე ხელდაკრეფილი, შენ გიტირა და ჩაიცვა შენზე შავი შენმა პატრონმა, როგორც მე მაცვია. – თქვა მატრონამ და ტუჩები აუკანკალდა.

– მაგას ვინ იტირებს და ვინ ჩაიცვამს მაგაზე შავს, ქალო? – თქვა ფედოსიმ.

– ფედოსი, მომერიდე პატარა, თორემ ნადირი ვარ ახლა მე, – წამოდგა დათიკო ფეხზე.

– შენ არ გედირსა, დათიკო, სიკვდილი, შენ არ მიგიღო არც ერთმა მიწამ, შენი დამტირებელი თვალი დაიფსოს, დაიწვას ის ტანი, რომელიც შენზე შავს ატარებს. ამის უარესს რას მიზამ, რაც მჭირს? – უთხრა ფედოსიმ.

– შენი ბიჭი მე არ მომიკლავს, არც შენი, ჭკუა რომ ჰქონოდათ, იქნებოდნენ ახლა ჩემსავით... – დათიკოს ენა დაება.

– მკვდარი რომაა, საფლავი რომ არ მაქვს მისი და მის ნაქონ პერანგს რომ ვტირი, ის პერანგი მიჩვენია შენისთანა ცოცხალს, შე მათხოვარო, როგორ გაბედე ჩვენი ბიჭების ხსენება, შე ბინძურო... – მატრონას კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ ვეღარ შეძლო, ხელები სახეზე აიფარა და ატირდა... ჩემი სიძინდი ჩამოვიდა. დათიკო კოდთან მივიდა და ხელების კანკალით საფეკავს თავის მოხსნა დაუწყო.

– მაკარიეს რიგია ახლა, – თქვა ბეგლარამ ჩუმად.

დათიკომ არაფერი არ უპასუხა.

– მაკარიეს რიგია ახლა! – გაუშეორა ბეგლარამ და საფეკავთან მივიდა.

– მოიცდის მაკარიე, – თქვა დათიკომ.

– არ მოიცდის.

– მოიცდის.

– არ მოიცდის.

– მოიცდის!.. – თქვა დათიკომ სრიალით, ხელი კრა ბეგლარას და საფეკავი კოდში გადაუშვა. ბეგლარა სკივრს დაეჯახა; გასწორდა წელში, უყურა, უყურა დათიკოს, მერე მოვიდა და ცეცხლთან დაჯდა. მე ავდექი და ჩამოფეკვილის ჩაყრა დავიწყე ტომარაში. ცალი თვალთ ბეგლარას ვუცქეროდი; ბეგლარა ცეცხლს ჩაშტერებოდა, ერთხანს ასე იყო, მერე ადგა და გარეთ გავიდა, დათიკო უკან გაყვა თოფით, ერთი წუთის შემდეგ შემობრუნდა, ცეცხლთან დაჯდა და თოფი მუხლებზე დაიღო.

– კართანაა აყუდებული, დამენდურა. – თქვა დათიკომ და გაიღიმა. ცოტა ხანს იჯდა, უცებ წამოხტა და ისევ გავარდა, მერე ისევ შემობრუნდა.

– უთხარი, ბიჭო, შემოვიდეს, არაფერს არ ვუზამ, ნუა იმ თოვლში აყუდებული, – მითხრა დათიკომ. ხმა არ გავეცი.

– რას დამუნჯებულხარ, შე ტილიანო, ისლა მაკლია, ცხვირმოუსოცელმა ღლაპმა ხმა არ გამცეს, – მაინც არ გავეცი ხმა და ჩემ საქმეს განვაგრძობდი. ასე ღუმილში გაიარა წუთმა, ორმა, სამმა, ათმა და უცებ წისქვილისქვეშ წყლის შხუილი შეწყდა. დოლაბებმა საცოდავად დაიღწავლეს, სარეკელები დამუნჯდნენ და წისქვილში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დათიკო ჯერ გაშტერდა, მერე ჩვენ დაგვიწყო ყურება. ჩვენც გაშტერებულები ვუცქერდით დათიკოს, იგი იღგა დოლაბთან და არ იცოდა, რა ექნა.

ცოტა ხნის შემდეგ კარში კისრამდე სველი, გალურჯებული და აკანკალებული ბეგლარა შემოვიდა. ხელში რკინის ბერკეტი ეჭირა და კბილებს კბილებზე აცემინებდა.

– რა ქენი, შე უბედურო? – ჰკითხა დათიკომ.

– წადი შენი გზით, დათიკო, სანამ მე ვარ აქ და პირში სული მიდგას, არ გელირსება ჩემ წისქვილში დაფქვილი ჭადის ჭამა, აგერ ვარ ახლა და მომკალი, თუ გინდა, არხის სათავანი დაეშალე! – თქვა ბეგლარამ ყბების ცანცანით.

დათიკომ დიდხანს უყურა ბეგლარას, მერე ცარიელი ტომარა აიღო, ხელში დაატრიალა, იატაკზე დააგდო, მიატოვა კოდში ჩაყრილი სიმინდი, შეტრიალდა და კარებისკენ წავიდა. კარებთან რომ მივიდა, შედგა, თავი ჩაქინდრა და უკანმოუხედავად წავიდა.

მე ვხედავდი ღიად დარჩენილ კარში, როგორ შევიდა უკვალავ თოვლში, როგორ გადაჭრა მოკლეზე, როგორ გადავიდა კონცხოულას გორზე და როგორ გაქრა მისი შავი ლაქა თოვლის თეთრ ქათქათა ზეწარზე.

– მაპატიეთ, ქალებო, თქვენი სიმინდი ქე დამრჩა დაუფქვავი! – ბეგლარამ უხერხულად გაიღიმა.

– შენი გამომცხვარი კვერი მომენატრა, ბეგლარა, – ვუთხარი და გაყინულ ცხვირ-პირში პაკოცე.

– მაცალე, შე მამამაღლო, ძვლების გათბობა! – მითხრა მან, ნაკოცნი იდაყვით მოიხოცა და ცეცხლთან დაჯდა.

cuca

გამარჯობა შენი, ჩემო ბეჟანა, დამავიწყდი, გგონია? არა, ბეჟანა, ვეღარ ვიცლი წინანდებურად, ქვეყნის სამუშაო მაქვს, ქვეყნის, სკოლიდანაც დავეყვართ სამუშაოდ. კოლექტივსაც ვეზმარები და შინაც ბევრი სამუშაოა. მერე წიგნი უნდა წავიკითხო, გაკვეთილები მოვამზადო, ხუთზე თუ არა, სამზე მაინც. კლასიდან კლასში ხომ უნდა გადაეთიროს კაცი? ხომ უნდა დავამთავრო, როცა იქნება? აბა, სულ ასე ფენშიშველი და შარვალგამობდღენილი ხომ არ ვივლი? კი იცი შენ, ჩემს მეტი ოჯახში კაცი არ არის, წავიდა ჩემი და შენი რუსი, ბეჟანა, წავიდა ფრონტზე. ადგა ერთ მშვენიერ დილას და წავიდა, ლუკაიას რომ კუკურაზე გლოვის განცხადება ჩამოახსნევია, არ მომიყოლია შენთვის? ჩამოახსნევია, ბეჟანა, მერე მოყვა და, ლუკაიას შემყურემ, ყველამ ჩამოხსნა განცხადებები, ვერ ნახავ ახლა ჩვენს სოფელში სამგლოვიარო განცხადებას, გზისკენ უჭირავს ყველას თვალი და ელოდებიან დაკარგულებს. აბა!.. ახლა თვითონ დაიკარგა ბეჟანა, ჩვენი რუსი, არც წერილი და არც არაფერი. რომ გავაცილეთ, მამიდას არაფერი უთქვამს, იცინოდა. მერე დამე გამეღვიძა, ბეჟანა, და ტიროდა მამიდაჩემი.

შენ როგორ ფიქრობ, ჩემო ბეჟანა, უყვარდა ხომ? მე მგონია, უყვარდა... გაზაფხულია ახლა, ბეჟანა, გამარტება, აგერ სადაცაა გასკდება შენი ასკილის კვირტი, სკამს ვაკეთებ ახლა, აგერ შენს ფენებთან, ფიცარი მაქვს ამოტანილი. დავჯდები მერე და ქვეყნის ამბებს მოგიყვები.

ომის საქმე ასეა, ჩემო ბეჟანა. გავაჩერეთ გერმანელები და იქითაც კი მივდენით, მაგრამ ძნელია მაინც ჯერ, ჯარიდან დაბრუნებული ხალხი ამბობს, რომ დიდი იერიშისათვის ვემზადებითო. ახლა მეტი ხალხი ილუპება, ბეჟანა, იმიტომ, რომ იერიშზე გადასვლის დროს სამჯერ მეტი უნდა იყო მტერზე. მაგი გასაგებიცაა. ზის სანგარში და გიმიზნებს, შენ უნდა ამოძერე სანგრიდან და გაიქცე მისკენ, გაიქცევი და გესვრის. თუ დასძარი ერთხელ ადგილიდან, მერე უკვე ადვილია. იგი გარბის და შენ ესვრი, ზოდა, მე მგონი, მალე დავძრავთ ადგილიდან...

– გამარჯობა შენი, სოსო, – მომესალმა ვილაც. მე ავიხედე, ჩემს წინ მეზობლის ქალიშვილი ცუცა იდგა. იგი სხვა სოფელში იყო გათხოვილი, გუშინდელ დღესავით მასსოვს მისი გათხოვება, ცა დახიეს მთვრალმა მაყრებმა დამბაჩების სროლით. ექვსი ღობე დააწვინეს და გადათელეს ცხენებით, ჩუმად ტიროდა ცუცას დედა, თვალებს იმშრალებდა თავშლის

ყურით – ვაიმე, შვილო, ვისთვის გზრდიდი თურმეო. მერე სიბეს ეხვეწებოდა: – თვალის ჩინივით მოუარე, არ დამინაგრო გოგოო. მერე ისევ თეთრ ცხენზე თამარ დედოფალივით ამხედრებულ ქალიშვილს ეხვეწებოდა, მალე მომაკითხე, შვილო, თორემ გადავირევი ჯავრითო.

სამუდამოდ დაუბრუნდა ახლა ცუცა დედამისს... ერთი თვის თავზე ომი დაიწყო, კიდევ ერთი თვის თავზე ქმრის დაღუპვის ცნობა მოუვიდა და სამუდამოდ დაბრუნდა ცუცა დედისეულში.

ახლა იგი ჩემს წინ იდგა, მკერდსავსე, ლამაზი, ღონიერი, ფართო თეძოზე მკლავგაყრილი კალათი ესვენა და მიდიმოდა თავისი თეთრი, ქათქათა კბილებით.

– გაგმარჯოს, ცუცა! – ვუპასუხე. უკანასკნელი ლურსმანი ჩავაჭედე ფიცარში, წალდი მიწაზე დავაგდე და სკამზე ჩამოვჯექი.

– ერთი საათია აგერ გიყურებ შორიდან და ვიდაცას ელაპარაკებოდი, – თქვა მან და ჩემს გვერდით დაჯდა.

– არავის, ჩემს თავს ველაპარაკებოდი, – ვთქვი და გავიჩოჩე. ცუცამ ისევ გამიღმა.

– რას ელაპარაკებოდი, ბიჭო, შენს თავს?

– რაღაცა კკითხე, ცუცა.

– მერე რაო, რა გითხრა, – გაიცინა ცუცამ.

– არ ვიცო, ასე მითხრა.

– მე მკითხე, სოსოია, მე ყველაფერი ვიცი, – მითხრა ცუცამ და თავზე ხელი გადამისვა.

არაფერი ვუპასუხე. ცუცამ ხელი თავიდან ლოყაზე ჩამოაცურა, მერე ხელის ზურგით აღმა აყვა ლოყას.

– დავაჟკაცებულხარ, სოსოია, წვერი ამოგსვლია.

– წვერი კი არა, ღინღლია, – ვუთხარი და ლოყაზე ცეცხლი წამეკიდა.

– უღვაშიც ამოგსვლია, სოსოია, ბიჭო, – მითხრა ცუცამ ჩუმად და ახლა საჩვენებელი თითი წამისვა ზედა ტუჩზე.

– ღინღლია მაგიც, – ვთქვი, წამოვდექი და უცებ განზე გავდექი, შემეშინდა, ცუცას ჩემი გულისცემა არ გაეგო. ცუცა მიყურებდა საცერით დიდრონი წყლიანი თვლებით, მიდიმოდა და დავინახე, როგორ უფეთქავდა მარცხენა ძუძუს ზევით ყელთან ოღნავ ამობურცული ძარღვი.

– სად მიდიხარ, სოსოია? – მითხრა და ისიც წამოდგა.

– წავალ აწი სახლში, ცუცა, საცაა მზე ჩავა, – ვთქვი და წალდის ასაღებად დავილუნე. თავი რომ ავწიე, ცუცა ისევ იდგა და თვალს არ მაცილებდა.

– შენ სად მიდიხარ, ცუცა?

– შქერის ფოთოლზე მივდივარ, სოსოია, ხომ არ წამომყვები? წალდი გაქვს შენ... – ცუცა გაჩუმადა. არაფერი მითქვამს, ვფიქრობდი, წავყოლოდი თუ არა, – ბინდმა რომ მომისწროს, შეგშინდები... – განაგრძო უცებ.

– კარგი, წამოვალ, ოღონდ მალე, სანამ მზე ჩასულა! – ვთქვი და ცუცას კალათი გამოვართვი.

ბილიკით ჩავირბინეთ სასაფლაოს ფერდი და შქერის გაუვალი ბუჩქნარით მოფენილ გაღმა გორს შევეუდექით.

შქერის ერთ ღიდ ბუჩქს მივადექი, პირწმინდად გავსხიპე და ცუცას ფეხებთან დავუყარე. ცუცა დაჯდა, კალათი გვერდით მოიდგა. მეც გვერდით მიუჯექი. მზე იღო გაღმა სოფლის გორაზე უზარმაზარი, ლამაზი, წითელი. იგი საოცრად გავდა კეცზე კარგად გამომცხვარ ოსშივარავარდნილ ჭადს და გული დამწყდა, რომ ეს ვეებერთელა ჭადი გაღმა გორაზე იღო, რომ უეჭველად უნდა ჩასულიყო და სადღაც სხვაგან ამოსულიყო. ახლა ამ გაზაფხულზე ყველაფერი მრგვალ ჭადს გავდა რატომღაც, წისქვილის დოლაბიც, სალესი ქვაც, მზეც და მთვარეც, ოღონდ მთვარე უფრო კვერს გავდა, ნაცრიანს, ხან მთელსა და ხან გატეხილს,

ხანაც მხოლოდ ყუა რჩებოდა მისი დანაკვეთილებულ ცაზე და, ალბათ, ამიტომ უღრენდნენ და შეეშოვნენ დილაძე ჩვენი სოფლის მშენებელი ძაღლები. მზე გადადიოდა გაღმა გორაზე და ახლა იგიც გატეხილს გავდა, გარშემო მთებზე გაწოლილი დავარვარებული ღრუბლები კი უზარმაზარ დაფერფლილ ჯირკებს გავდნენ, დედამიწის შუაგულში დევების ხელით დანთებულს.

ცუცა წყნარად აცლიდა შქერს ფოთლებს და ლამაზად აწყობდა კალათაში. იგი სულ არ ჩქარობდა, ამიტომ ერთი ტოტი მეც ავიღე და დაუწყვე ფოთლებს გაცლა.

- შენ გგონია, მე არ ვიცი, სოსოია, წედან ბეჟანას რომ ელაპარაკებოდი? – თქვა ცუცამ.
- კი, ცუცა, ბეჟანას ველაპარაკებოდი, – გამოვტყედი მე.
- ხშირად ელაპარაკები?
- ყოველთვის.
- ძალიან უყვარდი შენ ბეჟანას.
- მეც ძალიან მიყვარდა.
- შენ ყველას უყვარხარ.
- რა ვიცი.
- კი, ყველას უყვარხარ.
- შენც გიყვარვარ? – ვკითხე უცებ ცუცას. ცუცა გაწითლდა.
- ჩვენთან რატომ არ დადიხარ, სოსოია?... ყველასთან დადიხარ, ყველას ეხმარები...
- მოვალ თქვენთანაც...
- როდის მოხვალ, სოსოია?
- როდის მოვიდე?
- როცა გინდა...
- კარგი, აბა...
- ის გოგო რას დაგდექს კუდში, სოსოია?
- ხატია?
- ჰო, ხატია...
- კი არ დამდექს, დამყავს, მერე უხარია ჩემთან ყოფნა...
- შენ?
- მეც მიხარია...
- უყვარხარ ხატიას?
- ხატიას კი ვუყვარვარ, მგონი...
- როგორ უყვარხარ, სოსოია?
- რა ვიცი, როგორც ყველას, ისე, ალბათ.
- შენც გიყვარს, სოსოია?
- ძალიან!..
- არ გეშინია მერე?
- რისი, ცუცა?... – ცუცამ არაფერი მიპასუხა, დაკრეფილი ფოთლები ჩავაწყვე კალათში, ჩემი ხელი ცუცას ხელს მოხვდა და მე არ გამოვწიე ხელი. არც ცუცამ გასწია თავისი.
- შენ რა, არავის უყვარხარ, ცუცა? – ვკითხე მე.
- რა ვიცი, ბიჭო. არავინ მეუბნება, მიყვარხარო და... – გაიცინა ცუცამ.
- ვინმეს კი ეყვარები.
- მე არავის ვუყვარვარ, ბიჭო, არავის, გეყურება? – მითხრა ცუცამ და დაჟინებით მომაცქერდა. უხერხულად შევიშმუშნე.
- შენ გიყვარვარ, სოსოია? – მკითხა უცებ ცუცამ და ჩემი ხელი კალთაზე დაიღო.
- მე?... მე რა ვიცი...
- არაფერი არ იცი შენ, სოსოია... შენ იცი, რა არის ქალი?... ერთი თვის გათხოვილი და ქმარდაკარგული ქალი იცი რა არის, სოსოია?... შენ იცი, რა არის მარტოდ დარჩენილი ჩემი

ხნის ქალი, სოსოია?.. – ცუცა მძიმედ სუნთქავდა, პირი გამიშრა და წამოდგომა დავაპირე, ცუცამ ხელი მომიკიდა.

– სოსო, ჩემო სოსო, შენ ჭკვიანი ბიჭი ხარ, შენ გამიგებ, შენ ხომ არ დამცინებ, სოსოია, შენ გეუბნები, ბიჭო? მე ცოდვა არ ვარ? მართო ვარ, არავის ვუყვარვარ! – ცუცამ ხელი მომხვია და გულში ჩამიკრა. მე ახლაც არ ვიცი, რატომ მოვხვიე ხელი ცუცას და რატომ ვაკოცე აღელვებულ მკერდზე, მერე ყელზე, მერე ტუჩებში. ცუცას თვალები დაეხუჭა და ოდნავ გაღებულ გუგებიდან ცრემლი მოჟონავდა.

– სოსოია... ჩემო სოსოია, შენ კარგი ბიჭი ხარ... შენ ყველაფერს მიხვდები, არ დამცინებ... არადა, დამარტყი მაგი წალდი და დამკალი, სოსოია... – ჩურჩულებდა ჩემს ყურთან და ვგრძნობდი, როგორ უთრთოდა ტუჩები, სხეული.

ცუცა დაესვენა ბალახზე.

– სოსოია, ჩემო სოსოია, თქვი, რომ გიყვარვარ და მომკალი მერე, რაც გინდა, ის მიქენი, მომკალი, დამახრჩე, ოღონდ თქვი, რომ გიყვარვარ... – ჩურჩულებდა იგი.

დავიხარე ცუცასკენ, ხელი მოვხვიე წელზე, ტუჩებზე შევეხე ტუჩებით და უცებ შემეშინდა, ისე როგორც შემეშინდა ომის დაწყების პირველ დღეს დამუნჯებული ხალხის დანახვა, სოფელში პირველი სიკვდილის ცნობის მოსვლა, ბეჟანას სიკვდილის, და როგორც საკუთარი სიკვდილის, ისე შემეშინდა, უკან, უკან დავიწიე, ცუცა ისევ იწვა და ტიროდა... ისევ უკან დავიწიე, ბუჩქებს წამოვედე, გულადმა გადავვარდი, წამოვხტი და უკანმოუხედავად გამოვვარდი სოფლისკენ. მოვბოდი უგზოდ, ღელეებზე, ბარდებზე, ლობეებზე, ჩირგვებზე, ვენახებზე, საყანებზე, შემლილივით შევვარდი ბესარიონა შალიკაშვილის ეზოში. ავკარდი აივანზე და ჩამავალი მზის შემყურე ხატიას ჩაუვარდი კალთაში.

– რა იყო, სოსოია ბიჭო? – მკითხა გაკვირვებულმა ხატიამ და გაოფლილ სახეზე ხელი მომისვა. სული ვერ მოვითქვი.

– რა მოგივიდა, სოსოია, რამე უბედურება ხომ არ მოხდა? – მკითხა შეშინებულმა ხატიამ, ხმა რომ ვერ გავეცი.

– ხატია, მიყვარხარ!.. – ძლივს ვთქვი და ავტირდი ხატიას კალთაში.

– მაგისტოვის მორბოდი, ბიჭო? მეც კი მიყვარხარ, შე სულელო, შენ ყველას უყვარხარ, გითხრა ვინმემ, არ მიყვარხარო, თუ რა გატირებს? – თქვა ხატიამ და ისევ მომისვა ხელი სახეზე.

– სულელი ხარ შენ, აბდალი, შტერი, არაფერი არ გესმის.

– აღარ იტყვი, სოსოია, რა მოგივიდა? – ჰკითხა ხატიამ.

– არაფერი, ხატია, სასაფლაოზე ვიყავი ბეჟანასთან და შემეშინდა, – ვუპასუხე.

– არ გრცხვენია მერე? – თქვა ხატიამ და გაიცინა.

– მრცხვენია...

– არ უნდა წასულიყავი უჩემოდ, სოსოია, – მითხრა ხატიამ.

– არ უნდა წავსულიყავი უშენოდ, ხატია! – ვთქვი მე და ავდექი.

ვწევარ საწოლში გულადმა, თვალღია და ჩაბნელებულ ჭერს ვუცქერი. ახლა გაზაფხულია, ბუხარში ცეცხლს აღარ ვანთებთ და საყურებელი არაფერია, მხოლოდ ჭერია, ლამფა, ფიცრებით გაწყობილი ჭერი. სიბნელეს თვალს ვაჩვევ, რაღაც დაბობლავს ჭერზე, ხან შეძვრება ბზარში და გაქრება, ხან ისევ გამოძვრება, ბუზია თუ ხოჭო, არ ძინავს მასაც, ვინ იცის, რატომ არ ძინავს.

დალოღავს, ალბათ, ვინმეს ეძებს ისეთს, ვისაც არ ძინავს, აი, ისევ შეძვრა ბზარში. ველოდები, ველოდები და აღარ გამოდის, ალბათ, იპოვა ისეთი, ვისაც არ ძინავს და უყვება თავის თავგადასავალს. ან ვერ იპოვა და, უბრალოდ, დაიძინა, ან არ დაიძინა, ისე დაწვა და ფიქრობს ჩემსავით თვალღია.

ოთახის მეორე კუთხეში ისმის მამიდას ზომიერი სუნთქვა.

– მამიდა, გძინავს? – ვეკითხები. მამიდა ხმას არ მცემს, ძინავს, ალბათ. მაინც ველაპარაკები.

– მამიდა, მესამე წელია ომია, ჩვენს სოფელში ახლა ამდენი ქალია, რამდენის ქმარია ჯარში წასული, ზოგი ახალგათხოვილი იყო, ქმარი რომ ომში წაუვიდა. რა ქნან იმ ქალებმა, მამიდა.

ელოღონ უნდა ხომ? მაგი კი ვიცი მე, მაგრამ ვისაც დაეღუპა ომში ქმარი, იმან რა უნდა ქნას, მამიდა?

არ იცი, მამიდა?... მე ვიცი აბა, ცოდვია, მამიდა, ქალები. ზოგი გათხოვდეს უნდა, ვისაც ნამდვილად დაეღუპა ქმარი, ვისაც არა, უნდა ელოდოს. ცუცას ხომ იცნობ შენ? ახალგაზრდაა სულ, ლამაზი, ღონიერი, ქმარი დაეღუპა, არავის უყვარს, რა ქნას ახლა იმან? თუშეცა ვინ უნდა შეიყვაროს, ვის წაყვეს, ცოდვია ცუცა, ძალიან ცოდვია, ისე ცოდვია, მეტირება...

შენ ამბობ, რომ ყველა ცოდვიაო? მართალია, ყველა ცოდვია, შენც ცოდვა ხარ, მე დიდი ვარ ახლა, შენ გგონია არ ვიცი, რატომ არ თხოვდები? ჩემი გულისთვის არ თხოვდები, გეშინია, სხვის სიყვარულში ჩემმა სიყვარულმა არ გადაგიაროს, ქვეყანა ამას ამბობს, გადაყვა ძმისშვილის აღზრდასო, აღარ მინდა მე აწი იმდენი მოვლა, ჩემი გულისთვის რატომ არ უნდა გათხოვდე, ნუ გეშინია, ყოველთვის შეიყვარები. გათხოვდი, თორემ ცოდვა ხარ, მამიდა, შვილი არ უნდა გყავდეს?... გათხოვდი, ჩემო მამიდა... ცუცაც უნდა გათხოვდეს, შენც უნდა გათხოვდე, ყველა უნდა გათხოვდეს, ვისაც შვილი არ ჰყავს და ქმარი არ ჰყავს, ცოდვია ცუცა, ნათელა არაა ცოდვა? შენც ცოდვა ხარ, ჩემო მამიდა...

– დაიძინე, ბიჭო, რომ დავარდნილხარ ქადაგად, ვინ დაგაღვევია, იმ ჩემი ცოდვით საესემ, – მეუბნება მამიდა.

– არ გძინავს, მამიდა? – ვეკითხები შერცხვენილი და თავზე საბანს ვიფარებ.

– დაიძინე, ბიჭო, – იმეორებს მამიდა. მინდა, დავიძინო, მაგრამ რა დამაძინებს.

triumfaluri Seteva

მართალია, სამხედროს მასწავლებელს სისხლს ვუშრობდით, მაგრამ ამ პატარა კაცმა თავი ისე შეგვაყვარა, სიხარულით ცას ვეწიეთ, როდესაც ჩვენი კლასის დამრიგებლად დანიშნეს. ახლა იგი როგორც საკუთარ შვილებს, ისე გვიჯავრდებოდა, გვიყვიროდა, ხანდახან ალიყურსაც გვაჭმევდა და ხმის ჩახლენამდე იბრძოდა პელსაბჭოზე, თუ რომელიმე ჩვენგანის სკოლიდან გარიცხვის საკითხი იდგა.

არ ყოფილა შემთხვევა, ლევან მასწავლებელს რომელიმე მოსწავლის მშობელი დაებარებინოს სკოლაში შვილის ცუდი საქციელისათვის.

– აქ მე ვარ თქვენი მშობელი, ან დაგხოცავთ, ან კაცებად გამოგიყვანთ! – ყვიროდა და მაგიდაზე ისე მაგრად ურტყამდა მუშტს, მერე ერთი კვირა ვეღარ შლიდა, მისი გაკვეთილები მაინც ყველა გაკვეთილს გვერჩინა, იმიტომ, რომ ლევან მასწავლებელს სუფსის ჭალაში გაყვავდით საშეცადინოდ. გაგკოფდა ორ მოსისხლე ბანაკად – გერმანელებად და წითლებად, გოგოებს სანიტრებად ნიშნავდა, ორთავე ბანაკის შტაბის უფროსად თვითონ დგებოდა და იყო ქრისტეს ტირილი, ძმათა სისხლის ღვრა, სანგრებში ჩახტომა, ყურების ახლენა, კოპების დასმა, სუფსის ხან ერთი ნაპირის აღება „ვამას“ ძახილით და „დაგვენების“ ღრიალით, ხან მეორესი. მე გერმანელების სარდალი ვიყავი ყოველთვის და თუ ვინმე ჩია, ჭირიანი და გლახაკი იყო, ყველა ჩემს ასეულში იყრიდა თავს, იმიტომ რომ ჩვენ, გერმანელებს არ უნდა გაგვემარჯვა; სამაგიეროდ, ყველა ვაჟკაცი და მოსული ბიჭი თავაწყვეტილი ნოდარა თავას ასეულში იყო, ისინი, როგორც წითლები, მუდამ იმარჯვებდნენ, ასე რომ მთელი ჩემი

ბავშვობა, ვიდრე ნამდვილი ომი არ გათავდა, ხან ტყვე ვიყავი, ხან დაჭრილი, ხან მოენე, ხან ჯაშუში, ხან დივერსანტი და ხან მკვლარი.

დღეს ისევ დაიღვრება ძმათა სისხლი. პირველი ორი გაკვეთილი სამხედრო გვაქვს და ომი გარდუვალა. ომის შემდეგ, თუ ვინმე გადავრჩით ცოცხალი, კოლმეურნეობაში უნდა წავიდეთ და ქალებს ჩაის კრეფაში მივეხმაროთ.

მაისია ახლა. მტკაველზე აუყრია ყლორტები ბუჩქებს და ვერ ასწრებენ ქალები კრეფას; ჩვენ რომ არ მივეხმაროთ, გაოხრდება ეს ჩვენი მარჩენალი მცენარე, გადაყრუდება, გადამწიფდება და გათავდება...

ყოველ წელს გავყავართ მოსწავლეები ჩაის საკრეფად და ჩვენც ყოველ წელს სინარულით გავრბივართ პლანტაციებში, ცალკე იმის სინარულით, რომ ფრონტს ვენმარებით, ხოლო ცალკე იმის სინარულით, რომ შრომადღეებს გვიწერენ, კიდევ აქვს ჩვენს სინარულს ერთი პატარა მიზეზი: ჩაის კრეფა რაა. უღელში შევებმევით ხარებივით და მთელ სუფსის ჭალას გადავხნავთ, ოღონდ სწავლა ნუ იქნება.

ორ რიგად დაწყობილები მივაბიჯებთ სუფსის ჭალაში.

გოგოები არეულად მოდიან, ხატია მოჰყავთ, ხატია რაღაცას ყვება, გოგოები ხმამაღლა კარაკაცებენ.

– ერთი, ორი, სამი; ერთი ორი, სამი... – გვითვლის ლევან მასწავლებელი და გვერდზე მოგვეყვება. ხანდახან წაიკუნტრუშებს, ფეხს აგვიწყობს და ისევ გვითვლის:

– ერთი, ორი, სამი, მამალაძე, აუწყვე ფეხი! ერთი, ორი, სამი, კალანდაძე, აწიე თავი! – ახლა წინ გადაგვირბენს ლევან მასწავლებელი, სახით ჩვენკენ დგება, უკუღმა მიაბიჯებს და გვამხნეებს.

– სამწყობრო ნაბიჯივით! – ჩვენ ფეხებს, რაც შეგვიძლია, მაღლა ვწევთ და გამეტებით უურტყამთ მიწას.

– არწივები ხართ, ნამდვილი არწივები აბა, სიმღერა...

მტერს რომ გულში მოხვდება,
მებრძოლს გაუხარდება,
მაშინ აკაკანდება,
ვარალალო,
ჩვენი ტყვიამფრქვევები...

ვიწყებ მე...

მაშინ აკაკანდება,
ვარალალო,
ჩვენი ტყვიამფრქვევები...

იტაცებენ ჩემს ხმას ბიჭები და გუგუნებს სუფსის ჭალა, – მივდივართ ლევან მასწავლებლის არწივები ზოგი მამის, ზოგი ძმის, ზოგი ბიძის გამონაცვალ შარვლებისა და ხალათების ფართხუნით. მივაპარტყუნებთ ზოგი წულას, ზოგი კალოშს, ზოგი ქალამანს, ზოგი შიშველა ფეხს სუფსის ჭალის გრილ სილაზე; პირდაფრენილები გველაპავთ დილის ოხშივარში არეულ მიწის საოცრად გემრიელსა და სასიამოვნო მტვერს და ხმის ჩახლეჩამდე ვბლავით:

მაშინ აკაკანდება,
ვარალალო,
ჩვენი ტყვიამფრქვევები...

– ჯგუფოოო... – გააგრძელა ლევან მასწავლებელმა, ჩვენ ფეხების პარტყუნს მოვუმატეთ, – სდექ, ერთი, ორი! – ადგილზე გავქვაავდით.

– მარცხნისაკენ! – შემოვტრიალდით ზოგი მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ.

– ვაი, თქვენს პატრონს უბედურს, თავისუფლად და დაიშალებთ აწი! – თქვა ლევან მასწავლებელმა და დაჯდა კაკლის ჩრდილში. ხუთწუთიანი შესვენების შემდეგ ლევან მასწავლებელი ადგა:

– დღევანდელი ბრძოლის ამოცანა ასეთია: გერმანელები გამაგრდნენ ვოლგის მარცხენა ნაპირზე, – ხელი გამოიშვირა ჯერ ჩემკენ, მერე სუფსისკენ, – თქვენი ამოცანაა, – ახლა ხელი ნოდარა თავასკენ გაიშვირა, – ამოაგლოთ გერმანელი დამპყრობლები სანგრებიდან, ჩაებათ მათთან ხელჩართულ ბრძოლაში, გაანადგუროთ, ნარჩენები გარეკოთ ვოლგის მარჯვენა ნაპირზე, მიყვეთ კვალდაკვალ, არ აცალოთ ჩასანგრება და სდიოთ სამოცი კილომეტრი უკუქცეულ მტერს.

– სამოცი ბევრია მასწავლებლო! – შეეშინდა ნოდარა თავას.

– ნუ გეშინია, მაგდენს ვერც ჩვენ ვირბენთ, – დაკამშივინდა.

– გოგოებო, სავლელე ჰოსპიტალი აქ იქნება, ნიგვზის ძირში. ხატია, შენ მთავარი ექიმი იქნები, ნატა, კაკანო, თინა – მოწყალების დები. ათ საათსა და ნულ-ნულ წუთზე ვიწყებ იერიშს.

ლევან მასწავლებელმა მაჯის სიმსხო ჯაჭვებით დაბმული, ურმის თვალივით საათი ამოათრია შარვლის ჯიბიდან, დახედა, ყურთან გაიხაჭუნა, ხელი ჩაიქნია, საათი ისევ ჯიბეში ჩაიღო და განაგრძო:

– სოსო მამალაძე, წაიყვანე შენი არმია და განლაგდით ვოლგის პირას, სანგარში.

– წაიყვანო, თორემ არ დალევონ ყველაფერი, რა არმიაა ეს გალლეტილები?.. მათხოვეთ დღეს, მასწავლებლო, ნოდარია თავა და მაგათ დედას ვუტირებ.

– ლაპარაკი! ნოდარ კალანდაძე, დაიკავე შენი ადგილი ზევით სანგარში!

– არ მინდა, მასწავლებლო, ერთხელ ჩვენ ვიქნებით წითლები, რა მოხდება, – შევეხვეწე მასწავლებელს.

– ცოტა ხანს მოიცადე და ისე დაგაწითლებთ და დაგალურჯებთ, პატრონმა ვერ გიცნოთ, – გაიკრიჭა ნოდარა თავა.

– რას გვაწვალებთ, თქვე მათხოვრებო, ბარემ დაგვენებდით და გათავდა ყველაფერი, – მირჩია თამაზ ქერქაძემ.

– ვნახოთ! – ვთქვი და სანგრისაკენ წაიყვანე ჩემი არმია, ნოდარამაც წაიყვანა თავისი არმია.

სანგრის პირას განვალაგე ჯარისკაცები და მივმართე ისტორიული სიტყვებით:

– ჯარისკაცებო და ოფიცრებო, თქვენ დგახართ დიდი ისტორიული მოვლენის წინაშე. დღეს თქვენ უნდა დაუმტკიცოთ ნოდარია თავას, რომ თქვენ არა ხართ ტილიანები, მშიშრები და გლახაკები. თქვენს წინ არის მდიდარი სუფსის ჭალა. მაისის ბლებითა და უზარმაზარი საივანობო მსხლით, რომელიც, მართალია, ჯერ მკვახეა, მაგრამ მაინც იჭმევა, გუშინ გავსინჯე. თქვენ გშიათ, გწყურიათ და ტანთ არ გაცვიათ, თუ მოიგებთ ამ მძიმე ბრძოლას, მე თქვენ შეგმოსავთ, გაგაძლებთ და დაგაპურებთ. თუ წავაგებთ ამ ბრძოლას, მაშინ გველოდება სირცხვილი, ტყვეობა და გაყინულ სუფსაში ბანაობა, გეყურებათ?

– გვეყურება! – ამოიკენესა ჯარმა.

– ახიკეთ აბა ახლა გოროხები და ჩაძვერით სანგარში! – ჯარი ჩასანგრდა.

ეტყობოდა, წითლებიც ჩასანგრდნენ, რადგან არც ერთი აღარ ჩანდა და ლევან მასწავლებელმა ნიშანი მოგვცა, დაიწყეთო. პოზიცია ღია იყო, ხელისგულივით გაშლილ ჭალაში არც ერთი ბუჩქი არ იზრდებოდა, მხოლოდ დიდრონი კაკლები იდგა ჩვენს შორის მერხრად გაფანტული. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხის თოფების ლულები დავასვენეთ სანგრის წინ მიწაყრილზე. გვერდით გოროხები შემოვიწყვეთ ყუმბარებივით და გავინაბეთ. მოწინააღმდეგის ბანაკიდან პირველი ნოდარა თავა ამოძვრა, მერე ხელი დაუქნია თავისიანებს, – გამომყვეითო და ხოხვით დაიდრა ჩვენსკენ. მისი თავი ვეებერთელა კვანავით მოგორავდა ჭალაში.

– მაგის თავს მაინც არ ავაცილებ... – თქვა ოტია კალანდაძემ და დიდი გოროხი მოამზადა.

– უჩემოდ არ ესროლოთ! – გავეცი ბრძანება.

– თუ აღვინ, მერე ვეღარ შევაჩერებთ, ახლავე დავხოცოთ ჯობია, – თქვა სოლომონ ჟღერტმა.

– ჯერ ვერ მივწვდებით, ახლოს მოვუშვათ, – თქვა რომეო ჭანუყვაძემ.

მოწინააღმდეგე გვიანლოვდებოდა. ვიცოდი, მათ ხოხვით არ შეეძლოთ თითო გოროხზე მეტის წამოღება, ამიტომ პირველი იერიშის მოგერიების იმედი მქონდა.

– არ იჩქაროთ, ბიჭებო, ტყვია-წამალი არ ეყოფათ. მე რომ გეტყვით, მაშინ ისროლეთ, არ გაბელოთ და არ გამოეკიდოთ, თორემ ხელჩართულ ბრძოლაში მაგათი მომრევი არ ვართ. – გავაფრთხილე ბიჭები.

– ვაშა! – დაიბლაგდა უცებ ნოდარა თავამ, წამოხტა და აწყვეტილი მოხვერივით გამოქანდა. მას მთელი ჯარი აჰყვა, მორბოდნენ წელში მოხრილები, ზიგზაგებით.

– ვაშა! – ისევ იბლაგდა ნოდარა თავამ.

– ზახრუმაა! – ვეღარ მოითმინა ოტია კალანდაძემ და ყუმბარა მთელი ძალით გადაისროლა მოწინააღმდეგისაკენ. მარილივით დაიფშვნა გოროხი ნოდარას თავზე. მას თოფი გაუვარდა ხელიდან. ადგილიდან მოწყდა და კუნძივით გაგორდა მიწაზე.

– ცეცხლი! – ვიკივლე და გოროხების სეტყვა წავიდა მტრის მიმართულებით.

ჯარი შედრკა. მიწას გაეკრა, მერე ფორთხვით გაბრუნდა უკან და ისევ სანგრებში ჩაძვრა.

– ნოდარა თავა, აღარ გაბელოთ ამოდრომა, თორემ დავხოცავთ ყველას! – გავძახე მე.

– ახლა შემახედა მაგის შუბლისათვის და მომკლა მერე, – ინატრა ოტია კალანდაძემ.

– თუ ჩაგვიგდეს ხელში, გაგვფცქენიან ლეღვივით, – თქვა ელუარდა ჯაბუამ.

– არავითარი პანიკა! – დავაბრიალე თვალები.

– ცოფიანი ძალღივითაა ახლა მაგი გახელებული და დავკვამს ყველას, – გამაფრთხილა კაჟურა გავუამ.

– ვისაც ეშინია, აგერ თეთრი დროშა და გადავიდეს, – ვთქვი მე და ცხვირსახოცი ამოვიღე ჯიბიდან.

– სოსოია მამალაძე, დავგნებდით გირჩევნია! – გაისმა უცებ წითლების სანგრიდან.

– რომელი ხარ, ამოდი ზევით, თუ ვაჟკაცი ხარ! – გავძახე და სანგრიდან ამოძვერი.

– მე ვარ, გურამა თავბერიძე! – დაიძახა მტერმა და მთელი ტანით ამოიმართა.

– მეორე თავგასიებული სადაა?

– რომელი?

– მთლად უფროსი!

– აგერ ვარ და გირჩევნია, ჩავგებარდე ცოცხლად, სამამდე ვითვლი, მერე გადმოვდივარ ხელჩართულში, – დაიძახა ნოდარამ და ისიც ამოიმართა მთელი ტანით სანგრიდან.

– დედიშენის შვილი ხარ და გაბედავ! – გავძახე მე.

ნოდარამ რალაც ბრძანება გასცა. მთელი მისი ჯარი ამოძვრა, სანგრის გასწვრივ დადგა.

– ამოდი, ბიჭებო, და გოროხები მოამზადეთ! – გავეცი მეც ბრძანება.

ბიჭები ამოვიდნენ და აქეთ-იქით ამომიდგნენ გვერდში.

– მგონი, ვილუპებით! – წაიშინა თავში ხელი რომეო ჭანუყვაძემ.

– ერთი! – დაიწყო თვლა ნოდარა თავამ.

– გაგიწყრა ღმერთი!

– ორი!

– შეგაკვამე დამპალი ღორი!

– ორნახევარი!.. – შეგვიცოდა ნოდარა თავამ, ჩემს რიგებში ჩურჩული ატყდა.

– სოსოია, გადმოდი ჩვენს მხარეზე, სანამ დროა! – დაიძახა თამაზ ქერქაძემ.

– ვერ ვუღალატებ ამხანაგებს!

– გადმოდი და გაპატიებთ.

– რა მჭირს შენი საპატიებელი, უბედურო!

– გადმოდი, სოსოია მამალაძე, ჩვენკენ, თუ არ მოგეწონოს, ისევ გადადი.

– დაგვინებდი, აბა, ტყვეებს კარაქს და თეთრ პურს ვაჭმევთ, ასე ვართ, ა, კისრამდე! – დამიძახა ნოდარამ და ნიკაპის ქვემოთ ხელი გაისვა.

– გეტყობათ, გეტყობათ, ჭიპი სერხემალზე რომ გაქვთ აკრული.

– სამი! – დაიღრიალა ნოდარამ, მერე „ვაშაო“ და დაიდრა უძლეველი არმია ჩვენკენ.

– ცეცხლი! – ვიკივლე ისევ. სამი გოროხი დაიფშვნა ერთად ნოდარას თავზე, მაგრამ მისი გადარეული ჯარის გაჩერება აღარ შეიძლებოდა.

– ვაშაა! – ღრიალებდნენ ისინი და ისე დაგვიახლოვდნენ, უკვე ვხედავდი მათ ანთებულ თვალებს.

– ვაიძე! – იბღავლა ჩემს რიგებში ვიღაცამ და ყველაფერი აირია ერთმანეთში: მოგვერდი, კვანტი, პანლური, პწკენა, ჩქმეტა, გოროხის დაფშვნა თავზე, ისევ კვანტი და ისევ პანლური, დაიწყო ხელჩართული ბრძოლა.

– რას შევბი, ბიჭო!

– მასწავლებელო, ყური!

– შარვალში ხელი, მამაჩემისაა!

– პლენი ხარ!

– მკვდარი ვარ, მკვდარი!

– აწიე ხელი!

– ჩამოუშვი ჯოხი და ავწევ!..

– დაყარე იარაღი!..

– სად მაქვს იარაღი?!

– დატოვე სახელო, შე უპატრონო!..

– ამ ვირიშვილს მართლა გერმანელი ვგონივარ!

– სახეში ნუ მაფურთხებ!

– გამიშვი, აბა, ცხვირში ხელი!

– ეს ვინ ყოფილა, კაცო, მართლა მკლავ?!
მერე ყველაფერი დაწყნარდა, მხოლოდ მძიმე ქშენა ისმოდა. მე ორი კაცი მიმათრევდა შტაბისაკენ ფეხებით, დემორალიზებული ჩემი ჯარი კი ხელემაწეული მოაბიჯებდა ჩემს გვერდით.

მიმიყვანეს და დამაგდეს ლევან მასწავლებლის ფეხებთან.

– ამხანაგო შტაბის უფროსო! – გამოეჭიმა მასწავლებელს ნოდარა თავა, – თქვენი ბრძანება შესრულებულია, მოწინააღმდეგის ჯარი განადგურებულია, ვოლგის მარცხენა ნაპირი აღებულია, ჩვენი ჯარი განაგრძობს ტრიუმფალურ მარშს დასავლეთისკენ. მსხვერპლი თითქმის არ არის. ტყვედ ჩავიგდეთ გერმანელი გენერალი სოსოია მამალაძე, აგერ აგდია!

– სოსოია, ისევ ტყვე ხარ, შე გაჭირვებულო? – მკითხა ხატია. ყველამ გაიცინა.

გამეცინა მეც. ავდექი და შარვლის ბერტყვა დავიწყე.

– დაისვენეთ ახლა, ბიჭებო, ნახევარი საათი და მერე ჰაიდა კოლმეურნეობაში.

ყიჟინით გავექანეთ სუფსისაკენ და მოწყურებული ნახირივით შევცვივდით ცივ წყალში. ნახევარი საათის შემდეგ ყველანი ჩრდილში ვიწექით უხმოდ და ზღაპარივით ლამაზ და ლურჯ ცას შევცქეროდით. ლევან მასწავლებელიც გულაღმა იწვა და ნებივრად აბოლებდა პაპიროს „ტემპს“. მისი თამბაქოს სუნი საამოდ გვიღიბინებდა ცხვირში. ფართოდ ვებრავდით ნესტოებს და ღრმად ვისუნთქავდით ჰაერს; ალბათ, ყველას გვქონდა თუთუნის, მაგრამ პაპიროსს ომის დროს სულ სხვა ეშხი და გემო ჰქონდა, ოცნება იყო ჩვენთვის პაპიროსი და ახლა, როდესაც ეს პაპიროსი ასე ახლო იყო, სულ ორი ფეხის ნაბიჯზე, ვერც ერთი ვერ ვებდავდით ავმდგარიყავით და გვეთხოვა მასწავლებლისათვის ერთი ღერი, რომ თითო-თითო ნაფაზი დაგვერტყა და შემდეგ მთელი წელიწადი გვეტრაბახა, – პაპიროსი „ტემპი“ მოვწიეო.

ნოდარა თავამ მაინც ვერ მოითმინა, თვალი ჩამიკრა და მუჯღლუგუნი გამკრა – მიდი, თხოვეო. ხელით ვანიშნე: გიჟი ხომ არა ხარ-მეთქი, – მიდიო, დამეჯღანა ნოდარა და გავბედე.

– მასწავლებელო!..

– რა იყო, მამალაძე?! – მკითხა მასწავლებელმა და ისეთი ნაფაზი დაარტყა, გული კინლამ შემიღონდა.

– მასწავლებელო, გამიგონია, სიკვდილმისჯილ კაცს სიკვდილის წინ თხოვნას უსრულებენო, მართალია?

– მართალია! – თქვა მასწავლებელმა ისე, თითქოს ათჯერ მაინც ყოფილიყო სიკვდილმისჯილი.

– ხომ ვარ, მასწავლებელო, ტყვე გერმანელი გენერალი?

– კი ხარ!

– ესე იგი, დამხვრეტთ ხომ?

– თუ გამოტყდები, არ დაგხვრეტთ! – გაიცინა მასწავლებელმა.

– არ გამოტყდები! – ვთქვი ვაჟკაცურად.

– არადა, დაგხვრეტთ, – შეიკრა წარბი მასწავლებელმა.

– ჰოდა, სიკვდილის წინ შემისრულეთ ერთი თხოვნა, მასწავლებელო!

– შევეუსრულოთ? – ჰკითხა მან გამარჯვებული არმიის სარდალს.

– მე მგონი, დიდი სირცხვილი და დიდი სიმდაბლე იქნება ჩვენი მხრიდან, რომ არ შევეუსრულოთ! – თქვა ნოდარა თავამ მთელი სერიოზულობით.

– თქვი, ბიჭო, რა გინდა? – მოლბა მასწავლებელი.

– ერთი პაპიროსი მოგვეცით, მასწავლებელო, მთელ კლასს, აგერ გავიქცევით და ისე მოვწევთ, თქვენ არც კი დაგანახვებთ, – დავეჯღანე.

მასწავლებელი მოულოდნელობისაგან გაშრა, მერე ერთბაშად აენტო:

– რაო? ვის უბედავთ თქვენ მაგას. მე, ლევან გურიელიძეს, პედაგოგს, ომის ვეტერანს, თქვენ, ჩემს მოწაფეებს მოგცეთ პაპიროსი ჩემი ჯიბიდან ამოღებული, ჩემი ხელით მოგცეთ პაპიროსი, გაგიფუჭოთ ფილტვები, გული, სისხლი?! მითხარით, რომ მეხუმრეთ, თორემ გავგიჟდები ახლა!

– გეხუმრეთ, მასწავლებელო, მაპატიეთ! – ვთქვი შეშინებულმა და გვერდზე გადავჯექი. მოსწავლეები გაინაბნენ. მასწავლებელი ერთხანს ღელავდა, მერე თანდათან დაწყნარდა და ისევ წამოწვა.

– პაპიროსიო, უყურე შენ? მე თქვენ გაჩვენებთ პაპიროსს!

– მასწავლებელო, – დაიწყო უცებ ხატიამ, რომელიც მთელი საუბრის დროს წყნარად იჯდა და ყურს გვიგდებდა, – ჩემს სიცოცხლეში არ გამიკეთებია ასეთი რამ, რასაც ახლა ვაკეთებ, მე ჯაშუში არა ვარ, მაგრამ არ შემიძლია, არ გითხრაო: წელან, თქვენ რომ სუფსის პირას ჩაბრძანდით, თქვენი კიტელიდან ბიჭებმა პაპიროსი მოიპარეს და ერთი ღერი თოფის წამლით გატენეს, ჩვენ მაინც არ გვაწვივინებსო; მაგათ ეგონათ, რომ ვერ ვხედავ, ვერც გავიგონებდი.

– გაგიჟდი, გოგო? სტყუის, მასწავლებელო! – ვიყვირე.

– შეგეშინდა? – თქვა ირონიულად ხატიამ და თვალები დააფახულა.

– ა, მასეა საქმე? – იკითხა მასწავლებელმა და ისე გადმოგვხედა, თვალი ვერ გავუსწორეთ ვერც ერთმა.

– სულებლია, გატყუებთ, მასწავლებელო! – თქვა ახლა ნოდარა თავამ.

– თვითონაა სულებლი და სტყუის, მასწავლებელო! – გაიმეორა ხატიამ.

გაოცებული კლასი პირდაღებული უცქერდა გაკერპებულ ხატიას.

– არ დაიდრათ არც ერთი ადგილიდან, – ჩურჩულით თქვა გაფითრებულმა მასწავლებელმა და ადგა, მივიდა კაკლის ტოტზე ჩამოკიდებულ კიტელთან, ჯიბიდან მთელი კოლოფი „ტემპი“ ამოიღო, გულმოდგინედ დაათვალიერა თვითეული ღერი, ვერაფერი ვერ შეატყო და ხატიას მიუბრუნდა:

– თოფის წამლით გატენეს, არა?

– კი, მასწავლებლო, ჩემი ყურით გავიგონე!

– კარგი, აბა, მიყურეთ ახლა მე, – მასწავლებელმა მარჯვნიდან მარცხნივ ჩამოგვიარა, – სოსო მამალაძე, ამოიღე პაპიროსი და მოწიე, – მითხრა მან და კოლოფი გამოძიწოდა.

– არ მინდა, მასწავლებლო!

– რაო? არ მინდაო? ახლავე ამოიღე და მოწიე!

– მაფეთქებთ, მასწავლებლო?

– გეუბნები, ახლავე მოწიე! – არ მომეშვა მასწავლებელი; ჯანდაბას, ვიფიქრე, თვალებს დავხუჭავ და ისე მოვწიე, დიდი-დიდი, ცხვირი შემეტრუსოს. ავიღე პაპიროსი, მოვუკიდე და ხარბად გავაბოლე.

– იაგო ანთიძე, აიღე, ოთარ თავაძე, მოკიდე ხელი, კაჟურა გაგუა, თვალი გამისწორე და ისე ამოიღე, ოტია კალანდაძე...

– არ ვეწევი, მასწავლებლო.

– რაო?

– არ ვეწევი, მასწავლებლო, და რა ვქნა?

– რა ქენი და მოწიე, თავი თუ გეცოდება! – ოტიამ გააბოლა და ბეგლარას ძალივით დაიწყო ხველება.

– მკლავ, მასწავლებლო? – დაიკვნესა გაუღული ხმით.

მთელ კლასს ჩამოურიგა მასწავლებელმა პაპიროსი, კოლოფში ერთი ღერილა დარჩა. მასწავლებელი მოშორებით დადგა და დაძაბული გვიყურებდა, რომელს აგვიფეთქებოდა საბედისწერო პაპიროსი პირში.

მთელი კლასი ვაბოლებდით ფრთხილად, ფრთხილად, მაგრამ მაინც გემრიელად. მე პირადად, რომ მოვეკალი ამ პაპიროსს, აღარ ვჩიოდი, რაკი მისი მოწივა მეღირსა.

– ნუ ინაზებით, მალე! – გვაჩქარებდა მოლოდინად ქცეული მასწავლებელი.

– სულ არ მეჩქარება, სხვათა შორის, – თქვა ოტიამ და ნაზად გააბოლა.

– აგაშენა ღმერთმა, მშვენიერი იყო! – თქვა ნოდარა თავამ, ბოლო ღრმა ნაფაზი დაარტყა, თავისუფლად ამოისუნთქა და ნამწვი ბალახებში გადააგდო.

– ჩემსასაც არა უშავდა! – თქვა იაგო ანთიძემ და მანაც გადააგდო ნამწვი.

მას ოთარ თავაძე, რომეო ჭანუყვაძე და სხვები მიყვნენ.

დავრჩით მარტო მე და ოტია კალანდაძე. ოტიამაც მოიშორა ნალმი და მთელი კლასი მე შემომჩერდა პირში. მასწავლებელმა მოთმინება დაკარგა, ცარიელ თვალებად იქცა. პაპიროსს დავხედე. ერთი დიდი ნაფაზი და მორჩა, თვალები დავხუჭე; მოვქაჩე წერილად, ნელ-ნელა და როდესაც პირის ღრუ სასიამოვნო კვამლით ამეცსო, სტვენით გავგზავნე ფილტვებში. თვალები გავახილე და პაპიროსს დავხედე, პაპიროსი აღარ იყო, მთელმა კლასმა ამოიოხრა და მასწავლებელს შეხედა. ჩვენ და მასწავლებელი გოცებულები შევცქეროდით ერთმანეთს.

– კიდევ დარჩა ერთი ღერი და ამ ბოლო პაპიროსსაც შენ მოსწიე, სოსო მამალაძე. – მითხრა მასწავლებელმა ჩურჩულით.

– აღარ მინდა, მასწავლებლო, დიდი მადლობელი ვარ, მომკლავს ამდენი ნიკოტინი.

– სოსო მამალაძე... – დაიწყო ისევ მასწავლებელმა.

– ეს ბოლო პაპიროსი თქვენ მოსწიეთ, მასწავლებლო, არ აფეთქდება, – თქვა უცებ ხატიამ. ყველამ ხატიას შევხედეთ. იგი იდგა კაკლის ძირში და ილიმებოდა.

უცებ ავჩოჩოლდით, ჯერ ერთმა დაიფხუკუნა, მერე მეორემ, მერე ვიდაცამ თავი ვერ შეიკავა და ატყდა ხარხარი. დიდხანს ვგორავდით. მასწავლებელი ერთხანს თავს იკავებდა, მერე ვეღარ მოითმინა და ისიც ახარხარდა ჩვენთან ერთად.

რომ დავწყნარდით, მასწავლებელი ხატიასთან მივიდა, ხატიამ იგრძნო მასწავლებლის მოახლოება და სახით მისკენ შემობრუნდა.

– შენ გგონია, ხატია, მე პაპიროსი მენანება მაგათთვის?

– არა, მასწავლებელი, მინდოდა, ბიჭებს მოეწიათ. ახლა მაგათ მთელ წელს ეყოფათ სატრაბახოდ, „ტემპი“ მოვწიეთო. მაპატიეთ, ჩემო მასწავლებელი...

მასწავლებელმა ლოყაზე მოუთათუნა ხელი ხატიას, მერე მხარზე გადახვია და ნელი ნაბიჯით წაიყვანა გზისკენ.

– მამალაძე, მოაწყვე ჯგუფი და წამოდი! – მითხრა მან.

– ჯგუფოო, დააადექ! – გავეცი განკარგულება. ჯგუფი მოეწყო.

– სწორდით! სმენა! კოლექტივისკენ ნაბიჯით იარ! ერთი, ორი, სამი; ერთი, ორი, სამი!..

გავიქეცი და წინ დავუდექი ჯგუფს.

– არწივები ხართ, ბიჭებო, ნამდვილი არწივები. სამწყობრო ნაბიჯით! აბა, სიმღერა, თქვენი ჭირიძე! – და ისევ ატყაპუნდნენ სუფსის ჭალაში ჩვენი წულები, ქალამნები, კალოშები, შიშველი ფეხები. ისევ აფართხუნდნენ მწკრივში მამების თუ ძმების გამონაცვალნი ზომაზე დიდი ხალათები და შარვლები და ისევ აგუგუნდა ჭალაში ჩვენი ძლევაძმოსილი სიმღერა:

გენაცვალე, რაისაო,
რა კარგად ჰკრეფ ჩაისაო,
წრეულსაც თუ ვერ გათხოვდი,
მე წაგიყვან გაისადო...

იმ მაისის ღამით ჩვენმა არმიამ მართლა დაიწყო დიდი შეტევა მთელი ფრონტით და ტრიუმფალური მარშით დაიძრა დასავლეთისაკენ.

aseTia cxovreba

ორმოცდასამი წლის ივნისია ახლა. გახურებული ბანაობის, ფეხბურთის, ლელოს, ლახტის, ჩილიკა ჯოხის, გრძელი ვირის, ჭიდაობისა და ჯარობის დრო. სკოლიდან დიდი ხანია დაგვითხოვეს, მაგრამ სადაა ლახტი, სადაა ფეხბურთი, ვეღარ იცნობ ჩემს ბიჭებს.

– ბონდოია კუნცხურია, წამოდი, ბიჭო, ლახტი გავახუროთ!

– გავიჟიდი, ბიჭო, ყანა მაქვს სამარგლავი!

– ნოდარა თავა, გვეთამაშა ფეხბურთი!

– არ მცალია, შეშა უნდა დავხეთქო!

– ოტია, გამოიყვანე შენი სახლიკაცები და ვიჭიდაოთ საირაოზე!

– ჭიდაობა კი არა, ძლივს დავდივარ, სოსოია.

ვიცოდით ყველამ, კარგად ვიცოდით, რომ ბურთი არ იყო, ვიცოდით, რომ არც ერთს არ გვეცალა ერთმანეთისათვის, არც ერთს არ გვებურთავებოდა, არც გვეჭიდავებოდა, მაგრამ მაინც ყოველდღე ვიწვევდით სათამაშოდ ერთმანეთს, მაინც ყოველდღე ვეხვეწებოდით ერთმანეთს, ერთი საათით გადაგველო საქმე როგორმე, რომ ის დაკარგული დღეები დაგვებრუნებინა, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. იყო შემთხვევა, შევიკრიბებოდით ხოლმე, გავიყოფოდით, ბურთს ავაგლებდით და მერე უცებ ხან ერთს გაახსენებოდა რაღაც, ხან მეორეს, ხან მესამეს, ვმეჩხერდებოდით, ვმეჩხერდებოდით და ვტოვებდით გადახვნას სასწაულით გადარჩენილ მოედანს.

სულ სხვანაირად ვხედავდით ახლა სოფელს და სოფელიც სხვა თვალთ გვიყურებდა.

ერთ დღით მეზობლის ქალი მაკა მოვიდა მამიდასთან და სთხოვა:

– ნადი მყავს, ჩემო ქეთევან, და დამახმარე შენი კაცი!

– წაყევი, მამიდა, – მითხრა მამიდამ და მე წაყევი მაკას, როგორც კაცი. როგორც კაცი, ისე ვიმუშავე საღამომდე მაკასთან. კაცივით ვსვი ღვინო, დავთვერი და კაცივით დავახველე ჭიშკართან, როდესაც შინ დავბრუნდი, და ვიგრძენი, როგორ კაცივით მომიარა

მამიდამ იმ ღამით და ზუსტად ისე ღამითილა ფეხები ძილის წინ, როგორც სამუშაოდან დაბრუნებულ და დაღლილ ბაბუს უთბილებდა ხოლმე ბებია.

ორმოცდასამი წლის იენისის თბილი საღამო იყო. მამიდამ კოდი გადმოაპირქვავა გობზე, გვერდებზე ხელი მოუპარტყუნა და ასწია. გობზე ორი პეშვი ფქვილი ეყარა. მამიდამ ცხელი წყალი დაასხა ზედ და ცალი ხელით ზანტად დაუწყო ზელა, თავჩალუნული იჯდა გობთან და გაუთავებლად დიდხანს ზელდა ფქვილს, რომელიც თვალებში შესაყრელად არ ეყოფოდა კაცს. მე დავინახე უცებ, როგორ დაეცა გობზე ჯერ ერთი, შემდეგ მეორე კურცხალი...

– რა გატირებს, მამიდა? – ვკითხე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რა ატირებდა.

– ესაა, სოსოია, მეტი არ არის, – თქვა მან და ხელისგულით მაჩვენა ცოში.

ხმა არ ამომიღია. მამიდამ თითები ჯიქანივით ჩაწურა გობში და მომიბრუნდა:

– თქვი რამე, სოსო, ბიჭო, რა ვქნათ?

– ქეთო მასწავლებელი! – დაიძახა ეზოში ხატია.

– მოდი, ხატია! – გავძახე მე, ხატია სამზარეულოში შემოვიდა.

– გამარჯობა თქვენი!

– გაგიმარჯოს, ხატია, – თქვა მამიდა. სამფეხა დაეუდგი ხატიას და დავსვი. მერე ოღამი ავედი და უკანა ოთახში შევედი. დიდხანს ვიჯექი საოჯახო სკივრთან. მერე მოვკიდე ხელი და ვაჭირვებით გამოვათრიე გარეთ. სამზარეულოში რომ შევიტანე, მამიდა ვაკვირებისაგან ფეხზე წამოდგა.

– რა არის, ბიჭო, ეს? – მკითხა მან.

– ამაში მამაჩემის და დედაჩემის ტანსაცმელი აწყვია!

– მერე?

– მერე, უნდა გავყიდოთ ავი!

– გაგიჟდი, ბიჭო? – შეეშინდა მამიდას.

– წავიღებ ამას და ნაბელლაგში სიმინდზე გადავცვლი.

– ხატია გეყურება, რას ამბობს? – ჰკითხა მამიდა ხატიას.

– მეყურება! – თქვა ხატია და თავი დააქნია.

– ამას ნაბელლაგში წავიღებ და სიმინდზე გადავცვლი. აბა, ასე ხომ არ ვიქნებით?

– სოსოია, წაიღე და დადგი იქ, საიდანაც ჩამოიტანე, – თქვა მამიდა და ხმა ჩაუწყდა.

სკივრს თავი ავხადე და ყელში რაღაც გამეჩხირა. მერე სკივრში ხელი ჩავყავი და მამაჩემის ტყავის ქურქი ამოვიღე. ყოველ ზაფხულს ამომქონდა სკივრიდან გასამზებლად, მაგრამ არასდროს შორეული, ძალიან შორეული სიყვარულისა და მოკრძალების მეტი არაფერი მიგრძენია ამ ქურქის მიმართ, ახლა კი შემეშინდა, ისე შემეშინდა ქურქის, თითქოს ცოცხალ კაცს ძალით ვხდიდი და ისიც მორჩილად და მშვიდად მატანდა.

– ამასაც წავიღებ, ამასაც, გესმის შენ? პატარა აღარა ვარ და ჭკუას ნუ მასწავლი! – ვიყვირე და ტუჩები ამიკანკალდა.

– ნუ იზამ, სოსოია მამიდა, მაგას! – მთხოვა მამიდა.

– წავიღებ, წავიღებ, იტირე რამდენიც გინდა, ამ ჩექმასაც წავიღებ, ამ შარვალსაც, ამ ხალათსაც! – ვყვიროდი და სკივრიდან ვყრიდი ტანსაცმელს. უცებ ხმა ჩამიწყდა... ხალათის ქვევით ორად გაკეცილი ვარდისფერი კაბა იდო. უხმოდ ამოვიღე, გავშალე, მერე ისევ დაკეციე, თავის ადგილზე დავდე, ზევიდან მამის შარვალ-ხალათი დავაფინე და სკივრი დავხურე.

– ჩექმას და ქურქს წავიღებ, მამიდა, მეტს არაფერს, შენ ნუ ტირი. მანასე თავართქილაძის ვირს წავიყვან და ნაბელლაგში წავიღებ სიმინდზე გადასაცვლელად.

მამიდა ხმას არ იღებდა.

– ხვალვე წავალ!

– მეც გამოვყვები! – თქვა ხატია და ადგა.

* * *

ადრე დილით მე და ხატია მანასე თავართქილაძის ეზოში ვიდექით და გაძვალტყავებულ ვირს ზურგს ვუუთოვებდით.

– ვირს დიდი ყურები აქვს, ბიძიებო, მაგრამ კაცის ცოტა ეყურება, ჯიუტია ვირი, მოფერება უნდა, დაყვავება უნდა და ზრდილობიანი მოპყრობა, – გვარიგებდა ჭკუას მანასე და კენს ადგამდა.

– გადაყვება ახლა შენს ვირს სოსოია, სიყვარულს აუხსნის გზაში! – უთხრა ხატია.

– არ აუხსნის და წიხლიც იცის ვირმა. შენ, ჩემო ბიძია, ვირი ცხენი ხომ არ გგონია, საითაც დაუწკაპუნებ, იქით რომ გამოგყვება?.. არა, ბაბაია. ვირმა იცის თავისი ფასი.

– რაც არ უნდა იყოს, მანასე ბიძია, ვირი მაინც ვირია!

– არაა, ბიძია, მთლად მასე საქმე, ნაპოლეონმა თურმე ვირებით აიღო ეგვიპტე, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ვირებმა შეგვანარჩუნებინეს აგი კავკასია, ზარბაზანი მაგათ ჰქონდათ თურმე მთაზე და ტყვია-წამალი, აბა, ცხენი და მანქანა იქ რას ავიდოდა.

– ახლა ცხენი რომ მოგიყვანონ, არ გაუცვლიდი ამ ვირში?

– ვირი კი არ ვარ, ბიჭო, ამითაა, სული რომ მიდგას. – გამიჯავრდა მანასე და ვირს კენი დაადგა, ვირს ბაწარში წავავლე ხელი და ჭიშკრისაკენ დავქაჩე.

– ორივე ერთად არ დაჯდეთ ზედ, ბიძიებო, რიგრიგობით დაჯექით, თორემ დავარდება გზაში, თუ გაჯიუტდა, გავაზე დააჯექით, იცოცხლე, მაშინ გარეკავს.

– კი, მანასე ბიძია, კი, – დაამშვიდა ხატია.

– გოგო, შენ ამასავით შტერი რომ ხარ, კი ვიცი, მაგრამ მამაშენს არა აქვს ჭკუა, ამ გადარეულს რომ გატანს?

– ნუ გეშინია, მანასე ბიძია!

– აბა, ჭკუით იყავით, ესე იგი, ვირის ქირა, ერთი ბათმანი სიმინდი ჩემია, ხომ?

– კი, მანასე ბიძია!

ბესარიონ ბიძიამ ხვითოსავით ჩამაბარა ხატია, – არ დამლუპო, – მერე თავისი ორპირა ცენტრალი გადაქიდა მხარზე – იქნებ გაბრიყვდეს ვინმე და მოგცეს სიმინდი შიგო. – სოფლის ბოლომდე გამოგვაცილა და იქ იდგა, ვიდრე თვალს არ მივეფარეთ.

* * *

ვირი მაშინ ისეთივე უცხო მოვლენა იყო გურიაში, როგორც უცხოელი ტურისტები ჩვენს ქვეყანაში ომამდე. ვადგივართ ნაბელლავის მტვრიან გზას მე და ხატია და მოგვდევენ უკან სოფლის ბავშვები ყიყინით. მე მრცხვენია და ვუბღვერ ბავშვებს. ვირი მიდის, მიბაკუნობს და მიაპარტყუნებს უსაშველოდ დიდ ყურებს, ხატია კი ზის კეხზე თამარ დედოფალივით და ილიმება.

– რა უნდათ, სოსოია შენგან მაგ ბადნებს, ვირი არ უნახავთ? – მეუბნება ხატია.

– შენ მაკლიხარ ახლა, ენას მოუკელი, თორემ დაგაბრუნებ სახლში.

– დაგბრუნდები, თუ გინდა.

– იჯექი მანდ და ბევრს ნუ ლაპარაკობ!

– გაგჩერებელიყავით, სოსოია, ვინმე მოსახლესთან.

– სად უნდა გაგჩერდეთ, გოგო, ჩვენს სოფელზე უარესი გალლეტილი სოფელია.

გავდივართ სოფლიდან და სულს ვითქვამთ.

საღამოს ნაბელლავში შევედით, პირველსავე მოსახლის კართან გავაჩერე ვირი და ჭიშკარს მივადექი.

– მასპინძელო! – დავიძახე მე. ეზოში ორი მამაკაცი გამოვიდა, ერთი შუახნის, წისქვილის დოლაბივით სახედაკენკილი; მეორე – ჩემხელა, ცხვირგაბუმტული ბიჭი.

– მობრძანდით! – თქვა უფროსმა და ჭიშკარი გააღო; ვირი ეზოში ჩავიყვანე, ხატია ჩამოვსვი და გამარჯობა ვთქვი.

– ვინ ხართ თქვენ? – მკითხა ნაყვავილარმა კაცმა.

– ტყავის ქურქი და ჩექმა გვაქვს, სიმინდზე ვცვლით, ხომ არ გინდათ?

– მაჩვენე! – მითხრა ნაყვავილარმა, ხურჯინიდან ამოვიღე ტანსაცმელი და ვაჩვენე. ნაყვავილარმა თვალიერება დაუწყო.

– ავი ვირი შენია? – მკითხა ცხვირგაბუმტულმა.

– კი!

– ავი გოგო რაია შენი?

– არაფერი!

– მაგასაც ხომ არ ცვლი სიმინდში? – გაიკრიჭა ცხვირგაბუმტული.

– ნუ იკრიჭები და ნუ გადმოგიყრია მაგი ხრონჩები, თორემ გაგიბრტყელებ ცხვირს.

– ვინაა, სოსოია, მაგი? – მკითხა ხატია.

– ცხვირია! – ვუთხარი ხატიას. ცხვირგაბუმტულმა მხოლოდ ახლა შეატყო ხატიას უსინათლობა.

– ავი გოგო ბრმაია? – მკითხა გაკვირვებულმა.

– ბრმაია, ყრუი კი არა, შე სულელო! – ვუთხარი და ხატიასთან ახლოს მივედი.

– შენ, ბიძია, საჩხუბრად მოდი თუ სავაჭროდ? – მკითხა ნაყვავილარმა.

– ამოულესე პირი ამას, რომ დაუღია საღორის კარივით და არ ვიჩხუბებ.

– გაჩერდი, ბიჭო, შენ! – გაუჯავრდა ნაყვავილარი ცხვირგაბუმტულს და მომიბრუნდა, – ბიჭო, ამ გაგანია სიცხეში პალტოს რომ ყიდი, აბრეშუმის ჭია ხომ არა ვარ, ჩემი ფეხით შევებრე პარკში.

– თუ არ გინდა, მომეცი აგერ.

– მაინც როგორ ყიდი?

– არ ყიდი, ორი ფუთი სიმინდი მინდა!

– შენ გადარეული ხომ არ ხარ?

– კი!

– აბა, ერთ ბათმანს მოგცემ.

– ერთი ბათმანი მაგის ჯიბეში ჩაეტევა.

– ჰოდა, გაგივსებ მაგ ჯიბეებს და გავათავოთ ვაჭრობა.

– რა აცვია, სოსოია, მაგ კაცს? – მკითხა ხატია.

– რა აცვია და დახეული პერანგი! – ვუთხარი და ნაყვავილარი ავათვალიერ-ჩავათვალიერე.

– ეცვას, აბა! მომეცი მაგი ქურქი, – მითხრა ხატია და ხელი გამომიწოდა, ქურქი გადავეცი.

– ჩექმაში რა მოგცე? – მკითხა ისევ ნაყვავილარმა.

– მაგ ჩექმასაც ავივსებთ სიმინდით და დაგვიტოვე, – გაიკრიჭა ისევ ცხვირგაბუმტული.

– მაინც რამდენი გინდა? – არ მომეშვა ნაყვავილარი.

– არაფერი!

– ტყუილა მადლევ, აბა?

– ტყუილა აგერ გყავს ავი ცხვირგასიებული და მაგას მოუარე, – ვუთხარი და ჩექმა გამოვართვი.

– ენას მოუკელი, ბიჭო შენ, თორემ ჩავამხობ ამ ჭაში თავით, ხომ არ გგონია, შენი თოფის მეშინია? – გაბრაზდა ნაყვავილარი.

– წამოდი, სოსოია! – მითხრა ხატია. ხატია ვირზე შევსვი და ეზოდან გადავედით.

– გააჩერე ვირი, სოსოია, ერთ წუთს! – მითხრა ხატია. ვირი გააჩერე. ხატია ეზოსკენ მიბრუნდა: – ხომ არ შესულან სახლში?

მამა-შვილი ეზოში იდგა და გვიყურებდა.

– არა.

– ბიბია, ვირს არ იყიდი? – გასძახა ხატია.

– რად მინდა, გოგო, ვირი? – გაუკვირდა ნაყვავილარს.

– ორი ვირი გეყოლება სახლში! – გაუცინა ხატია.

ნაყვავილარმა პირი დაალო, ცხვირგაბუმტულმა ქვის ძებნა დაიწყო, მაგრამ თოფი რომ გადმოვიღე, თავი დაანება და მამამისის ზურგს ამოეფარა.

ისევ გავეყვით შარას, სოფლის ბოლოში გავედით, ვირმა ნაბიჯს უკლო.

– სად ვართ, სოსოია? – მკითხა ხატია.

– სოფლის ბოლოში, ხატია.

– რა დროა ახლა?

– დაღამდა, ხატია.

– გავჩერდეთ, სოსოია, ვინმესთან, – მითხრა ხატია. ბოლო მოსახლის ჭიშკართან გააჩერე ვირი.

– მასპინძელი! – დავიძახე. ოდის აივანზე ჭრაქიანი მამაკაცი გამოვიდა.

– რომელი ხარ? – დაიძახა მან.

– სოსოიე ვარ, მამალაძე, – ვუპასუხე.

– რომელი სოსოიე? – გაუკვირდა მასპინძელს.

– რომელი და... რა ვიცი მე... სოსოიე ვარ!

– მობრძანდი! – მიპასუხა მასპინძელმა, ეზოში გამოირბინა, ჭიშკართან მოვიდა, ჭრაქი მოგვანათა და გაკვირვებულმა აგვათვალიერა-ჩაგვათვალიერა სამთავე.

– ღამის გათენება გვინდა, ბიბია.

– მოდი, ბიბიკო, მობრძანდი, – თქვა მასპინძელმა და ჭიშკარი გაალო,

ჩავედით ეზოში, ხატია ვირიდან ჩამოვსვი და ხელჩაკიდებული წავიყვანე ოდისკენ. მასპინძელი წინ მიგვიძლოდა.

– მობრძანდით, ბიბიებო, მობრძანდით! – ამბობდა იგი და ჭრაქს ხელისგულს აფარებდა, არ ჩამიქრესო.

– ამ ვირს რა ვუყო, ბიბია? – ვკითხე მასპინძელს.

– მოხსენი კეხი და გაუშვი ეზოში, გადმა ვერ გადავა და დიღამდე ცოტას წაიბალახებს, – მითხრა მასპინძელმა. ვირს კეხი ავხადე, ეზოში გაუშვი და ხურჯინი მხარზე გადავიკიდე.

– კაკანო, კაკანო ქალო! – გასძახა მასპინძელმა.

– რა იყო, ადამიანო? – გამოფოფინდა აივანზე თავსაფარწაკრული შუახანს გადაცილებული ქალი.

– სტუმრები მომყავს, კაკანო, და მოგვხედე, თუ ქალი ხარ.

– მობრძანდით, ბატონო! – დაფაცურდა კაკანო და შემოგვეგება.

ოღამე შევედით. ხატია ტახტზე დავსვი და გვერდით მოვუჯექი.

– აქა მშვიდობა! – ვთქვი დავვიანებით.

– ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოს! – დამლოცა კაკანომ. ოთახში უხერხული ღუმილი ჩამოვარდა. მასპინძლები გაკვირვებულები გვიყურებდნენ და დაჯდომას ვერ ბედავდნენ. ხატია გაღიმებული იჯდა ტახტზე და, ალბათ, ჩემს დალაპარაკებას ელოდა, მე კი ოთახს ვათვალიერებდი და სულ არ ვფიქრობდი იმაზე, რომ მასპინძლებს ერთი სული ჰქონდათ, როდის გაიგებდნენ, ვინ ვიყავით და რა გვინდოდა აქ. ოთახის ორ მოპირდაპირე კუთხეში თითო ტახტი იდგა, ერთზე მე და ხატია ვიჯექით ახლა; ოთახში, ტახტების გარდა, მაგიდაც იდგა ოთხსკამშემოწყობილი, ბუნართან კიდევ რამდენიმე სამფეხა იდგა, და მეტი არაფერი, კედელზე კი უკანასკნელ დიღამდე შეკრულ ჯარისკაცის ხალათში გამოწყობილი

გაბრაზებული ვაჟკაცის სურათი ეკიდა, ერთი ვაჟკაცის ორი სურათი ერთ ჩარჩოში. გაკვირვებული ვუყურებდი ამ სურათს და მიკვირდა, რაში დასჭირდათ ამ ადამიანებს ორი, სრულიად ერთნაირი სურათის ერთ ჩარჩოში მოქცევა. და ეს ორჯერ გაბრაზებული ერთი ვაჟკაცი ისე გვიყურებდა მე და ხატიას, თითქოს მის დაუკითხავად არ უნდა შემოვსულიყავით ამ ოთახში.

– ვისი ხართ, ნენა, თქვენ? – გკითხა უცებ დიასახლისმა.

– ჩვენ, დეიდა, ტანსაცმელი წამოვიღეთ სიმინდზე გადასაცვლელად და დაგვალამდა გზაში. თუ არ გაგიჭირდებათ, გაგვათევეით ღამე, – თქვა ხატამ.

– მოგიკვდეს, შვილო, ჩემი თავი, ღამეს გაგათევეებთ კი არა, სულ არ გაგიშობ შინ, ოღონდ აქურობა მოგეწონოს, – ისევ დაფაცურდა კაკანო.

– რა ტანსაცმელი გაქვთ, ბიძიებო, სიმინდზე გადასაცვლელად? – იკითხა მასპინძელმა. ხურჯინი დაგუდგი წინ.

– ბაბილო ვაშაყმაძე, მაგის დროა ახლა? მოშიებუღია, ალბათ, ბაღნები! – გაუჟავრდა ცოლი.

– მიხედე, მერე, ქალო, საქმეს. მე ხომ არ გამოვაცნობ ჭადს? – უსაყვედურა ბაბილომ და ტანსაცმელს დაუწყო თვალიერება. იგი დიდხანს ათვალიერებდა ქურქს, მერე ჩაიცვა, კედელზე ჩამოკიდებულ სარკეში ჩაიხედა, თავი გადააქნია და ტახტზე დადო ფრთხილად, ახლა ჩექმას დაუწყო ტრიალი.

– შეიძლება? – მკითხა და წულა გაიხადა. თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე. ბაბილომ ორთავე ხელისგულზე დაიფურთხა, ფეხი ჩექმაში ჩაყო, მერე ყელი ყურებიდან დაქაჩა და ფეხი ახალთახალ ჩექმაში კალაპოტივით იჯდა.

– ავაშენა ღმერთმა, როგორ ყიდი, ბიძიკო, ამ ჩექმას? – მკითხა და წამოდგა. მარჯვენა ფეხი წინ წამოსწია, გაჭიმა და ზედ დააცქერდა.

– ერთ ფუთ სიმინდად! – ვუთხარი და ხატიას გადავხედე.

– ერთ ფუთ სიმინდად! – გაიმეორა ხატამ და გაიღიმა.

– ტყვილაა, სიმინდი რომ იშოვებოდეს. ჩვენ სოფელს ნაბელლავი ტყუილა კი არ ჰქვია? იყო წინათ სიმინდი, ბელელიც იყო, ახლა მართლა ნაბელლავი გახდა, – თქვა ბაბილომ და ჩექმის გახდა დაიწყო. კაკანომ ამასობაში შუა ოთახში დაბალი მაგიდა დადგა, პრასის წნილით, ჭყინტი ყველით და ცივი ჭადით გააწყო, მერე ერთი დოქი ღვინო მოიტანა და სუფრასთან მიგვიპატიჟა.

– მოდით, შვილებო, მოშიებუღი იქნებით, – პატიჟი აღარ დავიწყე. ხატიას ხელი მოვკიდე და მაგიდასთან დავსვი. ბაბილო თვალს არ აცილებდა ხატიას, კაკანოს ლოყაზე შემოედო ხელი და სინანულით თავს აქნევდა. ბაბილომ ღვინო დაგვისხა, თვითონაც შეივსო,

– ღმერთო, შენ გვიშველე, – თქვა და დალია. ხატიას ჭადი და ყველი გადმოვუღე და ჭიქა ჭიქაზე მივუჭახუნე, ხატამ ჭიქა აიღო.

– კარგად იყავით სულ! – თქვა მან, ჭიქა გამოცალა და გაიღიმა.

– ვინ ხართ, ბიძიებო, თქვენ? – გკითხა ბაბილომ და სასმენად მოემზადა.

– მე სოსო ვარ მამალაძე, აგი ხატიაა!

– რა ხართ ერთმანეთის?

– არაფერი!

– მეზობლები ვართ, მე და სოსოიე ერთ კლასში ვსწავლობთ, – თქვა ხატამ.

– შენ სწავლობ, ბიძია? – გაუკვირდა ბაბილოს.

– კი, სოსოიას დავეყვარ კლასში.

– დიდი ხანია თვალეები გტკივა, ბიძიკო? – ჰკითხა ბაბილომ ფრთხილად.

– არ მტკივა, ისე ვერ ვხედავ, თორემ სულ არ მტკივა.

– შვილო, შვილო! – თავი გადაიქნია კაკანომ, – სადაა ღმერთი, თორემ შენისთანა ანგელოზი მზეს და ღლის სინათლეს როგორ არ უნდა ხედავდეს! – ხატias თავი მკერდზე მიიზიდა და თმებზე აკოცა.

– მზეს კი ხედავს ხატია. ექიმმა თქვა, მზეს თუ ხედავს, მოვარჩენო, – ვუთხარი მე.

– მართლა, ბიძიკო? – ჰკითხა ბაბილომ და ღვინო დაასხა.

– კი, მართლა ვხედავ მზეს, ბათუმელმა ექიმმა უთხრა მამაჩემს, მზეს თუ ხედავს, დაეუბრუნებ სინათლესო. ომი რომ გათავდება, წამიყვანს მამა ბათუმში და ოპერაციას გამიკეთებენ, – თქვა ხატიამ და ჭამას შეუდგა.

– რა გქვია შენ, შვილო? – ჰკითხა კაკანომ.

– ხატია!

– მართლა ხატია ხარ, ღმერთმა სიკეთე მოგცეს, შვილო! – დალოცა კაკანომ.

– მადლობელი ვარ! – უთხრა ხატიამ.

– გავიმარჯვოს, შვილო... ექიმმა თუ თქვა, მოვარჩენს, აბა, რას იზამს, ასე ამ სიშორეზე როგორ გამოგიშვა დედაშენმა, არ შეეშინდა? – ჰკითხა ბაბილომ და ღვინო დალია.

– დედა არ მყავს და მამა სოსოიასთან ერთად ყველგან მიშვებს, – თქვა ხატიამ.

– გეტყობა, ძალიან გიყვარს შენი სოსოიე.

– მაგი ყველას უყვარს. – თქვა ხატიამ.

– ფეხით კი არ მომყავს, ვირზე მიზის! – ვთქვი მე.

– თუ სიმიინდი იშოვე, იქითობასაც ხომ ვერ შესვამ, ვერ ზიდავს ამდენს შენი ვირი, – გაიცინა ბაბილომ.

– ფეხით ვივლით ნელა, მე ფეხით სიარული მირჩევნია, – თქვა ხატიამ.

– აცალე, ბაბილო, ბაღებს ჭამა, რაა, შე კაცო, რომ დააყარე ამდენი კითხვები, – უსაყვედურა კაკანომ.

– ჭამეთ, ბიძიებო, ჭამეთ, მერე ვილაპარაკოთ, – მოგვიწია ჭადი და ყველი ბაბილომ და ისევ დაასხა ღვინო.

ნავახშმევს ისევ ბაბილომ დაიწყო ლაპარაკი:

– დამიტოვე, ბიძია, აგი ჩექმა, მაგრამ პატარა შეღავათი მომეცი.

– რამდენი შეღავათი მოგცე, ბაბილო ბიძია?

– უნამუსო არ გეგონო, კი ვიცი მე ამ ჩექმის ფასი, მაგრამ ჭირს ახლა ჭადი, კი იცი შენ მაგი, ჭადი რომ არ ჭირდეს, ამ ოქრო საქონელს არ გაყიდდი, ასე არაა, ხატია ბიძია?

– ასეა, ბაბილო ბიძია! – გაუცინა ხატიამ.

– ჰოდა, ერთ ბათმან სიმიინდს მოგცემ, სოსოია ბიძია.

– ცოტაა ერთი ბათმანი. ერთი ბათმანი სიმიინდი მარტო ვირის ქირა უნდა მივცე მანასეს, – ვთქვი და რატომღაც შემრცხვა.

– ასეთია ცხოვრება, თვალებს გაცეცებიებსო, შენი რომ არ დაგრჩება, სხვისას გასესხებიებსო, – გამიღექსა ბაბილომ.

ხმა არ გამიცია.

– კარგი აბა, ბიძია, ბათმანსხევრად მომცემ?

– ქურქსაც თუ იყიდი, კი, – გადავწყვიტე მე.

– ქურქს როგორ მომცემ? – მკითხა ბაბილომ და ისე გადახედა ქურქს, შევატყვე, თვალს სულიც გააყოლა.

– ორ ფუთად.

– აუ! – წამოიძახა ბაბილომ.

– მაგი ქურქი სოსოიეს მამისაა! – თქვა ხატიამ.

– მერე რამ გაახდევინა ტანზე აგი მამაშენს, ბიჭო? – მკითხა ბაბილომ და ქურქში მკლავი გაუყარა.

– არ გაუხდია!

– უხმარია?

– არა, ერთჯერ ეცვა, მეტად არა!

– ერთ ფუტს მოგცემ და ვიშიშშილებ ამ ზაფხულს, ჯანდაბას ჩემი თავი... – თქვა ბაბილომ. თავი ჩავლუნე, ვერ გადამეწყვიტა, მიმეცა თუ არა.

– მაგი ქურქი და ჩექმა სოსოიეს მამისაა, რომ არ უჭირდეს, სულ არ გაყიდის, ცოტაა ერთი ფუტი! არ ატანდა მამიდამისი და ძალით წამოიღო სოსოიამ, – ბაბილო რაღაცას მიხვდა და შემხვდა.

– ჯარში გყავს, ბიბიკო, მამა?

– არა.

– აბა, არ გყავს?

– არ ვიცი...

– დედა?

– არ ვიცი.

– მოიცა, ბიბია, მოიცა, დალაგებით მითხარი, რაშია საქმე.

– მაგის მამა და დედა ოცდაჩვიდმეტ წელში დააპატიმრეს, ახლა მამიდა ზრდის, ქეთო მასწავლებელი, – თქვა ხატიამ. ბაბილომ თავი დაიქნია. მერე ქურქი გაიხადა და ფრთხილად დადო ტახტზე.

– ოცდაჩვიდმეტ წელში, აბა? – თქვა მან დუმილის შემდეგ.

– კი, ოცდაჩვიდმეტ წელში.

– ღამე წაიყვანეს?

– კი, ღამე.

– ერთად?

– არა, ცალ-ცალკე.

– მერე?

– მერე არაფერი.

– არაფერი არ ისმის?

– არა!

– ვაი, დედამისს უბედურს! გახსოვს დედა და მამა, შვილო? – შევეცოდე კაკანოს.

– ლანდად მახსოვს. სულ ლანდად, დედა უფრო კარგად მახსოვს, – ვთქვი მე. მერე ქურქი ავიღე და დაკვეცე, – ჩვენ ხვალ დილით ადრე უნდა წავიდეთ, ბაბილო ბიბია, – ვცადე საუბრის თემის შეცვლა.

– კი, ბიბია, კი კაკანო, გაუხაზირე ამ ბაღებს სუთბათმანნახევარი სიმიინდი, – კაკანო უხმოდ გავიდა მეორე ოთახში და თან ჩემი ტომარა გაიტანა.

– ძნელია, ბიბიკო, ძნელი, – დაიწყო თავისთვის ბაბილომ, – ბევრი კაცი გაფუჭდა ოცდაჩვიდმეტში. ჩვენი სოფლიდანაც წეიყვანეს ორი კაცი იმ საშინელ დღეებში, გაბრიელა მეწისქვილე და იაკინთე კუნჭულია, მონგარიშედ მუშაობდა მაშინ კანტორაში. ღამე წაიყვანეს. დაიკარგნენ მერე... – ბაბილო დადუმდა. მეორე ოთახიდან ისმოდა სიმიინდის მარცვლის სასიამოვნო ჩხრიალი, ეტყობა, კაკანო წყავდა სიმიინდს.

– თოფს არ იყიდი, ბაბილო ბიბია? – ვკითხე უცებ.

– რა მითხარი, ბიბიკო? – ამომხვდა ბაბილომ.

– თოფი ხომ არ გინდა-მეთქი...

– თოფი? ჰო, თოფი, თოფი რად მინდა, ბიბია? ამ ომში შაშვი და ჩხართვი გაწყდა, ვის ვეხროლო? თუმც კი მინდა, ნადირმა იცის ჩამოვარდნა ზამთრობით სოფელში, თოფი ყოველთვის საჭიროა, ახლა მაინც. მაგაში რა მოგცეთ, ბიბიებო? – თქვა ბაბილომ, ცენტრალი აიღო, გადახსნა და ლულებში გახვდა. მე არაფერი ვთქვი, ხატიას მოვუჭირე ხელი ხელზე. ეს თოფი ხატიასი იყო და მას უნდა გადაეწყვიტა მისი ფასიც.

– კარგი საქონელია, – თქვა ბაბილომ და თოფი დაკეტა.

– ჰე, რამდენი გინდათ მაგ თოფში? – გკითხა ისევ ბაბილომ.
– არაფერი! – თქვა უცებ ხატამ. გაკვირვებისაგან პირი დავაღე.
– რავა, არ ყიდი? – ჰკითხა ბაბილომ ხატიას.
– არა, ბიძია, არ ვყიდი, ისე ტყუილად გაძღვევ, გაჩუქებ თუ არ დამიწუნებ, – უთხრა ხატამ და გაუცინა.

– ჩემი დასაწუნი რა ჭირს ამას, შენი ჭირიმე ბიძია, მაგრამ ტყუილა არ მინდა, გაგიჯავრდებიან შინ, – თქვა ბაბილომ, თოფი ააყუდა კედელზე და ხატიას თავზე გადაუსვა ხელი.

– აბა, ისე მე არ მინდა, არავინ არ გამიჯავრდება, ჩემია მაგი თოფი და მიჩუქნია, თუ დაიტოვებ, კარგია... – ხატამ წამწამები ააფახულა: – უთხარი, სოსოია, ჩემი რომაა აგი თოფი და არავინ რომ არ გამიჯავრდება, – მივხვდი, ერთი უარიც რომ ეთქვა ბაბილოს, ხატია ბავშვივით აბლავლდებოდა და ბაბილო ბიძიას მუდარის თვალით შევხედე.

– ხატიასია აგი თოფი და გაჩუქა, ბაბილო ბიძია, რომ არ დაიტოვო, ეწყინება ხატიას... – ვთქვი და ხატიას შევხედე, ხატამ თავი დაიქნია.

– კარგი, ბიძიო, მაღლობელი ვარ, შენ გაეზარდე შენს მამას, – თქვა ბაბილომ და ხატიას ლოყაზე აკოცა, – მოდი, ქალო კაკანო, სად დაიკარგე?.. – გასძახა მან ცოლს. – დაუგე აწი ამ ბაღებს ლოგინი და დააძინე, ნახე ერთი, ხატამ რა თოფი მარჩუქა. ამის ხათრით კი გავა კაცი ტყეში ფირალად.

კაკანო შემოვიდა. ბაბილომ თოფი გაუწოდა.

– გაწიე იქით, ყაძახო, არ გაგივარდეს... – აირიდა მან თოფი და ლოგინების დაგებას შეუდგა. ვიდრე კაკანო ლოგინებს დააგებდა, მე ისევ კედელზე ჩამოკიდებულ გაბრაზებულ ვაჟკაცს შევხედე და ისევ გამიკვირდა, რაში დასჭირდა ბაბილოს ერთი კაცის ორი სურათის ერთ ჩარჩოში ჩასმა.

– ბაბილო ბიძია, რა ქვია თქვენს შვილს? – ბაბილომ თავი ასწია და სურათს შეხედა ნაღვლიანი ღიმილით, – თქვენი შვილია, ალბათ.

– რომლის სახელი გაინტერესებს, ბიძია, შენ?

– დამცინი, ბაბილო ბიძია? – გავიკრიჭე მე.

ბაბილომ გაიღიმა, კევა მოიფხანა, მერე ჩიბუხი ამოიღო, დიდხანს ტენა ხელისგულზე მოფშვნილი თუთუნით, ჭრაქით მოუკიდა და ისევ სურათს გახედა ლურჯი კვამლიდან.

– ოცი წელიწადი მე თვითონ ვეკითხებოდი, სოსოია ბიძია, რომელს რომელი სახელი გქვიათ-მეთქი, ოცი წელიწადი ორივეს ცემდა დედამისი ერთის ეშმაკობისათვის, არ მოვტყუვდეო.

– გაუხმა დედათქვენს ხელები, შვილებო! – ამოიოხრა კაკანომ.

– ათი წელიწადი სისხლი უშრეს მასწავლებლებს ამ ციგნებმა, ორი მასწავლებელი ცდიდა კლასის სხვადასხვა კუთხეში, ათწლედს რომ ამთავრებდნენ, ერთმა ხუთი მიიღო და მეორემ სამი. ატესტატების შევსების დროს მაინც შეეშალათ. მე და დედამისი ვარჩევდით მარტო, ისიც იმით, რომ ბარძაყზე ტყლიპიანი ნასია უნდა ყოფილიყო და უტყლიპო ბათუა, მაგრამ კლასში შარვალს ხომ არ ჩახდიდნენ? ოცდაშვიდი წუთით უფროსია ნასია ბათუაზე, ორივე ერთ დღეს წაიყვანეს ომში, ბიძიებო, აგი სურათი ომიდან გამომიგზავნეს პირველ თვეს, გავადიდებე; მერე დაიკარგნენ და დაგვლუპეს მე და აგი დედაბერი...

– ღმერთო, შენ გადააშენე ჩვენი დამღუპველი უშვილოდ და უძიროდ, როგორ მიდგას სული ამათ დედას, არ გიკვირთ? – თქვა კაკანომ და თავსახვევის ყურით ცრემლი მოიწმინდა.

– სოსოია, მაინც რომელი რომელია? – მკითხა ხატამ.

– ერთია ორივე, ხატია!

– ლამაზია?

– კი, ცოტა გაბრაზებულს გადაუღია სურათი.

– შვილო, შვილო, ვინ იცის, როგორ უჭირდათ მაშინ, ვაი დელათქვენს, ახლა სად ხართ. გშიათ ეგება, გწყურიათ, გტკივათ ეგება რამე, სასიკვდილე დელათქვენი კი კიდევაც ჭამს, კიდევაც სვამს და ქვა რომ ურტყა თავში, მაინც არ კვდება, – ატირდა კაკანო.

– კარგი ახლა, ქალო! – გაუჯავრდა ბაბილო ცოლს. მერე მე მომიბრუნდა, – ასეა, ბიძებო, დიდიდან სალამომდე, სამი წელია, არ გაუთავდა ცრემლი ამ ჩემი ცოდვით სავსეს, მეც მკლავს და თავსაც იკლავს.

– ვაიმე, შვილებო, დელათქვენის ხელი თუ გაკლიათ ახლა, ერთი გადამავლება თქვენზე თვალი და დამიკრიფა მერე გულზე ხელი, – ისევ განაგრძო კაკანომ. – ვაითუ, ტყვიამ წავაქციათ სადმე, ჩემო ჯმუხო ბიჭებო... – ტიროდა იგი სახეზე ხელაფარებული.

– კაკანო ბიცოლა, მასე იყო ჩვენს სოფელში მეზობელი სამი წელი დაკარგული და გამოჩნდა, გუშინწინ გამოჩნდა სწორედ... ჩვენ რომ წამოვედით, იმის წინა დღეს... – თქვა უცებ ხატიამ.

– ბედნიერი დედამისი, რაო, რას იწერება?... – თქვა კაკანომ და თავი ასწია.

– იწერება კი არა, თვითონ ჩამოვიდა, კაკანო ბიცოლა...

– ვისზე ამბობ, ხატია? – ვკითხე გაკვირვებულმა.

– ვისზე და იაკინთე ჯაბუას ბიჭზე, არ გახსოვს, ბიჭო? – თქვა ხატიამ.

– რაო, შვილო, მერე, შენ თუ ელაპარაკე? – დაინტერესდა ბაბილო.

– რაო და, ცუდათაა ჰიტლერის საქმეო... – დაიწყო ხატიამ, – ძალიან ცუდათ არისო. ჩვენებს რაღაც იარაღი გამოუგონებიათ, ქალის სახელი აქვს „კატუშა“, წვავს თურმე ყველაფერს.

– მაგი მეც გავიგე, მერე, მერე... – აწრიალდა ადგილზე ბაბილო.

– მერე, მოყვი სოსოია, შენ იქ არ იყავი? არ გახსოვს?... – წამკრა მუჯღუგუნე ხატიამ. რა უნდა მეთქვა, ვიჯექი პირდაღებული და არ ვიცოდი, რა უნდოდა ხატიას. არაფერი არ მახსოვდა, მახსოვდა მარტო ის, რომ ამ ერთ თვეში ჩვენს სოფელში არავინ დაბრუნებულა და გუშინწინ სწორედ იაკინთე ჯაბუას ბიჭის დაღუპვის ცნობა მოვიდა.

– თქვი, ბიძია, თუ რამე იცი, შენ განარებას! – ახლა მე მომიბრუნდა ბაბილო და სმენად იქცა.

– წვავსო ყველაფერსო... – დავიწყე მე, – ახლა ჩვენი თვითმფრინავები ბერლინს ბომბავენო... მალე მეორე ფრონტი გაიხსნებაო...

– როდისო, იმ მაშაცხონებულმა!.. – წაუვიდა სული ბაბილოს.

– ძალო! – ჩამომართვა სიტყვა ხატიამ. – ახლა ჩვენს ჯარს არაფერი აკლიაო, კარგად აცვიაო, კარგად ახურავსო, ისეა მოწყობილიო სანგრები, ათასში ერთი კაცი თუ დაიჭრება, სიკვდილით იშვიათად ვინმე მოკვდესო. გარბიან და გარბიან გერმანელებიო... – თქვა სულმოუთქმელად ხატიამ.

– უბედური დელათქვენი, შვილებო, თუ მიაწიეთ ამ დრომდე ნეტავი?... – თქვა კაკანომ და სურათს შეხედა.

– წერილები რომ არ მოდის, შვილო? – იკითხა ბაბილომ.

– წერილების საწერად ვის სცალია ახლა, ბაბილო ბიძია?

– მანამდე თუ დამენგრა, შვილო, ოჯახი? ადრე თუ დავიღუპე, მაშინ რა წყალში ჩავვარდე? – თქვა ბაბილომ და ხელი ჩაიქნია უიმედოდ.

– თქვი, სოსოია, კიდე რა თქვა ვაჟიკომ, არ გახსოვს?

– რაო, ხატია, რა თქვა? – ვკითხე ვედრებით.

– რაო და, ქვეყნის ქართველები იყვნენ ჩემთანო, მგონი ისიც თქვა, ძმები იყვნენო... – ხატიამ ნერწყვი გადაყლაპა. ხახა გამიშრა, ბაბილოს ჩიბუხი აუკანკალდა ხელში, კაკანომ კი დაიჩოქა ხატიას წინ და პირში მიაჩერდა. ხატია ერთხანს დუმდა, კაკანომ კალთაზე დაქანა, განაგრძეო, ხატია ადგა.

– ძმები იყვნენო, ხომ, სოსოია? ძმებიო... ვაშლი რომ გაგია შუაში, ისე გავდნენო ერთმანეთს... – ხატია ისევ გაჩუმდა.

– მერე? – თქვა ჩურჩულით კაკანომ.

– მერე, კარგად იყვნენო, ორდენები ჰქონდათ ბევრიო, ყველას გვიყვარდაო.

– ტყუპები იყვნენო? – იკითხა ხმის კანკალით ბაბილომ. ხატიათ თავი დაუქნია.

– გვარი? – ამოიკვნესა კაკანომ.

– გვარი არ მიკითხია! – თქვა ხატიათ წყნარად.

– სახელები?

– თქვა და არ მახსოვს, შენ არ გახსოვს, სოსოია?.. – ხატიას ხმა ჩაუწყდა.

– არ მახსოვს, ხატია!

– ცოცხლები თუ არიანო? – იკითხა კაკანომ.

– იმათ რა მოკლავდა, ტყვია არ ეკარებოდათო! – თქვა ხატიათ და დაჯდა.

– წამოვალ შენთან ერთად, შვილო, შემახვედრე ის კაცი! – თხოვა კაკანომ ხატიას და მისი ხელები გულში ჩაიხუტა.

– სოსო, ერთი დღით იყო ჩამოსული, ხომ? – მკითხა ხატიათ ღუმილის შემდეგ.

– ერთი დღით, ხატია! – ძლივს ამოვიღე ხმა.

– წასული იქნება, აბა? – დაიკვნესა კაკანომ. ხატიათ თავი დაუქნია.

– რა ვქნა ახლა მე? – თქვა კაკანომ და მე შემომხედა.

– კიდევ ჩამოვალო, ასე თქვა, მალე ჩამოვალო.

– რომ არ ჩამოვიდეს?

– წერილს მივწერ და გავიგებ ყველაფერს, კაკანო ბიცოლა! – ვუთხარი და სახე ავარიდე.

– მეცი პატივი, შვილო, ღმერთი გადაგიხდის სამაგიეროს, – შემევედრა კაკანო.

– კი, ბიცოლა!

– ღმერთო, ცოცხლები მყავს, აბა, ჩემი ბიჭები? ღვთისმშობელო, შენი სახელის ჭირიმე. ძმები იყვნენო?.. გავდნენ ერთმანეთს ძალიანო?.. ბევრი ტყუპია ქვეყანაზე, მამაო ზეციერო, და ყველას უცოცხლე, მაგრამ ეს ორი ჩემი ნასიე და ბათუე ჰქენი, – ალაპყრო ხელები კაკანომ. მთელი ამ ხნის განმავლობაში ბაბილო ხმას არ იღებდა. და მე მეშინოდა, რომ ახლა წამოდგებოდა, ხელს წაგვაკლებდა და ქუჩაში გაგვყრიდა ამ ორ უსინდისო მატყუარას, მაგრამ იგი იჯდა საოცრად მშვიდი, გაღიმებული... თვალს არ აცილებდა ხატიას, ხელები ოდნავ უთრთოდა და მარჯვენა წარბი უთამაშებდა. ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მარტო კაკანოს ჩურჩული ისმოდა, წყნარი, ძალზე წყნარი. ალბათ, ღმერთს სთხოვდა რაღაცას, ხოლო კედლიდან ისევ მიყურებდა ორი გაბრაზებული ვაჟკაცის ორი სურათი, ერთ ჩარჩოში ჩასმული.

– ღმერთო, ამ ღვთისნიერი ბავშვის მეტი დასაჩაგრავი ვერავინ ნახე? – თქვა ბოლოს ბაბილომ. მერე ადგა, კაკანოს ხელი მოჰკიდა და გაიყვანა.

– დაიძინეთ ახლა, ბიძიებო, ტკბილი ძილი მოგცეთ უფალმა ჩვენი გულის განზარებისათვის, – მერე ისევ გაიღიმა და კარი გაიხურა.

არც მე და არც ხატიას არ გვეძინებოდა, ხატიათ მთხოვა, ეზოში ჩამიყვანეო. ჩავეყვანე, კაკლის ძირში დავსვი და თავი კალთაში ჩაუღდე. ივნისის თბილი, ძალიან თბილი საღამო იყო. ცა ისე იყო ვარსკვლავებით მოჭედილი, დათვლა არ მოგინდებოდა. ისმოდა ჭრიჭინების გაუთავებელი ჭრიჭინი, მდინარის მხუილი, ბაყაყების ყიყინი და ზედმიწევნით ერთგული, პატიოსანი ძაღლების ყეფა. ჩემს სოფელშიც ზუსტად ასეთი ღამეა ახლა, ასეთივე ჭრიჭინები, ბაყაყები, ძაღლები, ცა, მთვარე და ვარსკვლავები. მამიდაც ზის, ალბათ, ახლა ხის ძირში, უყურებს ამ ცას და ფიქრობს ზუსტად იმას, რასაც მე. რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს, მაშინ ჩვენ, ვინც ცას უყურებთ, დავინახავდით ერთმანეთს. მე დავინახავდი მამიდას, დავინახავდი ჩემს სოფელს, მთელ ქვეყანას დავინახავდი. რამდენ უცნობ კაცს და ჩემს ტოლს

დავინახავდი, რამდენი ნაცნობი მეყოლებოდა... მთელ მსოფლიოს გავიცნობდი და მთელი მსოფლიო გამიცნობდა. რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს. ვნახავდი ქვეყნებს, ამოვირჩევიდი ყველაზე კარგ ქვეყანას, ყველაზე კარგ ხალხს და წავიდოდი, ვიმოგზაურებდი, ვნახავდი, სად არის ომი, სად სიმშვიდეა; სადაც სიმშვიდეა, ალბათ, ყველას იქ მოუნდებოდა წასვლა, ცა რომ სარკე იყოს... თუმცა, ცა რომ სარკე იყოს, მაშინ ჩვენ ყველანი დავინახავდით ერთმანეთს, ვნახავდით, რომ არა ვართ ისე ცუდები, ჩვენ რომ გვგონია, არაფერი არ გვაქვს საჩხუბარი და ომები აღარ იქნებოდა... ცა რომ სარკე იყოს, დავინახავდით, ვის უჭირს ამ ქვეყანაზე, ვის ულხინს, მერე დალხინებულები წავიდოდნენ გაჭირვებულებთან და მიეხმარებოდნენ... რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს...

- სოსოია, რას ფიქრობ? - მკითხა ხატია.
- მაგი, ჩემო ხატია, შენ კი არა, მე ვერ გავიგე...
- მაინც, რაზე ფიქრობ, სოსოია?
- ცაზე ვფიქრობ!
- ცაზე რას ფიქრობ?
- ცა რომ სარკე იყოს-მეთქი, ვფიქრობ.
- რად გინდა, ცა რომ სარკე იყოს?
- აგერ თვალში ჩამივარდა რაღაცა და ამოვიღებდი.
- თქვი, სოსოია, რად გინდა?
- ეჰ, ხატია, რომ იცოდე, რა კარგი იქნებოდა, ცა რომ სარკე იყოს... - ვუთხარი და ისევ ცას დაგუწყე ცქერა. ხატია გაჩუმდა.
- თბილი ღამეა ხომ, სოსოია? - მკითხა ცოტა ხნის შემდეგ.
- რა იყო, გოგო, იმხელა ტყუილი რომ თქვი, სად წავსულიყავი, არ ვიცოდი!
- ტყუილი არ მითქვამს მე, - თქვა ხატია და ჩემი თავი კალთაში გაისწორა.
- აბა, მართალი იყო, რაც შენ იბუუტურე? მეც რომ ჩამაცივდი, გაიხსენე, გაიხსენეო.
- არ გახსოვს, ბიჭო, შენ, თორემ ყველაფერი მართალი ვთქვი.
- ხატია, ან შენ ხარ შტერი, ან მე გგონივარ შტერი... შენ გგონია, დაგიჯერა ბაბილომ?
- სოსოია, რომ მეთქვა ბაბილოსათვის, შენი ბიჭები დაილუნენ-მეთქი, თუ დამიჯერებდა?
- მკითხა უცებ ხატია.
- მაგას რატომ დაგიჯერებდა, გოგო?
- რატომ არ დამიჯერებდა?
- იმიტომ, რომ ტყუილია!
- აბა, რომ ვუთხარი, ცოცხლებია-მეთქი, იმას დამიჯერებდა?
- მაგიც ხომ ტყუილია?
- ორივე ტყუილი არ შეიძლება, სოსოია, ან ერთია ტყუილი, ან მეორეა მართალი. ან ცოცხლებია ის ბიჭები, ან მკვდრები, მკვდრები რომაა, მაგი არ ჯერათ ბაბილოს და კაკანოს, მაშინ ის უნდა დაიჯერონ, რომ ცოცხლებია.
- თუ მკვდრებია?
- მე არ მითქვამს, თქვენი შვილები იყვნენ ისინი-მეთქი და ეგონოთ თავისი შვილები, ცუდია მაგი?
- ცუდი რატომაა?
- აბა, რა გინდა, სოსოია?
- არაფერი, ხატია, არაფერი...
- ეგონოთ ბაბილოს და კაკანოს, რომ მათი შვილები ცოცხლები არიან, რაა ცუდი ამაში? არაფერი. მერე რა, რომ ტყუილია, იქნებ მართალია? თუ მართალია, მაშინ ხომ არის კარგი? კარგია, ამაშია საქმე. ყველა მართალია კარგი? ყველა მართალი როგორ იქნება კარგი? ყველა ტყუილია ცუდი? ყველა ტყუილი რატომაა ცუდი? აბა, ხომ ჯობია ცუდ მართალს კარგი ტყუილი? ჯობია, ამაშია საქმე.

– რას ფიქრობ სოსოია? – ისევ მკითხა ხატიაძე.

– რას, ჩემო ხატია, და ხვალ რომ ჩავალთ შინ და მთვარისხელა ჭადს რომ გამოაცხობს მამიდაჩემი და რომ დავაცხრები ზედ... ამას ვფიქრობ.

– რა ფერისაა ცა, სოსოია?

– ლურჯია ცა, ხატია!

– ლურჯი თვითონ რა ფერია?.. – მკითხა ხატიაძე. დავფიქრდი.

– ლურჯი რა ფერია, ხატია, და ცისფერია... – ავუსხენი ბოლოს.

– ცისფერი ლამაზია?

– ძალიან ლამაზია, „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“, – ხომ გახსოვს?

– ლამაზი როგორია, სოსოია? – არ მომეშვა ხატია.

– ლამაზი? – მე წამოვჯექი და ხატიას დავაცქერდი სახეზე.

– ლამაზია, ხატია, დიდრონი წყლიანი ცისფერი თვლები, შავი წამწამები... – მე ფრთხილად გადავუსვი ხატიას თვალებზე ხელი, ხატიაძე გაიღიმა, – შავი წარბები, – განვავრძე მე, – წაბლისფერი თმა, სწორი, პატარა ცხვირი, გაბუტული სქელი ტუჩები, თეთრი კბილები, მრგვალი ნიკაბი, პატარა ყურები, მაღალი ყელი – აი, ასეთი, შენ რომ ხარ, ეს არის ლამაზი, გეყურება, ხატია? – დავამთავრე და მხრებზე ხელები დავაწყვე.

– ესე იგი, მე ვარ ლურჯი და ცისფერი?...

უიმედოდ ამოვიოხრე.

– შენ როგორი ხარ, სოსოია? – მკითხა ისევ ხატიაძე.

– მე მაიმუნი ვარ.

– მაიმუნი როგორია?

– მე რომ ვარ, ზუსტად ისეთი.

ხატიაძე ხელებით ჩემი სახე მოძებნა.

– თმა რა ფერის გაქვს, სოსოია?

– შავი.

– თვალები შენც დიდი გაქვს და წამწამებიც. შენი თვალები რა ფერისაა, სოსოია?

– თაფლისფერი.

– ცხვირი სწორი გაქვს და პატარა, ყურებიც პატარა, ნიკაბი მრგვალი, ტუჩები სქელი. კბილები?

– კბილები ყველას თეთრი გვაქვს, ხატია.

– შენ ლამაზი ხარ ხომ, სოსოია?

– კიდევ კარგი, რომ ვერ მხედავ, ხატია!

– შენ კი გხედავ, სოსოია, შენ გხედავ, მზეს ვხედავ და მეტს ვერაფერს... – თქვა ხატიაძე და ხელები ჩამოუშვა. მხრებზე ხელი მოვხვიე და ჩემკენ მოვიზიდე, ხატია მორჩილად მომყვა, იგი ოდნავ თრთოდა, მისი თავი კალთაზე დავისვენე, დავინარე და თვალებში ვაკოცე, მერე ტუჩებში, მერე ყელზე, მერე ისევ ტუჩებში და ასე დავრჩით დიდხანს, დიდხანს. თავი რომ ავიღე, ხატია ტიროდა და იღიმებოდა.

– ხატია!

– სუ, სოსოია, სუ!.. – თქვა ჩურჩულთ ხატიაძე. მის ფეხებთან დავწექი გულაღმა და ცას ავხედე. ხატია ჩემკენ დაინარა. გულზე ყური დამადო და გაინაბა. იგი, ალბათ, ჩემს გულისცემას უგდებდა ყურს. მე კი მისი ლოყის სითბო მეღვრებოდა სხეულში, ისე, როგორც მამინ, სუფსის პირას, მისი ხელების სითბო. ცა იყო ლურჯი, ლურჯი და ძალიან ჰგავდა ხატიას თვალებს, მესმოდა მდინარის შხუილი, ჭრიჭინების ჭრიჭინი, ძაღლების ყეფა, მესმოდა ყველაფერი და ვერაფერს ვხედავდი, ვარსკვლავებით მოჭედოდა ცისა და ხატიას გარდა. ხატია მხოლოდ მზესა და მე მხედავდა. ცაც გვხედავდა, ალბათ, მე და ხატიას.

* * *

თვალი რომ გავახილე, ოთახში მკრთალი შუქი შემოდიოდა. ფანჯარაში გავიხედე, თენდებოდა. ლოგინიდან წამოვდექი, ჩაიცვი და ხატის საწოლთან მივედი ფრთხილად. ხატის ორთავე ხელი ლოყის ქვეშ ამოვღო, ტუჩები ოდნავ გაპობოდა და მშვიდად ეძინა. მკლავზე ხელით შევეხე და ოდნავ შევაქანე.

– ხატია! – ხატია შეიმშუმნა.

– ხატია!

– რა იყო, სოსო? – მკითხა და ლოგინზე წამოჯდა.

– წასასვლელი ვართ, ადექი.

– რა დროა ახლა, სოსოია?

– თენდება, ხატია, სადაცაა მზე ამოვა, ადექი, ჩაიცვი, მე წავალ, ვირს კენს დავადგამ მანამდე.

– კარგი!

ეზოში ჩავედი, ვირი ბალახს წიწკნიდა და ყურებს აპარტყუნებდა. ნაღის ძირში მორზე დადებული კენი ავიღე, ვირს ზურგზე გადავამხე და მოსართავეები მოვუჭირე. მერე ავირბინე და ოთახში შევედი. ხატია ჩაცმული დამხვდა.

– წამოდი, ხატია!

– რას ჩურჩულებ, ბიჭო? – მკითხა გაკვირვებულმა ხატამ.

– რას და ძინავთ ბაბილოს და კაკანოს.

– ასე ადრეა?

– ხო.

– გავიპართ აბა, არ დავემშვიდობოთ?

– ნუ შევაწუხებთ ახლა, წამოდი, – ხატია გარეთ გამოვიყვანე.

– სირცხვილია, სოსოია!

– არაა სირცხვილი, წამოდი, ის უფრო სირცხვილია, რომ გავალვიდოთ, – ეზოში ჩავედი, მერე დავბრუნდი, ტომრები ჩამოვარბენინე ოთახიდან, ერთმანეთზე გადავაბი და ვირს გადაკვიდე გაჭირვებით.

– აბა, წავიდეთ! – ვთქვი და ხატის ხელი მოკვიდე.

– ჰაიბ, თქვე ჯიბგირებო, მიიპარებით? – მოგვესმა უცებ. აივანზე თმაგაბურძენული, წელზევით პერანგის ამარა ბაბილო ბიძია იდგა.

– მომჭერთ თავი? ასე უჭმელ-უსმელი მიდიხართ? რას იტყვის ხალხი, – თქვა ბაბილომ და თითით დაგვემუქრა.

– ბაბილო ბიძია, მაღლობელი ვართ თქვენი, მაგრამ ასე ადრე თუ არ წავედით, დაგვალამდება გზაში. – დავეჯღანე ბაბილოს.

– მაგი მართალია, ბიძიებო! – თქვა ბაბილომ და კეფა მოიფხანა.

– წავედით, აბა, ნახვამდის, ბაბილო ბიძია.

– მიდიხართ, აბა?

– კი მივდივართ, ბაბილო ბიძია, დიდი მაღლობელი ვართ თქვენი.

– მოიცადე, ბიძია, მოიცადე! – თქვა ბაბილომ და ისევ მოიფხანა კეფა. მერე ოთახში შებრუნდა და ცოტა ხანში გამოვიდა აივანზე. თვალები დამიბნელდა: ბაბილოს მკლავზე ქურქი ეკიდა, ხოლო ხელში ჩექმა ეჭირა. დინჯად ჩამოვიდა კიბეზე და ჩემს წინ დადგა. სიტყვის ამოღებას ვერ ვებდავდი, პირი გამშრალი მქონდა და სიკვდილივით მეშინოდა, უცებ ტირილი არ წამცდენოდა.

– ა, ბიძია, ავი ჩექმა! – თქვა და ჩექმა გამომიწოდა. ჩექმა ჩამოვართვი და როგორც იქნა ნერწყვი გადავყლაპე. ხატია გაშტერებული იდგა და თვალებს აფახუნებდა.

– ავი პალტო! – დააყოლა ბაბილომ და ქურქი კენზე გადაკიდა.

– აღარ გინდა, ბაბილო ბიძია? – ვკითხე ჩამწყდარი ხმით.

– აღარ მინდა, ბიძია! – თქვა ბაბილომ და თავზე ხელი დამადლო. – აღარ მინდა, ბიძია, არც ჩექმა მინდა, არც პალტო, თოფს კი დავიტოვებ, ნაჩუქარია, – თქვა და გაიღიმა.

– რატომ, ბაბილო ბიძია, ძვირია? – ვთქვი და შევატყვე, როგორ დამეღრიცა ქვედა ტუჩი.

– არა, ბიძია, ძვირი როგორაა, მაგრამ აღარ მინდა.

სხვა გზა აღარ მქონდა, შევტრიალდი და კეხიდან ტომრების ჩამოსხნა დავიწყე.

– რას შეები, ბიჭო? – შეეშინდა ბაბილოს. გაკვირვებულმა მოვხედე.

– რას შეები? – გამიმეორა კითხვა ბაბილომ.

– როგორ რას ვშვები, არ მინდაო, რომ თქვი?

– მერე, საპალნეს რაზე ხსნი ვირს?

– წაიღეთ სიძინდი უკან! – ვუთხარი მე.

– არა, ბიძიკო, არა, მომკალი ვილაცამ, მაგი რავა იფიქრე შენ? სიძინდს კი არ გართმევ უკან, ავი ჩექმა და პალტო წაიღე უკან, თორემ სიძინდი რა შავ ქვად მინდა, მაგას ისე გაძლევი, – მითხრა ბაბილომ და თმები მომქანა, – უყურე შენ, კაცო, რა იფიქრა?.. – იმეორებდა და ხელს არ მიშვებდა.

– ბაბილო ბიძია...

– რა იყო, ბიძიკო?

– ბაბილო ბიძია... არ მინდა, აბა, სიძინდი... მე... მე... მათხოვარი კი არ ვარ!.. – ამოვლეჭე ძლივს და შევატყვე, როგორ მომაწვა სისხლი სახეზე და როგორ გაეწითლდი. ბაბილომ ცივად გამიშვა ხელი.

– რაო, რა მითხარი? – მკითხა მან. თავი ჩავლუნე.

– არა, რაო, რა მითხარი? – არ მეშვებოდა ბაბილო, უცებ აფეთქდა. – ჰაიტ, შე მამაძაღლო, ვის გაუბედე მაგის თქმა, ვინ გასწავლა უფროსებთან მასე ლაპარაკი? მათხოვარიო? მათხოვარი ვიყავი მე, თოფი რომ გამოგართვი? რას ჰქვია მათხოვარი? რალაც ორი კაკალი სიძინდი მისცეს კაცმა კაცს, მათხოვრობაა მაგი? არ გცოდნია შენ, რაა მათხოვარი... გაიგონე, ხატია, რა ამოუვიდა პირიდან? მათხოვარი არ ვარო, გეყურება? – მე თავი ვეღარ შევიკავე და ყელში მომდგარ ცრემლს გზა მივეცი. ავტირდი გალახული ბავშვივით ამხელა მუტრუკი.

– არა, ბიძია, არა, არ გრცხვენია, ბიჭო? – მომხვია ხელი ისევ ბაბილომ. – პატარას რომ წამოჩიტდები, მერე შენ თვითონ გამოეწყვე ამაში. მე შენ გეტყვი, არ დაგშვენდება. მერე მესტუმრე, თუ მშვიდობა იქნა, ჩემი ბიჭების ქორწილში, გეყურება? არ დამალაღატიანოთ შენ და ხატია. ახლა წადით... მე და ჩემს დედაბერს არ დაგვაფსებს სუთი ბათმანი სიძინდი, მაგიც რომ არ იყოს, სასიძინდე სავსე მაქვს, ათ წელიწადს ხელი რომ არ გავანძრიო, ათ ოჯახს შევინახავ. ჰაიტ, შე გლახა. სულ ერთია გაგვიფუჭდებოდა, მაგას დაპეპლავდა ერთ კვირაში და ტყუილა უნდა გადამეყარა წყალში... წადით ახლა, ბიძიებო... – თქვა ბაბილომ და ფრთხილად მომიშორა.

– ბაბილო ბიძია! – თქვა ხატია და ბაბილოსაკენ წამოვიდა.

– რა იყო, ხატია? – უპასუხა ბაბილომ და ხატიას შეეგება. ხატია ბაბილოს წინ დადგა, მერე ხელებით სახე მოუძებნა, ფეხის წვერებზე წამოიწია, თავისკენ დახარა და მაგრად, მაგრად აკოცა ლოყაზე. ხატიას ხელი მოვიკიდე და ჭიშკრისაკენ წავიყვანე. ვირი თავისით გავიდა ღია ჭიშკარში და გზას დაადგა.

– არ დამივიწყოთ, ბაბილო, თუ გექნებათ გზა აქეთ, შემომიარეთ და გამიმხნევეთ ავი დაყრუბული დედაკაცი, – თქვა ბაბილომ და ჭიშკარი დახურა.

– ნახვამდის, ბაბილო ბიძია!...

– ნახვამდის, ბიძიებო!...

ვიდრე თვალს არ მოვეფარეთ, ბაბილო ჭიშკართან იდგა და გვიყურებდა. უხმოლ მივდიოდით მე და ხატია შარაზე.

სოფელი თანდათან იღვიძებდა, საკვამურებიდან აქა-იქ უკვე ამოდიოდა თეთრი კვამლი, მამლები ფრთების დგაფუნითა და ხრინწიანი ხმით აღვიძებდნენ ძილგამტკბარ პატრონებს, წელში გაზნექილი ძაღლები ზმორებითა და წკავეწკავით უყეფდნენ შარაზე გულგრილად მობაკუნე ვირს, ჯიქანსავსე ძროხები ბლავილით უხმობდნენ დედაკაცებს. სოფლის შარაზე ჩვენთან ერთად ფეხდაფეხ მოაბიჯებდა ალიონი.

სოფლიდან რომ გავედით და სერზე გადავდექით, ხატიამ გამაჩერა.

– რა იყო, ხატია? – კკითხე მე. ხატიამ არაფერი მიპასუხა, იგი დიდხანს, დიდხანს უცქერდა აღმოსავლეთს.

სურების მთებიდან უზარმაზარი ყვითელი, ბაჯაღლო მზე ამოდიოდა.

zrdiloba

საით მიდინარ, ჩემი სოფლის ბილიკო, რომ უერთდები შარას და მიყვები ამ სუფსის პირს დაღმა; საით მიგყავს ჩემი სოფელი. მე პირველად გნახე შენ ცოცხალი, მოძრავი, ორმოცდაერთში, მაშინ შენ წახვედი და სად წაიყვანე ზღვა ხალხი, სად წაიყვანე ჩემი ხალხი, შარაგზაო. ომში? მერე და, სულ დაღმა ხომ არ მიდინარ, დალოცვილო, სადღაც ხომ თავდები და ბრუნდები უკან. ჰოდა, დამიბრუნე ჩემი ხალხი, შარაგზაო, დამიბრუნე მეზობლები, ყველაფერი. დამიბრუნე, რაც წაიღე და რაც წამართვი. ვიცი, მეც წამიყვან შენ ერთ მშვენიერ დღეს, წამიყვან დაღმა, მაგრამ არა დასაკარგავში, მე ისევ დავბრუნდები, თვითონ დამაბრუნებ ადრე თუ გვიან. არ მინდა ჩემი ამბავი სხვამ მოიტანოს ამ შარაგზით, მე მინდა, ჩემით დავბრუნდე და ვთქვა: ეს მე ვარ, ხალხო. მე მინდა, ასე თქვას ყველამ, ყველა თავისი ფეხით დაბრუნდეს, თუგინდ ყავარჯნებით, მაგრამ მაინც თავისით დაბრუნდეს და თქვას: ეს მე ვარ, ხალხო, ცუცას ქმარი, ვაჟიკო, ეს მე ვარ ლუკაიას კუკურა... გეყურება შენ, შარაგზაო? დამიბრუნე ყველა, ყველა, ვინც წამართვი ორმოცდაერთში, დამიბრუნე ყველა და ყველაფერი. დროა აწი, ორმოცდაოთხი წელია, შარაგზაო, ორმოცდაოთხი წელი!

* * *

ომიდან დაბრუნებულმა ზაქარია კიღურაძემ ცოლის შერთვაც მოასწრო, ბავშვიც გააჩინა და მოკავშირეთა საპატივცემულოდ რუხველტი დაარქვა თავის თავგასიებულ ბიჭს. დაიწყო ღამეების თევა, მეომრების გადაპატიჟება. ტყუილის და მართლის პირდაფრენილი ყურისგდება, გაუთავებელ ამბებში ჩართული, – ჩემი ბიჭი ხომ არ შეგხვედრია, ნენა?...

უკან ბრუნდებოდა ორმოცდაერთ წელში ამ ცუდად მოკირწყლული შარაგზით წასული ჩემი სოფელი. იგი ბრუნდებოდა ორდენებით მკერდდამშვენებული, დაჭრილი, დაგლეჯილი, სისხლდაკარგული, მაგრამ მაინც ძვალმაგარი, ღონიერი და ძლიერი. იგი ბრუნდებოდა ევროპის უსასრულო შარაგზებიდან ჩექმადამტკრეული, თითო-თითო, გაფანტული, იმავე ბილიკით, რომლითაც წავიდა ივნისის მცხუნვარე დღეს.

და ეს ბილიკი ახლა მორევში გადაგებული დიდი ბადის მოსაზიდ თოკს ჰკავდა, რომელსაც ფრთხილად და დაჟინებით ეწეოდა თავისკენ მიწაზე ფეხმომავრებული სიცოცხლე.

* * *

უკანასკნელი გაკვეთილი მამიდაჩემის იყო, მან დიდი ასობით დაგვიწერა დაფაზე საკონტროლო წერის თემა „კაციჭამია ჰიტლერის სახე სამამულო ომის პერიოდის საბჭოთა ლიტერატურაში“, – მერე მოგვიბრუნდა და გაგვაფრთხილა:

– ბავშვებო, დღეს საღამოს ყველანი მოხვალთ სკოლაში, ცენტრიდან ჩამოსულია ლექტორი და წავგიკითხავს ლექციას თემაზე „მორალის, ეთიკისა და ზრდილობის საკითხები“, გასაგებია?

– მარტო უზრდელები მოვიდნენ, მასწავლებლო, თუ ყველა? – კკითხე მე.

– ყველა! – თქვა მამიდამ და წიგნი გაშალა. ჩვენ წერას შევუდექით.

რაღაც ათიოდე წუთში გავავსე ორი ფურცელი ჰიტლერზე წაკითხული საღამოდავი ლექსებითა და მოთხრობებით, ნაწერი წინ დავუდე მამიდას, მერე მივედი, ხელი მოვკიდე ხატის და პირველები გავედით კლასიდან.

საღამოს მთელი სოფელი სკოლის ეზოში ირეოდა. იყო ყაყანი, ხითხითი, კამათი, ყვირილი და აურზაური. უეცრად ხალხი გაიპო. ეზოში მაღალი, ძალზე გამხდარი, ილღიაში ყვითელ პორტფელამოხრილი, თვალემოჭუტული, ყბებჩაცვენილი და ლერწამივით ოღნავ მოქანავე თბილისელი ლექტორი შემოვიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ქიშვარდის თანხლებით. რადგან კლასში ხალხი არ დაეტია, ტრიბუნა აივანზე გამართეს, მსმენელები კი ეზოში განლაგდნენ გრძელ სკამებზე. ჩვენ, ბავშვებმა, პირდაპირ კონდარზე მოვირთხეთ ფეხები და სმენად ვიქეციით.

ლექტორმა პორტფელი გახსნა, დიდხანს ქექა შიგ რაღაც, მერე, როგორც იქნა, მიაგნო, ამოიღო, წინ დაიდო და დაიწყო:

– ამხანაგებო! საზოგადოების განვითარების ისტორია დღემდე ითვლის ხუთ საზოგადოებრივ ფორმაციას, რომლებია ეს ფორმაციები? – გკითხა მან და გადმოგვხედა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ზრდილობის გულისთვის არ ვუპასუხეთ. – პირველი, – განაგრძო მან, – პირველყოფილი თემური წყობილება, მეორე – მონათმფლობელური წყობილება, მესამე – ფეოდალური, მეოთხე – კაპიტალისტური და...

– სოციალისტური! – შეემველა ვიღაც.

– სწორია! – დაეთანხმა ლექტორი და განაგრძო: – პირველყოფილი თემური წყობილების დროს, ესე იგი, უხსოვარი დროიდან...

– დავილუპეთ, სოსოია, ძალიან შორიდან დაიწყო, – წამწურჩულა ხატიამ.

– სუ, თქვე მამაძაღლებო! – გაგვაჩუმეს უკნიდან.

– უხსოვარი დროიდან ადამიანი, მოგეხსენებათ, დადიოდა შიშველი!

– მთლად შიშველი? – ჰკითხა ვიღაც ზურგს უკან მჯდომმა. ლექტორმა უხერხულად გაიღიმა.

– ლელვის ფოთოლი ჰქონდა აფარებული! – განუმარტა მეზობელმა შემკითხველს.

– თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ ასე, რამიც დედამ შობა... – თქვა ლექტორმა.

– გალაქტიონეს ბაღნები ახლაც მასე დადიან!... – თქვა გერასიმე ბიძიამ.

– შემდეგ ადამიანის ინტელექტუალური განვითარების დროს პროცესებმა, გეოგრაფიულ გარემოსთან შეთანხმებით, შექმნა სამოსი.

– მაგი რაღაც ვერ გავიგე! – თქვა ასალო გუდავაძემ.

– რა ვერ გაიგე, შე უპატრონო, შეცივლა კაცს და ჩაიცვაო! – აუხსნა ბეგლარა მეწისქვილემ.

– კი მაგრამ როგორ, მაგალითად, რომელი ადრე გაჩნდა – შარვალი თუ ხალათი? – იკითხა ასალო გუდავაძემ.

– მე მგონი, ნიფხავი და პერანგი.

– რატომ, მაგალითად?

– იმიტომ, რომ ნიფხავ-პერანგი შარვალ-ხალათის ქვეშ გვაცვია. ხომ არ შეიძლება, ჯერ შარვალ-ხალათი ჩაიცვა და მერე ნიფხავ-პერანგი?

- მაგი მართალია, მაგრამ რამდენია, უნიფხო და უპერანგოდ რომ დაიარება ამ ქვეყანაზე?
- დაიარება და უზრდელია! – გაუჯავრდა ბეგლარა ასალოს.
- უზრდელი თუ უნიფხავ-პერანგო?
- მაგი კიდევ საკითხავია!
- კაცო, აცალეთ ამ კაცს, გაგვაგებინოს, ამ გაგანია ომში და უჭადლობაში ასეთი ლექცია განსაკუთრებით გვჭირდება, თორემ სულ წავედით ხელიდან, – სთხოვა კირილე ჯაბუამ ასალოს და ბეგლარას.
- ჰიტლერს რომ დღე და ღამე დედას ვაგინებ, მაგი საკითხი როგორ დგას მეცნიერებაში, უზრდელიობად ხომ არ ჩამომართმევენ? – არ მოეშვა ლექტორს ასალო გუდავაძე.
- ხმამაღლა გინება საერთოდ არ ვარგა, მით უმეტეს, ქალებს თუ ეყურება. რას იტყვით თქვენ, ქალებო? – ჰკითხა ბეგლარამ დამსწრე ქალებს.
- გახმა თქვენი ენა! – თქვა შავმა მაშიკომ.
- გულში გინება შეიძლება? – იკითხა მაკარიამ.
- გაჩერდით, ხალხო, სირცხვილია! – თქვა ვილაცამ.
- ვერაფრით ვერ გავიგე, რომელია სირცხვილი, რომელია ზრდილობა... – გამალა ხელები ასალომ.
- გაუგებარი რაა, მეგობრებო? – გაუკვირდა ლექტორს. – მოხდა ეთიკური და მორალური რევოლუცია! აგნოსტიციზმი რაფინირებულ ასპექტში...
- რა გინდა, ბიძიკო შენ, ვერ გვეტყვი?... – ჰკითხა გამშრალ ლექტორს გერასიმემ. ლექტორმა უბის ჯიბიდან სუფრისხელა ცხვირსახოცი ამოიღო და ქიშვარდი თავმჯდომარეს შეხედა საწყალი თვალებით. ქიშვარდამ წყალი დაუსხა და ჩვენ მოგვმართა:
- ასე არ შეიძლება, ხალხო, ნუ დააბნევთ კაცს, ავიც ადამიანია!
- ლექტორმა წყალი მოსვა და ისევ დაიწყო:
- ამხანაგებო, უბრალო ენით რომ გითხრათ... – და იგი დაწვრილებით მოგვიყვა, როგორ გაჩნდა ზრდილობა ამ ქვეყანაზე, როგორ წამოაგდო გამოქვაბულში ქვის სკამზე გამოჭიმული შვილი მამამ, როგორ გააგდო კისრისტეხით გარეთ და როგორ დაჯდა მის ადგილზე, მერე როგორ მიეჩვივნენ ბავშვები უფროსებისათვის ადგილის დათმობას და როგორ გახდნენ ზრდილობიანები, მერე როგორ იცვლებოდა ფორმაციები, როგორ უზრდელდებოდა ადამიანი, მერე როგორ მოხდა რევოლუცია. ბოლოს ლექტორი ზრდილობის ელემენტარულ ნორმებზე გადავიდა.
- ზრდილობის, მორალის და ეთიკის ცოდნა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჭირდება ადამიანს. რა არის ზრდილობა? – დასვა კითხვა ლექტორმა.
- ბოდიში, მარა, მორალი რა არი? – იკითხა ვილაცამ.
- ადამიანი არსებობს მორალური და ამორალური.
- მაგი როგორაა, კაციც შეიძლება იყოს და ქალიც, თუ მართო კაცი?
- რატომ, რატომ, ქალებიც გვხვდებიან!
- მაგი რაღაცა მორალია, დედის მუცლიდან დაყვება კაცს თუ მერე უნდა შეიძინოს?
- ახლავე მოგახსენებთ: მორალი, როგორც ასეთი, არ განსლავთ თანდაყოლილი თვისება.
- ზრდილობა?
- ზრდილობაც!
- ეთიკა?
- ეთიკაც!
- გამოდის, რომ აგი უპატრონო და საწყალი ადამიანი მთლად უზრდელი იბადება ამ ქვეყანაზე, – შეეცოდა ადამიანი მაკარიას.
- დაახლოებით ასეა, – გაიღიმა ლექტორმა.
- მერე, სად უნდა ისწავლო მაგი? – დაინტერესდა მაკარია.
- ამას ცხოვრების დიდი გამოცდილება ასწავლის კაცს.

- მოხუცებმა რა ვქნათ? – იკითხა ასალომ.
- მოხუცებისათვისაა ლექცია, შე უჯიშო, ვერ ხედავ? – უპასუხა ბეგლარამ.
- ეს მორალი მაინც ვერ გავიგე რაა! – თქვა ისევ მაკარიამ.
- მორალი – ეს უფრო ადამიანის პატიოსნების სფეროში შემავალი ატრიბუტია.
- ესე იგი, მაგი უფრო ზრდილობა და პატიოსნება რომ არა აქვს კაცს, იმაზეა ნათქვამი?
- დაახლოებით ასეა!
- ახლა იგი მითხარი, მამა თუ უზრდელი ყავს ბალანას და დედაც უზრდელი, ან პირიქით, თვითონაა უზრდელი, რა ეშველება მასეთ ოჯახს?
- ახლავე, ბატონო, მაგალითად, ის ფაქტი, რომ ჩანგალი თევზის მარცხნივ უნდა იდევს და დანა მარჯვნივ, პირმშოს დედის საშოდან არ დაყვება, მაგრამ შემდგომი პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ინტენსიური ჩატარების შედეგად შეიძლება, ეს ელემენტარული ამბავი ავითვისებინოთ ბავშვს.
- უზრდელობად ნუ ჩამომართმევთ და, ერთი შეკითხვა თუ შეიძლება? – აწია ხელი მაკარიამ.
- ბრძანეთ, ბატონო! – დართო ნება ლექტორმა.
- თქვენ რომ ბრძანებთ, ჭამის დროს ჩანგალი მარცხნივ უნდა იდოს და დანა მარჯვნივო, მე დღეს ხელით ვჭამე საჭმელი და ჩემი საქმე როგორ იქნება?
- ხელი თუ დაიბანე? – დაუძახა ვილაცამ.
- კი!
- საპნით?
- საპნით, რავა ცოლს კი არ ვთხოულობდი! – გაეცინა მაკარიას.
- დაჯექი აბა, უზრდელი ხარ! – მაკარია დაჯდა.
- დაცხიკება თუ შეიძლება საზოგადოებაში, ბატონო? – არ აცალა ვილაცამ ლექტორს წინა კითხვაზე პასუხის გაცემა.
- ცხვირს თუ დააცემინებთ საზოგადოებაში, ბოდიში უნდა მოიხადოთ, – დაარიგა ლექტორმა.
- კი მაგრამ, სიცოცხლე და ხეირიო, ასე არ ეუბნებიან?
- თხის კუდიო, ასეც კი ეუბნებიან, შე კაცო, – გაახსენეს შემკითხველს.
- სიმთვრალეში დასლოკინება თუ შეიძლება, ბატონო? – იკითხა ისევ მაკარიამ.
- ლექტორმა შეატყო, ხალხი მასხრად მიგდებსო და შემინებულმა გადახედა ქიშვარდი თავმჯდომარეს, ქიშვარდი თავმჯდომარემ ზარი გააწკარუნა.
- ხალხო, რა უყავით ზრდილობა, კაცი ზრდილობაზე ლექციას გეკითხავს და აცალეთ!
- იყვირა ქიშვარდით.
- ლექტორს ცოტა იმედი მიეცა და სალაპარაკოდ მოემზადა.
- აღარ გვინდა ლექცია, შეკითხვები ჯობია, – თქვა გერასიმე ბიძიამ. ქიშვარდით ლექტორს გადახედა. ლექტორმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.
- კარგი აბა, მიეცით შეკითხვები! – დაგვრთო ნება ქიშვარდი თავმჯდომარემ.
- ერთი შეკითხვა, – ისევ აწია ხელი ასალო გუდავაძემ, – კაცს რომ ამბავი არ აინტერესებს და მაინც რომ უყვები კაცი, თუა მაგი უზრდელობა?
- რა თქმა უნდა! – თქვა ლექტორმა. მერე უცებ მიხვდა რა თქვა და იყვირა, – ჩემგან რა გინდათ, ხალხო... მე დავალებული მაქვს, ჩემით კი არ მოვსულვარ და კი არ გეკითხავთ ამ ლექციას, მე... – ლექტორი აღელდა და წყალი მოსვა.
- დაწყნარდი, ბიძიკო, – უთხრა გერასიმე ბიძიამ, – შენი ზრდილობის სწავლება ჩვენ არ გვინდა, შენ ის გვითხარი, წუხელ რომ ქარმა ტარიონი სიმინდი დაგვიფინა მიწაზე, იმას რა ვუყოთ? ვენახი რომ შეუწამლავი გვრჩება, შაბიამანი სად ვიშოვოთ, თორემ ცხვირის დაცემინებაზე სანამ ბოდიშს არ მოგიხდით, მანამდე არაფერი გეტკინოს შენც და შენს გამომგზავნაც, – გერასიმე დაჯდა. ლექტორი გაშეშებული იდგა და არაფერს ამბობდა.

– ქალაქიდან ხარ, ბიძია, ჩამოსული და ის გვითხარი, ფრონტი რას შვება, როდის გათავდება ეს დასაწვავი ომი, სანამდის უნდა ვდიოთ ჰიტლერს? – ჰკითხა ახლა თეოფანე წულაძემ.

– გვითხარი რამე ისეთი, გულს რომ გაუხარდება! – შეუძახეს აქეთ-იქიდან.

ლექტორი შეცბა.

– გვითხარი, ჰო, გვითხარი!

– მე რა უნდა გითხრაო, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით... – თქვა მან გაუბედავად.

– ზოგი შენ გვითხარი, ზოგს ჩვენ გეტყვით. რომ დაგვდგომიხარ, აბა, თავზე და ამ თავგადათეთრებულ ხალხს ჩანგლის ხმარებას გვასწავლი, სირცხვილი არაა?

– არ მაცალეთ, და... – სცადა თავის გამართლება ლექტორმა.

– როგორ გაცდიდით, ბიძიკო, მაგისტრის გვცალია ახლა ჩვენ? რამე გვითხარი ისეთი, დაგვამშვიდე, გვანუგეშე, იმედიანი სიტყვა გვითხარი... – უთხრა ბეგლარამ.

– ფრონტის ამბავი ასეთია, ამხანაგებო, ომი წელს თუ არა, გაისად გაზაფხულზე მაინც გათავდება. მორჩა გერმანიის საქმე.

– ვინ ადრე შევა ბერლინში, ჩვენ თუ ამერიკა?

– ჩვენ შევალთ, ჩვენი გაჩერება აღარ შეიძლება აწი!

– რაღაც საშინელი ყუმბარა გამოუგონებიაო ჰიტლერს?

– ტყუილია მაგი, ჩვენი სთანა იარაღი არავის აქვს ახლა!

– აგაშენა ღმერთმა, ინგლისი და ამერიკა ხომ არ გვიგანებს, არაა მაგენი სანდო.

– აწი ვერ გვიგანებს, ისე, გერმანიას მთელი ჯარი ჩვენკენ ყავს მოყრილი, ამერიკასა და ინგლისს უომრად უთმობს ქალაქებს, ჩვენი შეჩერება უნდა, მაგრამ არ გამოვა!

– მაგი გასაგებია, ისინი ურჩევნია გერმანიას.

– მერე, როგორ იქნება გერმანიის მთავრობის საქმე?

– სასამართლო იქნება, მზადდება უკვე მასალა.

– რომ გადავიდენ ამერიკელებთან, რას შობი მერე?

– მოვითხოვთ და გადმოგვცემენ.

– რომ არ გადმოგვცენ?

– რას ქვია, არ გადმოგვცენ? ნუ გეშინიათ, ხალხო, ყველას გადმოგვცემენ. ყველას ბაწარში გავაყოფინებთ თავს, ვინც ჩვენ გაგვამწარა ამ ხუთი წლის მანძილზე, წვეთ-წვეთად ავიღებთ სისხლს, ისევ დავდგებით ფეხზე, ყველას ოჯახში მოვა სიხარული, ნუ გეშინიათ, ამდენს გაუძელით, ხალხო, ქვეყანა გადარიეთ და ცოტაც მოითმინეთ, თქვენი ჭირიმე, და დედას ვუტირებთ ყველას, ვინც ფეხი დაგვადგა გულზე, – ისე გვთხოვა ლექტორმა, თითქოს ჩვენზე, ამ ასიოდე კაცზე ყოფილიყო ომის ბედი დამოკიდებული და როდესაც გადავხედე წუთის წინ ამრეზილ და ახლა სუნთქვაშეკრულ და სმენად ქცეულ ხალხს, მივხვდი, რომ სწორედ ამ მკაცრ, გულქვა და სათნო ხალხზე იყო დამოკიდებული ომისა და ჩემი ქვეყნის ბედი.

ლექტორი უცებ დადუმდა, მერე დაჯდა და უხერხულად გაგვიღიმა. ხალხი დუმდა.

– ლექცია დამთავრებულია, – თქვა ქიშვარდი თავმჯდომარემ და ადგა. ხალხი აიშალა. ხატია ჩამოვიყვანე და აივანთან მივედი.

– შენ რა კარგი ბიჭი ყოფილხარ, ბიძიკო, – ეუბნება გერასიმე ბიძია ლექტორს და მხარზე ხელს ურტყამს, – ქიშვარდი, ჩემი სტუმრები ხართ ამელამ ორთავე, შენც, მაკარია, ასალო, შენც...

– რას ბრძანებთ, ბატონო? – ზრდილობიანად იუარა ლექტორმა.

– არავითარი ბატონო, ჩემთან წამოხვალ, ოღონდ საჭმელი ხელით უნდა ჭამო! – უთხრა გერასიმემ და ლექტორს მკლავში ხელი გაუყარა.

დილაძემ ისმოდა გადაბმული კრიმანჭული და გაუთავებელი მრავალჭამიერი გერასიმე ბიძიას ეზოდან.

danke Son!

ისევ გათავდა სიმინდი, ისევ გაცივდა კეცი, არადა, რა ახლო იყო დალოცვილი შემოდგომა, ერთი კვირა უნდოდა ჭყინტი სიმინდის შემოსვლას, მეტი არა, და სოფელი ისე ელოდა ამ ერთი კვირის დასასრულს, როგორც დედა ექვსი თვის თავზე ბავშვის კბილის ამოჭრას. ქალები ყოველდღე ფრჩხილავდნენ ტაროს ფუჩეჩს, ფრჩხილავდა მამიდაც, მაგრამ სიმინდი ჯერ რძე იყო, ცარიელი რძე და ცოცხალი იყო მისი მოტეხა.

– გადაირბინე, ბიჭო, მინასთან და თხოვე, ამ ორშაბათამდე კიდევ გვასესხოს ერთი კოთხო ფქვილი! – მთხოვა მამიდა.

– ვეღარ წავალ მე, მრცხვენია, წადი და შენ თვითონ თხოვე, – ვუთხარი მამიდას.

– მე კეცს გავახურებ მანამდე, ბიჭო! – იპოვა მამიდა მიზეზი.

– მე გავახურებ კეცს, – დავივალე ხელად.

– შეშას ვინ მოიტანს? – იპოვა ახალი მიზეზი მამიდა.

– შეშასაც მე მოვიტან.

– ფოთოლს?

– ფოთოლსაც, – მოუჭერი მამიდას. იგი დაფიქრდა. ვიცოდი, რცხვენოდა მეზობელთან ფქვილისათვის გადასვლა. სიკვდილი იყო მისთვის მისი მოწაფის მშობლისათვის ფქვილის გამორთმევა. მესმოდა ყველაფერი ეს, მაგრამ მაინც ვჯიუტობდი, რადგან მეშინოდა, მინას ჩემთვის უარი არ ეთქვა, მამიდას კი, თუკი იგი სადმე მივიღოდა, უარს ვერ ეტყოდნენ და ლუკმას გაუყოფდნენ.

– ბიჭო სოსოია... – დაიწყო მამიდა.

– არ მთხოვო, მამიდა, არ წავალ, სულ ერთია, – შევაწყვეტინე მამიდას, – მრცხვენია, მრცხვენია... გეყურება შენ?

– მე არ მრცხვენია? – მკითხა მამიდა.

– კი, მაგრამ მე უფრო მრცხვენია! – მამიდამ კოთხო აიღო და ეზოდან გავიდა. მის მოსვლამდე ღობიდან ოთხი ძველი სარი ამოვადრე, დავამტვრიე, ცეცხლი გავაჩაღე და ზედ კეცი გადავამხე. მერე თუნგით მოსაზელი წყალი მივუდგი, თხმელის ტოტები დავამტვრიე, ფოთლებიდან გავკრიფე, გობზე დავაწყვე და მამიდას დაველოდე. კარი გაიღო, სამზარეულოში მამიდა შემოვიდა, კოთხო გობის გვერდით დადგა და მკლავეები დაიკაპიწა.

– რაო, მამიდა, რა გითხრა მინამ? – მამიდამ კოთხო გობზე გადმოაპირქვა და ფქვილის მოსაზელად მოემზადა.

– რაო, მამიდა?

– დამისხი წყალი, ბიჭო! – მითხრა მამიდა. გობზე წყალი დავასხი.

– მაინც რაო, რა გითხრა? – არ მოვეშვი. მამიდამ ზელა დაიწყო.

– კეცი გადმოდგასო, სოსოია უსინდისომო! – თქვა მამიდა. კეცი გადმოვდგი.

– კიდევ რა გითხრა, მამიდა?

– ფოთოლი დააფინოს კეცზეო!

მამიდამ ცომი ააგორა, მე ფოთოლი დავაფინე კეცზე. მამიდამ დააკრა. ჭადი გემრიელად აშიშინდა. იმხელა ნერწყვი გადავყლაპე, კინალამ დავიხრჩვი.

– კიდევ რა გითხრა, მამიდა?

– კიდევ მითხრა, რომ გამოაცხობ ჭადს, არ აჭამო იმ უსინდისოსო!

მამიდამ კეცს თუნუქი დაახურა და ზედ ცხელი ლადარი დააყარა.

– შენ რა უთხარი, მამიდა?

– მე ვუთხარი არ ვაჭმევ-მეთქი.

– იმან რა გითხრა?
– იმან მითხრა, თუ არ გაჩუმდება, მუგუზალი ჩათხარე პირშიო, – მითხრა მამილამ და
ანთებული მუგუზალი
ცხვირთან მომიტანა.

გაგჩუმდი და კეცს მივუჯექი.

ძნელია, როდესაც გშია, ღაკრული კეცის გვერდით ჯდომა. ვუყურებ კეცს და ვფიქრობ, რა ნელა გადის დრო, რა გამოუცხოებელი დაემართა? მამილაც ამას ფიქრობს, ალბათ, ალბათ კი არაა, ნამდვილად, მაგრამ არ იმჩნევს. სული წამივიდა. თუნუქი ოდნავ ავწიე და კეცში შევიჭყვიტე, კეციდან ცხელი და სასიამოვნო ოსშივარი ამოვარდა.

– აცალე, ბიჭო, გამოცხოება, ცომია ჯერ, – მითხრა მამილამ.

– რა უჭირს მერე, ინდაურებს და ღორებს ცომით ასუქებენ, – გავიმართლე თავი.

– მართო შენთვის არ ცხვება მაგი ჭადი, ბიჭო, გადაჯექი იქით, – გამაფრთხილა მამილამ. გადავჯექი. ისევ წავიდნენ უსაშველო წამები და წუთები, მოთმინების ფიალა აივსო. მამილამ კეცს გაუძლო ცდუნებას და ახლა თვითონ აწია თუნუქი.

– აცალე, მამილა, ცომია ჯერ!

– მადლობა ღმერთს, გამოცხოვარა! – თქვა მამილამ და ნახევრად ცომი ჭადი არეკა.

დაბალი მაგიდა მოვარბენინე, მამილამ ჭადი მაგიდაზე დადო, დერგიდან ერთადერთი ყველი ამოიღო და დაამტვრია, მაგიდაზე ყველა ამ სიკეთესთან ერთადერთი ბოთლი ღვინო, პრასი და მარილი დავდგი. მაგიდას მოვუსხედით, მამილამ ჭადი ცერა თითით ორ ტოლ ნაწილად ჩაამტვრია, მერე ხელში აიღო და გატეხა. ჭადის ერთი ნახევარი კიდევ შუაში გატეხა, ერთი მე დამიღო თევზზე, მეორე თვითონ დაიღო და გაიღიმა, არ ვიცი, მე გამიღიმა, თუ ჭადს.

მეც იგივე გავაკეთე, ჩემი არჩივი დავითრიე, ის იყო პირი გავაღე, რომ ეზოში ვილაცამ დაახველა მოკრძალებით. მე და მამილამ ერთად გავინედეთ ღია კარისაკენ, ეზოში სუფთად წვერგაპარსული, მწვანე, გამოხუნებულ, გერმანულ სამხედრო კიტელში და უზარმაზარ ხის ქოშებში გამოწყობილი, ყბა ყბაში გაცმული, წითური, ლურჯთვალა და წვრილნიკაპიანი გერმანული იდგა. იგი იღიმებოდა და თავს იქნევდა.

– ნემეც, პლენ! – თქვა მან. ბიჭები ამბობდნენ, რაიონში ორასი ტყვე გერმანული მოიყვანეს, მშენებლობაზე ამუშავებენო. ზღვა ხალხი დადიოდა მათ სანახავად და ათასი ჭორით დატენილები ბრუნდებოდნენ იქიდან, მაგრამ მე არასდროს წავსულვარ მათ სანახავად, ეს იყო პირველი გერმანული, რომელიც ჩემს სიცოცხლეში ვნახე და რატომღაც ფეხზე წამოვდექი. ფეხზე წამოვდგა მამილაც.

– გუტენ მორგენ! – თქვა გერმანელმა და ზრდილობიანად დაგვიკრა თავი.

– გერმანული ტყვეა! – თქვა მამილამ და უნებურად თმები გაისწორა.

– გუტენ მორგენ! – გაიმეორა გერმანელმა ღიმილით და ისევ დაგვიკრა თავი.

– გუტენ მორგენ! – უუპასუხე და მამილას შევხედე.

– რა უნდა, სოსოია? – მკითხა შემკრთალმა და დაბნეულმა მამილამ.

– რა ვიცი, ჯერ გამარჯობის მეტს არაფერს ამბობს და... რა გინდა, ფრიცო? – კკითხე გერმანელს და ხელი გავუქნიე კითხვის ნიშნად.

– ჰიტლერ კაპუტ! – თქვა გერმანელმა, მერე ხელი რევოლვერს მიამგვანა და საფეთქელთან მიიტანა.

– მაგი ვიცით, გაზეთს კკითხულობთ. შენ რა გინდა, ის კკითხარი.

– ნე ფონიმაიუ! – თქვა გერმანელმა და მხრები აიჩჩა.

– რა გინდა, ფრიცო? – კკითხე ახლა რუსულად.

– იოჰან, ის ბინ იოჰან! – ფრიცი არ ვარ, იოჰანი ვარო, გამაცნო თავი გერმანელმა და მარჯვენა ხელი გულზე დაიტყაპუნა რამდენჯერმე.

– რა უნდა ამ უპატრონოს, მამილა? – ახლა მე კკითხე მამილას.

– რა ვიცი, ბიჭო? – მხრები აიწურა მამილამ.

– ჰენდე ხოხ! – ვუთხარი გერმანელს სამხედრო გაკვეთილზე გაზეპირებული ორი სიტყვა. გაკვირვებულმა გერმანელმა ხელები აწია და პირი დააღო.

– ჰიტლერ კაპუტ!

– ჰიტლერ კაპუტ! – სწრაფად დამიდასტურა გერმანელმა ისე, რომ ხელები არ ჩამოუშვია. არ ვიცოდი, გერმანულად როგორ უნდა მეთქვა, ხელები ჩამოუშვი-მეთქი, მივედი და ძალით ჩამოვაშვებინე ხელები გერმანელს.

– რა გინდა, რა? – ვკითხე ახლა რუსულად.

– ხლებ, ხლებ... – თქვა გერმანელმა.

– აა, შავი პური გინდა თუ თეთრი?

– ნე ფონიმაიუ!

– კარაქით და ყველით გინდა თეთრი პური, თუ ისე მიირთმევ?

– ხლებ, ბუტერ!

– ა, ბუტერბროტი?

– ბუტერბროტ, ბუტერბროტ, – გაუხარდა გერმანელს.

– ხაჭაპურზე როგორ ხარ? – გაუღიმიე მე.

– ნემეც პლენ! – თქვა მან ისევ და გამიღიმა.

– გაგიჭირდათ, ვირიშვილებო? წადი და ჰიტლერი გაჭმევს, – ვანიშნე პირზე ხელის მიტანით.

– ჰიტლერ კაპუტ! – უიმედოდ თქვა მან.

– ნწუ, ნწუ, ნწუ, არ გადამრიო! – ვთქვი და სინანულით დავაქნიე თავი.

გერმანელი მიხვდა, დამცინისო და ახლა მამიდას მიუბრუნდა.

– ხლებ, ფრაუ, ხლებ... – თქვა გერმანელმა და ტუნები აუცახცახდა, მხოლოდ ახლა შევნიშნე, რომ ტყვე არც მე, არც მამიდას აღარ გვიყურებდა, იგი თვალს არ აცილებდა გაწყობილ სუფრაზე ონშივარავარდნილ ჭადს.

– გაგიჟდა ეს კაცი, სადაა საამისო პური და ჭადი? – ვუთხარი მამიდას. მამიდა გაფითრებული იდგა და ხმას არ იღებდა.

– ხლებ, ფრაუ! – გაიმეორა გერმანელმა ისე, რომ ჭადისთვის თვალი არ მოუცილებია. მამიდა უცებ შეტრიალდა, მაგიდასთან მივიდა, თავისი ჭადი აიღო და გერმანელს გამოუტანა.

– ო, დანკე შონ, ფრაუ, დანკე შონ! – თქვა გერმანელმა და აკანკალებული ხელით ჭადი ჩამოართვა. მამიდამ ერთხანს უყურა გერმანელს, როგორ ლეჭავდა ცხელ ჭადს, მერე შევარდა სამზარეულოში, დაავლო ხელი ჩემს ჭადსაც, მეორე ნახევარ ჭადსაც, გამოვიდა, მივარდა გერმანელს და მიაწოდა.

– რას შეები, მამიდა, გაგიჟდი? – ვეცი ხელში მამიდას.

– დამანებე თავი, სოსოია! – მომიცილა მამიდამ და ისევ შებრუნდა სამზარეულოში. გაკვირვებული გერმანელი ხან მე მიყურებდა, ხან მამიდას.

– ა, შენ, გერმანელო, ჭყინტი ყველი, ა, შენ ღვინო, ა, შენ ხვალინდელი ჭადი, აილე, აილე, ნუ გეშინია. მართლა გაძლევ... – ატენიდა მამიდა ამ სიმწრით ნაშოვნ იჯრას გერმანელს და უცებ სიცილი აუვარდა.

– მამიდა! – შემეშინდა მე.

– სუ, სოსოია, მამიდა, სუ, წაილოს, წაილოს, კიდევ რა გინდა? თქვი, გერმანელო, რა გინდა?... – არ ეშვებოდა მამიდა ტყვეს და სიცილს განაგრძობდა.

– პაპიროს, პაპიროს, – თქვა სახეგაბრწყინებულმა გერმანელმა.

– მიეცი სოსოია, თუთუნი! – მომიბრუნდა მამიდა.

– არ მაქვს!

– კი მაქვს, სოსოია, ვიცი, ჯიბეში მაქვს და მიეცი.

– არ მაქვს! – გავეჯიუტდი.

– მიეცი, მე შენ გეუბნები, – მითხრა მამიდამ, მერე ჯიბეში ხელი ჩამიყო, ამომიტრიალა და რაც თუთუნი მქონდა, გერმანელს გაუწოდა.

– აილე, აილე და წადი, აილე ჰო!...

გერმანელს ორთავე ხელი დაკავებული ჰქონდა. მამიდამ თავისი ხელით ჩაუყარა ჯიბეში ჩემი თუთუნი.

– წადი ახლა, წადი! – გაუცინა მამიდამ და მსუბუქად ჰკრა ხელი მხარში.

– ო, დანკე შონ, ფრაუ, დანკე შონ!

– წადი, წადი! – მამიდა ხმამაღლა იცინოდა. გაშტერებული ვუსტქერდი ჰკუაზე გადასულ მამიდას.

– ხედავ, სოსოია? – მკითხა მამიდამ.

– დანკე შონ! – თქვა გერმანელმა და უკან-უკან დაიხია კიბოსავით.

– წადი, წადი, არაფრის! – უთხრა მამიდამ, მერე მომიბრუნდა, გულში ჩამიკრა, გულამომჯდარი ტირილი აუვარდა. შეშინებული და განცვიფრებული გერმანელი ჩქარი ნაბიჯებით გადავიდა ეზოდან.

– მამიდა, რა გატირებს, მამიდა? – ვკითხე გერმანელზე უფრო შეშინებულმა.

– არაფერია, სოსოია, არაფერია. ნახე, ბიჭო? – მითხრა მამიდამ და გერმანელისაკენ გაიხედა. ჩვენ შუა ეზოში ვიდექით და ვუსტქეროდით შუკაში მიმავალ დაფეთებულ ტყვეს, რომელიც მალიმალ უკან იხედებოდა.

მამიდა იცინოდა, ტიროდა, ისევ იცინოდა, ისევ ტიროდა, ცრემლებისგან მთლად სველი ჰქონდა ლაწვები, მაგრამ ცრემლს არ იმშრალებდა და არც მე მიშვებდა ხელს.

– ნახე, სოსოია? – ამ წუთში ვინმეს რომ ენახა მამიდაჩემი, უეჭველად გიჟი ეგონებოდა. მაგრამ მამიდაჩემის სახეზე ამდენი ბედნიერება არასოდეს მინახავს.

* * *

ღამეა. ვწევარ ჩემს საწოლზე გულაღმა და ვნატრობ, კარგი სიზმარი დამესიზმროს. მიყვარს სიზმრები, რადგან უსიზმრო ღამით მკვდარი მგონია თავი. მე ასე ვანგარიშობ: დღისით, როდესაც დავდივართ და ვლაპარაკობთ, ვცოცხლობთ, ღამით, როდესაც გვიძინავს და ვერაფერს ვგრძნობთ, მკვდრები ვართ. უბედურია კაცი, რომელსაც სიზმარი არ ესიზმრება, ესე იგი, ის ნახევარ სიცოცხლეს მკვდრად ატარებს, გამოდის, რომ ასეთი კაცი ას წელიწადში ორმოცდაათი წელი მკვდარია, მე კი არა, მე სრული თექვსმეტი წლისა ვარ, რადგან იშვიათად, რამე არ დამსიზმრებოდეს. მე ღამითაც ვცხოვრობ, დავდივარ, ვლაპარაკობ, მტკივა, მიხარია, მცვივა, მცხელა და სიზმარეული ღამის შემდეგ, ცუდია იგი თუ კარგი, ყოველთვის ბედნიერი ვიღვიძებ. აი, ვწევარ ახლაც და ვნატრობ, კარგი სიზმარი დამესიზმროს, იმიტომ ველაპარაკები მამიდას ყოველ ღამით, რომ სიზმარში მასთან საუბარი გავაგრძელო, მამიდა არასოდეს არ მეუბნება ბოლომდე იმას, რასაც ფიქრობს, სიზმარში კი იგი მართალია, თბილია, საყვარელია, მეფერება, მკოცნის, ჰკუას მარიგებს და მეუბნება, რომ ამ ქვეყანაზე ჩემი ფასი არაფერი გააჩნია. მინდა, ახლაც ველაპარაკო მამიდას, მაგრამ დღევანდელი ამბის შემდეგ მერიდება, მრცხვენია და მეშინია. ამიტომ ვწევარ თვალღია ჩემთვის, და უხმოდ ვთხოვ ღმერთს, კარგი სიზმარი დამასიზმროს.

– სოსო, ბიჭო!...

– რა იყო, მამიდა?

– გძინავს?

– არა, მამიდა, რა დამაძინებს?

– ხომ ნახე, სოსოია, ის გერმანელი?

– როგორ არ ვნახე, მამიდა, ნეტავ, არ მენახა! – ამოვიოხრე და კუჭი ამეწვა.

- ომი გათავდა, სოსოია, ომი, გეყურება შენ? – წამოიწია იდაყვებზე მამიდა.
 - რას ამბობ, მამიდა, ვინ გითხრა?
 - ომი გათავდა, სოსოია, რაკი იმას ველირსეთ, გერმანელი ჯარისკაცი მათხოვრად მოვიდა და პური გვთხოვა, გათავებულია ომი, გეყურება შენ? – ხმა არ ამოვიღე.
 - შენ არ გეწყინოს, ბიჭო, სულ რომ გავატანე საჭმელი, მაგრამ იმ წუთში, სახლი რომ ეთხოვა, იმასაც მივცემდი.
 - კი, მამიდა, მეც მივცემდი.
 - მაპატიე, სოსოია მამიდა!
 - რას ამბობ, მამიდა!
 - შენ არ იცი, ბიჭო, რამხელა ამბავი მოხდა, გერმანელი მოვიდა, მათხოვარი გერმანელი და პური გვთხოვა.
 - კი, ვიცი, მამიდა, კი.
 - ომი გათავდა, სოსოია ბიჭო, ომი!
 - კი გათავდა, მამიდა, – მამიდა დადუმდა. მერე უცებ მკითხა:
 - გშია, სოსოია მამიდა?
 - არა, მამიდა, სულ არ მშია, შენ?
 - არც მე მშია, სოსოია.
 - დაიძინე აბა, მამიდა, – მამიდას ხმა არ გაუცია, არც მე მითქვამს რამე. ვიწექი ასე ჩუმად. მერე გვიან იყვილეს მამლებმა, არ მეძინებოდა, ლოგინიდან ავდექი და ფეხაკრეფით მივედი მამიდასთან. მამიდას ეძინა, იგი ილიმებოდა ძილში და მივხვდი, რომ კარგი სიზმარი ესიზმრებოდა.
- მამლებმა ყვილს მოუხშირეს და მე ეზოში გავედი. ოდის სახურავებზე, ღობეებსა და ფერდობებზე დნებოდა მსუბუქი, გამჭვირვალე და იისფერი ნისლი.
სოფელში თენდებოდა.

lanqroba

გაზაფხულზე სურების მთებზე თოვლი რომ დნება, სუფსა გიჟდება, ტოვებს კალაპოტს, იხვეს ტანზე ყველაფერს და შიშველი გადარეულივით გადის ჭალაში. ღრიალებს, ქუხს, გლეჯს ასწლოვან ხეებს. შუბლით ეხეთქება ბურჯებს, აზანზარებს ხიდებს და მერე ნაფოტივით მიაქვს სადღაც ქვევით, მიაქვს გაუფრთხილებელი კაციც და ნადირიც. მერე თანდათან მშვიდდება, წყნარდება, იწმინდება, ბრუნდება თავის საწოლში და ჭალაში ტოვებს უამრავ შეშას და ყანის მაცოცხლებელ შლამს, თითქოსდა იმ მწუნარების საფასურად, რომელიც თავის სიგიჟეში მიაყენა ხალხს. ხალხი მაინც ლოცავს ამ მდინარეს, მაინც უყვარს იგი. ხალხს არ ეშინია სუფსის, ლანქრობის დროს ისინი დგანან ნაპირზე კავებით და შეშას იჭერენ, შედიან ამ ცოფიან მდინარეში, ფაცერს ადგამენ და გზააბნეული თევზი ამოყავთ მისი უბიდან. უდგამენ დამბებს, ჯებირებს, მისივე მოთრეული რიყის ქვით უვსებენ ხახას, ახრჩობენ, ავიწროებენ და ყოველ გაზაფხულზე აკეთებენ ამას ისეთი გულმოდგინებით, თითქოს პირველად აღიდებულებოდნენ სუფსა, ან საერთოდ არაფერს არ აკეთებენ, დგანან ნაპირზე გაღმა-გამოღმიდან დაღლიავებული და მზის ჩასვლამდე უყურებენ, რა შეუძლია ამ ლაგამაწყვეტილ და მთასავით აგორებულ პატარა მდინარეს.

მე, ნოდარა თავას, ოტია კალანდაძეს, კაჟურა გაგუას და იაგორა ანთიძეს ნაფიცარას ბოლოში გვედგა ფაცერი. ჩვენ ის ყველა ფაცერის თავში დავდგით და ატყდა სოფელში მეთევზეთა წივილ-კივილი.

– თქვე ჯიბგირებო, რომ გადამადგით თავზე ეს ფაცერი, მე თქვენი დანაჭერი თევზის შიგანი ვჭამო? გადადგით ბოლოში, თორემ დაგშიგნავთ ყველას, – მოვარდა ქაქანი ბენელიქტე კუტუბიძე.

- აბა, ჩვენ ვჭამოთ შენი თევზის შიგანი? – ჰკითხა ნოდარა თავამ.
- ბიჭო, ნუ გაგსიებია თავი და მოხსენი ახლა ავი ფაცერი, სანამ გადავრეულებარ.
- სად დავდგათ, ბატონო? – იკითხა ახლა იაგომ.
- სადაც გინდათ.
- აგაშენა ღმერთმა, ჩვენ აქ გვინდა! – უპასუხა იაგომ.
- ა, კილო! მე რა გითხარით თქვენ? – გაუკვირდა ბენელიქტეს.
- რა გინდა, ბენელიქტე ბიძია? – ვკითხე მე.
- ვერ ხვდები, რა მინდა? – ისევ გაუკვირდა ბენელიქტეს, – რა მინდა და, მოხსენით ფაცერი, სანამ დამიჩენია, და გადაიტანეთ ბოლოში.
- რა დავიჭიროთ მერე ბოლოში?
- ჭირი და სიკვდილი, რა ვიცი მე? რაც გინდათ, ის დაიჭიროთ.
- რას იწყებდები, კაცო, შენ? – მიუბრუნდა ნოდარა თავა.
- ვიწყებდებიო? ამ თავგასიებულს ვერ უყურებთ?
- რატომ ლანძღავ კაცს, მისი გაჭირვება ეყოფა! – შეეცოდა ოტიას ნოდარა.
- შენ ვინ გკითხავს, ბიჭო?
- რას ქვია, ვინ მკითხავს, ამხანაგია ჩემი.
- შენისთანა ამხანაგები რომ ჰყავს, იმიტომაა მაგისი საქმე კარგად. ახიკეთ ახლა თქვენი ნაგავი და გადადით ბოლოში, – თქვა ბენელიქტემ და თვითონ დაიწყო ჩვენი ბარგის მოგროვება.
- ამხანაგო ბენელიქტე!.. – დაიწყო იაგორა ანთიძემ.
- ვინაა შენი ამხანაგი, შე ტილიანო? – გადაირია ბენელიქტე.
- კაცო, ეს სუფსა შენი ხომ არაა? – ჰკითხა ნოდარა თავამ.
- ჩემია, აბა ვისია, სად იყავი შენ დაბადებული, მე რომ ფაცერს ვდგამდი აქ?
- ჰოდა, გვაცალე ახლა ჩვენც, – შეეხვეწა ნოდარა.
- გელაპარაკებით მე თქვენ, ან გაღმა გადით, ან ბოლოში გადადით.
- კაცო, ეს მდინარე არც შენია, არც ჩემია, ავი მდინარე არის საბჭოთა ხელისუფლების და შიგ რომ თევზები დაცურავს, ისიც მისია! – ავუხსენი ბენელიქტეს.
- ვის ასწავლი, შე ტვინგაწყალეებულო, რაა მთავრობის და რაა ჩემი?
- კონსტიტუციაში წერია, რომ ყველას გვაქვს ნადირობის და დასვენების უფლებაო, – დაუსახელა წყარო ნოდარამ.
- მე მასწავლი, ბიჭო, რა წერია კონსტიტუციაში, კაცმა ხუთი კონსტიტუცია გამოვიცვალე?! – მიუბრუნდა ნოდარას ბენელიქტე.
- ასე წერია და რა ვქნა?.. – სინანულით გაშალა ხელი ნოდარამ.
- რა წერია, ბიჭო, ნოდარია თავგასიებულმა და სოსოია დალღარჯულმა ბენელიქტე კუტუბიძეს ლუკმა გამოართვას პირშიო?.. – იკითხა ბენელიქტემ.
- მთლად მასე არ წერია, მაგრამ... ორივემ ჭამოსო, წერია, – თქვა ნოდარამ.
- ასე წერია, ხომ? – მოწურა თვალები ბენელიქტემ.
- კი! – დაუქნია თავი ნოდარამ.
- მასე ხომ? – ახლა მე მკითხა.
- კი, მასე წერია, – დავემოწმე ნოდარას.
- ის თუ წერია, უმცროს-უფროსობა იმიტომ გააჩინა ღმერთმა, რომ ზრდილობა და პატიოსნება უნდა ჰქონდეს თქვენისთანა მუტრუკებსო.
- არ გქონია წაკითხული, თორემ მაგი არ წერია.
- არა, ხომ?

- არა!
- ესე იგი, არ წერია?
- არ წერია, ბატონო, და რა ვქნათ ახლა. დაგვხოცე! – თქვა იაგომ.
- მაგი არ წერია და ის წერია, რომ თქვენ ჭამოთ და მე გიყუროთ პირში, ხო?
- ყველას გვეყოფა, ბენედიქტე ბიძია!
- არა, მე შენ გეკითხები, არ წერია ხომ? – არ მომეშვა ბენედიქტე.
- არა! – გავეჯიუტდი მე.
- არადა, მაგას უძახი შენ კონსტიტუციას? – მკითხა ბენედიქტემ. ნაჯახი გამოიძრო ქამრიდან და ფაცერის დასაჩეხად გატრიალდა.
- რაო, რაო? რა თქვა მაგან კონსტიტუციაზე? – იკითხა უცებ ოტია კალანდაძემ. ბენედიქტე ცივად შემობრუნდა:
- რა ვთქვი, ბიჭო?
- რაო, სოსოია, რა თქვა? მაგი რა კონსტიტუციააო? შენ კიდეც, რომ დაგიღია პირი და უგლებ ყურს ამ ამბავს კომკავშირის კომიტეტის ბიუროს წევრი? – შეუტია ახლა იაგორა ანთიძეს.
- რა ვთქვი, ბიჭო? – გაფითრდა ბენედიქტე.
- რა ვთქვიო? გეყურებათ, ბიჭებო? ხუთი კონსტიტუცია მაქვს გამოცვლილი, აგი რა კონსტიტუციააო, ჩვენი კონსტიტუცია არ მოგწონს შენ? – მოუჭუტა თვალები ოტიამ ბენედიქტეს.
- შენ ენა გააჩერე, ბიჭო, და მაგი არ მითქვამს მე. – ნერწყვი გადაყლაპა ბენედიქტემ.
- რა არ გითქვამს? – ჰკითხა ნოდარამ. – რომ მოხვედი აქ და ჩემია აგი მდინარეო, და ამას ვიზამო და იმას ვიზამო, გამოგშენავთო... შენ ყოფილხარ, ჩემო ბიძია, კერძო მესაკუთრე და მაგნე კაპიტალისტური გადმონაშთი.
- ვის უბედავ, ბიჭო, მაგას? – თქვა ჩურჩულით ბენედიქტემ.
- არ გითქვამს, თუ? – ჩაერია საქმეში იაგო, – იმის მაგივრად, ახლა ომია და ხელი შეგვიწყო ახალგაზრდობას, დამდგარხარ აქ და შეურაცხყოფას გვაყენებ ჩვენც, კონსტიტუციასაც. ყველაფერ ამასთან ერთად, თევზის ჭერას გვიშლი, მეტს კი არაფერს აკეთებენ გერმანელი ფაშისტები.
- გაღერიეთ, ბაღნებო? – დაიკვნესა ბენედიქტემ.
- თქვენი არ ვიცი, და მე ამ საქმეს ასე არ დავტოვებ, – თქვა ნოდარამ და ფეხსაცმლის ჩაცმა დაიწყო.
- სად მიდიხარ, ბიჭო? – ჰკითხა შეშინებულმა ბენედიქტემ.
- მაგი მე ვიცი! – მოუჩქარა ჩაცმას ნოდარამ.
- რა იცი, ბიჭო, შენ?
- ძალიან გვიყვარხარ, ბენედიქტე ბიძია, მაგრამ კონსტიტუციის გინებას და კაპიტალისტურ გადმონაშთობას ვერ გააბტიებთ, – კატეგორიულად იუარა ოტიამ და ახლა ამანაც დაიწყო ჩაცმა.
- მოიცაო, თქვე მამაძაღლებო, არაფერი არ მითქვამს და ნუ გადამრევთ ახლა.
- მაგას იქ გამოვარკვევთ! – დაემუქრა ნოდარა.
- სად, ბიჭო?
- მაგი მე ვიცი.
- აჭერინებთ ჩემ თავს, თქვე უპატრონოებო? ღმერთი არ გწამთ? ტყუილს მიგონებთ? – გაგიჟდა ბენედიქტე.
- ოთხი კაცი რომ დაგადგებით პირზე, გვიყარე მერე კაკალი! – უთხრა იაგორამ.
- რა პირით დამადგებით პირზე, თქვე უცხვირპიროებო?
- მაგი ჩვენ ვიციო! – თქვა ისევ ნოდარამ.

– ბიჭო, თევზის გულისთვის მლუპავ ჩემს ხელში გაზრდილი ბაღანე? – ცრემლი მოადგა ბენედიქტეს, – ამ დამძალი ფაცერისთვის? შენი იყოს აგი თევზიც, აგი ფაცერიც, აგი სუფსაც, მიაღექი და ხვლიპე ბორშივით, სანამ ფაშვზე არ გასკდები, – აჩუქა ნოდარას ბენედიქტემ სუფსა.

– დაგვანებებ, აბა, თავს?

– დანებებული არ გაქვს, ორი თავი გამოგივა შიგ! – მაინც უკბინა ბენედიქტემ ნოდარას.

– მაგი არაა შენი საქმე და მოგვეში ახლა! – ვუთხარი მე.

– პატარა ზევით მაინც აიჩოჩეთ, თქვე ქრისტეს ძვალის მტკვერელებო, – გვითხრა ბენედიქტემ.

– პატარას ავიჩოჩებთ, – დავპირდით ჩვენ.

– ისე მე ცუდი არაფერი მითქვამს, თქვე მამამაღლებო, და ენას მოუკელით.

– ა, კიდე!.. – გაუჯავრდა ოტია.

ბენედიქტემ ნაჯახი მხარზე გაიღო, დიდხანს გვიყურა, მერე გადააფურთხა და წავიდა. ჩვენ თავი ვეღარ შევიკავეთ და სიცილი აგვივარდა. ბენედიქტე შემობრუნდა.

– რას გავხართ, რას, თქვე ჭინკებო?

– მოდი, ბენედიქტე ბიძია, კარგ თუთუნს მოგაწვევებთ! – დავუძახე მე. ბენედიქტემ კევა მოიფხანა, ერთხანს იფიქრა, მერე გადაწვევითა, დაბრუნდა და დაჯდა. თუთუნი მივაწოდე. ბენედიქტემ გაახვია და გააბოლა. ჩვენც გავაბოლეთ.

– ბაღნები ხართ თქვენ და არ იცით, – დაიწყო ბენედიქტემ, – ისე, როგორც ტყეს, მდინარესაც მისი კანონი აქვს, სულ ერთია მაგი, სპილოს კლავ თუ ჭინჭრაქას, თევზს იჭერ თუ ვეშაპს. მონადირემ მონადირეს პატივი უნდა სცეს, მონადირე რომ მიაგნებს ჟენ-შენს და დანიშნავს, მერე სხვამ რომ მოიპაროს ის ჟენ-შენი, კლავენ იმ კაცს თურმე, აბა! ასეა მაგი. მონადირემ მონადირეს ხელი უნდა შეუწყოს, როგორც ერთის მარჩენალია აგი მდინარე, ისეა მეორესიც, ორივეს ერთნაირი უფლება აქვს. მე ის კი არ მინდა, თქვენ თევზი არ დაიჭიროთ. თევზს რა გამოლევს მდინარეში? რამდენი ფაცერი დგას ახლა, რომ აყვები ჩემი ფაცერის ზევით, მაგრამ ყველას ხომ ვერ მოვანხვინებ! მაგრამ ასე ახლო-ახლო არ გამოვა, ბიძიებო! ნახეთ აბა, ჩემს ქვევით ლადიკოს ფაცერი რამისიშორეზეა გამართული. ლადიკოს თოფი კი არ უსვრია ჩემთვის? რატომ, აბა, თუ იცით? იმიტომ, რომ არ მივეკარე სათოფეზე. თქვენ? თქვენ თოფს კი არა, ქვას მოგაწვდნენ ჩემი ფაცერიდან, არ ვარგა მასე, ბიჭებო.. – თქვა ბენედიქტემ და ადგა.

– ახლა ჭკუით იყავით, არ ჩავითრიოთ ლანქერმა, თორემ, როგორც ჩვენ გვიყვარს თევზის ხორცი, ისე უყვარს ჩვენი ხორცი თევზსაც. გეყურებათ?.. – ბენედიქტე წავიდა. მერე ჩვენც ავღექით, ბარგობარხანა ავხიკეთ და ფაცერი შორს, ზევით, სულ ზევით გადავიტანეთ.

ნაპირზე კარავი გვიდგას. ოტია და იაგო კარავში სხედან, მე და ნოდარა ფაცერზე ვართ ჩაცუცქულები და ველოდებით ლარტყებზე თევზის ამოვარდნას. მოაქვს მღვრიე ტალღას ლაყუჩებდასილული წვერა და ტობი, შემოაგდებს ფაცერზე, მერე მაცდურად გამოეცლება ქვევიდან და ფართხალებს მაჯის სისხო თევზი ჩვენს წინ, სულს დაფავს, შველას ითხოვს, მაგრამ სად არის საშველი. ვტაცებთ მე და ნოდარა ხელს ლაყუჩებში და პირდაპირ ნაპირზე ვისვრით.

– შეხედე, სოსოია, შენი ხატია მოვიდა! – მითხრა ნოდარამ, ნაპირისკენ გავიხედე, კარავთან ხატია იდგა და მდინარისკენ იყურებოდა.

– ხატია! – დავუძახე. ხატიამ ხელი დამიქნია და რაღაც დამიძახა. მდინარის ღრიალში ვერ გავარჩიე, რა უნდოდა.

– რა გინდა, ხატია, რაზე მოდი? – გავძახე ისევ ხატიას, ხატიამ ორთავე ხელი პირთან მიიტანა და რაღაც დამიძახა.

– რა უნდა? – ვკითხე ნოდარას.

– რა ვიცი, გადი ნაპირზე.

ნაპირზე გავედი.

– რა იყო, ხატია?

– გამარჯობა, სოსოია, – ხელი გამომიწოდა მან.

– ვითომ დღეს არ გინახივარ, კი ვიცი, რატომ მოდი, – ვუსაყვედურე ხატიას და ხელი ჩამოვართვი.

– დამაჭერიე, სოსოია, თევზი!

– არ შეიძლება, ვერ გაგიყვან ფაცერზე, არ გესმის, ცა და ქვეყანას რომ მოანგრევს სუფსა?

– გამიყვანე, სოსოია, და დამაჭერიე თევზი, ჩემო სოსოია, – მთხოვა ხატია.

– რა გინდა გოგო, გაგიჟდი? – უთხრა ხატიას კარავიდან გამოსულმა ოტიამ.

– დამაჭერიეთ თევზი, თქვე უნამუსოებო! – თქვა ხატია და წყენით ტურები გაბუტა.

– აგერ, გოგო, რამდენიც გინდა დაჭერილი თევზი! – სავსე კასრი დაუდგა წინ იაგომ.

– მაგი არ მინდა მე! ჩემი ხელით მინდა, დავიჭირო!

– წადი, გოგო, შინ!

– არ წავალ! – თქვა ხატია და ცხელ ქვიშაზე დაჯდა.

– წამოდი, კარავში მაინც დაჯექი, ტვინი აგიდულდება, – ვთხოვე გაჯიუტებულ ხატიას.

– არა!

– არადა, იჯექი მანდ! – ვუთხარი და ფაცერზე ავბრუნდი.

– რა უნდოდა, ბიჭო? – მკითხა ნოდარამ დაბრუნებულს.

– ფაცერზე უნდა გამოსვლა თევზის დასაჭერად!

– გამოიყვანე მერე, რა მოხდა?

– სად გამოვიყვანო, ბიჭო, გაგიჟდი?

– მე გამოვიყვან, აბა! – თქვა ნოდარამ და წამოდგა.

– დაანებე თავი!

– ნუ გეშინია, არ დავიხრჩობ, – გაიცინა ნოდარამ და ნაპირზე გაირბინა.

ორ წუთში ნოდარამ ხატია ფაცერზე გამოიყვანა და გვერდით მოისვა. თევზი არ ჩანდა. ვიჯექით და ველოდით, ნოდარა ფაცერზე შემოცვენილ ნაფოტებს და ფიჩხებს წყალში ყრიდა, თან ღიღინებდა:

ქაშაყმა უთხრა წვერასო

აუტანიხარ წვერასო...

– სადაა თქვენი თევზი? – გკითხა ხატია.

– აგერ, პატარა საქმეზე გყავს გაგზავნილი და დაბრუნდება ამ წუთში, – თქვა ნოდარამ. თევზი კი არ ჩანდა.

– არ მოგვეჭრა, ბიჭო, თავი? რაღა ახლა გაწყდა? – ვუთხარი ნოდარას.

უცებ ტალღამ მკლავის სისხო წვერა შემოაგდო ფაცერზე, მე და ნოდარა ერთად წავიხარეთ მის ასაღებად, წვერამ გაიბრძოლა და პირი იბრუნა ჩქერში, ისევ შემოაგდო ტალღამ და ისევ იბრუნა წვერამ პირი. ვიკადრეთ წყალში შესვლა, დავგორდით ფაცერზე და ძლივს გავაკავეთ გადარეული თევზი. ნოდარამ ოთხივე თითი გაუყარა ლაყურებში და ამოათრია.

– შენი იღბალია, ხატია! – უთხრა მან ხატიას და თევზი სულ ახლოს მიუტანა. წვერა აფართხალდა და კუდი დაჰკრა მკერდზე ხატიას. ხატია დაიჭირა თევზი ორთავე ხელით და განხურებულ ლოყაზე მიიღო.

– უჰ, რა ცივია, სოსოია!

– არ გადააგდო ახლა წყალში მაშინდელივით! – ვთხოვე ხატიას.

– ნუ გეშინია, ამას არ გადავავლებ! – დამამშვიდა ხატია. ისევ მივბრუნდი წყლისკენ. მივბრუნდი და უცებ შუბლი გამიცვიდა, თვალები ამიჭრელდა: სუფსას უზარმაზარი ტოტებდახლეჩილი წაბლის ხე მოჰქონდა პირდაპირ ჩვენს ფაცერზე.

– ნოდარა, ჭოკი! – ვიბლაველე მე. ნოდარა გველნაკბენივით შემოტრიალდა.

– ხატია, აქეთ! – მივვარდი ხატის, მაგრამ უკვე გვიანი იყო, ვივრძენი საშინელი ბიძგი, გავიგონე ძლიერი ლაწანი, მერე ვივრძენი, როგორ ამოვტრიალდი ჰაერში, ჩემს თვალწინ უცებ გამოკრთნენ კარავიდან გამოცვენილი ხელგაშლილი და აღრიალებული ბიჭები. მერე უცებ ჩავვარდი სადღაც ბნელ, სველ და საშინლად ცივ ორმოში, სილით ამევსო პირი, თვალები, ყურები და დაღმა დამაქანა ვეებერთელა ტალღამ. გრძობა არ დამიკარგავს, მარჯვნივ, მარჯვნივ, მარჯვნივ, – მკარნახობდა ვიღაც თუ რაღაც, – მარჯვნივ დააწევი, ცოტაც, ცოტაც გაუძელი, ბიჭო, სოსოია. თვალს ვახელ, ვერაფერს ვხედავ, ველაპავ წყალს, თუ არ ამოვისუნთქე, ფილტვები გამისკდება. ჩქარა, ჩქარა, ჯანდაბას, აღარ შემიძლია, გინდა დავიხრჩო, მაინც უნდა ჩავისუნთქო, უცებ ჩავისუნთქე ღრმად, ძალიან ღრმად და გამიკვირდა... თვალი გავახილე, ძლივს გავარჩიე შემინებული ბიჭები... ისინი ნაპირზე დარბოდნენ და რაღაცას ყვიროდნენ. ნეტა რა აყვირებთ ამ სულელებს, ვერ ხედავენ, რომ ამოვედი?

– ჰეი, აქეთ, ბიჭებო, აქეთ, ავერ ვარ, ავერ! – ვყვირი და თვითონ არ მესმის, მერე უცებ ყურებში გაწყდა რაღაც, ჯერ მდინარის ღრიალი გავიგონე, მერე საკუთარი გულის ძვერა და ბოლოს...

– ხატიაა! ხატიაა! ხა- ტი- ა- აა!!! – გაუთავებელი ზარი.

– ხატიააა! – კიოდნენ ბიჭები და მისდევდნენ ნაპირს.

– ხატიააა! – ვთქვი და დავჯექი. მერე აღარ მახსოვს, როგორ გავჩნდი ბიჭებთან. მახსოვს მხოლოდ, როგორ მაკავებდნენ ნოდარა და ნაპირზე მოცვენილი ხალხი, როგორ მიათრევდა ხატის სუფსა და როგორ ვერ ბედავდა ამ უცილო სიკვდილში ფეხის შედგმას ვერავინ. მერე ყველამ დავინახეთ, როგორ გამოვარდა მეორე ნაპირიდან ვიღაც, როგორ გადაეშვა სუფსაში ტანგაუნდელი. ხან მალავდა ტალღა, ხან ისევ გამოაჩენდა, იგი ძლიერი მხარულით მისდევდა ხატის. ბოლოს, როგორც იქნა, დაეწია და მხარზე შეიგდო. სკოლამდე ათრია ხატია და ის კაცი სუფსამ. სკოლასთან იმ კაცმა აჯობა მდინარეს, ფორთხვით ამოვიდა ნაპირზე და სილაზე გულადმა დასვენებულ ხატის გულზე ყური დაადო, მერე ხელში აიყვანა პატარა ბავშვივით, ბარბაცით შეიყვანა სკოლის ეზოში და მოლზე დაასვენა. მთელი სოფელი გარს შემოეხვია ხატის და მის გადამრჩენელს. იგი ცალ მუხლზე დაჩოქილი ხელოვნურად ასუნთქებდა ხატის, მის გვერდით დავიჩოქე. მან ირიბად გამომხედა, ჩემს წინ დათიკო ბრიგადირი იყო. ხმა არ ამოუღია, განავრძობდა თავის საქმეს დიდხანს და დინჯად. დათიკომ ახლა საფეთქლების ზელა დაუწყო ხატის.

– ხატია! – ვთქვი მე. ხატია ხმას არ იღებდა.

– ხატია! ხატია! – გავიმეორე. ხატის წამწამები ოდნავ შეირხა, მერე თვალი გაახილა და ჩუმად, ძალიან ჩუმად, ალბათ, მარტო ჩემს გასაგონად თქვა:

– სოსოია!

– ცოცხალია? – იკითხა ვიღაცამ ხალხიდან.

– ცოცხალია! – თქვა დათიკომ და მთელი ტანით აიმართა.

ხალხში ჩურჩულმა ქარივით გაიქროლა და უცებ ეს ზღვა ხალხი, როგორც ერთი, ისე დამუნჯდა.

დათიკო შუა წრეში გავიდა და დადგა, გამხდარი, წვერგაუპარსავი, თვალებდასისხლიანებული და ტანსაცმელშემოგლეჯილი. მან ხალხს მოავლო თვალი. მერე ყველას სათითაოდ და ვისაც კი შეხედავდა, ყველა უკან იხევდა, უხერხულად იმშუშნებოდა და თავს ხრიდა. დათიკო იდგა და ელოდა, როდის ამოიღებდა სოფელი ხმას, მაგრამ მისი სოფელი დუმდა, როგორც სამარე და მე შემეშინდა ამ დუმების ისე, როგორც ომის

დაწყების პირველ დღეს შექმნიდა მისი. დათიკო კიდევ დიდხანს ელოდა, მაგრამ ხალხი დამუწვდა. მაშინ დათიკომ მოიგლიჯა ქამარზე თასმით დაბმული რეკოლვერი, მიწაზე დაავლო და მორჩილად ჩამოუშვა ხელები. ხალხი ისევ დუმდა.

– ამოიღეთ, ხალხო, ხმა! – თქვა დათიკომ მუდარით და ხმის კანკალით. ხალხი ხმას არ იღებდა.

– გამოდი, ვალოდია, და დამიჭირე, ხომ ხარ უშიშროების მუშაკი, გამოდი, რას უყურებ, დაყრილი მაქვს იარაღი! – მიუბრუნდა იგი ვალოდია ჯაშს.

ვალოდია გამოვიდა წრიდან და დათიკოს პირდაპირ დადგა. ხალხი გაინაბა. ხალხი ელოდა რაღაც უბედურებას, სროლას, დაპატიმრებას, ყვირილს, შერცხვენას, ტირილს და მოხდა რაღაც უფრო უარესი, საშინელი და წარმოუდგენელი: ვალოდია ჯაშში შეტრიალდა და ისე გავიდა სკოლის ეზოდან, უკან არ მოუხედავს. დათიკო გაფითრდა, ყბა მოენგრა.

– ბადრია, შენ რაღას უყურებ, გამოდი და ამიყვანე პატიმრობაში, აღარ შემიძლია მეტი, კაცი არ ხარ? – მიუბრუნდა იგი ბადრია თავართქილაძეს. მაგრამ ბადრია უკვე გადიოდა სკოლის ეზოდან.

– ხალხო! – დაიკენესა დათიკომ და ხალხმა გააკეთა იგივე, რაც ვალოდიამ და ბადრიამ, ისინი თავჩაქინდრულები, უხმოდ, თითო-თითოდ გადიოდნენ წრიდან და ტოვებდნენ შუა მინდორში ქრისტეს გლახასავით ვედრებად დავარდნილ დათიკოს.

მერე მან თვალებზე აიფარა ხელები, მუხლებზე დაეცა და ბავშვივით აქვითინდა. მე ვუყურებდი დათიკოს და ვფიქრობდი, რა ბედნიერი იყო ამ წუთში ხატია, რომ ვერ ხედავდა, როგორ ტიროდა იგი და როგორ ხდებოდა თანდათან ეს მთასავით ვეებერთელა კაცი მუშტისხელა.

– შეგიძლია, ხატია, წამოსვლა? – ვკითხე ხატიას.

– კი შემიძლია, სოსოია! – მითხრა მან და წამოდგა. ხელი მოვხვიე წელზე და ფრთხილად წავიყვანე ეზოდან. დათიკოს რომ ჩავუარეთ, ხატია გაჩერდა.

დათიკომ ცრემლიანი თვალებით ამოგვხედა.

– რა ვქნა ახლა მე, სოსოია? – მკითხა მან.

– არ ვიცი, დათიკო!

– არც შენ იცი, ბიჭო? – თავი ჩავლუნე. დათიკო წამოდგა და გზას გახედა. გზაზე არავინ იყო. იგი მთვრალივით გავიდა ეზოდან. ჭიშკართან შეჩერდა და ისევ მკითხა:

– სად წავიდე ახლა მე, სოსოია? – მე არ ვიცოდი, სად უნდა წასულიყო დათიკო და არაფერი არ ვუპასუხე. მაშინ დათიკომ ხელი ჩაიქნია, შეტრიალდა და წავიდა...

დიდხანს მიდიოდა იგი თავჩაღუნული. გზაჯვარედინთან რომ მივიდა, გაჩერდა, ცოტა ხანს იდგა, მაგრამ ტყისკენ აღარ გადაუხვია, პირდაპირ დაადგა მთავარ თემშარას და წავიდა, ალბათ, თვითონაც არ იცოდა, საით.

სუფსას ღრიალით მოჰქონდა ხე და მიწა, სოფლის შარაზე ზარების წკარუნით მობლოდა ნახირი. იქ, სადღაც შორს, საითაც დათიკო მიეფარა, მზე ზანტად ჩადიოდა.

me gxedavT, xalxo!

გამარჯობა, ბეჟანა! მე ვარ, შენი სოსოია. ხომ არ მემდური, ჩემო ბეჟანა? რამდენი ხანია შენთან არ ვყოფილვარ. აგერ გვიმრა ამოსულა, მაგრამ ახლავე გავწმენდ, ამ ჯვარსაც გამართავ და სკამსაც შევლებავ, შენ ნუ გეშინია. ჩემამდე არავინ ყოფილა შენთან? თუმცა ვინ იქნებოდა, უყურე, ხატიას ასკილს ყვავილი გამოუღია და გაცვენია კიდევაც, რამდენი დრო გასულა. ჰაუ, რა ამბები მაქვს, ბეჟანა, შენთვის სათქმელი, რომ იცოდე, არც კი ვიცი, საიდან დავიწყო. მოიცა, ამ ბარდს მოვთხრი და ყველაფერს მოგიყვები. ომი გათავდა, ბეჟანა,

ომი. ველარ იცნობ ჩვენს სოფელს, ქვეყნის ხალხი დაბრუნდა, გერასიმეს ბიჭი დაბრუნდა, ნინიჩკას ბიჭი დაბრუნდა, მინას ევგენი დაბრუნდა, ნოდარას მამა დაბრუნდა, ოტიას მამაც დაბრუნდა, ცალფეხა დაბრუნდა, ბეჟანა, მაგრამ მაგის ფეხს ვინ უყურებს, ვის უნდა მაგის ფეხი. ლუკაიას კუკურა არ დაბრუნდა, ბეჟანა, არც შავი მაშვიკოს მალხაზა, ბევრი არ დაბრუნდა და მაინც ვერ იცნობ, ბეჟანა, ჩვენს სოფელს, ახლა მარილიც იშოვება და ჭადიც. შენს მერე ათი ქორწილი იყო, ბეჟანა, ათივეზე დამპატიჟეს და ღვინოს მაძალებდნენ დიდი კაცივით. გოგია ცერცვაძე ხომ გახსოვს? ათი შვილის მამა, იგიც დაბრუნდა და მისმა ცოლმა თალიკომ მეთერთმეტე ბავშვი გააჩინა, შუქრია. ასეთი არაფერი მინახავს, ბეჟანა, მოკვდები სიცილით რომ გაიგო, ეს მელოგინე ქალი კორკიმელზე იყო გასული, მშობიარობა რომ დაეწყო. ხეზე კინალამ დაბადა ბავშვი. გეყურება შენ? ძლივს მიუსწრეს. ზეწარი გაუფინეს ხის ძირში, მაგრამ მოასწრო ჩამოსვლა. გოგიამ უთხრა: რას ჩამოდიოდი, შე ქალო, ბარემ კორკიმელზე მოგემშობიარებია და გიღლით ჩამოგეშვაო. იმ ბავშვს შუქრია კი დაარქვს, მაგრამ მე მაინც კორკიმელას ვეძახი. ხომა სასაცილო, ბეჟანა? კორკიმელაც კარგი სახელია, არა? ჩემი შერქმეულია. კიდევ ცამეტი ბავშვი გაჩნდა შენს მერე და შვიდის ნათლია მე ვარ, ბეჟანა. ერთი ამბავი მოხდა კიდევ, ბეჟანა, ვიცი, გაგიხარდება. ხატია მამამისმა ბათუმში წაიყვანა ექიმთან, ოპერაციას გაუკეთებენ და თვალი აეხილება. მერე? მერე შენ ხომ იცი, ბეჟანა, მე როგორ მიყვარს ხატია? ცოლად მოვიყვან, აბა, რას ვიზამ. დიდ ქორწილს გადავიხდი. მერე მეც მეყოლება შვილი და მისი ნათლია სხვა იქნება... რომ არ აეხილოს თვალი? მამიდაც მაგას მეკითხება, ბეჟანა, ყოველ დამე მეკითხება. შენ გგონია, არ მოვიყვან? მაინც მოვიყვან, ბეჟანა, მაინც. არ შეიძლება ხატიას ცხოვრება უჩემოდ. არც ჩემი ცხოვრება შეიძლება უმიმოდ. შენც ხომ გიყვარდა ვიღაცა მინადორა, ბეჟანა? ჰოდა, მეც მიყვარს ჩემი ხატია. მამიდაჩემსაც უყვარს ვიღაცა. აბა, რატომ ეკითხება კოწია ფოსტალიონს ყოველდღე, წერილი ხომ არ არისო? რატომ ხვდება მანქანებს? ვიღაცას ელოდება. შენ კი იცი, ბეჟანა, ვის ელოდება, მაგრამ ისიც ხომ იცი, რომ არ დაბრუნდება ის?... მეც ველოდები ახლა ხატიას, ჰოდა, სულ ერთია ჩემთვის, როგორ დაბრუნდება. ერთიც ვნახოთ, აახილა ხატიათ თვალი და არ მოვეწონე, რას იტყვი შენ, ბეჟანა? თუმცა მამიდაჩემი კი მეუბნება, გაიხარდეთ, დავაჟაკადიო, დამშვენდიო, ველარ გცნობო, მაგრა რა ვიცი... არა, ხატიას არ შეიძლება, რომ არ მოვეწონო. ხატიათ იცის, როგორიც ვარ, ხატია მხედავს. თვითონ მითხრა. მე უკვე კაცი ვარ, წელს ათი კლასი დავამთავრე, მერე უმაღლესში შევალ, ვისწავლი, ექიმი გავხდები და ჩემი ხელით აუხეღ თვალებს, ახლა თუ არ აეხილა. გესმის, ბეჟანა?

– ვის ელაპარაკები, ბიჭო, გაგიჟდი? – მკითხა ვიღაცამ ზურგს უკან.

შემოგტრიალდი და გერასიმე ბიძია დავინახე.

– გამარჯობა, გერასიმე ბიძია!

– გაგიმარჯოს. რას აკეთებ აქ?

– არაფერს. ისე გამოვიარე!

– ჩადი, აბა, ფოსტაში. ბესარიონი და ხატია ჩამოვიდნენ! – მითხრა გერასიმე ბიძიამ და ლოყაზე ხელი მომითათუნა.

– მერე? – ვკითხე და სუნთქვა შემეკრა.

– წადი, ბიძია, და შეეგებე. გაიქეცი, გაიქეცი!.. – გერასიმეს სიტყვის თქმა აღარ დავამთავრებინე, მოვწყდი ადგილიდან და თავიქვე დავეშვი.

მალე, სოსოია, ბიჭო, მალე, აქედან შორსაა, ასე გადაჭერი გზა, მოკლევნა გადადი... მალე, სოსოია, მალე... მივრბივარ, ყურები მიწივის, გული გასკდომაზეა, ხელები მიბუჟდება, მუხლები მეკეცება, არ დაჯდეს, ბიჭო, რა დროს დაჯდომია... ამ ორმოს თუ გადაახტები, სოსოია, ხატია თვალახელილი დაგხვდება... გადავახტი ახლა ამ ორმოს, ამასაც გადავახტი. ახლა იმ ხემდე თუ მიირბენ სულმოუთქმელად, ხატია თვალახელილი დაგხვდება. ცოტაც, ცოტაც, ცოტაც, კიდევ ერთი ნაბიჯი.

მივირბინე. ახლა თუ ორმოცდაათამდე დაითვლი სულმოუთქმელად, ხატია თვალახელილი იქნება: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი... ოცი... ოცდაათი... ორმოცი... ორმოცდაერთი, ორმოცდაორი, ორმოცდასამი, ორმოცდაოთხი... ო, რა ძნელია... ორმოცდახუთი...

– ხატიააა! – ჩემს ყვირილზე ბესარიონი და ხატია გაჩერდნენ. გულამომჯდარმა მივირბინე მათთან და გავეჩერდი. დიდხანს ხმას ვერ ვიღებდი.

– სოსო! – თქვა წყნარად ხატია. მე ხატიას შევხედე. ხატია თეთრი იყო, როგორც ქაღალდი. იგი სადღაც, ჩემს იქით იყურებოდა დიდრონი, ცისფერი თვალებით და იღიმებოდა.

– ბესარიონ ბიძია! – ბესარიონი თავჩალუნული იდგა.

– რაო, ბესარიონ ბიძია! – ბესარიონი ხმას არ იღებდა.

– ხატია!

– გაისად გაზაფხულზე ჩამოიყვანე, წელს არ შეიძლებაო! – თქვა ხატია. ღმერთო, რა იქნებოდა, ორმოცდაათამდე რომ დამეთვალა, გავიფიქრე. მერე ყელში მომდგარი ცრემლები გადავყლაპე და პირზე ხელი ავიფარე. ტირილი რომ არ დამეწყო.

– რას შევები, სოსო, როგორ ხარ? – მკითხა ხატია. მივედი ხატიასთან, ხელი მოვხვიე და ლოყაზე ვაკოცე. ბესარიონ ბიძიამ ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, გამშრალ თვალებში ამოისვა, დაახველა და წავიდა.

– როგორ ხარ, სოსოია ბიჭო? – გამიმეორა ხატია კითხვა და გამიღიმა.

– ნუ გეშინია, ხატია, გაისად ხომ აგიხელს თვალს? – ვუთხარი ხატიას და საფეთქლებზე ხელი გადავუსვი.

ხატიას თვალები ნუშვივით დაუწვრილდა და ასე ღვთისმშობელზე ლამაზი გახდა.

– გაისადო, სოსოია! – თქვა ხატია.

– ნუ გეშინია, ხატია!

– არ მეშინია, სოსო!

– იმან თუ არ აგიხილა, მე აგიხელ, ხატია, დედას გეფიცები, აგიხელ.

– ვიცი, სოსოია.

– თუ გინდა არ აგიხილოს, რა მოხდა მერე, მე ხომ მხედავ?

– შენ კი გხედავ, სოსოია.

– აბა, მეტი რა გინდა, ხატია?

– მეტი არაფერი.

* * *

სად მიდიხარ შენ, ჩემი სოფლის შარაგზაო, და საით მიგყავს ჩემი სოფელი. გახსოვს? ერთ დღეს შენ წამართვი ყველაფერი, რაც გამაჩნდა ამ ქვეყანაზე, მე გთხოვე მაშინ, შარაგზაო, და შენ დამიბრუნე, რაც შეგეძლო, და მე მაღლიერი ვარ შენი. ახლა დადგა დრო, ჩვენც წავიყვანო – მე და ხატია, წავიყვანო და გვაჩვენო, სად თავდები, და თუ სადმე თავდები, ჩვენ არ გაგათავებთ შენ, ვივლით ასე უსასრულოდ ხელიხელჩაკიდებული. შენ აღარ მოიტან ჩვენს ამბებს სოფელში სამკუთხა წერილებითა და ნაბეჭდი მისამართებით, ჩვენ დავბრუნდებით ჩვენი ფეხით. პირს ვიზამთ აღმოსავლეთით, დავკვსრებით ბაჯაღლო მზის ამოსვლას და მაშინ ხატია იტყვის ხმამალლა:

ეს მე ვარ, ხატია, ხალხო, მე გხედავთ თქვენ...